

SIR ARTHUR CONAN DOYLE

Before JURASSIC PARK there was

# THE LOST WORLD



# დაკარგული ქვეყანა

თავი პირველი

„ ადამიანი თავად მოიხვეჭს დიდებას “

მისტერ ჰანგერტონი, გლედისის მამა, ძალზე უტაქტო ქმნილება იყო და აბურძგნილ, უსიამო თუთიყუშს მოგაგონებდათ. საკმაოდ გულკეთილი, მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობდა. თუკი რამეს შეეძლო გლედისთან განვეშორებინე, მხოლოდ იმის შიშს, რომ ჰანგერტონი ჩემი სიმამრი გახდებოდა. დარწმუნებული ვარ, ჩემს ხშირ სტუმრობას „ წაბლნარში “ , სადაც მე კვირაში სამჯერ დავდიოდი, იგი ხსნიდა თავისი დამსახურებით, განსაკუთრებით კი ბიმეტალიზმზე საუბრით. ამ დარგში იგი დიდ ავტორიტეტობასაც იჩემებდა.

იმ საღამოს თითქმის საათზე მეტხანს ვისმენდი მის ყბედობას - ვერცხლისა და რუპიის ღირებულების დაცემაზე, ფასის დაკლებასა და ფულის წესიერი სისტემის დადგენის აუცილებლობაზე.

- წარმოიდგინეთ, რა მოხდება ქვეყნად, ყველა ვალის დაუყოვნებლივ გასტუმრება რომ მოითხოვონ თანამედროვე პირობებში! - წამოიძახა მან ძაბუნი და შეშფოთებული ხმით.

რა თქმა უნდა, გავკოტრდებოდი-მეთქი, - ვუპასუხე, მაგრამ მისტერ ჰანგერტონი ამ პასუხით უკმაყოფილო დარჩა, - იგი თოფნაკრავივით წამოხტა ზეზე და საყვედურებით ამავსო ჩემი გამოუსწორებელი ქარაფშუბობის გამო; თანაც დასძინა, რომ ჩემთან შეუძლებელია სერიოზული საუბარი, და სწრაფად გავარდა ოთახიდან, რათა

მასონთა სხდომაზე წასასვლელად გადაცმულიყო.

ძლივს მარტო დავრჩით მე და გლედისი! დადგა საბედისწერო წეთი. ჩემი ბედ-იღბალი უნდა გადაწყვეტილიყო. მთელი საღამო იმ ჭარისკაციით ვგრძნობდი თავს, რომელიც შეტევაზე გადასვლის ნიშანს ელის, ხოლო მის გულში გამარჯვების იმედი ებრძვის შიშს, ვაითუ უკუმაქციონო.

გლედისი ფანჭარასთან იჯდა, მისი გამოკვეთილი და ამაყი პროფილი განსაკუთრებით გამოკრთოდა ჟოლოსფერი პორტრეტის ფონზე.

რა მშვენიერი იყო! ჩვენ დიდი ხნის გულითადი მეგობრობა გვაკავშირებდა, მაგრამ ვერ მოვახერხე გადამელახა წმინდა ამხანაგური დამოკიდებულების საზღვარი, ასეთი მეგობრობა ყველა ჩემს კოლეგასთან - გაზეთის რეპორტიორთან შემეძლო მქონოდა.

გლედისი დაჭილდოებული იყო ყველა იმ თვისებით, რაც ქალს ესოდენ მიმზიდველს ხდის. ზოგიერთი მას უხეშ ქალად თვლიდა, მე კი ამგვარი მსჯელობა მკრეხელობად მიმაჩნდა. ნაზი კანი, ყორნის ფრთასავით შავი თმა, დიდი, წყლიანი თვალები, სქელი, ლამაზად მოხაზული ტუჩები - ყველაფერი ეს ნიშანი იყო მისი მგზნებარე ბუნებისა. მე კი ნაღვლიანად ვუსაყვედურებდი თავს, რომ აქამდე ვერ მოვახერხე მისი გულის დაპყრობა.

მოხდეს, რაც მოხდება! სადამდე უნდა ვმალო! ამაღამვე მივიღებ მისგან პასუხს. იქნებ უარი მითხრას, მაგრამ ჭობს უარყოფილი მიწნური ვიყო, ვიდრე უბრალო მეგობარი.

მივიღე ასეთი გადაწყვეტილება და, ის იყო უნდა დამერღვია

უხერხელი სიჩუმე, რომ უეცრად ჩემკენ მომართული შავი თვალების  
მზერა ვიგრძენი, მათში საყვედური გამოსჭვივოდა. გლედისმა  
ღიმილით გაიქნია ამაყი თავი.

- ვგრძნობ, ხელი გინდათ მთხოვოთ, ნედ. რა საჭიროა, ჭობს  
ძველებურად დავრჩეთ. ასე ბევრად უკეთესია.

ახლოს მივიწიე და გულწრფელად გაოცებული შევევითხე:

- როგორ მიმიხვდით?

- ამას წინასწარ ვგრძნობთ ქალები! ნუთუ მართლა გვონიათ, რომ  
ეს ქალისთვის შეიძლება მოულოდნელი იყოს? ო, ნედ! ჩვენი  
მეგობრობა ისეთი ტვილია, რად უნდა შევრყვნათ? განა თვითონვე  
ვერ გრძნობთ, რა კარგია, როდესაც ახალგაზრდა ქალ-ვაჟს შეუძლია  
ასე გულღიად და პირდაპირ საუბარი?

- თავად არ ვიცი, რა გითხრათ, გლედის... მაგრამ იცით რა, მე  
შემიძლია, ასეთი გულახდილი და პირდაპირი ვიყო... რკინიგზის  
სადგურის უფროსთან, - ახლაც არ ვიცი, რამ მომაგონა მაინცდამაინც  
სადგურის უფროსი, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: ჩვენ შორის სწორედ  
ეს თანამდებობის პირი აღიმართება და ჩვენ ორივეს გულიანად  
გაგვეცინა, - არა, გლედის, ასეთი დამოკიდებულება მე სრულებით არ  
მაკმაყოფილებს. მე მსურს, მკერდში ჩაგიკრათ, თქვენი თავი გულზე  
მივიხუტო. მე მინდა, გლედის...

იგი წამოხტა, რადგან შემატყო, რომ ვაპირებდი სინამდვილედ  
მექცია ჩემი ნათქვამი.

- ნედ, ამით ხომ ყველაფერს ხაზი გადაუსვით თქვენ! - თქვა მან. - რა  
კარგი და სასიამოვნოა ყველაფერი, ვიდრე ეს მოხდებოდეს. ნუთუ არ

**შეგიძლიათ თავის შეკავება?!**

- მე ხომ არ მომიგონია ეს პირველად?! - მივუგე რბილად. - ასეთია ადამიანის ბუნება, ასეთია სიყვარული.

- რა თქმა უნდა, თუკი ორივეს უყვარს ერთმანეთი, მაშინ ალბათ სხვაგვარად ხდება. მე კი არასოდეს მიგრძნია სიყვარული.

- თქვენ არ გიგრძნიათ? თქვენი სილამაზის, თქვენი გულის ადამიანს! ოჟ, გლედის, თქვენ სიყვარულისათვის ხართ გაჩენილი! თქვენ უნდა გიყვარდეთ ვინმე!

- ხომ უნდა ვიცადო, სანამ სიყვარული მოვიდოდეს?!

- გლედის, გლედის! რატომ არ გიყვარვართ, რა გიშლით ხელს? არ მოგწონვართ? თუ...

მის სახეს ლმობიერება დაეტყო, ხელი გამომიწოდა, თავი უკან გადამიწია და სევდიანი ღიმილით ჩამაშტერდა.

- არა, სრულებითაც არა, - თქვა მან, - თქვენ პატივმოყვარე ყმაწვილი არ ხართ და თამამად შემიძლია გითხრათ, რომ აქ უფრო სერიოზული მიზეზია.

- ჩემი ხასიათიგაშინებთ?

მან მტკიცედ დააქნია თავი.

- გამოვსწორდები, ოღონდ მითხარით, რა გინდათ! მითხარით, როგორ მოვიქცე? დაჭექით, მოვილაპარაკოთ. არათერს გეტყვით, ოღონდ დაჭექით.

თითქოს არ სჭერაო ჩემი გულწრფელობის, მან ეჭვნეულად შემომხედა, მაგრამ ეს ეჭვი ნდობაზე უფრო ძვირფასიც იყო. ჩემთვის. რა სულელური და უბრალო ჩანს ახლა ეს ყველათერი ქაღალდზე! ან

იქნებ მე მეჩვენება ასე?

ასეა თუ ისე, გლედისი ჩაჭდა სავარძელში.

- ახლა მითხარით, რა არ მოგწონთ ჩემში?

- სხვა მიყვარს...

ახლა ჩემი რიგი მოვიდა - მეც წამოვიჭერი სავარძლიდან. გლედისმა დაინახა ჩემი სახის გამომეტყველება და სიცილით განმიმარტა:

- ნუ შეგეშინდებათ, მე გეუბნებით ჩემს იდეალზე. ჰერცერობით ისეთი არავინ შემხვედრია.

- მაშინ მითხარით, როგორია თქვენი იდეალი? როგორი სახე აქვს?

- იქნებ სწორედ თქვენ გგავდეთ.

- რა კეთილი ხართ! მითხარით, რას აკეთებს იგი ისეთს, რასაც მე ვერ შევძლებდი? თქვენ ოღონდ თქვით! ვინ არის იგი - ვეგეტარიანელი, პაერნაოსანი, ზეკაცი? მხოლოდ ერთი სიტყვა, გლედის! და მე თანახმა ვარ, ისეთი გავხდე. ოღონდაც ვიცოდე თქვენი სურვილი!

ჩემს ასეთ დამყოლობაზე მას გაეცინა.

- უპირველეს ყოვლისა, ჩემი იდეალი არ დაიწყებდა ასეთ საუბარს. ის მტკიცე, პირქუში მამაკაცია და ასე უცებ არ აჰყება თავქარიანი ქალების ახირებას. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ იგი საქმიანი კაცია, უშიშრად გაუსწორებს სიკვდილს თვალს, შეუძლია გააკეთოს დიადი საქმეები. მდიდარია არაჩვეულებრივი გამოცდილებით.

მე შევიყვარებდი არა თვითონ მას, არამედ მის დიდებას და მისი

ათინათი მეც მომფენდა შუქს. მოიგონეთ რიჩარდ ბერტონი. როდესაც მე ამ ადამიანის ბიოგრაფია წავიკითხე (მისი მეუღლის მიერ შედგენილი), ჩემთვის სრულიად გასაგები გახდა, რატომ უყვარდა იმ ქალს იგი. ლედი სტენლი კი! გახსოვთ თქვენ მისი შესანიშნავი წიგნის უკანასკნელი თავი ქმრის შესახებ? აი, ასეთი მამაკაცების წინაშე უნდა მოიხარონ ქედი ქალებმა. ასეთი სიყვარული კი არ ამცირებს ქალს, არამედ ხალხის თვალში ამაღლებს კიდეც, როგორც დიად საქმეთა შთამაგონებელს!

ამწუთას იმდენად მშვენიერი იყო გლედისი, რომ ძლივს მოვერიე ჩემს თავს, რათა ჩვენი საუბრის ამაღლებული ტონი არ დამერღვია. მაინც მოვახერხე თავის შეკავება და განვაგრძე კამათი.

- ყველანი ხომ სტენლები და ბერტონები ვერ იქნებიან! - ვთქვი მე. - შემთხვევაც არ მქონია ამისა, თორემ მეც ვისარგებლებდი...  
- ასეთი შემთხვევა ყოველ ნაბიჭე გვხვდება. ჩემი იდეალიც სწორედ ისეთია, რომელიც თვითონვე ქმნის ასეთ შემთხვევებს. ამას ვერავითარი დაბრკოლება ვერ შეაფერხებს. ჭრ არ შემხვედრია ასეთი გმირი, მაგრამ თითქოს ცოცხლად თვალწინ მიდგასო იგი.

დიახ, ადამიანი თვითონ მოიხვეჭს დიდებას. მამაკაცებმა უნდა ჩაიდინონ საგმირო საქმეები, ქალებმა კი - სიყვარულით დააჭილდოონ ისინი. მოიგონეთ ახალგაზრდა ფრანგი, საპარო ბურთით რომ აფრინდა ცაში გასულ კვირას ...

იმ დილით საშინელი გრიგალი მძვინვარებდა, მაგრამ რადგან გაფრენა წინასწარ იყო გამოცხადებული, მან არავითარ შემთხვევაში არ მოისურვა გადადება.

ერთი დღე-ღამის განმავლობაში ქარმა იგი ათას ხუთასი მილის  
მანძილზე გაიტაცა, სადღაც რუსეთისაკენ. აი, ასეთ ადამიანზე  
ვლაპარაკობ. ახლა ნარმოიდგინეთ ქალი, რომელსაც იგი უყვარს.  
მისი ბედი, ალბათ, ყოველ ქალს შეშურდებოდა! დე, ჩემიც შეშურდეთ.

- თქვენი გულისთვის მეც იმასვე გავაკეთებდი.  
- მხოლოდ ჩემი გულისთვის? ეგ არ ვარგა! ეგ თვისებები თქვენს  
ბუნებას უნდა ახასიათებდეს, რადგან ნამდვილ მამაკაცს თავისთავად  
უნდა სწყუროდეს გმირობის გამოჩენა. აი, მაგალითად, თქვენ  
აღნერეთ ვიგანში ქვანახშირის მაღაროების აფეთქების ამბავი; განა  
არ შეგეძლოთ, თვითონვე ჩასულიყავით და დახმარებოდით საცოდავ  
ხალხს, რომელსაც მახრჩობელა აირი უხუთავდა სულს?

- აკი ჩავედი...  
- თქვენ ეს არ გითქვამთ!  
- მერე რა მოხდა, რა დიდი საქმე იყო ეგ?  
- არ ვიცი, - მან დაკვირვებით შემომხედა, - ეგ მამაცობაა სწორედ.  
- როგორ შემეძლო, სხვაგვარად მოვქცეულიყავი?! თუ გინდა,  
კარგი ნარკვევი დაწერო, თვითონვე უნდა განიცადო ყოველივე.  
- როგორი პრობაული მიზეზია! თქვენს გმირობას ეს რომანტიკულ  
იერს უკარგავს, მაგრამ სულერთია, მე თქვენი მაღაროში ჩასვლით  
დიდად გახარებული ვარ.

მან ხელი გამომინოდა. ამ მოძრაობაში იმდენი მომხიბვლელობა  
და ღირსება ვიგრძენი, რომ თავი ვეღარ შევიკავე და ხელზე ვაკოცე.

- ეტყობა, თავქარიანად მთვლით, რომელსაც ქალწულისებრი  
ოცნებებისათვის ჭერ კიდევ თავი ვერ დაუღწევია. მაგრამ ეს ყოველივე

ჩემთვის ძალზე რეალურია! ჩემი ოცნებანი ჩემგან განუყრელნი არიან და მათ გარეშე არსებობა ვერ წარმომიდგენია. თუ ოდესმე გავთხოვდი, მხოლოდ სახელგანთქმულ ადამიანს გავყვები ცოლად.

- სხვაგვარად არც შეიძლება მოხდეს! აბა ვინ უნდა შთაბეროს მამაკაცებს გმირული სული, თუ არა თქვენისთანა ქალმა! აბა ერთი, მომეცეს მეც შესაძლებლობა და მაშინ ვნახოთ, მოვახერხებთუ არა ამ შემთხვევით სარგებლობას... თუმცა თქვენ ამბობთ, ადამიანმა თავათ უნდა მოიხვეჭოს დიდება და არ უნდა უცადოს იმას, თუ როდის მიეცემა ამის შესაძლებლობა. აი, თუნდაც კლაივის მაგალითი - უბრალო კლერკმა ინდოეთი დაიპყრო! არა, გეფიცებით, მე დავუმტკიცებ ქვეყანას, თუ რა შესაძლებლობის პატრონი ვარ!

გლედისს გაეცინა ჩემს ირლანდიურ გულფიცხობაზე.

- ასე იყოს, იმოქმედეთ. თქვენ შემკული ხართ ყველა საჭირო თვისებით: ახალგაზრდა ხართ, ჭანმრთელი, განათლებული, ენერგიული... პირველად მეწყინა, როდესაც ამ თემაზე საუბარი დაიწყეთ, ახლა კი დიდად გახარებული ვარ, რომ ასეთი შესანიშნავი აზრები გაგეღვიძათ.

- ხოლო თუკი...

ჩემს ტუჩებს მისი ხავერდივით რბილი ხელი შეეხო.

- სხვა არაფერი, სერ! ისედაც დაგავვიანდათ ნახევარი საათით რედაქციაში. ვერ შევძელი, რომ დროზე მომეგონებინა ეს. ოდესმე თუკი მართლა მოიხვეჭთ სახელს ამქვეყნად, შესაძლოა კვლავ განვაგრძოთ ეს საუბარი.

აი რატომ მივდევდი რამდენიმე წუთის შემდეგ კემბერუელის

ტრამვაის ბედნიერებით აღსავსე, მტკიცე გადაწყვეტილებით, რომ არც ერთი დღე არ გამეცდინა და მეძებნა ჩემი სატრფოს შესაფერი საგმირო საქმე. ვინ წარმოიდგენდა, თუ რა საოცარი გზებით მივაღწევდი მე ამას!

მკითხველი ალბათ იტყვის, ამ შესავალს არავითარი კავშირი არა აქვს თვითონ ამბავთანო, მაგრამ უამისოდ თვით ამბავიც არ იქნებოდა.

მხოლოდ დიდების მოხვეჭით შთგონებულ ადამიანს შეუძლია ყოველგვარი გმირობა ჩაიდინოს, უყოფმანოდ მოსწყდეს ყოველდღიურ საქმიანობას და მიაშუროს უცხო იდუმალების ბურუსით მოცულ მხარეს, სადაც მას ელის დიდი თავგადასავალი და ამ თავგადასავლისთვის დიდი ჭილდოც.

თვითონვე განსაკეთ, მე, უბრალო მოხელე, როგორ გავატარებდი იმ საღამოს „დეილი-გაზეთის“ „რედაქციაში, აღგზნებული სურვილით: რაც შეიძლება მალე, თუგინდ იმ საღამოსვე ჩამედინა გმირობა, რომელიც ჩემი გლედისის სავადრისი იქნებოდა. ნეტა რა მოსაზრება ჰქონდა ამ ქალიშვილს, რომლის დიდების გულისთვის ადვილად შესაძლებელი იყო სიცოცხლესაც კი გამოვსალმებოდი? უგულობა, ეგოიზმი? ასეთი კითხვა დაებადება მოწიფულ მამაკაცს; ხოლო ოცდასამი წლის ჭაბუკს, რომელიც პირველ მგზნებარე სიყვარულს განიცდის - არავითარ შემთხვევაში.

თავი მეორე

„პროფესორ ჩელენჯერთან სცადეთ ბედი“

წელში მოხრილი, წითური მოხუცი მაკ-არდლი მუდამ მიყვარდა. ეს ბუზღუნა კაცი „უკანასკნელ ცნობათა“ განყოფილების რედაქტორი გახლდათ. ვგონებ, არც ის იყო ჩემ მიმართ ცუდად განწყობილი.

ჩვენი ნამდვილი მბრძანებელი, რა თქმა უნდა, ბომონტი იყო, მაგრამ მისი ჩვეულებრივი სავანე ოლიმპიური მწვერვალების მსუბუქ ატმოსფეროში იმყოფებოდა, - საიდანაც საერთაშორისო კრიზისისა და მინისტრთა კაბინეტის კრახის გარდა, ვეღარას ამჩნევდა. ხანდახან ვხედავდით მას თავის საკურთხეველში, მარტოდმარტო მედიდურად ბოლთას სცემდა, მისი ფიქრები კი უთუოდ შორს - ბალკანეთზე ან სპარსეთის ყურესთან დაქროდა. ბომონტი ჩვენთვის მიუწვდომელი იყო, მისი მარჭვენა ხელი მაკ-არდლი კი ჩვენი საქმიანობის განუყრელი მეთვალყურე და მრჩეველი გახლდათ.

რედაქციაში შესვლისთანავე მოხუცმა თავი დამიქნია და სათვალე შებდლზე აინია.

- ოო, მისტერ მელოუნ, თქვენზე ხმები დადის, წარმატებები ხვდაო! - ალერსიანად მითხრა მან.

მე მადლობა გადავუხადე.

- თქვენი ნარკვევი მაღაროს აფეთქების შესახებ საუცხოოა. იგივე შემიძლია ვთქვა საუთუორკში ხანძარზე კორესპოდენციის გამო. თქვენ უდავოდ კარგი ჟურნალისტური მონაცემები გაქვთ... საქმე ხომ არ გქონდათ ჩემთან?

- დიახ, ერთი რამ უნდა გვითხოთ.

მაკ-არდლმა შეშინებული თვალებით გადმომხედა.

- ჰმ... რა მოხდა?

- არ შეგიძლიათ, სერ, რაიმე დავალებით სადმე გამგზავნოთ? ძალ-ღონეს არ დავზოგავ და საინტერესო მასალას ჩამოგიტანთ.

- როგორი სახის დავალებას გულისხმობთ, მისტერ მელოუნ?

- სულერთია, სერ, ოღონდაც დიდ სიძნელეებსა და თავგადასავლებთან იყოს დაკავშირებული. შეცდომაში არ შეგიყვანთ, სერ, ერთს კი გეტყვით: რაც უფრო სახითათო იქნება, მით უკეთესი ჩემთვის.

- თქვენ, მგონი, სიცოცხლეს გინდათ გამოესალმოთ?

- სრულიადაც არა! მე მსურს გავამართლო ჩემი არსებობა.

- ძვირფასო მისტერ მელოუნ, მაოცებს თქვენი აღმაფრენა, მაგრამ დრო შეიცვალა, ახლა სპეციალურ კორესპონდენტებზე იმდენი იხარჭება, რომ ვეღარ ანაზღაურებს საერთო ხარჯებს. გარდა ამისა, უნდა მოგახსენოთ, რომ ამგვარ დავალებებს მხოლოდ ისეთ სახელმოხვეჭილ ადამიანებს აკისრებენ, რომელნიც საზოგადოებრივი ნდობით სარგებლობენ. თეთრი ადგილები რუკებზე უკვე შევსებულია და რომანტიკული თავგადასავლებისათვის ადგილი აღარსადაა დარჩენილი!

- თუმცა მოითმინეთ, - დასძინა მან და გამიღიმა, - რუკაზე აღნუსხული თეთრი ადგილები რომ ვახსენე, უცრად საინტერესო აზრი დამებადა: მოდი, ნიღაბი ავხადოთ ერთ შარლატანს, - თანამედროვე მიუნპაუზენს, და სასაცილოდ ავიგდოთ იგი. რატომ არ უნდა გავაცამტვეროთ მისი ცრუპენტელობა?! ეს საუცხოო იქნება... ჰა,

რას იტყვით?

- როგორც მიბრძანებთ! მზად ვარ, ყველაფერი გავაკეთო.  
მავ-არდლი რამდენიმე წუთს ღრმად ჩაფიქრებული იჭდა.  
- არის ერთი კაცი, - დასძინა მან ბოლოს, - მაგრამ არ ვიცი, თუ  
მოახერხებთთქვენ მის გაცნობას, ან მასთან ინტერვიუს. თუმცა,  
როგორც ვატყობ, თქვენ გაქვთ ნიჭი ადამიანთა გულის მონადირებისა.  
არ ვიცი, როგორ ახერხებთ ამას, მაგრამ ამაში თვითონვე  
დავრწმუნდი.

- მეტად დავალებული ვარ თქვენგან, სერ.  
- მაშ ასე, პროფესორ ჩელენჯერთან სცადეთ ბედი. იგი ენმორ-  
ჰარვში ცხოვრობს.

უნდა გამოვტყდე, რომ დამაფიქრა ამ წინადადებამ.

- ჩელენჯერი? პროფესორი ჩელენჯერი, ცნობილი ზოოლოგი? მან  
ხომ „ტელეგრაფის“ თანამშრომელ ბლანდელს თავი გაუტეხა?

„ უკანასკნელ ცნობათა “ განყოფილების რედაქტორმა  
უკმაყოფილოდ ჩაიცინა:

- არ მოგწონთ განა? აკი თქვენვე მთხოვდით, სახითათო  
თავგადასავალს ვეძებო?

- როგორ არა! ჩვენი საქმე ისეთია, ყველაფრისათვის მზად უნდა  
ვიყოთ, სერ.

- მართალი ბრძანებაა. თანაც შეუძლებელია, მუდამ ასეთი  
მძვინვარე იყოს იგი. ალბათ ბლანდელი უდროო დროს მოხვდა  
მასთან, ანდა კარგად ვერ მოექცა... ვიმედოვნებ, ბედი გაგიღიმებთ და  
მოახერხებთ სიფრთხილით მიუდგეთ ამ საკვირველ ადამიანს. ეს

სწორედ თქვენი საქმეა, გაზეთი კი ასეთ მასალას სიამოვნებით დაბეჭდავს.

- მე მას სრულებით არ ვიცნობ, მისი სახელი კი ბლანდელის საქმის გარჩევის შემდეგ დამამახსოვრდა.

- ზოგიერთ ცნობას მე მოგაწვდით, მისტერ მელოუნ. ერთ დროს მეც დაინტერესებული ვიყავი ამ კაცით, - მან უკრიდან ამოღებული ფურცელი გამომინოდა, - აი, მისი მოკლე ბიოგრაფიული ცნობები: „ჩელენჯერი ჭორჭ ედუარდ. დაბადებულია ლარგსში, 1863 წელს. განათლება: ლარგსის სკოლა, ედინბურგის უნივერსიტეტი. 1892 წელს ბრიტანეთის მუზეუმის ასისტენტად იყო, 1893 წელს - შედარებითი ანტროპოლოგიის მუზეუმის განყოფილების მცველის თანაშემწედ. იმავე წელს მუზეუმს თავს ანებებს, მუზეუმის დირექტორთან გესლიან მიწერ-მოწერას ეწევა. დაჭილდოებულია მედლით - ზოოლოგიის დარგში მეცნიერული გამოკვლევებისათვის. საზღვარგარეთული საზოგადოებების წევრია...“ ამას მოჰყვება გრძელი სია: „ ბელგიის საზოგადოება, ამერიკის აკადემია, ლა-პლატა და სხვა. პალეონტოლოგიური საზოგადოების ექსპრეზიდენტი, ბრიტანეთის ასოციაცია, პალეონტოლოგიური საზოგადოების სექცია და სხვა ასეთი. ნაბეჭდი შრომები: „ ყალმუხელთა თავის ქალის მოყვანილობის საკითხისათვის “ , „ ხერხემლის ევოლუციაზე ნარკვევები “ . აგრეთვე მთელი რიგი სტატია, მათ შორის სტატია - „ ვაისმანის ცრუ თეორია “ , რომელმაც ვენის ზოოლოგიურ კონგრესზე გაცხარებული კამათი გამოიწვია. მისი საყვარელი გასართობებია: ფეხით სეირნობა, ალპინიზმი. მისამართი: ენმორ-პარკი, კენსინგტონი, - აი, ეს თან

წაიღეთ. დღეს მეტს ვერაფერს გიშველით.

გამოწვდილი ქაღალდის ფურცელი ჭიბეში ჩავიდე. როცა ჩემკენ მომართული წითური სახის ნაცვლად ვარდისფერი მელობი თავი დავინახე, ჩავილაპარაკე:

- კიდევ ერთი წუთი, სერ, - ჩემთვის ცოტა არ იყოს ბუნდოვანია, თუ რა საკითხზე უნდა ვთხოვო ინტერვიუ ამ ჰენტლმენს. რა გააკეთა მან ასეთი?

წითური სახე კვლავ თვალწინ დამიდგა.

- რა გააკეთა? ორი წლის წინ პროფესორი სამხრეთ ამერიკაში სამოგზაუროდ მარტოდმარტო გაემგზავრა. შარშან კი უკან დაბრუნდა. ეჭვგარეშეა, რომ იგი სამხრეთ ამერიკაში იყო, თუმცა ადგილის ზუსტად დასახელებაზე უარს ამბობს. მან ძლიერ ბუნდოვნად დაიწყო თავისი თავგადასავლის გადმოცემა, მაგრამ როგორც კი შეიტყო, რომ კეთილად არ იყვნენ განწყობილნი მის მიმართ, მაშინვე ხმა ჩაიკმინდა.

იქნებ მართლაც ნახა მან საკვირველი სანახაობანი, თუ არა და, იგი აშკარად არამზადა და მატყუარაა. ვფიქრობ, ეს უკანასკნელი აზრი უფრო სწორი უნდა იყოს. როგორც ამბობენ, მეტად საეჭვო, გაფუჭებულ ფოტოსურათებსაც აჩვენებდა.

ბოლოს ისე გაფხუკიანდა, რომ შეკითხვას ვეღარ იტანს, მაშინვე გააფთრებული შეუტევს ხოლმე; რეპორტიორებს ხომ კიბიდან თავდაყირა აგორებს. ჩემი აზრით, იგი მეცნიერულ ნიადაგზე შეშლილი მანიაკია, მკვლელობის აკვიატებული იდეით შეპყრობილი. აი, ვისთან გექნებათ საქმე, მისტერ მელოუნ. ახლა შეუდექით საქმეს; ეცადეთ, რაც კი შესაძლებელი იქნება, დასცინცლოთ. ყოველ შემთხვევაში, თქვენ

უკვე სრულწლოვანი ბრძანდებით და თავის დაცვას მოახერხებთ როგორმე. ბოლოს და ბოლოს, არც ისე სარისკოა.

მოღიმარი წითერი სახე ისევ ვარდისფერი მელობით შეიცვალა, რომელიც გარშემო წითერი თმით იყო მოცული. ჩვენი საუბარი დამთავრდა.

გავუდექი გზას კლუბი „ ველურისკენ “ . გზად ადელფიტერასის მოაჭირთან შევჩერდი და ჩაფიქრებული დიდხანს გავცემოდი მდინარეს, რომელსაც თითქოს ბნელი, პრიალა გარსი გადაჰკვროდა.

სუფთა ჰაერზე ბევრად უკეთ ვაზროვნებ ხოლმე. ჭიბიდან ამოვიღე პროფესორ ჩელენჯერის საგმირო საქმეთა სია და ელექტრონის შექმნელმეორედ გადავიკითხე. და აი, აქ გამიელვა ზეშთაგონებამ - სხვა რამ ვერ შემირქმევია ამისათვის. ჩემთვის სრულიად ნათელი გახდა ერთი რამ: ეტყობა, ამ ჭირვეულ პროფესორთან შეუძლებელია რეპორტიორის შესვლა. ამ მოკლე ბიოგრაფიული ცნობიდან ჩანდა, რომ იგი ფანატიკოსი მეცნიერი იყო. მაშ ასე, რატომ არ შეიძლება სწორედ აქედან დავიწყო და მისი სისუსტე გამოვიყენო? ვცადოთ ბედი!

მეთორმეტე საათი დაიწყო, როდესაც მე კლუბში შევედი. ხალხი უკვე საკმაოდ მოგროვილიყო, თუმცა კიდევ ბევრი იყო მოსასვლელი.

მე თვალიმივაპყარი მაღალ, გამხდარ კაცს. იგი ბუხართან სავარძელში იჭდა. სკამი ცეცხლის მახლობლად მივიდგი, მოხუცი ჩემკენ შემოტრიალდა. ბედნიერი შეხვედრაა! ეს იყო ტარპ ჰენრი - ჟურნალ „ ბუნების “ თანამშრომელი - ჩამომხმარი არსება. იგი დიდი გულკეთილობით იყო ცნობილი. დრო რომ არ დამეკარგა, პირდაპირ საქმეზე გადავედი:

- რა იცით თქვენ პროფესორ ჩელენჯერზე?

- ჩელენჯერი? - მან უკმაყოფილოდ შეიჭმუხნა წარბები. - ჩელენჯერი! ეს ადამიანი გაუგონარ ზღაპრებს ჩმახავს სამხრეთ ამერიკაში მოგზაურობის ირგვლივ.

- მაინც?

- დაუჭერებელ ამბებს, თითქოს რაღაც უცნაური ველური ცხოველები აღმოეჩინოს. მგონი შემდეგში აიძულეს, თავისი ნათქვამი სისულელედ ეღიარებინა. ყოველ შემთხვევაში, მან ხმა ჩაიკმინდა. ბოლოს რეიტერის კორესპოდენტს ინტერვიუ მისცა, მაგრამ ამან ისეთი აყალმაყალი გამოიწვია, რომ იგი უცბად მიხვდა, რომ საქმე ცუდად იყო. ადრე რამდენიმე კაცს თითქოს სჯეროდა მისი ნაამბობის, ახლა კი ისინიც ჩამოიშორა.

- როგორ?

- აუტანელი უხეშობითა და უცნაური საქციელით. აი, მაგალითად, საბრალო უელდიმ ზოოლოგიურ ინსტიტუტიდან წერილი გაუგზავნა: „ ზოოლოგიური ინსტიტუტის პრეზიდენტი გამოთქვამს დიდ პატივისცემას პროფესორ ჩელენჯერისადმი და სთხოვს მას პატივი დასდოს და დაესწროს ჩვენს მორიგ სხდომას ” . პასუხად კი სრულიად შეუწყნარებელი ბარათი მიიღო.

- რას მეუბნებით!

- ძალიან რომ შევარბილოთ ეს პასუხი, ასეთი სახის იქნება: „ პროფესორი ჩელენჯერი გამოთქვამს დიდ პატივისცემას ზოოლოგიური ინსტიტუტის პრეზიდენტისადმი - და დიდ პატივად ჩათვლის, თუ ეს პრეზიდენტი ჭანდაბას გაემგზავრება ” .

- ღმერთო ჩემო.  
- დიახ, აბა წარმოიდგინეთ, მოხუც უედლიზე როგორ იმოქმედებდა  
ეს წერილი! მახსოვს მისი გოდება სხდომაზე. მან ასე დაიწყო: „ ჩემი  
მეცნიერული მუშაობის ორმოცდაათი წლის მანძილზე „ ... და მოხუცს  
თითქოს ფეხქვეშ ნიადაგი გამოეცალა.

- კიდევ რა იცით ჩელენჯერზე?

- მოგეხსენებათ, მე ბაქტერიოლოგი გახლავართ და ისეთ  
სამყაროში ვცხოვრობ, რომელიც მიკროსკოპით დაინახება. ასე მინდა  
ვიმსჯელო ისეთ საგნებზე, რომელთაც უიარაღო თვალით ვხედავ. მე  
დარაჭი ვარ ყოველი შეცნობილისა და წონასწორობას ვკარგავ,  
როდესაც ლაბორატორიას ვტოვებ და თქვენთან მიხდება  
ურთიერთობა, - ვებერთელა, უხეშ ქმნილებებთან. ყოველგვარ ჭორს  
ვერიდები, თუმცა მეცნიერული გაბაასების დროს ცოტა რამ გამიგონია  
ჩელენჯერზე. იგი ადამიანთა იმ ჭგუფს ეკუთვნის, რომელიც  
შეუმჩნეველი არ რჩება. ჩელენჯერი ძალიან ჭკვიანია, ნიჭიც ხელს  
უწყობს. იგი ადამიანთა ძალ-ღონისა და ცხოველმოსილობის  
აკუმულატორია და ამასთანავე დამთხვეული ფანატიკოსი. იგი  
არავითარ საშუალებას არ ერიდება თავისი მიზნების მისაღწევად. ეს  
ადამიანი იქამდე მივიდა, რომ ყალბი ფოტოებიც შექმნა, - და  
ამტკიცებს, სამხრეთ ამერიკიდან ჩამოვიტანეო.

- თქვენ მას ფანატიკოსი უწოდეთ. რაში გამოამჟღავნა მან ეს  
ფანტაზია?

- ათასი შემთხვევა შემიძლია დაგისახელოთ! ამ უკანასკნელად კი  
აკვიატებული აქვს ვაისმანის ევოლუციის თეორია. ამბობენ, ვენაში ამ

საკითხის გამო დიდი აურგაური ატეხაო.

- ვერ მიამბობთ დაწვრილებით, რაში იყო საქმე?
- არა, ახლა არ შემიძლია, მაგრამ რედაქციაში გვაქვს ვენის კონგრესის ოქმები, თუ გნებავთ წამობრძანდით, მე თქვენ გაჩვენებთ.
- ვარგი იქნებოდა. მე დავალებული მაქვს ინტერვიუ გავუმართო მას და ამისათვის მჭირდება რაიმე საბაბი. მაღლობას მოგახსენებთ დახმარებისათვის. თუ გვიან არაა, ახლავე წავიდეთ.

ნახევარი საათის შემდეგ მე ჟურნალის რედაქციაში ვიჭექი და წინ მედო კარგა მოზრდილი ტომი - „ ვაისმანი დარვინის წინააღმდეგ ” , - ქვესათაურით: „ მხურვალე პროტესტები ვენაში. გაცხოველებული კამათი ” .

ჩემი მეცნიერული ცოდნის მარაგი ზერელე აღმოჩნდა და მე ვერ გავერკვიე კამათის არსში. თუმცა ჩემთვის ნათელი გახდა, რომ ინგლისელმა პროფესორმა საკითხი მეტად მძაფრად დასვა და ამით მეტად გააღიზიანა თავისი კონტინენტელი კოლეგები. „ საპროტესტო წამოძახილები ადგილებიდან ” , „ ხმაური დარბაზში ” , „ საერთო აღშფოთება ” - უპირველეს ყოვლისა ჩემი ყურადღება ამ სიტყვებმა მიიპყრო. სხვა ყველაფერი კი ჩემთვის ჩინურ ანბანს წარმოადგენდა, იმდენად სუსტად ვერკვეოდი ზოოლოგის საკითხში.

- იქნებ ადამიანურ ენაზე გადმომითარგმნოთ! - საცოდავად შევევედრე ჩემს კოლეგას.
- ეს ხომ თარგმანი გახლავთ!
- მაშასადამე, მერჩივნა ორიგინალი წამეკითხა.
- რასაკვირველია, უცოდინარისთვის ძნელი გასაგებია ეს.

- ეს აზრიანი ფრაზა რომ მაინც ამომერჩია მთელი ამ აბდაუბდიდან, ბედნიერად ჩავთვლიდი თავს. ოპო, აი ვგონებ, მივაგენი კიდეც. თითქოს ეს ჩემთვის გასაგებიცაა. ახლავე გადავიწერ. დე, ეს ფრაზა დამაკავშირებელი რგოლი გახდეს ჩემსა და თქვენს საშინელ პროფესორ შორის.

- კიდევ რით შემიძლია გემსახუროთ?

- იცით რა, მე მინდა პროფესორს მივწერო. მომეცით ნება, აქ დავწერო და თქვენი მისამართით ვისარგებლო, რადგან ეს უფრო მნიშვნელოვანს გახდის ჩემს წერილს.

- მაშინ ეგ კაცი მოვარდება, აგვიკლებს, მთელავეჯს უთუოდ თავზე გადაგვამტვრევს.

- არა, რას ბრძანებოთ! მე თქვენ გარნშუნებოთ, რომ წერილი შეურაცხმყოფელი არ იქნება. მე თქვენ წაგიკითხავთ.

- რა გაეწყობა, დაბრძანდით ჩემს მაგიდასთან. ქაღალდიც მანდვე იქნება. ვიდრე წერილს გაგზავნით, მე მინდა ცენზურაში გავატარო.

კარგა ხანს ვენვალებოდი, მაგრამ ტრაბახად ნუ ჩამომართმევთ და, ცუდად არ შემიდგენია. საკუთარი შემოქმედებით გაგულისებულმა, ხმამაღლა წავუკითხე წერილი სასტიკ ბაქტერიოლოგს:

„ ღრმად პატივცემულო პროფესორო ჩელენჯერ! მე, უბრალო ბუნებისმეტყველი, დიდი ინტერესით ვადევნებ თვალს თქვენს გამოსვლებს დარვინისა და ვაისმანის თეორიებს შორის არსებული წინააღმდეგობის შესახებ. ამას წინათ მომეცა შემთხვევა, კიდევ ერთხელ გადამეკითხა თქვენი „ ...

- უსირცხვილო მატყუარა! - წაიბუტებუტა ტარპ ჰენრიმ.

„ ...შესანიშნავი გამოსვლა ვენის კონგრესზე. ეს მძფრი და დამაჯერებელი მოხსენება უნდა განვიხილოთ, როგორც მეცნიერების უკანასკნელი სიტყვა. თუმცა აქ ერთი ფრაზაა, სახელდობრ: „ მე სასტიკად ვენინააღმდეგები მიუღებელსა და უთუოდ ზედოგმატურ მტკიცებას, თითქოს ყოველი განკერძოებული ინდივიდი მიკროკოსმოსს წარმოადგენდეს, რომელიც ფლობს ისტორიულად ჩამოყალიბებულ ორგანიზმის წყობილებას, რომელსაც მთელი რიგი თაობები ნელ-ნელა იმუშავებდა ” . განა თქვენ არ მიგაჩნიათ საჭიროდ - ოდნავ შეცვალოთ თქვენი შეხედულება, თუ თქვენს უკანასკნელ გამოკვლევებს მიიღებთ მხედველობაში?! იქნებ ოდნავ საეჭვოდ მიიჩნიოთ? გთხოვთ, ნება დამრთოთ და მიმიღოთ, - ვინაიდან მხოლოდ პირად საუბარში შევძლებ გადმოგცეთ ჩემი მოსაზრება ამ საკითხზე: თქვენი სურვილის თანახმად, ვიმედოვნებ, გეახლოთ ზეგ, ოთხშაბათს, დიღის თერთმეტ საათზე. თქვენი მონა-მორჩილი და ღრმა პატივისმცემელი ედუარდ

დ.მელოუნ ”.

- აბა, რას იტყვით? - რიხიანად მივმართე ჰენრის.
- არა უშავს, თუკი სინდისი ნებას გაძლევთ...
- ჯერ არასოდეს უღალატია ჩემთვის სინდისს.
- ახლა რას აპირებთ?
- ჩემთვის მთავარია, როგორმე მას შევხვდე. მერე კი როგორმე დავაღწევ თავს. გულახდილად გამოვუტყდები, თუ სხვა გამოსავალ გზას ვერ მივაგენი. იქნებ ამან მაინც გაართოს.
- წარმომიდგენია! უფრთხილდით, მან თვითონ არ გაგართოთ.

გირჩევთ, აბჭარი ან ამერიკელ ფეხბურთელთა კოსტიუმი ჩაიცვათ. მაშასე, მშვიდობით. პასუხს ორშაბათს დილით მიიღებთ, - თუ გაღირსათ. იგი თავხედი, ჭირვეული და საშიში ადამიანია. ყველას ემტერება, ვისაც კი რაიმე საქმე ჰქონდა მასთან. სტუდენტების ფარული დაცინვის საგანია. ვინ იცის, თქვენთვის უფრო კარგი იქნებოდა, სულაც არგაგეგონათ მისი სახელი.

თავი მესამე

„ იგი აუტანელი ადამიანია “

ჩემი მეგობრის იმედები თუ შიში არ გამართლდა. ოთხშაბათს რედაქციაში მისვლისთნავე წერილი დამხვდა კენსინგტონის შტემპელით. მისამართი კი ეკლიანი მავთულის მსგავსად იყო დაჭლაბნილი. წერილი შემდეგი შინაარსის იყო:

„ ენმორ-პარკი, კენსინგტონი.

სერ! თქვენი წერილი მივიღე. მარწმუნებთ, თქვენს შეხედულებებს ვიზიარებო. შემიძლია გაუწყოთ, რომ მათ არავის მხარდაჭერა არ ესაჭიროება. დარვინიზმის შესახებ ჩემი თეორიის ხსენებაზე, თქვენ გაკადნიერდით გეხმარათ სიტყვა „ მოსაზრება “ . უნდა მიგითითოთ, რომ ამ შემთხვევაში ეგ გამოთქმა ოდნავ შეურაცხმყოფელია. საერთო

კონტექსტის მიხედვით ჩანს, იგი თქვენი უვიცობითა და უტაქტობითაა გამოწვეული და არა რაიმე ცუდი განზრახვით, ამიტომ ეს თქვენ გეპატიებათ. ჩემი მოხსენებიდან მოყვანილი ციტატებისა, ცხადია, თქვენ ბევრი რამ არ გესმით. ამ აზრებს მხოლოდ სავსებით უვიცი კაცი ვერ გაიგებს, მაგრამ თუ თქვენ მართლაც გესაჭიროებათ განმარტებანი, მზად ვარ მიგიღოთ დანიშნულ დროს, - თუმცა ვერ ვიტან ვერავითარ შეხვედრებსა და მნახველებს. რაც შეეხება „ზოგიერთ შესწორებას “ ჩემ თეორიაში, - უნდა მოგახსენოთ, რომ ერთხელ გამოთქმული აზრების შეცვლა არ მჩვევია.

როცა მობრძანდებით, კეთილი ინებეთ და ჩემს მსახურ ოსტინს ამ წერილის კონვერტი წარმოუდგინეთ, რადგან მას ეკისრება დამიცვას აბეზარი არამზადებისაგან, რომელნიც თავს რეპორტიორებს უწოდებენ.

პატივისცემით, ჰორქ ედუარდ ჩელენჯერი ”.

ასეთი გახლდათ ის საპასუხო წერილი, რომელიც მე ტარპ ჰენრის წავუკითხე ხმამაღლა. იგი განვეძ ადრე მოსულიყო რედაქციაში, რათა გაეგო ჩემი გაბედული ცდის შედეგი.

- ამბობენ, არსებობს რომელიღაცა ახალი საშუალება სისხლის დენის წინააღმდეგ - კუტიკურა თუ რაღაც ამდაგვარი, არნიკის სალბუნზე უკეთესიაო.

თერთმეტის ნახევარი იქნებოდა, როდესაც მე პროფესორ ჩელენჯერის წერილი მივიღე, მაგრამ მაინც მეეტლემ დანიშნულ ადგილას ზუსტად დანიშნული დროისათვის მიმიყვანა. ეტლი გაჩერდა

უზარმაგარ სახლთან, რომელსაც რაღაც შთამაგონებელი შესახედაობა ჰქონდა. ფანჯარაზე დაკიდებული მძიმე პორტიერები მრისხანე პროფესორის კეთილდღეობას მოწმობდა. უცნაური გარეგნობის შავგვრემანმა, გამხდარმა და გაურკვეველი ხნის კაცმა გამიღო კარი. მას შავი ჭუბა და ყავისფერი ჩექმები ეცვა. უფრო გვიან გავიგე, რომ ეს კაცი შოთერი იყო, რომელიც რამდენიმე პროფესიას ითავსებდა, ვინაიდან მსახურნი ამ სახლიდან უკანმოუხედავად გარბოდნენ. მან თავისი ცისფერი თვალებით თავიდან ფეხებამდე ამათვალიერა.

- თქვენ გელოდებიან?- შემეკითხა იგი.
- დიახ, ეს დრო მქონდა დანიშნული.
- ნერილი თან გაქვთ?

მე გავუნოდე კონვერტი.

ეს კაცი, როგორც ჩანს, ტყუილუბრალოდ სიტყვებს არ ხარჭავდა. დერეფანში გავყევი მას. უეცრად, მოპირდაპირე კარიდან, ალბათ სასადილო ოთახიდან, სწრაფად გამოვიდა შავგვრემანი ქალი. იგი ფრანგს უფრო წააგავდა, ვიდრე ინგლისელს.

- ერთ წეთს, - თქვა ლედიმ, - ოსტინ, თქვენ აქ მოითმინეთ. აქეთ შემობრძანდით, სერ. ნება მიბოძეთ, გვითხოთ, შეხვედრიხართ თუ არა ჩემს ქმარს უნინ?

- არა, ქალბატონო, არ მქონია ეგ ბედნიერება.
- თქვენ წინაშე წინასწარ ბოდიშს ვიხდი ამ შემთხვევის გამო. უნდა გაგაფრთხილოთ, რომ იგი აუტანელი ადამიანია, ამ სიტყვების სრული მნიშვნელობით! ახლა კი უკვე გვეცოდინებათ და იმედია მიუტევებთ.

- გმადლობთ ყურადღებისათვის, ქალბატონო.

- როგორც კი შეამჩნიოთ გაგულისება, საჩქაროდ გამოიქვეცით ოთახიდან. ნურც იფიქრებთ მასთან შეკამათებას. ასეთმა მოქცევამ ძალიან ბევრი დააზარალა და შემდეგ, როდესაც საქმე გახმაურდება ხოლმე, ჩემზე ძალიან ცუდად მოქმედებს. რა საკითხებზე გექნებათ მასთან საუბარი? სამხრეთ ამერიკის ირგვლივ ხომ არა?

- მე არ შემიძლია ქალების წინაშე ვიცრუო.

- ღმერთო ჩემო! ეს ხომ ყველაზე საშინელი თემაა! განა საკვირველი იქნება, თუ თქვენ მის ნაამბობს არ დაიჭერებთ?! ოდონდ, თავი ისე დაიჭირეთ, თითქოს ყველაფერი გჯერათ და იქნებ აღარ განრისხდეს. ნუ დაივიწყებთ, მას უსათუოდ სჭერა ყოველივე და დარწმუნებულია თავის სიმართლეში. იგი თვითონ პატიოსნების განსახიერებაა. ახლა კი მიბრძანდით, რომ საეჭვოდ არ მიიჩნიოს თქვენი დაგვიანება. თუკი შეამჩნევთ, რომ იგი საშიში ხდება, მაშინვე დარეცეთ ზარი და ჩემს მოსვლამდე როგორმე დააოკეთ. მე ჩვეულებრივად ვახერხებ მასთან გამკლავებას, როგორი გააფთრებულიც უნდა იყოს იგი.

ასეთი მანუგეშებელი სიტყვებით დამილოცა გზა ლედიმ და მიმატოვა მდუმარე ოსტინთან, რომელიც ჩვენი ხანმოკლე საუბრის დროს ქანდაკებასავით უძრავად იდგა, უდიდეს მოკრძალებას განასახიერებდა. მე გავყევი მას. კარების დაკავუნება და გამძვინვარებული ხარის ღრიალის მსგავსი ხმა შემომესმა შიგნიდან - და მე აღმოვჩნდი პროფესორის პირისპირ.

სავარძელში იჯდა იგი, ფართო მაგიდასთან, რომელზეც

აუარებელი წიგნი, რუკა და ნახაზი იყო დალაგებული. შევედი თუ არა, სავარძელი ჩემკენ შემოატრიალა. შევხედე, სუნთქვა შემეცვრა. კარგად ვიცოდი, რომ რაღაც საკვირველებას უნდა შევყროდი, მაგრამ ასეთი თუ იქნებოდა, მაინც არ მოველოდი.

ყველაზე უფრო გამაოცა მისმა ვეებერთელა სხეულმა და საოცარმა გარეგნობამ: უზარმაზარი თავი ჰქონდა. ჩემს სიცოცხლეში არ მენახა ასეთი თავი ადამიანის კისერზე. მის ქუდში ბეჭებამდე დავიმალებოდი, თავზე რომ დამეხურა. პროფესორის სახე და წვერი ასირიულ ბარელიეფებზე გამოხატულ ხარებს მოგაგონებდათ.

ვეებერთელა სახე ჰქონდა; შავი კვადრატული წვერი მკერდზე სცემდა. უცნაურ შთაბეჭდილებას ტოვებდა მისი გრძელი, თითქოს მაღალ შუბლზე დაწებებული თმა. მედიდური, ლურჯ-მონაცრისფერო თვალები გაკვირვებით და მრისხანედ მომჩერებოდა გაბურძგნილი შავი წარბების ქვემოდან. მე შევნიშნე აგრეთვე, რომ მას ჰქონდა განიერი ბეჭები, მაღალი გულ-მკერდი და შავი ბალნით გაბანჯგლული ძლიერი ხელები. ყველაფერ ამას თუ მივუმატებთ მის მჭექარე ხმას, რომელიც ხშირად ღრიალად იქცეოდა ხოლმე, ადვილად წარმოსადგენია, როგორი შთაბეჭდილება შემექმნებოდა პროფესორ ჩელენჯერთან პირველი შეხვედრისას.

- აბა, რა ამბავია, რაზე გარჯილხართ? - თქვა მან და თვალები შემომაშტერა.

სხვა გზა არ იყო. მოგონილი ვერსია თუ გადამარჩენდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენი ინტერვიუ მაშინვე ჩაიშლებოდა.

- დიდად დავალებული ვარ, სერ. რომ დათანხმდით ჩემს მიღებას, -

მორიდებულად ვუთხარი მე და კონვერტი ვაჩვენე.

მან საწერი მაგიდის უჭრიდან ჩემი წერილი ამოიღო და წინ დაიდო.

- აა! თქვენ ის უვიცი ახალგაზრდა ბრძანდებით? თუმცა, როგორც გვიგე, ჩემს დასკვნებს თქვენი ქება ეღირსათ თურმე!

- დიახ, სერ, რა თქმა უნდა! - მე შევეცადე, ეს სიტყვები დიდი დამაჯერებლობით წარმომეთქვა.

- ერთი ეს მიბრძანეთ, ეგ ძალგე აძლიერებს ჩემს პოზიციებს, არა? განა დასაფასებელი არაა, თქვენი ხნის და გარეგნობის ადამიანი, მხარს რომ დაგიჭერს?! თუმცა ჭობს თქვენთან იქონიოს კაცმა საქმე, ვიდრე იმ ღორების კოლტთან, რომელიც ვენაში დამესხა თავს; ახლა მათი ჭყვიტინი ისევე შეურაცხმყოფელია ჩემთვის, როგორც ბრიტანული ტახის განმარტოებული ღრუბუნი.

და იგი ისე ჩამაშტერდა, თითქოს ზემოხსენებულ ცხოველთა ერთ-ერთი წარმომადგენელი ყოფილიყოს.

- როგორც ეტყობა, ძალიან აუგდიათ თავი, - შევნიშნე მე.

- თქვენი თანაგრძნობა სრულიად უადგილოა! მერწმუნეთ, შემიძლია თვითონვე გავუსწორდე ჩემს მტრებს. აბა, სერ, შევეცდები, რაც შეიძლება შევამოვლოთ ჩვენი საუბარი, რომელიც თქვენთვის მაინცდამაინც სახარბიელო არ იქნება და ჩემთვის ხომ მეტად მომაბეზრებელია. თქვენი წერილიდან ირკვევა, თითქოს რაღაც მოსაზრებები გინდოდათ გამოგეთქვათ იმ თეზისების მიმართ, რომელიც მე ჩემს მოხსენებაში წამოვაყენე.

იგი ლაპარაკობდა მოურიდებლად და პირდაპირ, ისე რომ, ეშმაკობა თითქმის შეუძლებელი გახდა. მე მაინც გადავწყვიტე,

გამეგრძელებინა ეს თამაში უფრო ხელსაყრელი სვლის მოლოდინში. ოპ! სადა ხარ ჩემო ირლანდიურო მოხერხებავ. ნუთუ ვერ მიშველი ამ გაჭირვების დროს!

ორმა გამჭოლმა ფოლადის თვალმა ძალა წამართვა.

- დაიწყეთ, რაღას უცდით? - დაიღრიალა პროფესორმა.  
- მე ერთი უბრალო მკვლევარი გახლავართ, სერ, არც ისე დიდი ხანია, რაც მეცნიერებას მივეკედლე, - დავიწყე სულელური ღიმილით,  
- მიუხედავად ამისა, მგონია, რომ ამ საკითხში ვაისმანის მიმართ თქვენ ზედმეტად მკაცრი ბრძანდებით. განა მას შემდეგ დაგროვილი საბუთები, არ... არ ამაგრებენ მის პოზიციებს?

- რომელი საბუთები? - შემევითხა იგი მქუხარედ.

- ჰო, რასაკვირველია, ვიცი, რომ უცილობელი საბუთი არაა. მე მხედველობაში მქონდა, თუ შეიძლება ასე ითქვას, თანამედროვე მეცნიერული აზრის ზოგადმეცნიერული შეხედულებანი.

პროფესორი წინ გადმოიხარა და სახეში ჩამაშტერდა.

- ეტყობა თქვენთვის უკვე ცნობილია, - დაიწყო მან და მარცხენა ხელზე მორიგეობით მოდრიკა თითები, - უპირველეს ყოვლისა, თავის ქალა უტყუარი ფაქტორია...

- რა თქმა უნდა, - კვერი დავუკარი მე.

- და რომ თელეგონია, ჰერჭერობით ისევ სუბ ჰუდიცე.

- რა თქმა უნდა.

- და რომ ჩანასახითი პლაზმა განსხვავდება პარტენოგენეტიკური კვერცხისაგან.

- დიახ, რა თქმა უნდა! - წამოვიძახე საკუთარი უტიფრობით

კმაყოფილმა.

- მაშ რას ამტკიცებს ყოველივე ეს? - შემეცითხა იგი რბილი, შემპარავი ხმით.
- მართლაც, - წავილუღლუღე მე, - რას უნდა ნიშნავდეს ყოველივე ეს?

- მოგახსენოთ? - ისევ შემპარავად წარმოთქვა პროფესორმა.
- ძალიან გთხოვთ.
- ეს ამტკიცებს, - მოულოდნელად დაიღრიალა მან, - რომ თქვენისთანა გაიძვერასა და არამზადას მეორეს ვერ ნახავთ ლონდონში. საძაგელი, არამზადა, უხამსი რეპორტიორი, რომელიც მეცნიერებისაგანაც შორსაა და უბრალო ადამიანური წესიერებისაგანაც.

იგი წამოვარდა. სიბრაზისაგან თვალებს ცოფიანივით აბრიალებდა და მიუხედავად ასეთი დაძაბული მდგომარეობისა, მაინც თვალში მეცა მისი საკვირველი გარეგნობა: პროფესორი ჩელენჯერი ტანმორჩილი იყო, ასე ვთქვათ, გაბრტყელებული ჰერკულესი. უცნაურად დიდი თავი და განიერი მხრები ჰქონდა, ბეჭებამდე ძლივს მწვდებოდა.

- მე თქვენ სისულელებს გეუბნებოდით, სერ! - დაიღრიალა მან და მაგიდაზე დაყრდნობილი მთლიანად წინ გადმოიზნიქა, - აბდაუბდაა სუყველაფერი, რაც მე გითხარით! თქვენ ბედავთ, მე გამიმკლავდეთ? თქვენი ნამცეცა ჭკუით! ამ დაწყევლილ მჯდაბნელებს ყოვლისშემძლედ მოაქვთ თავი. თქვენ გვონიათ, თქვენი ერთი შექება საკმარისია, რომ ადამიანი ამაღლდეს, ხოლო დაგმობა, - მიწასთან გაასწორებს?! თქვენ წინაშე მუდამ ქედმოხრილი უნდა ვიყოთ ყველანი, რათა თქვენი

შექების ღირსნი გავხდეთ, ხომ? ესა და ეს უნდა აიღაგმოს, ამას კი გავუწიოთ მფარველობა... საზიზღარო მლიქვნელებო, კარგად გიცნობთ თქვენ, ძალიან იძღინძებით, საცოდავო ცრუპენტელებო! თქვენ ყოველგვარი ზომიერების გრძნობა დაგიკარგავთ. მე თქვენ გაჩვენებთ სეირს! დიახ, სეირს! ჭორჭ ჩელენჯერი არ გამხდარა ჰერ თქვენი საკბილო. იგი არაა მიჩვეული სხვის მბრძანებლობას. მან თქვენ უკვე გაგაფრთხილათ და, რაკი მაინც მიძვრებით მასთან - თავს დააბრალეთ, რაც მოგივათ. ფანტი, ძვირფასო მისტერ მელოუნ! ფანტს მოვითხოვ თქვენგან! სახიფათო თამაში განიზრახეთ და ვფიქრობ, ნააგეთ კიდეც!

- გამიგონეთ, სერ, - ვუთხარი მე, - მლანძღეთ რამდენიც გნებავთ, - თანაც უკან-უკან ვიხევდი და კარს ვაღებდი, - ოღონდ ხელი არ მახლოთ, ყოველივეს საზღვარი აქვს! არ გაძლევთ ნებას!

- ოპო, არ მაძლევთ ნებას? - იგი ნელ-ნელა მუქარით ჩემკენ მოემართებოდა, მერე უცბად შეჩერდა და თავისი დიდი თათები ჩაიყო მოკლე პიჭავის ჭიბეში, რომელიც ბიჭს უფრო შეეფერებოდა, ვიდრე მამაკაცს. - თქვენისთანა ბევრი გამიპანდურებია აქედან, - თქვენ მეოთხე ან მეხუთე იქნებით. თითოეულისთვის გადახდილია ჭარიმა სამი გირვანქა და თხუთმეტი შილინგი საშუალოდ. მეძვირება, მაგრამ რას იზამ - აუცილებელია! ახლა კი, სერ, ვფიქრობ, თქვენც მათ მიგაყოლოთ. მე პირადად ვფიქრობ, ეს არ აგცდებათ, - მან ხელახლა დაიწყო მეტად არასასიამოვნო შემოტევა ჩემზე, ფეხის წვერებს ისე მოარხევდა გან-გან, თითქოს ცეკვის მასწავლებელი ყოფილიყო.

მე შემეძლო გარეთ გავვარდნილიყავი, მაგრამ ძალჩე

სამარცხვინოდ მიმაჩნდა ასეთი საქციელი; გარდა ამისა, სამართლიანად იღვიძებდა ჩემში აღშფოთება და თუ აქამდე თავს ვიდანაშაულებდი, ახლა მისი მუქარა და აუტანელი საქციელი სრულიად აბათილებდა ჩემს დანაშაულს.

- ხელები შორს, სერ! მაგას არ გაგაბედვინებთ!  
- ნუთუ?! რას ბრძანებთ?! - მან შავი ულვაში ზევით აიწვიპა და ბოროტმა ღიმილმა თეთრი, თვალისმომჭრელი ღოჯები გამოუჩინა. - თქვენ არ მომცემთ ნებას, ხომ?

- თავს ნუ ისულელებთ, პროფესორო! - მივაძახე მე, - რისი იმედი გაქვთ, მე ორას გირვანქაზე მეტს ვინონი, რვინასავით მაგარი ვარ და ყოველ შაბათს რაგბის თამაშში ვმონაწილეობ, ირლანდიელთა ნაკრებგუნდში. თქვენ ჩემთან...

სწორედ ამ დროს მეძგერა იგი. ბედად კარის გაღება მოვასწარი, თორემ ნაფოტებიღა დარჩებოდა კარისაგან.

ჩვენ ყირაზე გადავდიოდით დერეფანში, როგორდაც გზაზე სკამი გამოგვეჩირა. პროფესორის წვერი პირში მეჩრებოდა, ჩვენი ხელები ერთმანეთს გადახლართოდა და დაწყევლილი სკამის ფეხები გვებლანდებოდა. ფხიზელ ოსტინს დროზე გაედო გასასვლელი კარი. ორივენი ყირამალა გადავკოტრიალდით და კიბეზე ჩავგორდით. ერთხელ მიუზიკჰოლში ვნახე, ვიღაცებმა როგორ შეასრულეს ასეთი ნომრები. ჩანს, პრაქტიკა ამ ატრაქციონისათვის აუცილებელია, თორემ დაიმტვრევა კაცი.

უკანასკნელ საფეხურზე რომ დავეცით, სკამი ნაფოტებად იქცა, ჩვენ კი ცალ-ცალკე თხრილებში ჩავცვივდით. პროფესორი

მუშტებმოღერებული ფეხზე წამოხტა, თითქოს ასთმა სჭირსო, ისე  
ხროტინებდა.

- გეყოთ თუ არა? - დაიღრიალა მან. ძლივს ითქვამდა სულს.

- ხულიგანო! - ვუპასუხე მე და ძლივს წამოვდექი ფეხზე.

ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს გასტანდა ჩვენი ჩხუბი, რადგან  
პროფესორს ჩხუბის წყურვილი ახრჩობდა, მაგრამ ბედმა გამომიყვანა  
ამ სულელური მდგომარეობიდან. საიდანღაც პოლიციელმა ამოყო  
თავი და უბის წიგნაკით ხელში გაჩერდა ჩვენ წინ.

- გრცხვენოდეთ! რას ნიშნავს ეს ყოველივე?! - იკითხა  
პოლიციელმა; ეს ყველაზე უფრო ჭკვიანური სიტყვები იყო, რაც კი მე  
ენმორ-პარკში გავიგონე. - ჰო, - გაიმეორა მან და ჩემვენ მობრუნდა, -  
რას ნიშნავს ეს?

- ეგ კაცი თავს დამესხა, - ვუთხარი მე.

- მართალია? თქვენ პირველი დაესხით თავს? - ჰკითხა  
პოლიციელმა.

პროფესორი დუმდა და მძიმედ სუნთქავდა.

- განა ეს პირველი შემთხვევაა! - თქვა პოლიციელმა და წყრომით  
გაიქნია თავი. - გასულ თვეში თქვენ ასეთივე უსიამოვნება შეგემთხვათ.  
ამ ახალგაზრდასაც ხომ თვალი ჩაულურჯეთ. გნებავთ დავსაჭოთ, სერ?  
- მკითხა პოლიციელმა.

მე მოვლბი და სიბრაზე უცბად შებრალებად შევცვალე:

- არა, არ მინდა.

- რატომ? - გაუკვირდა პოლიციელს.

- ნაწილობრივ მეც ვარ დამნაშავე. სახლში შევეჭრი. მან კიდეც

გამაფრთხილა წინასწარ.

პოლიციელმა წიგნაკი დაკეცა.

- ასეთი უმსგავსობა აღარ განმეორდეს, - თქვა მან, - ახლა კი...  
დაიშალეთ! დაიშალეთ!

ეს სიტყვები ყასბის ბიჭს, მოახლე ქალსა და ორ-სამ დოყლაპიას  
ესმოდა, რომლებიც უსაქმერობის გამო შეჯგუფებულიყვნენ.  
პოლიციელი მძიმედ მიაბიჯებდა ქვაფენილზე და ამ პატარა ჭოგს წინ  
მიერეკებოდა. პროფესორმა შემომხედა. მის გამოხედვაში დამცინავი  
ღიმილი კიაფობდა.

- შემოდით, - თქვა მან, - მე ჰერ კიდევ არ დამიმთავრებია თქვენთან  
საუბარი.

თუმცა ეს სიტყვები ბოროტად ჟღერდა, მაგრამ მე მაინც უკან  
გავყევი. ოსტინმა, რომელიც ხის ქანდაკებასავით გაოგნებული იდგა,  
აუღელვებლად მოგვიხურა კარი.

თავი მეოთხე

„ ეს უდიდესი აღმოჩენაა! “

კარი ჰერ კიდევ არ იყო მოხურული, რომ სასადილოდან მისის  
ჩელენჯერი შემოიჭრა. ეს პანაწინა ქალი მეტად გააფთრებული იყო.  
მან მედგრად შეუტია თავის მეუღლეს, მაგრამ მათი შეტაკება კრუხისა  
და ბულდოგის შებმას უფრო ჰგავდა. ეტყობოდა, რომ მისის  
ჩელენჯერი მოწმე იყო ჩემი გაძევებისა, ჩემი უკან დაბრუნება კი ვეღარ

შეემჩნია.

- ჭორჭა! როგორი მხეცური საქციელია! - ყვიროდა იგი. - შენ  
დაამახინჯე ეს მშვენიერი ახალგაზრდა!
- აი, სულაც უვნებელი დგას თქვენ წინაშე.
- მისის ჩელენჯერი ოდნავ შეკრთა, მაგრამ მალე გონის მოვიდა.
- ბოდიში, მე თქვენ ვერ დაგინახეთ.
- ნუ შეწუხდებით, ქალბატონო, ყველაფერი რიგზეა.
- თვალი კი ჩაღურჯებული გაქვთ! რა საზიზღოობაა! ოპ, ჭორჭა, შენ  
ყველას სძულხარ, ყველა შენ დაგცინის! ერთი კვირა არ გაივლის, რომ  
სკანდალი არ მოხდეს! კმარა, აღარ შემიძლია მეტი, მოთმინების  
ფიალა ამევსო.
- ხალხის წინაშე ჭუჭყიან სარცხს ნუ გამოფენთ!.. - დაიღრიალა  
პროფესორმა.
- განა ეს საიდუმლოებას წარმოადგენს? - განაგრძობდა ქალი  
ყვირილს. - მთელმა ჩვენმა ქუჩამ იცის უკვე, მთელმა ლონდონმაც...  
ოსტინ, თქვენ უკვე საჭირო აღარ ხართ, შეგიძლიათ გახვიდეთ...  
სადღაა შენი საკუთარი ღირსების გრძნობა? იმის მაგივრად, რომ  
რომელიმე დიდი უნივერსიტეტის დამსახურებული პროფესორი იყო,  
ასეულ სტუდენტთა სათაყვანებელი პიროვნება! ჭორჭა, სად დაკარგე  
შენი ღირსება?
- შენ, შენ სადღა დაკარგე, ჩემო ძვირფასო?
- აუტანელ ტანჯვას მაყენებ! ხულიგანი, ნამდვილი ხულიგანი გახდი!
- ჯესი, დამშვიდდი.
- თავხედი, მოჩხუბარი!

- კმარა! ასეთი სიტყვებისათვის სამარცხვინო ბოძი გევუთვნის! - წარმოთქვა პროფესორმა.

და, ჰოი საკვირველებავ! პროფესორი დაიხარა, ცოლი ხელში აიყვანა და კუთხეში ამართული მარმარილოს მაღალ სვეტზე დასვა. სვეტი დაახლოებით შვიდი ფუტი სიმაღლის იქნებოდა და ვინაიდან იგი ვიწრო და მოძრავი იყო, ქალბატონი ჩელენჯერი ძლივს იკავებდა წონასწორობას, რადგან შიშისაგან მოკრუნჩხულ ქალს სახე ემანჯებოდა სიმწრისაგან და ფეხებს აფხარკალებდა.

- ჩამომიყვანე! - შეევედრა ბოლოს მისის ჩელენჯერი.  
- თქვი „გეთაყვა“ და...  
- ეს თავის აგდებაა, ჭორჭ! ახლავე ჩამომიყვანე.  
მისტერ მელოუნ, კაბინეტში მობრძანდით.  
- მაგრამ მომიტევეთ, სერ!.. - წარმოვთქვი და თან მის გაფითრებულ მეუღლეს შევცემოდი.

- ჯესი, გესმის? მისტერ მელოუნი შუამდგომლობას გინევს. თქვი „გეთაყვა“ და ჩამოგიყვან.

- რა საშინელებაა! გეთაყვა, გეთაყვა!...  
მაშინ პროფესორმა ისე მსუბუქად ჩამოსვა ძირს ქალი, თითქოს იადონივით მჩატე ყოფილიყოს იგი.

- თავის დაჭერა უნდა იცოდე, ჩემო კარგო. მისტერ მელოუნი პრესის წარმომადგენელია და ხვალ ყოველივე ამას გამოაქვეყნებს თავის „გაზეთუნაში“, ჩვენი მეზობლები კი სიხარულით დაიტაცებენ ტირაჟის უდიდეს ნაწილს. „ უცნაური ახირება ერთი მაღალი მდგომარეობის მქონე პირისა“. ეს არსება შენ ხარ, ჯესი: მოიგონე,

სად იჭერი ამ რამდენიმე წუთის წინ. ამ სვეტზე ხომ კარგად გრძნობდი თავს, ჰესი? სათაურის ქვეშ კიდევ ასეთ რამეს მოათავსებენ გაზეთში: „ერთი ორიგინალური ცოლ-ქმრის ცხოვრება“. მისტერ მელოუნი ხომ ყოველგვარი ლეშით საზრდოობს, თავის თანამოძმეთა მსგავსად. პორცუს ეს დიაბოლი - ღორი ეშმაკების ხროვიდან. ხომ სწორია, მისტერ მელოუნ?

- თქვენ მართლაც აუტანელი ხართ! - წამოვიძახე გამწარებულმა. პროფესორმა გადაიხარხარა.
- თქვენ ორივენი ალბათ შეკავშირდით ჩემ წინააღმდეგ, - თქვა მან, როცა მე და თავის მეუღლეს გადმოგვხედა. ძლიერი ბეჭები შეარხია და სრულიად შეიცვალა ტონი: - მისტერ მელოუნ, გთხოვთ, გვაპატიოთ ჩვენი ოჯახური გართობა-თამაში. მე თქვენ დაგაბრუნეთ უფრო სერიოზული განზრახვით და ფიქრადაც არ მქონია, მონაწილე გამეხადეთ ჩვენი ოჯახური გართობებისა. შენ შენთვის გასწი, პატარა ქალო, და ნუ ღელავ, - თანაც პროფესორმა თავისი ბანჯგვლიანი თათები დაადო მას მხრებზე, - შენი ნათქვამი წმინდა ჭეშმარიტებაა, მაგ დარიგებისათვის რომ დამეჯერებინა, უფრო პატივსაცემი ადამიანი ვიქებოდი და არა ჭორჭ ჩელენჯერი. ჩემო ძვირფასო! საპატიო ადამიანი ძალიან ბევრია, ხოლო ჭორჭ ჩელენჯერი - ერთადერთი! შეეცადე შეეგუო მის ხასიათს, - და თან მოულოდნელად მტლაშამტლუშით დაუკოცნა მას ლოყები, რითაც მე კიდევ უფრო უხერხეულ მდგომარეობაში ჩამაგდო, ვიდრე თავისი წინანდელი უჯიათი საქციელით, - აბა, ახლა, მისტერ მელოუნ, - მომმართა დარბაისლურად, - გთხოვთ, აქეთ მობრძანდეთ...

ჩვენ დავუბრუნდით იმავე ოთახს, რომელიც ამ ათი წელის ნინა აურზაურით დავტოვეთ. პროფესორმა კარი მოიხურა, სავარძელზე მიმითითა და სიგარებით სავსე კოლოფი გამომინოდა.

- ნამდვილი „ სან-ხუან “ კოლორადოა „ , - თქვა მან, - თქვენისთანა ადვილად ასაგზნები ადამიანისათვის აუცილებელია ნარკოტიკი. ოპ, ღმერთო ჩემო! რას შვრებით! ნუ კვნეტ! მოჭერით - სიგარის პატივისცემა უნდა გქონდეთ! აბა, ახლა ჩაწექით სავარძელში და ყურადღებით მომისმინეთ. თუ რამე შეკითხვები ან შენიშვნები გექნებათ, გთხოვთ, უფრო მოხერხებული დროისთვის შეინახოთ. უპირველეს ყოვლისა, დავიწყოთ თქვენი დაბრუნებით ჩემს სახლში სრულიად სამართლიანი გაძევების შემდეგ, - მან ნინ გამოსწია წვერი და ამაყად შემომხედა, თითქოს მე კვლავ ვაპირებდი მასთან შეკამათებას, - დიახ, გიმეორებთ: სრულიად დამსახურებული გახლდათ თქვენი გაძევება. დაბრუნების მიზეზი კი თქვენი პასუხია იმ აბეზარი პოლიციელის მიმართ. ამ პასუხით გადავწყვიტე, რომ თქვენ წესიერების ნატამალი შეგრჩენიათ, რადგან თავს დამნაშავედ მიიჩნევთ - რაც დღემდე თქვენი პროფესიის ადამიანებს ნაკლებად ახასიათებს. ამ ინციდენტის დროს თქვენში გამომჟღავნდა ინტელექტუალური ობიექტურობა და ღრმა აზროვნების უნარი. ყოველივე ეს ჩემი მხრივ დადებითი შეფასების ღირსია. ადამიანთა მოდგმის უმდაბლესი ნარმომადგენელნი, რომელთაც საუბედუროდ თქვენც ეკუთვნით, არასოდეს გამხდარან ჩემი ყურადღების ღირსი. თქვენმა სიტყვებმა მოულოდნელად აგამაღლათ ამ სიმაღლემდე და ჩემი მიზანია თქვენი ახლოს გაცნობა, ამიტომ დაგაბრუნეთ უკან. თუ

შეიძლება, ფერფლი პატარა იაპონურ საფერფლებე დაყარეთ ხოლმე. იგი თქვენთან ახლოს, ბამბუკის მაგიდაზე დევს.

მთელი ეს ტირადა პროფესორმა ისეთი ტონით წარმოთქვა, თითქოს სტუდენტებს ლექციას უკითხავსო. მბრუნავი სკამი ჩემკენ ისე შემოატრიალა, რომ პირდაპირ სახეში ეცქირა ჩემთვის, და იჯდა ისე გაბერილი, როგორც ვეებერთელა გომბეშო: თავი ოდნავ უკან ჰქონდა გადაწეული და მედიდურად ჭუტავდა თვალებს.

შემდეგ სავარძელი უცბად შეატრიალა ისე, რომ მის აბურძგნილ ქერა თმასა და წითელი ყურის გამოშვერილ ბიბილოსღა ვხედავდი.

პროფესორმა მაგიდაზე ქაღალდების გროვას დაუწყო ქექვა და იქიდანაც რაღაც დაფხრენილი წიგნი გამოათრია.

- მინდა ზოგიერთი რამ მოგითხოვთ სამხრეთ ამერიკის შესახებ, - დაიწყო მან, - კეთილი ინებეთ და მომისმინეთ ყოველგვარი შენიშვნის გარეშე. წინასწარ გთხოვთ, კარგად დაიმახსოვროთ, რომ ჩემს ნებადაურთველად არც ერთი ჩემი ნათქვამი სიტყვა არ გახმურდეს. ნებართვას კი, წინასწარ შემიძლია გაგაფრთხილოთ, ვერასოდეს ეღირსებით. გასაგებია?

- რისთვის გჭირდებათ ასეთი სისასტიკე? - ვთქვი მე. - მე მგონი პირუთვნელი...

მან წიგნი მაგიდაზე დადო.

- მაშ, ჩვენ სალაპარაკო აღარა გვაქვს რა. ნახვამდის, კარგად ბრძანდებოდეთ.

- არა ბატონო, არა! - წამოვიძახე მე. - თქვენს ყოველნაირ პირობას ვეთანხმები. მე ხომ არჩევნის საშუალება არა მაქვს!

- არჩევანზე ლაპარაკიც კი ზედმეტია, - დამიდასტურა მან.
  - მაშასადამე, პირობას გაძლევთ, რომ გავჩუმდები.
  - პატიოსანი სიტყვაა?
  - პატიოსან სიტყვას გაძლევთ.
- მან ეჭვით გადმომავლო თავისი უტიფარი, დაეჭვებული თვალები.
- მე რომ არ ვიცი, როგორი შეხედულებისა ბრძანდებით თქვენ პატიოსნებაზე...
  - იცით რა, სერ, - ბრაზმორეულმა წამოვიძახე მე, - ძალიან აჭარბებთ! ჩემს სიცოცხლეში არავის გაუბედავს ჩემთვის ეგზომ დიდი შეურაცხყოფის მოყენება!
- ჩემმა განცხრომამ სრულიად არ გააბრაზა იგი, პირიქით, თითქოს უფრო დაინტერესდაო.
- მოკლეთავიანი ტიპი, - წაიბურტყუნა მან, - ბრახიცეფალი. ნაცრისფერთვალებიანი და შავთმიანი, - ყველა ნიშანი აქვს ნეგროიდის. თქვენ კელტი ხართ, ალბათ.
  - ირლანდიელი გახლავართ, სერ.
  - ნამდვილი ირლანდიელი?
  - დიახ, სერ.
  - მაშინ გასაგებია ყოველივე. გავიმეოროთ: თქვენ მაძლევთ პირობას, რომ ჩემს ნაამბობს საიდუმლოდ შეინახავთ. თუმცა ამომწურავი ცნობები მე არ მომეპოვება, მაგრამ ცოტა რამ საინტერესოს მაინც გაცნობებთ. ალბათ გეცოდინებათ, მე ამ ორი წლის წინათ ვიმოგზაურე სამხრეთ ამერიკაში. ეს მოგზაურობა მსოფლიო მეცნიერების ოქროს ფონდში იქნება შეტანილი.

ჩემი მოგზაურობის მიზანი გახდათ, შემემოწმებინა უოლესისა და ბეიტსის ზოგიერთი დასკვნა. ამის გაკეთება კი ადგილზე იქნებოდა შესაძლებელი, იმავე პირობებში, სადაც მათ მოახდინეს ეს დაკვირვებები. ჩემი ექსპედიციის შედეგები მარტო ეს რომ ყოფილიყო, მაშინაც საყურადღებო იქნებოდა. მაგრამ საქმე ისაა, რომ მოგზაურობის დროს უცნაური რამ შემემთხვა და ამ შემთხვევამ გამოკვლევანი სულ სხვა გზით წარმართა. თქვენ იქნებ გაგიგონიათ - თუმცა ჩვენს საუკუნეში უვიცობა რა გასაკვირია - რომ მდინარე ამაზონი ზოგან ისეთ ადგილებში მიედინება, რომ მისი მდებარეობა სრულიად გამოურკვეველია. მას აუარებელი შენაკადი აქვს და ზოგიერთი მათგანი რუკაზე არც კია აღნიშნული.

მე მიზნად დავისახე გამომერკვია ეს ნაკლებად ცნობილი მხარე და შემესწავლა მისი ფაუნა. აქედან აუარებელი მასალა ჩამივარდა ხელში, რომლითაც ჩემს მონუმენტურ შრომას ბიოლოგიის დარგში რამდენიმე თავით გავამდიდრებ; ეს ნამრომი კი ჩემი არსებობის გამართლება იქნება.

ექსპედიციის დამთავრებისას, როცა შინ ვბრუნდებოდი, ერთ ინდურ სოფელთან შემომაღამდა, სწორედ იქ, სადაც ამაზონს ერთი მისი შენაკადი უერთდება. გეოგრაფიული მდებარეობა და სახელი ამ ადგილისა მინდა ჭრაჭრობით საიდუმლოდ დარჩეს.

ადგილობრივი მცხოვრები კუკამთა ტომისანი იყვნენ - მშვიდი, ერთ-ერთი გადაგვარებული შტოსი ინდური ტომისა. ჩემი მოგზაურობის დროს, იქითობისას, რამდენიმე ავადმყოფი მოვარჩინე და ამით ძლიერი შთაბეჭდილება მოვახდინე მათზე. ამის შემდეგ რაღა

გასაკვირია, რომ ჩემს დაბრუნებას თურმე მოუთმენლად ელოდნენ. დაბრუნებისას მათ უმაღლ ნიშნებით დამიწყეს საუბარი და მე მაშინვე მივხვდი: დაბაში რომელიღაცა ავადმყოფს საჩქაროდ ესაჭიროებოდა ჩემი შველა. იმნამსვე წავყევი მათ ბელადს, მან კი ერთ-ერთ ქოხში შემიყვანა.

ქოხში შესვლისთანავე დავრწმუნდი, რომ უბედური ავადმყოფი, ვისთვისაც მე დახმარება უნდა გამენია, უკვე გარდაცვლილიყო.

დიდად განცვითრებული დავრჩი, როდესაც იგი ნაცვლად ინდიელისა, თეთრკანიანი აღმოჩნდა და მე ვიტყოდი „ ძალიან თეთრიც ”, რადგან მას სრულიად ღია ფერის თმა ჰქონდა და ყველა დამახასიათებელი ნიშანი ალბინოსისა. მისი ტანსაცმლისაგან მხოლოდ ძონძებიღა დარჩენილიყო, საშინლად გამხდარი სხეული ხანგრძლივ შიმშილზე მეტყველებდა. ინდიელების ნაამბობიდან მივხვდი, რომ მიცვალებული მათთვის სრულიად უცნობი უნდა ყოფილიყო; ტყიდან მოსული სოფლად, სისუსტისაგან თურმე ფეხზე ძლივს იდგა. უცნობის საგზაო ჩანთა იქვე იდო და მე გავჩხრივე ის. ჩანთაზე მიკერებული იარლიყი პატრონის ვინაობას გვაუწყებდა: „ მეპლ-უაიტ, ლეიკ-ავენიუ, დეტროიტი, შტატი მიჩიგანი ”. მე მუდამ მზად ვარ, ქედი მოვიხარო ამ სახელის წინაშე, ყოველგვარი გაზვიადების გარეშე გეუბნებით, რომ როდესაც ეს განსაცვითრებელი აღმოჩენა საერთო აღიარებას მიაღწევს, მისი სახელი ჩემთან ერთად მოიხსენიება.

ჩანთაში მოთავსებული ნივთები ამტკიცებდა, რომ მეპლ-უაიტი მხატვარი ან პოეტი უნდა ყოფილიყო, მოგზაურობის მიზნად კი ალბათ

ახალი შთაბეჭდილებების შეძენა დაესახა. იქ იყო ჰერ კიდევ დაუმუშავებელი ლექსები. მე არ მივცემდი ჩემს თავს უფლებას, რომ დიდ მცოდნედ ჩამეთვალა თავი ამ საქმეში, მაგრამ ის ლექსები ალბათ ვერ იყო მაინცდამაინც კარგი. იქვე იყო კიდევ მდინარის პეიზაჟის ნახატები, აგრეთვე საშუალო დონისა, ფერადებით სავსე კოლოფი, მეორე კოლოფი ფერადი ფანქრებით, რამდენიმე ფუნქი, მოღუნული ძვალი - აი აგერ, ჩემს სამელნებე რომ დევს; ბექსტერის ერთი ტომი: „პეპლები და ფარავნები“ ; იაფთასიანი რევოლვერი და რამდენიმე ვაზნა.

ასეთი გახლდათ მოძრავი ქონება ამერიკელი ბოპემის ამ უცნაური წარმომადგენელისა. პირადი ყოველდღიური სახმარი საგნები მას ეტყობა არ ჰქონდა, ან თუ ჰქონდა, უთუოდ გზაში დაკარგავდა.

დაბრუნება დავაპირე, მაგრამამ დროს ჩემი ყურადღება მიიპყრო ნივთმა, რომელიც მიცვალებულის დახეული ქურთუკის ჭიბეში იდო. ეს ეტიუდების ალბომი აღმოჩნდა... აი, მანდ დევს, თქვენთან... მაშინაც ასეთივე დაფლეთილი იყო. შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ შექსპირის ძველისძველი მანუსკრიპტიც ვერ ეღირსებოდა უფრო მოწინებით შენახვას და მოპყრობას. აბა აიღეთ ეს ალბომი და გადასინჯეთ თითოეული გვერდი, ჩაუკვირდით ნახატების შინაარსს.

პროფესორი სავარძელში გადაწვა, კოლოფიდან სიგარა ამოიღო და მომაპყრო თავისი მრისხანე, გამომცდელი თვალები. იგი მოუთმენლად ელოდა, თუ რა შთაბეჭდილებას დატოვებდა ჩემზე ეს ჩანასახები.

გადავშალე ალბომი იმ განცდებით შეპყრობილმა, რომ უდიდესი

აღმოჩენების ზღურბლზე ვიმყოფებოდი, ოღონდ ვერ წარმომედგინა, რა სახის უნდა ყოფილიყო ისინი. პირველმა გვერდმა გული გამიტება, მხოლოდ ერთი ნახატი იყო და ისიც გამოსახავდა მატროსისქურთუკიან ჩამრგვალებულ კაცს. ნახატის წარწერა შემდეგს გვაუწყებდა: „ ჭიმი კოლვერი საფოსტო გემზე “ . შემდეგ მოსდევდა რამდენიმე ფურცელი პატარა ჩანახატებისა, ინდიელებისა და მათი ყოფა-ცხოვრების სხვადასხვა სურათის შემცველი; შემდეგ - ორი ადამიანის სურათი: ისინი ერთიმეორის პირდაპირ მაგიდას შემოსხდომოდნენ - ჩასუქებული, ხალისიანი ხუცესი განიერთართლებიანი ქუდით და მეტად გამხდარი ევროპელი. სურათს წარწერა ჰქონდა: „ ძმა ქრისტეფორეს საუზმე როსარიოში “ . რამდენიმე გვერდი ბავშვებისა და ქალების ესკიზებს ეკავა. ამის შემდეგ კი იწყებოდა ცხოველთა ჩანახატების გაუთავებელი სერია შემდეგი განმარტებით: „ ზღვის ძროხა მეჩეჩზე “ , „ კუ და მისი კვერცხები “ , „ შავი მღრღნელები პალმის ქვეშ “ . ეს უკანასკნელი სურათი ღორისმაგვარ ცხოველს გამოხატავდა. შემდეგი ორი გვერდი შევსებული იყო საზიზღარი, ხვლიკის მსგავსი ცხოველებით, რომელთაც გრძელი და ბრტყელი თავები ჰქონდათ.

- ეს ალბათ ჩვეულებრივი ნიანგებია...
  - ალიგატორები! ალიგატორები! ნამდვილი ნიანგები არ მოიპოვება სამხრეთ ამერიკაში. მათ შორის განსხვავებაა...
  - მე მინდოდა მომებსენებინა, რომ ვერაფერს ვხედავ ისეთ არაჩვეულებრივს, რომ თქვენი სიტყვები გაამართლოს.
- პროფესორმა აუღელვებლად გაიღიმა.

- გადაფურცლეთ შემდეგი გვერდი.

შემდეგმა გვერდმაც ვერ მოახდინა ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება. ეს იყო ფერებით დაუდევრად შეხამებული პეიზაჟის ეტიუდი; ერთი იმ მონახაზთაგანი, რომელსაც მხატვრები ხშირად აკეთებენ ნატურიდან, იმ ვარაუდით, რომ თემის დამუშავებისას ამით ისარგებლონ.

წინა პლანზე დახატული იყო ბუმბულისებური ფოთლებით შემოსილი ღია მწვანე მცენარეები, რომლებიც ზევით მიჰყვებოდა ფართო კლდეებს. მათი უცნაური მოხაზულობა მაგონებდა ოდესლაც ნახულ, ფილაქანის ფორმაციას. ციცაბო კლდეების მთაგრეხილი მთლიანად კედელივით შედიოდა პეიზაჟში. მარჯვნივ განმარტოებული კონუსისმაგვარი კლდე იყო ამართული, რომელზედაც ვეებერთელა ხე იდგა. მთავარი ქედიდან ის ნაპირით იყო დაშორებული. მცენარეების ღია მწვანე არშია შემოხვევოდა მთაგრეხილს. შემდეგ გვერდზე ამავე პეიზაჟის ეტიუდი იყო აკვარელით შესრულებული, უფრო ახლო მანძილიდან ჩახატული. ამიტომ დეტალები აქ უფრო გამოკვეთილი იყო.

- რას იტყვით? - შემეხმიანა პროფესორი.

- ეჭვგარეშეა, რომ უცნაურია, - დავიწყე მე, - მაგრამ ისე კარგად ვერ ვერკვევი გეოლოგიაში, რომ ეს მოვლენა განსაკუთრებულ რამედ მივიჩნიო.

- განსაკუთრებულად? - გაიმეორა მან. - ეს ლანდშაფტი ხომ ერთადერთია! თავისებურია! არნახულია! არც დასიზმრებია ვინმეს დედამიწის ზურგზე მსგავსი რამ. გადაშალეთ.

გადავფურცლე და ჩემდა უნებურად წამოვიყვირე: სრულიად საოცარი არსება იყო გამოხატული მთელ გვერდზე. ასეთი რამ მხოლოდ ბოდვის დროს მოელანდება სიცხიან ადამიანს ან ოპიუმით გაბრუებულ კაცს. ჩიტის თავი ჰქონდა და ტანი უზომოდ გაბერილი ხვლივისა, გრძელი ეკლებით აღჭურვილი კუდი მინაზე დასთრევდა, ამობურცულ ზურგზე ორ რიგად მიჰყვებოდა დაკბილული მამლის ბიბილოს მსგავსი რამ. ამ საოცრებას მისჩერებოდა საოცარი ქონდრისკაცი.

- აბა, რას მეტყვი? - წამოიძახა პროფესორმა და გამარჯვებული, ხელების ფშვნებას მოჰყვა.
- საოცრება! ფანტასტიკურია!
- და როგორ გგონიათ, რად მოუვიდა მას აზრად ასეთი ცხოველის დახატვა? რამ აიძულა იგი?
- ალბათ მთელი ჭიქა ჭინი ჰქონდა გადაკრული.
- უკეთესი განმარტება ვერ მოახერხეთ?
- თქვენ როგორ ფიქრობთ, სერ?..
- სრულიად უბრალო რამაა: ეს ცხოველი მართლაც არსებობს და იმ კაცმა გადახატა.

უცებ ჩვენი ყირაზე გადასვლა მომაგონდა და ამან მიშველა, თორემ უთუოდ გადავიხარხარებდი.

- დიახ, რა თქმა უნდა, ცხადია, - საჩქაროდ დავუკარი კვერი, როგორც მცირე ჭკუის ადამიანებს დაუმონმებენ ხოლმე, - მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ, - დავძინე მე, - ჩემთვის გაუგებარია, რას ნიშნავს ეს ერთი ციცქნა ადამიანი. თუ ინდიელია, მაშინ უნდა ვითიქროთ, რომ

ამერიკაში არსებობს ჭუჭა რასა. მე კი ვგონებ, რომ ეგ ევროპელი უნდა იყოს, რადგანაც ფართვლებიანი ქუდი ახერავს.

პროფესორმა დაიფრუტუნა გამძვინვარებული კამეჩივით.

- სწორედ, ყოველგვარ საზღვრებს გადააჭარბეთ! - ნამოიყვირა მან.
- რა არის ეს? ტვინის გათხელება? თუ აზროვნების დაკარგვა სრულიად? საკვირველებაა!

აფეთქება ისეთიუხერხული და უცნაური იყო, რომ არც კი მწყენია. ღირდა კი ნერვების მოშლა? მის ყოველ სიტყვას რომ გამოვუდგე, ხომ სულ მოვიშალე! ამიტომ ნაძალადევად გავიღიმე:

- არა, მე მხოლოდ იმან გამაკვირვა, რომ ერთი ციცქაა ეს კაცი.
- აქეთ გამოიხედეთ! - დამიყვირა მან და მაგიდაზე გადმოზნექილმა, გატივნილი ბანჯგვლიანი თითით ნახატზე მიმითითა, - ამ მცენარეს ხედავთ ცხოველის უკან? რა უნდა იყოს? ალბათ, ბაბუანვერა გვონიათ, ანდა ბრუსელის კომბოსტოს ნერგი, არა? არა, სერ, ეგ პალმაა, ჰქვია „სპილოს ძვალი“ და მისი სიმაღლე ორმოცდაათ-სამოც ფუტამდე აღწევს. ნუთუ ვერ მიხვდით, რომ ადამიანიც განგებაა დახატული? მხატვარი ვერ შეძლებდა ძალიან ახლოს დადგომას ასეთ ვეებერთელა ცხოველთან. მერწმუნეთ, ორჯერაც ვერ მოასწრებდა ფანქრის მოსმას, რომ მისი ნატამალიც კი გაქრებოდა. ამიტომ მხატვარმა თავისი თავი იმ მოსაზრებით გამოხატა, რომ ჩვენ წარმოდგენა გვქონოდა მასშტაბზე, თუკი იგი ზომით ერთი მეტრი და სამი მეოთხედი იქნებოდა. ეს ხე კი ერთი-ათჯერ მეტია, როგორც წესი.
- ღმერთო ჩემო! - ნამოვიძახე მე. - მაშ თქვენ ფიქრობთ, მართლაც არსებობს ასეთი მხეცი... მაშინ ხომ მაგ ცხოველს გალიად სადგური

ჩარინგ-კროსიც არ ეყოფოდა...

- ეგ ცოტა გადაჭარბებულია, მაგრამ მართლაც ახოვანი ეგზემპლარია, - ამაყად დასძინა პროფესორმა.
- მაგრამ არ შეიძლება, - აღმფოთებულმა წარმოვთქვი მე, - არ შეიძლება ერთი ნახატის მიხედვით მთელი მეცნიერული დასკვნების გაბიაბრუება! - მე ბოლომდე დავათვალიერე ალბომი და დავრწმუნდი, რომ მეტი აღარაფერი იყო იქ საინტერესო. - დიახ, ერთი ნახატით, რომელიც ვიღაც მოხეტიალე მხატვარმა შეასრულა, ვინ იცის, იქნებ იგი ოპიუმითაც იყო გაბრუებული ანდა ცხელების დროს დახატა?! ან იქნებ უბრალოდ, დაიკმაყოფილა თავისი ჭირვეული ფანტაზია! თქვენ, მეცნიერს, არ შეგთერით დაიცვათ მსგავსი დებულება.

ამის პასუხად პროფესორმა თაროდან წიგნი გადმოიღო.

- აი, შესანიშნავი მონოგრაფია, იგი ჩემს ნიჭიერ მეგობარს როი ლანკასტერს ეკუთვნის, - თქვა მან, - აქ არის ერთი იღუსტრაცია, იგი თქვენ, ალბათ, დაგაინტერესებთ. აჰა! წარწერა ასეთი აქვს: „შესაძლებელი გარეგნობა იურიული ხანის ცოცხალი დინოზავრ-სტეგოზავრისა. უკანა წვივის ძვალი ორჯერ აღემატება ადამიანის სიმაღლეს“. აბა, რას მეტყვით?

მან გადაშლილი წიგნი გამომინოდა. შევხედე თუ არა სურათს, გაოცებისაგან წამოვიყვირე. უეჭველად უდიდესი მსგავსება იყო ამ წინაისტორიულ აღდგენილ ცხოველსა და უცნობი მხატვრის მიერ ალბომში ჩახატულ საკვირველ ცხოველს შორის.

- მართლაც გასაოცარია, - ჩავიღაპარავე მე.
- თქვენ მაინც ვერ დაგარწმუნეთ საბოლოოდ?

- იქნებ ეს შემთხვევით დაემთხვა ერთმანეთს. იქნებ თქვენმა ამერიკელმაც ნახა ამგვარი სურათი და დაიმახსოვრა იგი. ან კიდევაც მოელანდა ეს საკვირველება...

- ძალიან კარგი, - შენიშნა პროფესორმა შეწყნარებით, - ვთქვათ, აგრეა. ახლა კეთილი ინებეთ და გასინჯეთ ეს ძვალი, ამის შესახებ მე თქვენ უკვე მოგახსენეთ, იგი მიცვალებულის ნივთებში ვიპოვე-მეთქი. სიგრძე ამ ძვლისა თხუთმეტ სანტიმეტრზე მეტი იყო და სიგანით ცერის სისხო იქნებოდა. ერთ ბოლოზე გამხმარი ხრტილის ნარჩენები ჰქონდა. რომელ ცხოველს ეკუთვნის ეს ძვალი? - შემეცითხა პროფესორი.

მე ყურადღებით გავსინჯე იგი და გავიხსენე ნახევრად მივიწყებული ცნობები ჰერ კიდევ სკოლის ასაკიდან.

- იქნებ ეგ ძალიან ახოვანი ადამიანის ლავინია, - ჩავიღუდღუდე მე.

ჩემმა მოსაუბრემ ზიზღით ჩაიქნია ხელი.

- ადამიანის ლავინს მოღუნული ფორმა აქვს. ეს კი სულ სწორია. მას ზედაპირზე ღარი აქვს, - ნიშნად იმისა, რომ აქ მას მყესი გადაკვეთდა, - ლავინს კი ეს არ მოუვა.

- ამ შემთხვევაში უნდა გამოვტყდე, რომ არ ვიცი.

- შეგიძლიათ, შეიცნოთ თქვენი უვიცობა, ნუ წითლდებით; რადგან სამხრეთ-კენსინგტონის ზოოლოგთა მთელი შტატიც ვერ შეძლებდა ამის სწორად განსაზღვრას, - მან პატარა კოლოფიდან ამოიღო ლობიოსოდენა ძვალი, - რამდენადაც ვიცი, ეგ ძვალი, რომელიც თქვენ გიჭირავთ, შეესაბამება ადამიანის ამ ძვალს. ამის საშუალებით

თქვენ შეგეძლებათ იქონიოთ წარმოდგენა, თუ რა ზომის უნდა იყოს ეს ცხოველი. ხრტილის ნარჩენი ამტკიცებს, რომ ეს მინაში ნაპოვნი კი არ არის, არამედ ახალია. აბა, ამაზე რაღას მეტყვით?

- ალბათ, სპილოსია...

იგი დაიღმიჭა, თითქოს რაღაც ეტკინაო.

- აბა რას მეუბნებით! სპილოები სამხრეთ ამერიკაში? სად გაგონილა... მე ვფიქრობ, რომ თანამედროვე სკოლაც კი...

- კარგი, თავი დავანებოთ სპილოს, - გავაწყვეტინე სიტყვა, - იქნებ ეგ ძვალი სამხრეთ ამერიკის რომელიმე დიდი ცხოველის იყოს, მაგალითად ტაპირისა.

- დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ახალგაზრდავ, რომ მე ჩემი საქმე ჩინებულად ვიცი. ეს ძვალი ეკუთვნის არა ტაპირს ანდა ზოოლოგიისათვის რომელიმე ცნობილ ცხოველს, არამედ იგი ძლიერი და საოცრად მძვინვარე მეცნიერებისათვის ჰერკიდევ უცნობი ცხოველისაა, როგორიც კი შეიძლება არსებობდეს დედამიწის ზურგზე; ხოლო თქვენ მაინც არ გჯერათ?

- ყოველ შემთხვევაში, ძლიერ დაინტერესებული გახლავართ.

- მაშასადამე, თქვენ არც ისე წყალწაღებული ხართ. მე ვამჩნევ თქვენში გონების ნაპერწკალს, - ვეცადოთ განვავითაროთ იგი; გარდაცვლილ ამერიკელს კი ჰერჭერობით თავი დავანებოთ, - მე ვაგრძელებ ჩემს თხრობას. ალბათ, მიხვდებით, მე ისე არ დავბრუნდებოდი ამერიკიდან, რომ არ მეცადა ჩავწვდომოდი მის საიდუმლოებას. ძალიან კარგად ვიცოდი, თუ საიდან მოვიდა ამერიკელი. გარდა ამისა, ლეგენდები წითელკანიანებისა კარგ

მითითებებს მაძლევდა, რადგანაც, რამდენადაც მე მოვახერხე გამოკვლევა, ხმები არაჩვეულებრივი მხარის შესახებ ძლიერ გავრცელებული იყო იმ ტომებში, რომელნიც მდინარის პირზე ცხოვრობდნენ. თქვენ ალბათ გაგიგონიათ კურუპური?

- არა, არასოდეს გამიგია.
- კურუპური ინდიელების გაგებით ტყის სულია, საშინელი და ბოროტი, მასთან შეხვედრას ყოველნაირად უნდა ერიდოთ. არავის შეუძლია მისი აღწერა, ხოლო მისი სახელის გაგონება ყველას შიშის ზარს სცემს - ყველა იქაურ მკვიდრს. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ ეს ტომები ყველა ერთნაირად ასახელებს კურუპურის სამყოფელ ადგილს. იგი იმყოფება იმ მიმართულებით, საიდანაც ამერიკელი მოვიდა. იქ საშინელი ამბები ხდებაო, ამბობდნენ ისინი, და აი მე დავისახე მიზნად ამ ამბების გამორკვევა.

- თქვენ როგორდა მოიქეცით?

მე მართლაც გამიტაცა ამ ამბავმა. ეს ვეებერთელა კაცი დიდ პატივისცემას იწვევდა ჩემში და ძალაუნებურად იძულებული ვხდებოდი, დიდი ყურადღებით დამეგდო ყური.

- მე შევძელი ცრუმორნმუნე წითელკანიანთა შიშის გადალახვა, რომელნიც ამ საგანზე ლაპარაკსაც კი ერიდებოდნენ. ზოგიერთი დაპირებისა და საჩუქრის საშუალებით, აგრეთვე, უნდა გამოგიტყვდეთ, ცოტაოდენი დაშინებითაც, დავითანხმე ორი ადგილობრივი მცხოვრები, გამომყოლოდნენ.

მრავალ თავგადასავალთა შემდეგ, რომლებზეც არ ღირს ლაპარაკი, ხანგრძლივი მოგზაურობის დასასრულს - ნება მიბოძეთ,

არც მანძილი და არც მარშრუტი არ გაგავებინოთ - ჩვენ საბოლოოდ მივაღწიეთ იმ მხარეს, რომელსაც მანამდე არავინ იცნობდა იქ ჩემს მისვლამდე, ჩემი უბედური წინამორბედის გარდა. ახლა აქეთ გამოიხედეთ.

მან საშუალო ფორმატის ფოტოსურათი გამომინოდა.

- სავალალო მდგომარეობა ამ ფოტოსი იმით აიხსნება, რომ უკან დაბრუნებისას ჩვენი ნავი მდინარეში გადაბრუნდა და ის ყუთი, სადაც გაუმჯდავნებელი ნეგატივი ენუო, დაიმსხვრა. ამას კატასტროფული შედეგი მოჰყვა - თითქმის ყველა ფირფიტა დაიღენა, აუნაზღაურებელი ზარალი მოგვივიდა. ეს ერთი მათგანია, რომელიც ნაწილობრივ გადაგვირჩა. იმედია, ენდობით ჩემს განმარტებას. ხმები გაავრცელეს რაღაცა ფალსიფიკაციაზე, მაგრამ მე მათ ყურსაც არ ვათხოვებ.

ფოტოსურათი მართლაც ძალიან ბუნდოვანი იყო. იგი, რა თქმა უნდა, ეჭვს შთააგონებდა წინასწარ შეგონებულ კრიტიკოსს. გამოხატული იყო მკრთალი ლანდშაფტი. კარგად რომ დავაკვირდი, გავარჩიე რამდენიმე დეტალი: რაღაც გაყინული გიგანტური ჩანჩქერი, აქა-იქ მოფენილი ხეებით შემდგარი დაბლობი, რომელიც ამ მთაგრეხილიდან წინა მხარეს ეშვებოდა.

- თუ არ ვცდები, ეს ის ადგილია, ალბომში რომ იყო ჩახატული, - შევნიშნე მე.

- დიახ, სწორედ ისაა, - მიპასუხა პროფესორმა, - მე იქ ვიპოვე უბედური ამერიკელის ნაკვალევი. აი კიდევ ერთი ფოტოსურათი.

ეს ფოტოსურათი იმავე ლანდშაფტს გამოხატავდა, მაგრამ უფრო

ახლო მანძილიდან იყო გადაღებული. ეს სურათი პირველზე უფრო გაფუჭებული აღმოჩნდა, მიუხედავად ამისა, მე კარგად გავარჩიე, რომ განმარტოებული კლდე, რომელზეც ხე იდგა, ქედიდან ნაპრალით დაშორებული.

- ახლა კი ყოველგვარი ეჭვი გამეფანტა, - გამოვტყდი მე.  
- მაშ, ტყუილუბრალოდ არ ვვარგავთ დროს, - გაიღიმა პროფესორმა, - ჩვენ წარმატებებს მივაღწევთ, არა? ახლა ამ კლდოვან მწვერვალს შეხედეთ, ვერაფერს ამჩნევთ იქ?

- ვეებერთელა ხეს ვხედავ.  
- იმ ხეზე კი ვერაფერს ამჩნევთ?  
- როგორ არა, ძალიან დიდ ფრინველს, - ვუპასუხე მე.  
პროფესორმა ლუპა გამომინოდა.  
- დიახ, - დავუდასტურე მე. თან ლუპაში ვიმზირებოდი, - ხეზე დიდი ფრინველი ზის, მას თითქოს ძალიან გრძელი ნისკარტი აქვს. ვფიქრობ, ვარხვი უნდა იყოს იგი...

- თქვენ ვერ დაიკვეხნით მახვილ მხედველობას, - მითხრა პროფესორმა, - ეგ არც ვარხვია და არც რომელიმე ფრინველი. უნდა მოგახსენოთ, რომ მე მოვახერხე მომეკლა არაჩვეულებრივი არსება, და თან წამოვიდე კიდეც აუცილებელი საბუთი ჩემი აღმოჩენისა.

- მაშასადამე, აქა გაქვთ იგი? - გამიხარდა, რომ ერთ ხელშესახებ რამეს მაინც ვნახავდი, რომელიც ნათელს მოჰყენდა ამ უცნაურ ამბავს.  
- თან მქონდა, მაგრამ საუბედუროდ, ისიც დაიღუპა იმავე კატასტროფის დროს, სადაც ჩემი ფოტოსურათები გაფუჭდა. მორევში

მოხვედრისას მე მაგრად ჩავჭიდე მას ხელი, ხოლო საბოლოოდ მხოლოდ მარცხენა ფრთა შემრჩა ხელში; ნაპირზე გრძნობადაკარგული გამომათრიეს, ეს საცოდავი ნარჩენები კი ჩემი შესანიშნავი ნანადირევისა და აგრეთვე უდავო საბუთი - მაგრად ჩამებდუჭა თურმე ხელში. აი ისინი.

მან გამოსწია მაგიდის უჭრადა ამოიღო ვეებერთელა ღამურის ფრთის ზედა ნაწილის მსგავსი რამ; მისი სიგრძე სამოცი სანტიმეტრი იქნებოდა, ქვეშ ეკიდა გაღუნული ძვალი და აპკისმაგვარი კანის ნაფლეთი.

- საოცარი სიდიდის ღამურაა! - გამოვთქვი მე ჩემი აზრი.  
- სრულიადაც არა! - მკაცრად გამანყვეტინა სიტყვა პროფესორმა. - მე მუდამ ვცხოვრობდი დიდად განათლებულ და ნამდვილ მეცნიერულ გარემოში და წარმოდგენა არ მქონდა იმაზე, თუ ზოოლოგის საწყისები ვინმეს ცუდად ესმოდა. ნუთუ თქვენ ვერ შეგიგნიათ ელემენტარული ცნებები შედარებითი ანატომიისა იმის შესახებ, რომ ფრინველის ფრთა სინამდვილეში წინამხარს წარმოადგენს, მაშინ როდესაც ღამურის ფრთა შემდგარია სამი დაგრძელებული თითის ურთიერთშეერთებული აპკებით? ამ შემთხვევაში კი, როგორც ხედავთ, ეს ძვალი სრულიად არ წააგავს წინამხრის ძვალს და აპკიც მხოლოდ ერთი აქვს. აქედან გამომდინარე, ეს ფრთა შეუძლებელია ღამურის ყოფილიყო. ხოლო რადგან ეს არც ღამურაა, იბადება კითხვა: მაშრალაა იგი?

ჩემი მცირე მარაგი მეცნიერული ცოდნისა დიდი ხანია რაც დაიშრიტა.

— მართალი უნდა გითხრათ, არ ვიცი, - დინძად ვუპასუხე მე.

მან კვლავ გადამიშალა მეცნიერული მონოგრაფია, რომლითაც ერთხელ უკვე ისარგებლა.

- აი, - წარმოთქვა მან და მიმითითა ნახატზე, რომელიც არაჩვეულებრივ მფრინავ საოცრებას გამოხატავდა, - აი, მშვენიერი გამოხატულება დიმორფოდონისა, ანდა პტეროდაქტილისა, - იურიული ხანის მფრინავი ჭოჭოსი. შემდეგ გვერდზე თქვენ იპოვით მისი ფრთის სქემას. ნუ დაგეზარებათ, ეგ, რაც ხელში გაქვთ, იმ ნიმუშს შეადარეთ.

შევხედე თუ არა სქემას, განცვითრებაში მოვედი. მან ყოველგვარი ეჭვი გამითანხმა.

აღარაფერი იყო სადავო და საკამათო, დამაკმაყოფილებელმა საბუთებმა თავისი გააკეთა. ალბომში იყო ჩანახატები, ფოტოსურათები, პროფესორის ნაამბობი და ბოლოს - ნივთიერი საბუთი! მეტი რაღა იყო საჭირო? მე გამოვთქვი ჩემი აზრი და დიდი გატაცებით ვლაპარაკობდი, ვინაიდან ჩემთვის ნათელი გახდა, რომ სრულიად დაუმსახურებლად დევნიდნენ პროფესორს.

ჩელენჯერი სავარძელში მიესვენა, თვალები მოჭუტა და მოწყალედ იღიმებოდა - გახარებული, რომ საბოლოოდ აღიარეს მისი სიმართლე.

- ეს უდიდესი აღმოჩენაა! - წამოვიძახე მე, თუმცა უნდა გამოგიტყდეთ, რომ ჩემში უფრო ჟურნალისტის ენთუზიაზმი იბრძოდა, ვიდრე მეცნიერული აღფრთოვანება. - უდიდესი აღმოჩენაა! თქვენ მეცნიერების კოლუმბი ბრძანდებით! თქვენ აღმოაჩინეთ დაკარგული

ქვეყანა! მე გულახდილად ვნანობ ჩემს დანაშაულს, რომ თავიდან ეჭვი  
მეპარებოდა. ყოველივე ეს დაუკერებელი მეჩვენებოდა, მაგრამ თქვენ  
უკვე იმდენი დამამტკიცებელი საბუთი წარმომიდგინეთ, რომ  
როგორღა შემიძლია, არ ვაღიარო ისინი. ამ ფაქტების უნდა  
სჯეროდეს ყველას.

ნასიამოვნები პროფესორი რაღაცას დუდუნებდა.

- ამის შემდეგ რა მოხდა, სერ?

- წვიმები დაიწყო, მისტერ მელოუნ, სურსათიც მითავდებოდა. მე  
ნაწილობრივ გამოვიკვლიე კვარცხლბეჭი კლდოვანი მთაგრეხილისა,  
მაგრამ ზევით ასასვლელი გზა ვერ ვიპოვე. კონუსისმაგვარი კლდე,  
რომელზეც მე პტეროდაქტილი შევნიშნე და შემდეგში მოვკალი კიდეც,  
უფრო ადვილად მისადგომი აღმოჩნდა, რადგანაც მე ასე თუ ისე  
განაფული ვიყავი მთამსვლელობაში. შუამთამდე მივაღწიე. იქიდან კი  
შევეცადე, ქედის ზევით მდებარე ზეგანი უკეთესად  
დამეთვალიერებინა. ეს ვრცელი ზეგანი შორს, დასავლეთისა და  
აღმოსავლეთისაკენ გადაჭიმულიყო. ორივე მიმართულებით ბოლო  
არ უჩანდა მწვანით შემოსილ კლდეებს. ქედის ძირში ჭაობიანი  
ადგილი იყო, ჰუნგლში გველები და ქვემდრომები ირეოდნენ:  
ნამდვილი ციების ბუდეა. ასეთი დაბრკოლებანი ბუნებრივ ზღუდეს  
წარმოადგენს და მიუვალს ხდის ამ უცნაურ ქვეყანას.

- კიდევ რამე ნიშნები თუ ნახეთ სიცოცხლის?

- არა, სერ მეტი არა მინახავს რა. მხოლოდ იმ ერთი კვირის  
განმავლობაში, ციცაბო კლდის ძირში დაბანაკებულმა რომ გავატარე,  
არაერთხელ გვსმენია უცნაური ხმები ზემოდან.

- ამერიკელის მიერ დახატული, საკვირველება კი არ უნდა იყოს?

სად ნახავდა იგი ამ ცხოველს?

- ჩემი აზრით, იგი როგორღაც აცოცდა მწვერვალზე, რის შემდეგაც შეძლო ენახა ეს საოცარი ცხოველი. აქედან გამომდინარე კი ნათელია, რომ არსებობს რაღაც გზა ზევით ასასვლელი. გზა უეჭველად ძალიან ძნელი მისადგომია, თორემ საოცარი ცხოველები ადვილად ჩამოვიდოდნენ ძირს და კლდის ახლომახლო ადგილებში დასახლდებოდნენ. ამაში ეჭვიც არ შეიძლება შეგვეპაროს.

- მაგრამ საიდან გაჩნდნენ ისინი ზევით?

- მე მგონი, აქ არავითარი საიდუმლოება არაა, - თქვა პროფესორმა, - ორი აზრი არც შეიძლება იყოს. თქვენ უკვე იცით ალბათ, სამხრეთ ამერიკა გრანიტის მატერიკს წარმოადგენს. დიდი ხნის წინათ აქ მოხვდა უეცარი ვულკანური ამოხეთქვა. ეს კლდეები კი, უნდა გითხრათ, ფილაქნისანი არიან - მაშასადამე, ვულკანური წარმოშობისა. მინის ფართობი დაახლოებით ჩვენი სესექსის ოდენაა. როგორც ჩანს, ეს ადგილი ვულკანმა ზევით აისროლა მთლიანად, მთელი თავისი მოსახლეობით და მატერიკს დააშორა მიუვალი უფსკრულებით და გადმოვიდებული კლდეებით. ეს ქანები ისეთი მაგარი ჭიშისაა, რომ მათ არც წალევვის ეშინიათ და არც გაქარვის და, აბა, ამის შემდეგ რაუნდა მომხდარიყო? სრულიად ბუნებრივია, რომ ბუნების კანონმა აქ შეწყვიტა ზემოქმედება. ყოველგვარი დაბრკოლებანი, რომლებიც მთელ მსოფლიოში არსებობისათვის ბრძოლით განისაზღვრება, აქ ან შეიცვალა, ან სრულიად მოისპო და ამიტომ ამოწყდნენ ეს ცხოველებიც. უნდა იცოდეთ, რომ

პტეროდაქტილი და სტეგოზავრი იურიული პერიოდისაა, ყველაზე უძველესია დედამინის ისტორიაში და ისინი ცხოვრობენ შემთხვევით შექმნილი განსაკუთრებული პირობების შემწეობით.

- თქვენი სიტყვების სიმართლე სრულიად ნათელია. საჭიროა მხოლოდ ეს ამბავი მივიღეს, სადაც ჭერ არს...

- მეც ასეთივე გულწრფელი ფიქრები მქონდა, - მნარედ ჩაიცინა პროფესორმა, - მაგრამ საქმე სულ სხვაგვარად დატრიალდა. ყველა ჩემს ნაბიჯს უნდობლობით ხვდებოდნენ, რაც ნაწილობრივად გონების სიჩლუნგით და შურითაც იყო გამოწვეული. მე არ მჩვევია, სერ, ფეხქვეშ გაგება ადამიანების წინაშე, ანდა ფაქტებით დამტკიცება ჩემი სიმართლისა მაშინ, როდესაც ჩემს სიტყვებს არ ენდობიან. ვიგრძენი რა უნდობლობა ჩემ მიმართ, საჭიროდ აღარ მივიჩნიე, ხელშესახები დამამტკიცებელი საბუთი წარმედგინა მათთვის. თვით ეს თემაც შემჭავრდა, ამ საგნებს აღარ ვეხებოდი და მათზე საუბარსაც გავურბოდი. როდესაც თქვენი მსგავსი ადამიანები - უსაქმო, ცნობისმოყვარე ბრბო - მყუდროებას დამირღვევდა, მე თავის შეკავებას ვეღარ ვახერხებდი. უნდა გამოგიტყდეთ, ძალიან ფიცხი ვარ. თუ შეურაცხყოფას მომაყენებენ, თვითონვე აღარ ვიცი, რას ჩავდივარ. ვშიშობ, თქვენ მოგეცით საშუალება, ამაში დარწმუნებულიყავით...

მე ხელი შევახე ჩემს ჩალურჭებულ თვალს, მაგრამ არაფერი მითქვამს.

- ჩემი მეუღლე ხშირად მეჩხებება ამის გამო, მაგრამ მე მაინც მგონია, რომ ყოველი წესიერი ადამიანი ასე მოიქცეოდა. ამ საღამოს კი მე მინდა გამოვამჟღავნო ნებისყოფის გამარჯვება გრძნობაზე და

თქვენ გეპატიჟებით, რათა დაესწროთ და დატვირთოთ ამ სანახაობით.

მან მაგიდიდიან ბარათი აიღო და გამომინოდა.

- როგორც ხედავთ, დღეს საღამოს 8 საათსა და 30 წუთზე მისტერ პერსივალ უოლდრონი, საკმაოდ პოპულარული ბუნებისმეტყველი, ზოოლოგიურ ინსტიტუტში კითხულობს ლექციას შემდეგ თემაზე: „საუკუნეთა დაფა“ . მე მიმიპატიჟეს და მთხოვეს პრეზიდიუმში ვიჭდე მხოლოდ იმიტომ, რომ კრების სახელით ლექტორს მადლობა გადავუხადო. გადავწყვიტე, ვისარგებლო ამ შემთხვევით. მაგრამ ეს სრულებითც არ შემიშლის ხელს, დიდი ტაქტითა და სითრთხილით წამოვაყენო ზოგიერთი შენიშვნა, რომელთაც შესაძლებელია დააინტერესოს აუდიტორია. თანდამსწრეთა შორის იქნებ ვინმემ მოისურვოს უფრო დაწვრილებითი ცნობების მიღება. შევეცდები, სადაც მომენტს არ შევეხო, ოღონდ ყველა მიხვდება, რომ არსებობს უფრო ღრმა პრობლემები. ვეცდები, თავი კარგად დავიჭირო. ვნახოთ, იქნებ ჩემმა თავდაჭერილობამ მეტად ხელსაყრელ შედეგამდე მიმიყვანოს.

- მაშ, მეც შემეძლება დავესწრო სხდომას? - შევეკითხე მღელვარედ.

- რა თქმა უნდა, უსათუოდ! - ალერსიანად მიპასუხა მან.

მისი თავაზიანობა ახლა იმდენად განსაცვიფრებელი იყო, როგორც ადრინდელი უხეშობა. მარტო გაღიმებაც კი რად ღირდა მისი! მისი თვალები თითქოს სულ გაუჩინარდა, ლოყები კი ორი წითელი ვაშლივით გამოებერა.

- აუცილებლად მობრძანდით! მე ძალიან მესიამოვნება, თუკი

მრავალრიცხოვან შეკრებაში ერთი მოვავშირე მაინც მეყოლება, თუმცა - ამ საკითხში სრულიად უსასური და უვიცი. მე ვფიქრობ, ძალიან ბევრი ხალხი დაესწრება, ვინაიდან რატომღაც უოლდრონი დიდი პოპულარობით სარგებლობს. თუმცა, ჩემი აზრით, იგი აშკარა გაიძვერაა. ჰო, მისტერ მელოუნ, მე ბევრი დრო მოვანდომე თქვენთან საუბარს. ერთეული პიროვნებების ინტერესი უნდა იჩქმალებოდეს მსოფლიო მნიშვნელობის ინტერესებთან. ძალიან მესიამოვნა თქვენი ნახვა ამ საღამოს. ოღონდ გახსოვდეთ, ის ამბავი, რაც თქვენ გაცნობეთ, არანაირად არ უნდა გახმაურდეს.

- ჩვენი რედაქტორი მისტერ მაკ-არდლი კი მოისურვებს ჩვენი საუბრის შედეგების გაგებას...
- რაც გნებავთ, ის უთხარით მაკ-არდლს. სხვათა შორის, ისიც მოახსენეთ, რომ, თუ კიდევ გამიბედავს მოაგზავნოს ვინმე, მე თვით ვეახლები მას კარგი მათრახით შეიარაღებული. მე თქვენ გენდობით; მჭერა, რომ ჩვენი ნაამბობიდან გაზეთის ფურცლებზე არაფერი გამოქვეყნდება! მაშ ასე, ძალიან კარგი! დღეს საღამოს ცხრის ნახევარზე ზოოლოგიურ ინსტიტუტში გელით.

მან გამოთხოვებისას ხელი დამიქნია. ჩემ წინაშე კვლავ გაიელვა წითელმა ლოყებმა, შავმა წვერმა და უტიფარმა თვალებმა. მე ოთახიდან გამოვედი.

„ეს ჭერ კიდევ საკითხავია“

ჩემი პირველი სტუმრობა პროფესორ ჩელენჯერთან ფიზიკურ ტრავმასთან იყო დაკავშირებული, მეორე კი - სულიერ ძრწოლასთან, და როდესაც მე კვლავ ქუჩაში მოვხვდი, როგორც რეპორტიორი, უკვე სავსებით განადგურებული ვიყავი. თავი მისკდებოდა ტკივილისაგან და ის აზრი, რომ პროფესორის ნაამბობი ნამდვილი ამბავი იყო, მოსვენებას არ მაძლევდა, თავიდან არ მშორდებოდა; ხოლო, როცა ნება მომეცემა გამოვაქვეყნო ეს, ჩვენს გაზეთს არ მოაკლდება სენსაციური მასალა. ქუჩის გზაჯვარედინზე ეტლი დავინახე, საჩქაროდ შევახტი და გავაქროლე რედაქციაში.

მაკ-არდლი, როგორც ყოველთვის, თავის სადარაჯოზე დამხვდა.

- აბა ჩქარა! - შემომძახა მან მოუთმენლად.- რამდენი სტრიქონი გეყოფათ? - ოჭო, ომში ხომ არ ბრძანდებოდით, ყმაწვილო?
- დიახ, დასაწყისში პატარა გაუგებრობას ჰქონდა ადგილი.
- ერთი შეხედეთ, რა ადამიანია! მერე?
- მერე დამშვიდდა, გონს მოვიდა და ჩვენ დავიწყეთ საუბარი, მაგრამ მაინც ვერ მოვახერხე, გაზეთისათვის საინტერესო რამ დამეცინცლა, სრულიად ვერაფერი.

- მაგაში კი ეჭვი მეპარება, რადგან თქვენ მან თვალი ჩაგილურდათ. ეს უკვე დასაბეჭდი მასალაა. კმარა, აღარ მივცემ მას ნებას, დაგვაშინოს. მისტერ მელოუნ, ეს კაცი კალაპოტში უნდა ჩავაყენოთ. მე ხვალისათვის დავამზადებ ისეთ სტატიას, რომელიც მას კარგად შეახურებს. თქვენ მხოლოდ მასალა მომეცით და მე სამარცხვინოდ

დავდაღავ მაგ სუბიექტს ისე, რომ კარგა ხანს არ დაავიწყდეს. როგორ მოგწონთ ასეთი სათური - „პროფესორი მიუნჰაუზენი?“ „ მკვდრეთით აღმდგარი კალიოსტრო “ , ყველა ცნობილი შარლატანი და მისტიფიკატორი ისტორიაში... მაშინ ნახოს, თუ როგორ უნდა თაღლითობა.

- არ გირჩევთ, სერ.
  - ვითომ რატომ?
  - იმიტომ, რომ იგი სრულიად არ გახლავთ შარლატანი და მატყუარა.
  - რაო?! - დაიღრიალა მაკ-არდლმა. - ეს რა მესმის?! ნუთუ თქვენ მართლაც დაიჭერეთ მისი ბოდვა მამონტებზე, მასტოდონტებსა და ადამის დროინდელ ზღვის გველებზე?
  - ჩემი აზრით, ასეთი რამ მას თავშიც არ მოსვლია; ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის არ უთქვამს. მე კი მჯერა, რომ მან უდიდესი და ახალი აღმოჩენა გააკეთა.
  - ამ შემთხვევაში, ჩემო ძვირფასო, ნუღარ აყოვნებთ! დამიჭექით და დამიწერეთ ეგ ახალი ამბები.
  - დიდი სიამოვნებით გავაკეთებდი, მაგრამ ყოველივე ეს, რაც მან გამანდო, უდიდეს საიდუმლოებას შეადგენს და პირობა დავდე, არ გავამჟღავნებ-მეთქი.
- მაკ-არდლს რამდენიმე სიტყვით გავაცანი პროფესორის ნაამბობი, მაგრამ მისი სახე უნდობლობას გამოხატავდა. ცოტა ხანს ჩაფიქრებული იჭდა იგი.
- აი, რა, მისტერ მელოუნ, - თქვა მან ბოლოს, - იმედი მაქვს, რომ

დღევანდელი მეცნიერული სხდომა არ ეხება თქვენს კერძო ურთიერთობას. არა მგონია, რომ სხვა გაზეთები დაინტერესდნენ ამ ამბით, ვინაიდან უოლდრონის მოხსენებასთან დაკავშირებით მრავალჭერ იყო აღნიშნული, ხოლო ჩელენჯერის გამოსვლის შესახებ არა იციან რა. თუ ბედმა გაგვიღიმა, ჩვენი საქმე კარგად იქნება. თქვენ ხომ მაინც აპირებთ წასვლას! ამიტომ ძალიან გთხოვთ, დაწვრილებით ჩაწეროთ კამათის ანგარიში. მე შეადლემდე შემოგინახავთ ადგილს გაზეთში.

ვინაიდან იმ დღეს ბევრი სამუშაო მქონდა, გადავწყვიტე, რედაქციიდან პირდაპირ კლუბში წავსულიყავი სასადილოდ, ტარპ ჰენრისთან ერთად. მას მე მოკლედ გავაცანი ჩემი თავგადასავალი. მის გამხმარ სახეს დამცინავი ღიმილი არ შორდებოდა, ხოლო როდესაც გაიგო, რომ პროფესორმა მოახერხა ჩემი დაჭერება, ხმამაღლა გადაიხარხა:

- ჩემო ძვირფასო მეგობარო, ასეთი საკვირველებანი ცხოვრებაში არ ხდება. სად გაგონილა, რომ შემთხვევით წააწყდე ასეთ დიდმნიშვნელოვან აღმოჩენებს და შემდეგ უცბად დაკარგო მათი ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთები?! მსგავსი შეთხზული ამბები ჭობს რომანისტებისათვის დავტოვოთ; იცოდეთ, ჩვენს პროფესორს უფრო მეტი ეშმაკობა აქვს, ვიდრე ლონდონის ზოოპარკის ყველა მაიმუნს. მთელი მისი ნაამბობი - მტკნარი სისულელეა.

- ამერიკელ მხატვარზე რაღას იტყვით?
- არც არსებულა.
- მე თვითონ ვნახე მისი ალბომები.

- ის ჩელენჯერის ალბომია.
  - მაშ თქვენ გვინიათ, რომ მან თვითონ დახატა საოცარი ცხოველი?
  - რა თქმა უნდა! მაშ სხვა ვინ დახატავდა!
  - ვარგი, ფოტოსურათები ვინღამ გააკეთა?
  - თქვენი ნაამბობიდან ირკვევა, რომ ძლივს გაარჩიეთ მასზე რაღაც ჩიტი.
- ჩიტი კი არა, პტეროდაქტილი.
  - დიახ, ჩელენჯერის მტკიცებით. თქვენ მან ჩაგავონათ მისი არსებობა.
  - ვთქვათ, რომ ასეა. ძვლები რაღას ნიშნავს?
  - პირველი, ირლანდიური ყაურმიდან ამოიღო ალბათ, ხოლო მეორე - ხელოვნურადაა შექმნილი დამამტკიცებელ საბუთად. ცოტა ხერხი და ჭკუა უნდა ჰქონდეს კაცს და ძნელი არაფერია: ყალბ ფოტოსურათებსაც შექმნი და ყალბ ძვალსაც.

ძალიან ცუდად ვიგრძენი თავი. ნუთუ ასეთი გულუბრყვილი ვიყავი? უეცრად ბრწყინვალე აზრმა გამიელვა.

- არ შეგიძლიათ წამობრძანდეთ ჩემთან ერთად სხდომაზე? - შევეკითხე მე ჩემს თანამოსაუბრეს.

ტარპ ჰენრი წუთით ჩაფიქრდა.

- თქვენი გენიალური ჩელენჯერი სრულიადაც არ სარგებლობს დიდი პოპულარობით, - თქვა მან, - ხალხის უმეტესი ნაწილი სიამოვნებით გაუსწორებდა მას ანგარიშს. ლონდონის მცხოვრებთა უმეტესობა მტრად გადაიკიდა და დარწმუნებული ვარ, მაგაზე უფრო არავინ ეჯავრებათ აქ. თუ მოხსენებაზე სტუდენტებიც დაესწრნენ, ერთი

აურგაური ატყდება. მე სრულიად არ მეხალისება, ჩხუბში გავერიო.

- მე მგონი, ურიგო არ იქნება, მის გამოსვლას რომ მოისმენდეთ.
- დიახ, სამართლიანობა ამას მოითხოვს. მაშ კარგი, ამ საღამოს თქვენი თანამგზავრი ვიქნები.

მივედით ზოოლოგიის ინსტიტუტის შენობასთან და ვნახეთ, რომ ხალხი ბევრად მეტი მოგროვილიყო, ვიდრე ჩვენ მოველოდით.

უკვე შეჭადარავებული პროფესორებიელექტროკარეტების გაუთავებელ მწვრივს მოჰყავდა შესასვლელთან, ხოლო უფრო უბრალო ხალხის ნაკადი განუწყვეტლივ მიედინებოდა თაღიან კარში. მაშასადამე, სხდომას, გარდა მეცნიერული სამყაროსი, ფართო მასების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. როდესაც ჩვენ-ჩვენი ადგილები დავიკავეთ, შევნიშნეთ, რომ უკანა რიგებში ხალხს თამამად ეჭირა თავი, ეტყობოდათ სტუდენტები იყვნენ. უკან მიხედვისთანავე დავინახე, რომ რიგები სავსე იყო ექიმებისთვის დამახასიათებელი ტიპური გარეგნობის მქონე ადამიანებით. ეტყობოდა, ლონდონის ყველა საავადმყოფოს გამოეგზავნა აქ თავიანთი სტუდენტ-პრაქტიკოსები. ჭერჭერობით აუდიტორია კეთილგანწყობილი ჩანდა. იქნებ ამ საკითხის უკან ფარული რამ იყო მიმაღლული?

ერთ ადგილას გატაცებით უსტვენდნენ პოპულარულ ქუჩურ სიმღერებს: საოცარი პრელუდიაა მეცნიერული მოხსენებისათვის! სხვები შეუსვენებლივ ყაყანებდნენ... ერთი სიტყვით, საღამო უთუოდ ყველა დამსწრესთვის მხიარული იქნებოდა, გარდა მთავარი გმირებისა, რომელთათვისაც კარგს არას მოასწავებდა ესოდენ საეჭვო ნიშნები ყურადღებისა.

მაგალითად, როგორც კი ესტრადაზე მოხუცი ექიმი მელდრამი გამოჩნდა, ყველასათვის კარგად ცნობილი გადაკეცილფარფლებიანი ცილინდრით, ირგვლივ შეძახილები გაისმოდა: „ სად გამონახეთ თქვენ ეგ ქვაბი? ” საცოდავმა საჩქაროდ მოიძრო ქუდი და ფარულად ამოიდო სავარძლის ქვეშ. როდესაც ნეკრესით დაავადებული პროფესორი უელდი კოჭლობით შემობაჯბაჯდა და თავისი ადგილისაკენ გაემართა, ყოველი მხრიდან გაისმა მზრუნველი შეძახილები: მარჯვენა ფეხის თითი ხომ არ სტკივაო მოხუცს. პროფესორი ძლიერ შეაკრთო ამან.

მაგრამ ყველაზე უფრო გულთბილად ჩემს ახალ ნაცნობს - პროფესორ ჩელენჯერს შეხვდნენ. კარში გამოჩნდა თუ არა მისი შავი წვერი, მქუხარე მისასალმებელი ყვირილი ატყდა და სანამ თავის ადგილს დაიკავებდა ესტრადაზე, ეს ოვაციები არ შეწყვეტილა.

ტარპ ჰენრი მართალი აღმოჩნდა: ხალხი მოხსენებისათვის კი არ მოგროვილიყო, არამედ იმიტომ, რომ თვალი შეევლო უცნაური პროფესორისათვის. ეტყობოდა, გავრცელებულიყო ხმა - პროფესორი სიტყვით გამოსვლას აპირებსო.

როდესაც პროფესორი წინა რიგებს მიუახლოვდა, სადაც კარგად გამოწყობილი რჩეული საზოგადოება იჯდა, დამცინავი სიცილი გაისმა, რომელიც სტუდენტების ყვირილს უერთდებოდა. საერთოდ, ეს ღრიანცელი იმ გაშმაგებულ ღრიალს მოგაგონებდათ, რომელიც ზოოპარკში ატყდება ხოლმე, როდესაც გალიაში დამწყვდეული მხეცები მათი გამოკვების საათებში მოახლოებული დარაჭის ფეხის ხმას გაიგონებენ. ეს ალიაქოთი, რა თქმა უნდა, პროფესორისადმი

უპატივცემლობას ამტკიცებდა, მაგრამ ეს არ იყო განზრახ, შეურაცხყოფის მიზნით მოწყობილი, ეს იყო უბრალოდ იმის ნიშანი, რომ ხალხს აინტერესებდა პროფესორის ნახვა. მტრობას და სიძულვილს კი სრულიად არ აღუძრავდა.

ჩელენჯერი მოწყალედ იღიმებოდა, ისე როგორც გულვეთილმა ადამიანებმა იციან გაღიმება, როდესაც წკავნკავა ლეკვები გარს შემოერტყმიან ხოლმე. იგი მძიმედ დაეშვა სავარძელში, წვერებზე ხელი გადაისვა, თვალები მოჭუტა და გადახედა ხალხით გაჭედილ დარბაზს. ღრიანცელი ჰერ კიდევ არ მიწყნარებულიყო, რომ ესტრადაზე ამოვიდნენ: პროფესორი რონალდ მარეი - კრების თავმჯდომარე და მომხსენებელი მისტერ უოლდრონი. კრება დაიწყო.

დე, მომიტევის პროფესორმა მარეიმ, მაგრამ უნდა გავკიცხო, რომ მასაც აქვს ის ნაკლი, რაც ინგლისელების უმეტეს ნაწილს ახასიათებს - იგი გაუგებრად ლაპარაკობს. რატომაა, რომ ის ადამიანები, რომელთა ნათქვამი სხვისთვისაც მნიშვნელოვანია, არ შეიწუხებენ თავს, რათა მკაფიოდ ლაპარაკი ისწავლონ?

პროფესორმა მარეიმ რამდენიმე ღრმააზროვანი შენიშვნით მიმართა თავის თეთრ ყელსახვევს, აგრეთვე მის წინ მდგარ წყლიან სურათს; ვერცხლის შანდალს კი, მის ხელმარჯვნივ რომ ინონებდა თავს, ხუმრობით ჩაუკრა თვალი და სავარძელში ჩაჭდა.

წინ წამოდგა ცნობილი ლექტორი მისტერ უოლდრონი, რომელსაც ხალხი ოვაცით შეხვდა.

მისტერ უოლდრონი პირქუში იყო, მძაფრი ხმა ჰქონდა, ქედმაღლური მანერები, მაგრამ იმ ნიჭით მაინც იყო დაჭილდოებული,

რომ შეეთვისებინა უცხო იდეები და სხვებისათვის მკაფიოდ და გასაგებად მოეთხოვ. ამასთან, თავის ლაპარაკს მიმზიდველს ხდიდა ხოლმე მოხსენებაში ჩართული ხუმრობით, რაც ხშირად სრულიად უადგილო იყო. ისე, რომ ისეთი სერიოზული საგნები, როგორიცაა მაგალითად: პროფესია ბუნიობისა, ანდა ხერხემლის ევოლუცია, მის მოხსენებაში ფრიად იუმორისტულ ხასიათს იღებდა.

მან უბრალოდ, მხატვრულ ფორმებში - თუმცა მეცნიერულ ტერმინოლოგიასაც ხშირად იშველიებდა - გადაგვიშალა სამყაროს წარმოშობის სურათი. თავდაპირველად დედამინის შესახებ დაიწყო ლაპარაკი და ჩვენი პლანეტა ვეებერთელა მოგიზგიზე ბურთად წარმოგვიდგინა. შემდეგ შეეხო დედამინის ზურგის ფენების წარმოშობას, - გამაგრებას, გაცივებას; იმას, თუ ორთქლი როგორ იქცეოდა წყლად და თუ როგორ თანდათანობით მზადდებოდა ის არენა, რომელზედაც შემდეგ არსებობის მიუწვდომელი დრამა უნდა გათამაშებულიყო. თვით არსებობის ჩასახვაზე კი მეტისმეტად ზერელედ და ძალიან ბუნდოვნად ილაპარაკა. ეჭვგარეშეა, ამტკიცებდა იგი, რომ ვერავითარი სიცოცხლის ჩანასახი ვერ აიტანდა პირველყოფილ მაღალ ტემპერატურას. მაშასადამე, სიცოცხლე უფრო გვიან წარმოიშვა. მაგრამ საიდან წარმოიშვა? გაცივებული არაორგანული ელემენტებისაგან? შესაძლებელია. იქნებ სიცოცხლის ჩანასახი რომელიმე მეტეორმა შემოიტანა გარედან? - საეჭვოა. საერთოდ, ბრძენზე ბრძენიც კი ადამიანთა შორის, გადაჭრით ვერაფერს იტყვის ამის შესახებ. ჩვენ არ შეგვწევს ძალა, არაორგანული ნივთიერება ორგანულად ვაქციოთ; ყოველ

შემთხვევაში, აქამდე ამას ვერ ვახერხებდით ჩვენს ლაბორატორიებში. ქიმიამ ჰერ კიდევ ვერ გადო ხიდი იმ უფსკრულზე, რომელიც ცოცხალსა და არაცოცხალ ბუნებას შორის არსებობს. ბუნება უდიდესი და უნიჭიერესი ქიმიკოსია. მას განუზომელი ძალა შესწევს. იქნებ მან შეძლოს და გააკეთოს ის, რაც ჩვენს ძალ-ღონეს აღემატება. ამ საკითხებზე მეტი არაფრის თქმა არ შეიძლება.

არსებობის ჩასახვის პრინციპებიდან ორატორი ცხოველთა პირვანდელი ჩანასახების განხილვაზე გადავიდა: დაწყებული სულ უმნიშვნელო, პანანინა ზღვის ცხოველებიდან, მან ყველაფერი განიხილა. ერთი საფეხურიდან მეორე საფეხურზე გადადიოდა; ქვენარმავლებიდან - თევზებზე. დაბოლოს კენგურუმდე მიაღწია, რომელიც ცოცხალ შვილებს შობს და ყველა ძეძუმნოვართა უშუალო წინაპარია, - მაშასადამე, ამ კრებაზე დამსწრეთა წინაპარიცო, - განაცხადა პროფესორმა.

- ვითომ? - გაისმა უკანა რიგებიდან ვიღაც სკეპტიკოსის ხმა.
- თუ წითელყელსახვევიანი ახალგაზრდა ჰენტლმენი, რომელმაც ახლა „ვითომ“ წამოიძახა, მე არ მეთანხმება, - ხმამაღლა განაცხადა პროფესორმა, - და ფიქრობს, რომ იგი კვერცხიდან გამოიჩევა, ჩანს, მის მოსაზრებებს სათანადო საფუძველიც აქვს და თუ დამაცლის ლექციის დამთავრებას, სიამოვნებით გავეცნობი ცხოველთა სამყაროს ამ იშვიათ ეგზემპლარს. (სიცილი). საკვირველი იქნებოდა გვეფიქრა, რომ საუკუნეების განმავლობაში ბუნებაში მომხდარი პროცესები წითელყელსახვევიანი ახალგაზრდა ჰენტლმენის წარმოშობით დაგვირგვინდა. ნუთუ მართლა დასრულდა ეს პროცესები? განა

შეგვიძლია ვაღიაროთ ზემოხსენებული ჰენტლმენი სრულყოფილ არსებად, სამყაროს ომეგად, განვითარების დედააზრად? მომხსენებელს სრულებითაც არ უნდა, შეურაცხყოფა მიაყენოს წითელყელსახვევიან ჰენტლმენს, მაგრამ იგი ვერ გაიზიარებს იმ აზრს, თითქოს სამყაროში მომხდარი მრავალფეროვანი პროცესი თავის გამართლებას ასეთი ეგზემპლარის გაჩენაში პოულობს; ევოლუციის პროცესების გამომწვევი ძალები არ დაშრეტილა, ისინი განაგრძობს მოქმედებას და გვიმზადებს უფრო დიდ სასწაულს მომავალში.

ამგვარად, გაუსწორდა რა მომხსენებელი თავის მოწინააღმდეგეს და ამით საერთო ხითხითი გამოიწვია, იგი კვლავ დაუბრუნდა პირველად თემას - წარსულის სურათებს: ზღვების თანდათანობით დაშრობის ამბავს, მეჩეჩებისა და ყურეების გაჩენას, რომლებიც თავისი შლამიანი ნიადაგით და საკვების სიუხვის გამო ზღვის ცხოველებს იზიდავდა, რაც ხელს უწყობდა მათ კოლოსალურ განვითარებას.

- და, აჟა, ქალბატონებო და ბატონებო, საიდან მოდიან ის საოცარი ჭოჭოები, რომელთა ჩონჩხის ნახვაც კი ზოლენგოფენის და ველდის ფიქალებში ჩვენ შიშის ჟრუანტელს გვგვრის. საბედნიეროდ, - დაუმატა პროფესორმა, - ყველა ისინი დედამიწის ზურგიდან ბევრად უფრო ადრე გაქრნენ, ვიდრე ჩვენს პლანეტაზე პირველი ადამიანი გაჩნდებოდა.

- ეს ჰერ კიდევ საკითხავია! - დაიგუგუნა ვიღაცამ ესტრადაზე.

მისტერ უოლდრონი თავდაჭერილი კაცი იყო, ამავე დროს მას ჰქონდა შხამიანი ენა, რომლის გემო უკვე იწვნია წითელყელსახვევიანმა ჰენტლმენმა. ასე რომ, მასთან შეკამათება არც

ისე უხილათო საქმე იყო, მაგრამ უკანასკნელი რეპლიკა მას იმდენად უხერხელი მოეჩვენა, რომ უცებ დაიბნა კიდეც. ასეთ მდგომარეობაში ჩავარდებოდა შექსპიროლოგი, გააფთრებული ბეკონიანელის მიერ შეურაცხყოფილი, ანდა ასტრონომი, რომელსაც ფანატიკოსი შესძახებს: დედამიწა ბრტყელიაო. მისტერ უოლდრონი ცოტა ხანს შეჩერდა, შემდეგ კი ხმამაღლა გაიმეორა თავისი უკანასკნელი სიტყვები:

- საბედნიეროდ, ყველა ისინი დედამიწის ზურგიდან ბევრად უფრო ადრე გაქრნენ, ვიდრე პირველი ადამიანი გაჩნდებოდა.
- ეს ჯერ კიდევ საკითხავია! - კვლავ დაიგუგუნა იმავე ხმამ.

გაკვირვებულმა უოლდრონმა გადახედა ესტრადაზე მსხდომ პროფესორებს და მისი თვალები ჩელენჯერზე შეჩერდა, რომელიც სავარძელში მისვენებული და თვალებმინაბული ნეტარად იღიმებოდა, თითქოს სძინავსო.

- აჰ, გასაგებია! - თქვა უოლდრონმა და მხრები აიჩეჩა. - ეს ჩემი მეგობარი, პროფესორი ჩელენჯერი ყოფილა, - და საერთო სიცილში იგი დაუბრუნდა თავის მოხსენებას, თითქოს პროფესორის გვარის ხსენებით ყველაფერი ნათელი გახდა და ზედმეტ განმარტებებს არ საჭიროებდა, მაგრამ საქმე ამით არ დამთავრებულა. მომხსენებელი კვლავ დაუბრუნდა შორეულ წარსულს და, რაზეც უნდა ელაპარაკა, ყოველთვის მოიგონებდა ხოლმე წინაისტორიულ სრულიად გამქრალ ცხოვრების სახეობებს. პროფესორი ჩელენჯერი კვლავ ომახიანი ხმით აძლევდა იმავე რეპლიკას. აუდიტორია დიდი სიხარულით მოელოდა ამას და, როგორც კი მათი მოლოდინი გამართლდებოდა, საერთო

ხარხარი ატყდებოდა ხოლმე. სკამებზე მსხდომი სტუდენტები აღარც კი აცლიდნენ ჩელენჯერს პირის გაღებას. როგორც კი შეამჩნევდნენ, მისი შავი წვერი ცანცარს იწყებსო, ერთხმად დაიღრიალებდნენ - „ ეს ჭერ კიდევ საკითხავია! “ წინა რიგებიდან აღშფოთებულთა ყვირილი მოისმოდა: „ სიჩუმე! სირცხვილია! “ გამოცდილი და ბრძოლებში გამობრძმედილი მომხსენებელი სრულიად დაიბნა. საუბრის ძაფი გაუწყდა, ენა ებმოდა. დაიწყო ერთისა და იმავეს გამეორება, ხოლო საბოლოოდ დაიბნა და გახელებული ეცა დამნაშავეს.

- ეს კი უკვე მეტისმეტია! - დაიყვირა მან და გაცოფებული აცეცებდა თვალებს. - პროფესორო ჩელენჯერ, მე გთხოვთ შენწყვიტოთ თქვენი აღმაშფოთებელი და უნესრიგო ყვირილი!

აუდიტორია მიწყნარდა. სტუდენტები აღტაცებისაგან გაინაბნენ - მიუწვდომელი ოლიმპიელნი ჩხებობდნენ მათ თვალწინ!

ჩელენჯერმა ნელ-ნელა გამართა სავარძელებელში თავისი ფაშტაშა ტანი.

- ჩემი მხრივ, მეცვალეთ, მისტერ უოლდრონ, შენწყვიტოთ იმის მტკიცება, რაც ეწინააღმდეგება მეცნიერულ მონაცემებს - ანუ ფაქტებს, - წარმოთქვა მან.

ამ სიტყვებზე ნამდვილი გრიგალი ამოვარდა. საერთო სიცილსა და ხმაურობაში ისმოდა ცალკეული აღშფოთებების ხმები: „ საშინელებაა! “ , „ დააცალეთ თქმა! “ , „ აქედან მოაშორეთ! “ , „ ესტრადიდან ჩამოაგდეთ “ , „ სირცხვილია - დააცადეთ, თქვას, რაც უნდა! “

თავმჯდომარე ადგილიდან წამოხტა და ხელების უხერხეული ქნევით რაღაც წაილუდლუდა. ამ გაურკვეველი ქაოსიდან ისმოდა მისი

ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიტყვები: „პროფესორო ჩელენჯერ... თუ შეიძლება, თავი შეიკავეთ... თქვენი მოსაზრებანი... ბოლოს... “ წესრიგის დამრღვევმა თავი დაუქნია, გაუღიმა, წვერებზე ხელი გადაუსვა და ხელახლა მიესვენა სავარძელში. გაფაციცებული უოლდრონი კი კვლავ განაგრძობდა... იგი დროგამოშვებით რაღაც დასკვნებს აკეთებდა და გესლიანად გადახედავდა ხოლმე თავის მოქიშვეს, რომელიც სავარძელში ნებივრობდა, თითქოს თვლემსო. ნეტარი ღიმილი ეფინებოდა მის სახეს.

ლექცია უცებ დამთავრდა. მე ვფიქრობ, უფრო ადრე, ვიდრე ეს მომხსნებელს ჰქონდა განზრახული, რადგან დასკვნითი ნაწილი უფრო შეკუმშული და სუსტად დაკავშირებული იყო საერთო მთლიან მოხსენებასთან. აუდიტორია უკმაყოფილო დარჩა.

უოლდრონმა ადგილი დაიკავა. თავმჯდომარემ რაღაც წაიღუდლუდა, რის შემდეგაც პროფესორი ჩელენჯერი ადგილიდან წამოდგა და ესტრადის განაპირას გამოვიდა. მე არ დამვიწყნია ჩემი გაზეთის ინტერესები და თითქმის სიტყვასიტყვით ჩავიწერე მისი ნათქვამი.

- ქალბატონებო და ბატონებო, - დაიწყო მან; უკანა რიგებში ხმაური ატყდა, - გთხოვთ მომიტევოთ, მე უნდა მეოქვა, - ქალბატონებო, ბატონებო და ბავშვებო... ჩემდა უნებურად მსმენელთა მნიშვნელოვანი ნაწილი მხედველობიდან გამომრჩა. (დარბაზში ხმაური ატყდა. პროფესორი იდგა ხელაწეული და მოწყალედ აქნევდა ვებერთელა თავს, თითქოს მოძღვარია და თავის მრევლს ლოცავსო). მე დამეკისრა სასიამოვნო მოვალეობა - მისტერ უოლდრონისათვის

მადლობა გადამეხადა შესანიშნავად მოფიქრებული და სურათოვანი მოხსენების გამო, რომელიც ჩვენ ეს-ეს არის, მოვისმინეთ. ზოგიერთ თეზისს ამ მოხსენებისას მე არ ვიზიარებ და ჩემს მოვალეობად მიმაჩნია, ეს აქ გამოვთქვა. მიუხედავად ამისა, ფაქტი ფაქტად რჩება. მისტერ უოლდრონმა შეძლო შეესრულებინა დასახული ამოცანა: საინტერესოდ და მკაფიოდ გაეცნო ჩვენთვის ჩვენი პლანეტის ისტორია, რა თქმა უნდა, როგორც მას ესმოდა. პოპულარული ლექციები მუდამ ადვილი გასაგებია, მაგრამ... (აქ ჩელენჯერს ნათელი ღიმილი მოეფინა და მომხსენებელს გადახედა) იმედია, მისტერ უოლდრონი მაპატიებს, თუ ვიტყვი, - ამგვარი ლექციები მეცნიერული თვალსაზრისით ყოველთვის ზერელე და არაზუსტია ხოლმე, რადგანაც ლექტორს შეგუება უხდება უვიც აუდიტორიასთან. (ადგილებიდან ირონიული შეძახილები). ლექტორ-პოპულარიზატორები თავისი ბუნებით მუდამ პარაზიტები არიან. (მისტერ უოლდრონი პროტესტის ნიშნად შეიმუშნა). სახელის მოსახვეჭად ან ფულის გამორჩენის მიზნით ისინი სარგებლობენ უსახელო და უცნობ თანამოძმეთა ნაოფლარით. ლაბორატორიაში მოპოვებული სრულიად უმნიშვნელო წარმატებაც კი - ეს ახალი აგურია მეცნიერების ტაძრის ასაგებად. მაშასადამე, იგი გაცილებით უკეთესია, ვიდრე მსგავსი პოპულარიზაცია სხვა პირთა მიერ, რომელთაც შეიძლება ერთი საათით გაგვართონ, ხოლო არავითარ სარგებლობას კი არ იძლევიან. მე ეს უდავო დებულება იმიტომ კი არ წამოვაყენე, თითქოს სურვილი მქონდეს, მისტერ უოლდრონის პირადი დამსახურებანი დავამცირო, არამედ იმისთვის, რომ თქვენ შეგინარჩუნოთ ზომიერების შეგრძნება,

რომ უბრალო მსახური მეცნიერების უმაღლეს ქურუმად არ დასახოთ. (მისტერ უოლდრონმა რაღაც წასჩურჩულა თავმჯდომარეს, რომელიც ოდნავ გამოიწია და წყლიან გრაფინს მწყრალად გაეხმაურა). თუმცა, კმარა ამაზე საუბარი. (ხმამაღალი, წამაქეზებელი შეძახილები). ნება მიბოძეთ, გადავიდე უფრო საინტერესო საკითხებე. რა საკითხებში არ ვეთანხმები მე ჩვენს ლექტორს? იმ საკითხებში, სადაც ლაპარაკი იყო ცხოველთა ზოგიერთი სახეობის გაქრობის შესახებ. მე გელაპარაკებით არა როგორც დილეტანტი ანდა პოპულარიზატორი, არამედ ადამიანი, რომელსაც მეცნიერული სინდისი მოუწოდებს, მტკიცედ დაეყრდნოს ფაქტებს. ამიტომაც მე ვაცხადებ, რომ მისტერ უოლდრონი ძლიერ შემცდარი ბრძანდება, როცა ამტკიცებს, წინაისტორიული ცხოველები დედამინის ზურგიდან გამქრალნი არიანო. მას არ უნახავს ისინი, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. ეს ცხოველები, მისი გამოთქმით, ჩვენი წინაპრები არიან. მაგრამ არა მარტო წინაპრები, ვამტკიცებ მე, არამედ თანამედროვენიც, რომელთაც შეიძლება დააკვირდეთ და ნახოთ მთელი მათი თავისებურებები - საშინელი, არასასიამოვნო და საოცარი თავისებურებები. იმისათვის, რომ მიუდგეთ იმ ადგილებს, სადაც ეს ცხოველები იმყოფებიან, საჭიროა მხოლოდ გამბედაობა და გამძლეობა. ცხოველები, რომელთაც ჩვენ იურიულ პერიოდს ვაკუთვნებთ, საოცრებანი, რომელთაც არ გაუჭირდებათ გადაყლაპონ და ნაკუნ-ნაკუნად აქციონ ჩვენი ყველაზე მძვინვარე და დიდრონი ძუძუმწოვარა არსებანი, დღესაც არსებობენ... (ყვირილი: „ სისულელეა! დაგვიმტკიცეთ! საიდან იცით? ეს ფაქტი როდია! “ ).

მევითხებით, საიდან ვიცი? მე თვითონ ვიყავი იმ ადგილებში, სადაც ისინი ცხოვრობენ. ვიცი, რადგან საკუთრი თვალით ვნახე ზოგიერთი მათგანი... (ტაში, გამაყრუებელი ხმაური და ვიღაცის ხმა: „ ცრუ! “ ). მაში მე ცრუ მიწოდეთ. (ერთხმად: „ დიახ, დიახ! “ ). თუ არ ვცდები, ვიღაცამ ცრუ მიწოდა. ახლავე ინებოს და წამოდგეს ადგილიდან, დამენახოს. (ხმა: „ აი, ეს გახლავთ, სერ! “ . სტუდენტების თავზე აისროლეს პატარა, სათვალიანი კაცი, შესახედავად სრულიად უწყინარი, რომელიც მათ სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა). მაში, თქვენ გამიბედეთ ცრუს დაძახება?

- არა, სერ! - სასონარკვეთით წარმოთქვა მან და იმავე წამს ბრძოში გაუჩინარდა.

- თუკი დარბაზში მოიპოვება ვინმე, რომელსაც ეჭვი ეპარება ჩემს სიმართლეში, მე სიამოვნებით მოველაპარაკები მას სხდომის დამთავრების შემდეგ. ( „ ცრუ! “ ) - ეს ვინ იყო? (წყნარი კაცის ფიგურა კვლავ გამოჩნდა ბრძოს თავზე, იგი გაფითრებული ებრძოდა თავის მტანჯველებს). აი, ახლავე ჩამოვალ აქედან და ვნახოთ... (შეძახილები: „ გთხოვთ, მეგობარო, გთხოვთ! “ სხდომა რამდენიმე წუთით შეწყდა. თავმჯდომარე წამოხტა ადგილიდან და ხელების ქნევა დაიწყო, თითქოს ამ კაკაფონიას დირიჟორობსო. პროფესორი სრულიად გააფთრებული დგას, აპილპილებული, ნესტოებგაბერილი და წვერებგაფშევილი). ყველა დიდი ნოვატორი ასეთივე უნდობლობას იწვევდა ბრძოს თვალში, უნდობლობა კი - სულელების დაღია მხოლოდ! როდესაც თქვენ წინაშე უდიდეს აღმოჩენებს ამჟღავნებენ, თქვენ არ გყოფნით ალღო, არ გყოფნით წარმოსახვის უნარი, რომ

გაიგოთ და ჩასწერეთ მას. თქვენ შეგიძლიათ მხოლოდ ტალახი ესროლოთ იმ ადამიანებს, რომელნიც მეცნიერებისათვის ახალი პორიზონტების მოსაპოვებლად საფრთხეში აგდებენ საკუთარ სიცოცხლეს. თქვენ ლანძღავთ ნინასნარმეტყველებს! გალილეი, დარვინი და მე... (დარბაზში დაუსრულებელი ხმაური და არეულ-დარეულობა)...

ყოველივე ეს მე ჩემი ნაჩქარევი ჩანაწერებიდან ამოვკრიფე და ეს თუმცა ისე მოვახერხე ადგილზე, მათ მაინც არ შეუძლიათ მოგვცენ ნამდვილი წარმოდგენა იმ ქაოსისა, რომელიც იმ დროს დარბაზში იყო გამეფებული. ისეთი ალიაქოთი ატყდა, რომ ზოგიერთი მანდილოსანი უკანმოუხედავად გარბოდა დარბაზიდან. ამ საერთო ღრიანცელს, გარდა სტუდენტებისა, პატივცემული საზოგადოებაც კი აჰყვა. ჩემი თვალით ვნახე, ჭაღარა წვეროსანი მოხუცები როგორ უღერებდნენ მუშტებს ჭიუტ პროფესორს. მრავალრიცხოვანი ბრძო ბობოქრობდა და დუღდა, როგორც წყალი დიდ ქვაბში. პროფესორმა წინ წარდგა ფეხი და ორივე ხელი ზევით აღმართა. ამ ადამიანში ისეთი ძალა და სიმამაცე იგრძნობოდა, რომ მისმა მბრძანებლურმა გამოხედვამ მოყაყანე ხალხი მონუსხა. ხმაური თანდათან მიწყნარდა და განაბული დარბაზი მოსასმენად მოემზადა.

- თავს ადარ შეგაწყენთ, - განაგრძობდა ჩელენჯერი: - განა ღირს დროის ტყუილად დაკარგვა? ჭეშმარიტება - ჭეშმარიტებად დარჩება და იგი არ შეიცვლება იმ უწესობით, რომელიც აქ ჩაიდინეს გონებაჩლუნგმა ახალგაზრდებმა და, სამწუხაროდ უნდა მოგახსენოთ, მათზე არანაკლებ ყეყეჩმა ჭენტლმენებმა. მე ვიმეორებ, რომ

აღმოვაჩინე ახალი ასპარეზი მეცნიერული გამოკვლევებისათვის. თქვენ მედავებით ამაში. (საერთო ხმაური). მაშ მოდით და შევამოწმოთ. ხართ თუ არა თანახმა? ამოირჩიეთ თქვენი მხრივ ერთი ან რამდენიმე წარმომადგენელი, რომლებიც შეამოწმებენ ჩემი სიტყვების სიმართლეს.

შედარებითი ანატომიის პროფესორი მისტერ სამერლი - მაღალი, ღვარძლიანი მოხუცი, რომელსაც სიგამხდრე ღვთისმეტყველის შესახედაობას აძლევდა, ადგილიდან წამოხტა. მან მოისურვა გაგება, ეს აღმოჩენა, რომელზედაც პროფესორი ჩელენჯერი მოგვახსენებდა, დაკავშირებული იყო თუ არა იმ მოგზაურობასთან, რომელიც მან ორი წლის წინათ მდინარე ამაზონის სათავეებთან ჩაატარა.

პროფესორმა ჩელენჯერმა დაუდასტურა.

პროფესორ სამერლის ძლიერ გაუკვირდა, თუ როგორ შეძლო პროფესორმა ჩელენჯერმა აღმოეჩინა რაღაც საოცრებანი იმ ადგილებში, რაც შესწავლილია უოლესის, ბეიტსის და სხვა მეცნიერთა მიერ, რომელთაც სრულიად დამსახურებულად აქვთ სახელი მოპოვებული.

ამაზე პროფესორმა ჩელენჯერმა უპასუხა: მისტერ სამერლი ალბათ ამაზონს ტემზისაგან ვერ ასხვავებსო.

- ამაზონი ტემზაზე ბევრად უფრო დიდია. იქნებ მისტერ სამერლიმ არ იცის, რომ მდინარე ამაზონს მდინარე ორინოკო უერთდება და მათი საერთო სიგრძე ორმოცდაათ ათას კვადრატულ მილს ფარავს. ასეთ ვეებერთელა სივრცეზე არც ისე საკვირველია, თანამედროვე მკვლევარმა შეამჩნიოს ის, რაც ვერ შენიშნა მისმა წინამორბედმა.

მისტერ სამერლიმ მნარე ღიმილით უპასუხა, საუცხოოდ ვასხვავებ ტემზას ამაზონისაგან, რაც იმაში მდგომარეობს, რომ პირველის შემოწმება ადვილად შეიძლება, ხოლო მეორეზე, რასაც გინდა, იტყვი - ძნელი შესამოწმებელიაო; თან დაუმატა, რომ იგი დიდად დავალებული იქნებოდა, თუკი პროფესორი ჩელენჯერი აცნობებდა მას, რომელი გრადუსის განედსა და გრძედზე მდებარეობს ის ადგილი, სადაც ეს წინაისტორიული ცხოველები იმყოფებიან.

პროფესორმა ჩელენჯერმა მიუგო: აქამდე თავს ვიკავებდი, გამეხმაურებინა ეს ცნობები საფუძვლიანი მოსაზრებების გამო, მაგრამ ახლა, რა თქმა უნდა, ზოგიერთი პირობით, მზად ვარ წარმოვუდგინო კომისიას, რომელსაც აუდიტორია აირჩევს; იქნებ მისტერ სამერლიმაც ისურვოს ამ კომისიაში მუშაობა და პირადად დარწმუნდეს პროფესორი ჩელენჯერის მტკიცებათა სიმართლეშიო?

მისტერ სამერლი: „ დიახ, თანახმა ვარ “ . (მქუხარე ტაში).

პროფესორი ჩელენჯერი: „ მაშინ მე მოვალე ვარ, წარმოგიდგინოთ ყველა აუცილებელი ცნობა, რომელიც დაგეხმარებათ, დანიშნულ ადგილს მიაღწიოთ. მაგრამ ვინაიდან მისტერ სამერლი იმისათვის მიემგზავრება, რომ შეამოწმოს ჩვენი ნათქვამი, მე მგონი, სამართლიანი იქნებოდა, თუ მასაც ვინმე შეამოწმებდა. ამასთანავე ძნელი დასამალია ის ამბავი, რომ თქვენი მგზავრობა დიდ სიძნელეებსა და განსაცდელთან იქნება დაკავშირებული. ამიტომ, მისტერ სამერლის უფრო ახალგაზრდა თანამგზავრი ესაჭიროება. იქნებ მსურველები აქვე, დარბაზში აღმოჩნდნენ?“

ასე მოულოდნელად ხდება ხოლმე გარდატეხა ადამიანის

ცხოვრებაში! რას ვითიქრებდი, როდესაც ამ დარბაზში შემოვდგი ფეხი, რომ ისეთ არაჩვეულებრივ თვეგადასავალთა ზღურბლზე ვიმყოფებოდი, რომელთა მსგავსი მე არასოდეს დამსიზმრებია! ო, გლედის! ისიც ხომ ამას მომინონებდა! იგი, ალბათ, გზას დამილოცავდა ასეთი გმირობისაკენ. მე ადგილიდან წამოვიჭერი. სიტყვები თავისთავად მოდიოდა.

ჩემი მეზობელი ტარპ ჰენრი მქაჩავდა პიჭავის კალთებზე და ჩამჩურჩულებდა:

- დაჯექით, მელოუნ! თავს ნუ ისულელებთ ამ პატიოსან საზოგადოებაში.

იმავე წამს წინა რიგებში წამოდგა ვიღაც მაღალი, ქერათმიანი მამაკაცი. მან ბრაზიანად გადმომხედა, მაგრამ მე მაინც არ დავიხიე უკან.

- ბატონო თავმჯდომარევ, მე მსურს წასვლა! - გავიმეორე მე.  
- სახელი, სახელი! - მოითხოვდა ხალხი.  
- მე მქვია ედუარდ დან მელოუნ. „ დეილი - გაზეთის “ რეპორტიორი გახლავართ. პირობას გაძლევთ, რომ სრულიად მიუდგომელი მოწმე ვიქნები.

- თქვენი სახელი, სერ? - მიმართა თავმჯდომარემ ჩემს მოქიშვეს.  
- ლორდ ჰონ როქსტონი. მე ვყოფილვარ ამაზონზე, კარგად ვიცნობ იმ ადგილებს და ამიტომ საფუძველი მაქვს, ჩემი კანდიდატურა შემოგთავაზოთ.

- დიახ, ლორდ ჰონ როქსტონს მოპოვებული აქვს მსოფლიო სახელი, როგორც მოგზაურსა და მონადირეს, - განაცხადა

თავმჯდომარებ, - მაგრამ ურიგო არ იქნებოდა, პრესის  
წარმომადგენელი ყოფილიყო ამ ექსპედიციის მონაწილე.

- რაკი ასეა საქმე, - თქვა პროფესორმა ჩელენჯერმა, - მე  
მოვითხოვ, რომ ორივე დასახელებული ჰენტლმენი ამოირჩიოს  
კრებამ, მისტერ სამერლის თანამგზავრებად. მოგზაურობის მიზანი კი  
იქნება გამოკვლევა ჩემი სიმართლისა.

ამრიგად, მთელი დარბაზის ტაშსა და გრიალში გადაწყდა ჩვენი  
ბედ-იღბალი. მე თავბრუდასხმული ვიყავი, - უდიდესი პერსპექტივების  
წინაშე მდგომი, ხალხის ნაკადს შევუერთდი; იგი კარისაკენ  
მიმათრევდა და ქუჩაში გამოსვლისთანავე ბუნდოვნად ჩამრჩა  
მეხსიერებაში შემდეგი სურათი: მხიარული ბრძო ქვაფენილზე  
მიეშურებოდა, მათ ცენტრში კი ვიღაცის ხელი მოჩანდა, მძიმე  
ქოლგით შეიარაღებული, რომელიც თითქოს სტუდენტების თავზე  
მიდიოდა. შემდეგ დაიძრა პროფესორი ჩელენჯერის  
ელექტროკარეტა, იგი თავაშვებული სტუდენტების მხიარულმა  
ღრიანცელმა და დაზარალებულთა კვნესამ გააცილა. მე გავუდექი  
გზას რიჭენსტრიტისაკენ.

ჩემი ფიქრები გლედისის ირგვლივ ტრიალებდა, ნეტავ რას  
მიქადდა მომავალი?

უცებ ვიღაცამ მკლავში ხელი წამავლო. შემოვტრიალდი და  
დავინახე მაღალი, გამხდარი კაცის მბრძანებლური მზერა. იგი  
დამცინავი ღიმილით მომჩერებოდა. ეს გახლდათ ამ უცნაური  
ექსპედიციის მოხალისე წევრი.

- მისტერ მელოუნ, თუ არ ვცდები?! - მომმართა მან. - დღეიდან ჩვენ

ამხანაგები ვართ, ხომ ასეა? მე აქვე ახლოს ვცხოვრობ ოლბენში. იქნებ წამობრძანდეთ ნახევარი საათით? მე დიდი სურვილი მაქვს თქვენთან საუბრის.

თავი მეექვსე

„ მე მათი ღვთის რისხვა ვიყავი „

ლორდ ჭონ როქსტონმა ვიგო-სტრიტისაკენ გაუხვია, ჩვენ გავიარეთ ჩაბნელებული შეკების მთელი რიგი და შევედით ოლბენში, ამ ცნობილ არისტოკრატიულ ბუდეში. ჩემმა ახალმა ნაცნობმა გრძელ ჩაბნელებულ დერეფანში გამატარა, კარი შეაღო და ელექტრონი გაანათა. რამდენიმე ნათურამ ღია ფერის აბაჟურების ქვეშიდან ლილისფერი სინათლე მოჰყონა ვეებერთელა ოთახს. მე ჭერ კიდევ ზღურბლთან ვიდექი, რომ ვიგრძენი, აქ ყოველივე არაჩვეულებრივად ფაქიზი, კომფორტული და ამავე დროს ვაჟვაცური იყო.

ფუფუნების საგნები ამტკიცებდა, რომ ოთახის მფლობელი მდიდარი და დახვეწილი გემოვნების უნდა ყოფილიყო, მაგრამ უცოლო მამაკაცის დაუდევრობა მაინც იგრძნობოდა...

იატაკი ძვირფასბენვიანი ტყავებით და უცნაური ხალებით იყო მოფენილი. ცისარტყელასავით მრავალფეროვანი ხალები უთუოდ აღმოსავლური ბაზრიდან იყო ჩამოტანილი.

კედელზე სურათები და გრავიურები ეკიდა, მათი ღირსება და ფასი

ჩემი გამოუცდელი თვალისათვისაც ვი აშკარა იყო.

ბოქსერების, ბალერინებისა და დოღის ცხენების ფოტოსურათები კარგად ეხმატვილებოდა ფრაგონარის, ჟირარდესა და მეოცნებე ტერნერის ტილოებს. აქვე, ამ საუცხოო საგნებთან ერთად იყო ისეთი ნივთებიც, რომლებიც მიანიშნებდა, რომ ლორდ ჭონ როქსტონი ჩვენი დროის შესანიშნავი მონადირე და სპორტსმენი იყო. ბუხრის თავზე ორი გადაჭვარედინებული ნიჩაბი იდო - მუქი ლურჯი და წითელი. ოქსფორდში ყოფნისას მენიჩბეობით გატაცებას ამხელდნენ ისინი. აქვე დაკიდებული რაპირა და მოკრივის ხელთათმანები ადასტურებდა, რომ ამ დარგშიც ჰქონდა ამ ნივთების მფლობელს დაფნის გვირგვინები. მთელი ოთახი არქიტექტურული კოზმიდის მსგავსად მორთული იყო ნანადირევით - მსოფლიოს ყველა კუთხეში გავრცელებული დიდი მხეცების თავებით. ამ შესანიშნავი კოლექციის მარგალიტი ვი იშვიათი თეთრი მარტორქის თავი იყო, ამპარტავნულად გამოშვერილი ლაფშებით.

შეა ოთახში ბენვის წითელ ნოხზე ლუდოვიკო XV-ს დროინდელი მოოქრული მაგიდა იდგა -შესანიშნავი ანტიკვარული ნივთი, ჭიქებისა და სიგარეტების ნამწვავებისაგან დალაქავებული. მაგიდაზე ვერცხლის ლანგარი და გაპრიალებული ნიამდანი იდგა ბოთლებიანად.

სიტყვაძვირმა სახლის პატრონმა იმწამსვე ნახევრად შეავსო ორი ჭიქა და იქვე მდგომი სიფონიდან სოდიანი წყალი მიუმატა. სავარძელზე მიმითითა, ჭიქა იქვე მაგიდაზე დამიდგა და გრძელი ჰავანური სიგარა გამომინდა. თავად ჩემ პირდაპირ დაჭდა და

თავისი უცნაური თვალებით დამაშტერდა. ღია ლურჯი თვალები ცივად გამოიყერებოდა, როგორც მთის ყინულოვანი ტბა.

სიგარის თხელ კვამლში ვუკვირდებოდი მის სახეს, უკვე ნაცნობს მრავალი ფოტოსურათის მიხედვით: კეხიანი ცხვირი, გამხდარი ჩაცვენილი ლოყები, მუქი ქერა თმა, რომელიც საქოჩრებე უკვე შესთხელებოდა, დაგრეხილი ულვაში... მასში იყო რაღაც ნაპოლეონ III-სა, დონ-კიხოტისა და ტიპური ინგლისელი ჰენტლმენისაც, რომელიც სპორტს მისდევს, ძაღლებისა და ცხენების მოყვარულია და მუდამ ხალისიანი და მოძრავია.

მისი კანი მზისა და ქარისაგან აგურისფრად იყო შეფერილი. დაფანჩული, ჩამოფხატული წარბები ისედაც ცივ თვალებს მკაცრ გამომეტყველებას აძლევდა. ამ შთაბეჭდილებას აძლიერებდა აგრეთვე ნაოჭებით დაღარული მაღალი შუბლი. იგი გამხდარი იყო, მაგრამ ძლიერი აგებულების. რაც შეეხება ფიზიკურ გამძლეობასა და დაუღლელობას, მას არაერთხელ დაუმტკიცებია, რომ ინგლისში თითქმის ტოლი არ ჰყავდა ამაში. სიმაღლით იგი ექვს ფუტს აღემატებოდა, მაგრამ საშუალო ტანის გეგონებოდათ, ვინაიდან ოდნავ მოხრილი იყო.

ასეთი გახლდათ ცნობილი ლორდი ჭონ როქსტონი. ახლა იგი ჩემ პირდაპირ მჯდარი, ყურადღებით მათვალიერებდა და თითქოს არ უნდოდა დაერღვია ჩვენ შორის ჩამოვარდნილი უხერხული სიჩუმე, სიგარას ღეჭავდა და დუმდა.

- მაშ ასე, - წარმოთქვა მან ბოლოს, - უკან დახევა შეუძლებელია, ძვირფასო ჭაბუკო, მე და თქვენ თვალებით გადავხტით სადღაც...

დარბაზში რომ შემოხვედით, ალბათ აზრადაც არა გქონდათ ეს ამბავი?

- ასეთი რამ არც მომლანდებია.
- რა თქმა უნდა, არც მე მომლანდებია. ახლა კი ორივენი გავებით ამ საქმეში. ღმერთო ჩემო, მე ხომ სამი კვირაა, რაც უგანდიდან დავბრუნდი; უკვე მოვასნარი შოტლანდიაში კოტეჭის დაქირავება, ხელშეკრულებასაც ხელი მოვაწერე... როგორ მოგწონთ! თქვენი გეგმებიც ჩაგეფუშებოდათ, ალბათ?
- სრულიადაც არა, ეს ჩემი ხელობაა: მე ხომ უურნალისტი ვარ, „დეილი გაზეთის“ თანამშრომელი.
- დიახ, რა თქმა უნდა. თქვენ უკვე მითხარით წელან. ჰო, რაღაც უნდა გთხოვო, ვერ დამეხმარებოდით?
- სიამოვნებით.
- ოღონდ სარისკო საქმეა... რას იტყვით?
- მაინც რა არის ასეთი სარისკო?
- აი, რა: მე თქვენ წაგიყვანთ ბილინგერთან, იქნებ გაგიგონიათ მისი სახელი!
- არა.

- ერთი მითხარით, ყმაწვილო, რომელ ქვეყანაში ცხოვრობთ? სერ ჯონ ბილინგერი ჩვენი საუკეთესო ცხენოსანია. ვაკეჩე კიდევ მოვახერხებდი მასთან შეჯიბრებას, დაბრკოლებიან დოღზე კი რა მოგახსენოთ, იგი მუდამ მისწრებს. მაშ ასე, ყველასათვის ცნობილია, რომ როგორც კი მორჩება ვარჯიშს, ბილინგერი მაშინვე იწყებს სმას. სამშაბათს ისე დამთვრალა, რომ ხურვება დააწყებინა. მას მერე

ცოფიანივითაა. აქვე, ჩემ გემოთ ცხოვრობს. ექიმი მარწმუნებს, რომ თუ საკვები არ მივაღებინეთ, განწირულიაო. მსახურნი შემოეცალნენ ამ ჰენტლმენს, რადგან იგი წევს გატენილი რევოლვერით ხელში და იმუქრება, ვინც ჩემთან მობედავს, შუბლში ექვს ტყვიას დავახლიო. უნდა მოგახსენოთ, რომ ჭონი საერთოდ ძალზე ჭიუტია, ამასთან არასოდეს აცილებს მიზანს. მაგრამ განა შეიძლება ასეთი საუცხოო ცხენოსანი, რომელსაც დიდი ნაციონალური ჭილდო აქვს მიღებული, ასეთი სამარცხვინო სიკვდილით დაიღუპოს?! თქვენ რას იტყვით?

- მაინც რა უნდა ვქნათ, როგორ ფიქრობთ? - შევეკითხე მე.
- იქნებ ჩვენ ორნი გავუმკლავდეთ მას. ჩვენდა ბედად, შეიძლება ახლა სძინავს კიდეც. უარეს შემთხვევაში, იგი რომელიმე ჩვენგანს დაჭრის, სამაგიეროდ მეორე შეძლებს მასთან გამკლავებას. ჩვენ რომ მოვახერხებდეთ და ხელებს შევუკრავდეთ, მაშინვე ტელეფონით ექიმს გამოვიძახებდით და კუჭის დამაღით ჩინებულ ვახშამს ვაჭმევდით.

მაინცდამაინც სასიხარულო არ არის, კაცი რომ ასეთ დავიდარებას გადაეყრება უცებ. მე ჩემი თავი დიდ ვაჟვაცად არ მიმაჩნია და ყველაფერი ახალი, შეუცნობელი წინასწარ ბევრად უფრო საშიში მგონია, ვიდრე სინამდვილეშია.

ასეთია წმინდა ირლანდიელის მგზნებარე წარმოდგენა. მეორე მხრივ კი, პატარაობიდანვე შთამაგონებდნენ მხდალობის სიძულვილსა და სირცხვილს. ვინმეს რომ შეპეპაროდა ეჭვი ჩემს ვაჟვაცობაში, უფსკრულში გადავარდნას ვარჩევდი და ამას ჩავიდენდი არა გულადობის გამო, არამედ თავმოყვარეობისა და იმის გამო, რომ სირცხვილი მომკლავდა. ასე რომ, თუმცა ყოველი ძარღვი მითრთოდა

იმ უგუნური ლოთის მოგონებაზე, რომელიც ზედა ოთახში მეგულებოდა, მაინც ვცდილობდი, გულგრილი ტონით მელაპარაკა, რათა ჩემს ხმას არ გაემხილა ჩემი შინაგანი მღელვარება. ლორდ როქსტონს თანხმობა გამოვუცხადე. იგი კვლავ შეეცადა საშიშროებაზე ლაპარაკს, რამაც მე მხოლოდ გამაღიზიანა და მოთმინებიდან გამომიყვანა.

- ლაპარაკით საქმეს ვერ ვუშველით, - წარმოვთქვი მე, - წავიდეთ.

წამოვდექი ადგილიდან. ისიც მაშინვენამოდგა. შემდეგ ოდნავ გაეღიმა, მხარზე ხელი დამკრა და კვლავ სავარძელზე მიმითითა.

- ძალიან კარგი, ჭაბუკო... გამოდგებით.

მე გაკვირვებულმა შევხედე მას.

- დღეს დილით მე თვითონ ვიყავი ჭონ ბილინგერთან და მხოლოდ კიმანოს ქობაში მომახვედრა ტყვია, - მადლობა ღმერთს, რომ ხელები უკანვალებდა! მაგრამ ჩვენ მაინც მოვახერხეთ მისი დამშვიდება. რამდენიმე დღეში მოხუცი სრულიად გამოჯანმრთელდება. ხომ არ მიჰავრდებით, ჩემო კარგო? ჩვენ შორის დარჩეს და, ეს სამხრეთ ამერიკის ექსპედიცია მეტად სერიოზული საქმეა, ამიტომ მინდა კლდესავით მაგარი და სანდო თანამგზავრი მყავდეს. მაპატიეთ, რომ ეს პატარა გამოცდა მოგიწყვეთ, რომელიც, უნდა მოგახსენოთ, თქვენ ღირსეულად დაიჭირეთ. ალბათ, თქვენც ატყობთ, რომ ჩვენ ჩვენივე თავის იმედი გვექნება მხოლოდ. მოხუც სამერლის პირველი ნაბიჭის გადადგმის შემდეგ უკვე ძიძა დასჭირდება. პო, მართალია, თქვენ ის მელოუნი ხომ არ ხართ, რაგბის თამაშის პირველობაში რომ უნდა მიიღოს მონაწილეობა ირლანდიელთა გუნდში?

- დიახ, მაგრამ, ალბათ სათადარიგო შემადგენლობაში.  
- აკი ვთქვი, მეცნიერება-მეთქი! თქვენი შეხვედრა  
რიჩნონდელებთან საუკეთესო იყო მთელ სეზონში! მე ვცდილობ,  
რაგბის არც ერთი შეჯიბრება არ გამოვტოვო, - ეს ხომ ყველაზე  
ვაჟვაცური სახეა სპორტისა. თუმცა მე თქვენ იმისათვის არ  
მომიწვევიხარ, რომ რაგბის თამაშებზე გესაუბროთ. ისევ საქმეს  
დავუბრუნდეთ! აი აქ, „ტაიმსის“ პირველ გვერდზე, გემით მიმოსვლის  
განრიგებია, როგორც ხედავთ. მომავალ ოთხშაბათს გადის  
გემპარისაკენ. თქვენ და პროფესორი, თუ მოასწრებთ, კარგი  
იქნებოდა, ამ გემს გავყოლოდით. რას იტყვით? ძალიან კარგი,  
პროფესორს მე თვითონ მოველაპარაკები. თქვენი მოწყობილობის  
საქმე როგორდაა?

- ამაზე ჩემი გაზეთი იზრუნებს.
- სროლა იცით?
- თითქმის ისე, როგორც ტერიტორიული ჭარების საშუალო  
მსროლელი მოახერხებს.
- ოჰ, ღმერთო ჩემო, ასე ცუდად? ახლანდელ ახალგაზრდებს ეგ  
არაფრად მიგაჩნიათ. თქვენ ყველანი უნესტრო ფუტკრები ხართ.  
ასეთები სკას ვერ დაიცავენ! აი, დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვები: ერთ  
მშვენიერ დღეს მთელ თაფლს წაგართმევენ და ვნახოთ, რა ვაჟვაცები  
იქნებით! არა, ჩემო კარგო, სამხრეთ ამერიკაში იარაღს ოსტატურად  
უნდა ხმარობდეთ, იმიტომ, რომ თუ ჩვენი მეგობარი პროფესორი  
ჩელენჯერი შეშლილი და მატყუარა არაა, ჩვენ იქ საინტერესო ამბები  
მოგველის. როგორი თოფი გაქვთ თქვენ?

ლორდ როქსტონი მუხის კარადასთან მივიდა, კარი გამოაღო და პრიალა თოფის ლულები დავინახე, ორდანოს მიღებივით ერთ რიგზე ჩამწკრივებული.

- აბა, ვნახოთ, რა შემიძლია დაგითმოთ ამ ჩემი არსენალიდან, - თქვა ლორდ როქსტონმა.

მან გადმოალაგა საუკეთესო თოფები, ხსნიდა მათ და ატკაცუნებდა საკეტებს. ალერსიან დედასავით ნაზად უსვამდა ხელს და ფრთხილად დებდა ადგილზე.

- აი, „ ბლენდი “ . ამით მოვკალი ის გიგანტი, - მან თეთრ მარტორქაზე მიმითითა, - ათი ნაბიჭით უფრო ახლოს რომ ვყოფილიყავი, ეს მხეცი უსათუოდ გაადიდებდა თავის მსხვერპლთა კოლექციას.

ბედი ჩემი ტყვიაზე კიდია.

ტყვია კი დაგიცავს ყოველგვარ ბრძოლაში.

ვიმედოვნებ, თქვენ კარგად იცნობთ გორდონის ლექსებს! ეს ის პოეტია, რომელიც უმღერის თოფებს, ცხენებს და იმ ადამიანებს, ვინც იცის ორივეს მოვლა. აი, კიდევ ერთი სასარგებლო ნივთი, ტელესკოპური სამიზნო, ორმაგი ჟეკტორი, საუცხოო დასამიზნებელია. სამი წლის წინ მე მომიხდა ამ თოფით პერუელთა მონათმფლობელების წინააღმდეგ გალაშქრება. ამ ადგილებში მე ღვთის რისხვას მიწოდებდნენ. ზოგჯერ ისეთ მდგომარეობაში ჩავარდება კაცი, ჩემო კარგო, რომ ყოველი ჩვენგანი მოვალეა, დაიცვას ისეთი ადამიანური უფლებები და სიმართლე, რათა შემდეგ სინდისის ქენჭნა არ იგრძნოს.

აი, რატომ ვიბრძოდი მე იქ და დიდი რისკიც გავწიე.

მე თვითონ გამოვუცხადე ამი, თვითონვე ვიბრძოდი და თვითონვე მოვუდე მათ ბოლო. ყოველი ჭდე - ეს ჩემ მიერ მოკლული არამზადა გახლავთ. შემდეგ, მთელი კიბეა! ყველაზე დიდი ნიშანი მაშინ გავაკეთე, უდიდესი მონათმფლობელი პედრო ლოპესი რომ მოვკალი მდინარე პეტუმაიოს ერთ-ერთ შესართავთან... აი, ეს თოფი გამოგადგებათ.

მან კარადიდან ვერცხლით მოვარაყებული შესანიშნავი შაშხანა გამოიღო.

- სამიზნე ზუსტი აქვს, ვაზნების მჯიდე ხუთპატრონიანია. თავისუფლად შეგიძლიათ ანდოთ მას თქვენი სიცოცხლე.

ლორდ როქსტონმა შაშხანა გამომიწოდა და კარადა დაკეტა.

- ახლა ესეც მითხარით, - თქვა მან და ისევ სავარძელში ჩაჯდა, - რა იცით პროფესორ ჩელენჯერზე?

- დღეს იგი პირველად ვიხილე.

- მეც პირველად ვნახე. საოცარია, რომ სრულიად უცნობი კაცის სიტყვებს ვენდეთ და სამხრეთ ამერიკაში მივემგზავრებით. იგი თითქოს საკმაოდ თავხედი უნდა იყოს და მეცნიერ-თანამოძმეთა სიყვარულით არ უნდა სარგებლობდეს. რატომ დაგაინტერესათ თქვენ მან?

მე მოკლედ ვუამბე მას ჩემი დილანდელი თავგადასავალი. ლორდ როქსტონმა ყურადღებით მომისმინა, შემდეგ სამხრეთ ამერიკის რუკა გადმოიღო და მაგიდაზე გაშალა.

- ჩელენჯერი სიმართლეს ამბობს, -სერიოზულად თქვა მან, - და

დაიმახსოვრეთ, მე ამას მოუფიქრებლად არ ვამტკიცებ. სამხრეთ ამერიკა ჩემი საყვარელი ქვეყანაა და იმ ვეებერთელა სივრცეში დარიენის ყურიდან ცეცხლოვან მიწამდე მაგაზე უფრო განსაცვიფრებელს თავისი სიდიადითა და სიმშვენიერით მთელ ქვეყანაზე ვერაფერს ნახავთ. ამ ქვეყანას ჭერ არ იცნობენ და ვერც ვერავინ წარმოიდგენს, თუ რა დიდი მომავალი აქვს მას. მე მიმოგზაურია სამხრეთ ამერიკაში სიგრძე-სიგანეზე. გვალვის დროს ორჯერ მოვხვდი იმ ადგილებში, სადაც ვებრძოდი მონებით მოვაჭრებს. ამის შესახებ უკვე გიამბეთ... ჰოდა, ხშირად გამიგონია იქ ამგვარი ლეგენდები. ეს ინდური თქმულებებია და მათ მიღმა უთუოდ რაღაც საიდუმლოებაა მიჩქმალული. რაც უფრო ახლო ეცნობი სამხრეთ ამერიკას, ჩემო მეგობარო, მით უფრო რწმუნდები, რომ აქ ყველაფერი შესაძლებელია! მდინარის ორი ვიწრო ხეობაა, რომლებითაც მგზავრები მიემართებიან, ამ ხეობის მიღმა კი ყოველივე საიდუმლოებითაა მოცული. აი აქ, მატოგროსოს ზეგანზე, - მან სიგარით მაჩვენა რუკაზე ეს ადგილი, - ან ამ კუთხეში, სადაც სამი მეზობელი სახელმწიფო საზღვრები ერთდება, - ყველაფერი შესაძლებელია. მე არაფერი გამაკვირვებს. როგორც დღეს ჩელენჯერმა თქვა, ამაზონი ორმოცდაათი ათასი კვადრატული მილის მანძილზე რწყავს ტროპიკული ტყეებით გარემოცულ ქვეყანას. ეს სივრცე თითქმის მთელი ევროპის ფართობს უდრის. ჩვენ შეიძლება ორივენი ბრაზილიის ჭუნგლებში ვიყოთ და ამასთან, ერთმანეთს დაშორებული ისეთივე მანძილით, როგორითაც მაგალითად, შოტლანდია კონსტანტინოპოლისაგან. ადამიანმა იმ ადგილებში

მხოლოდ აქა-იქ მოახერხა ბილიკების გაკვლევა. აბა ნახეთ, რა ხდება წვიმების დროს? ამაზონი წყალდიდობისას მატულობს, არანაკლებ ორმოცი ფუტის სიმაღლემდე ზღვის დონიდან და ირგვლივ გაუვალ ჭაობებს აჩენს. სწორედ ასეთ ქვეყანაშია მოსალოდნელი ყოველგვარი საიდუმლოებანი და საოცრებანი და რატომ არ უნდა გამოვიცნოთ ისინი? გარდა ამისა, - ამ დროს ლორდ როქსტონის უცნაური სახე კმაყოფილმა ღიმილმა გაანათა, - იქ ყოველ ნაბიჭე საშიშროება მოგველის, რაც მე, როგორც სპორტსმენს, ძალზე მიზიდავს. მე ნამდვილი ძველი გოლფის ბურთი ვარ - თეთრი საღებავი დიდი ხანია მომცილდა და, ახლა ბედმა საითაც უნდა გადამისროლოს, ვერაფერს დამაკლებს. რისკი, ჩემო საყვარელო ჭაბუკო, ჩვენს ცხოვრებას ალამაზებს და ახალისებს. ჩვენ მეტისმეტად გავსათუთდით, მოვდუნდით და მივეჩვიეთ მყედროებას. მომეცით ხელში შაშხანა, ფართო ჰორიზონტი და განუზომელი სივრცე და მე სიამოვნებით გავემგზავრები იმის საძებრად, რაც საპოვნელია. რა არ გამომიცდია ცხოვრებაში: მიომია, დოღში მიმიღია მონაწილეობა, თვითმფრინავით გავფრენილვარ, მაგრამ ასეთ გასაოცარ ცხოველებზე ნადირობა, რომლებიც კაცს შეიძლება დაესიზმროს მხოლოდ, ჩემთვის სრულიად ახალი რამ არის, - წინასწარი სიამის განცდით მან მხიარულად გადაიხარხარა.

შესაძლებელია, ცოტა არ იყოს, გამიტაცა ჩემი ახალი ნაცნობის აღწერამ, მაგრამ ჩვენ დიდხანს მოგვიხდება ერთად ყოფნა და ამიტომ მინდოდა ამ ადამიანზე ჩემი პირველი შთაბეჭდილებები გამეზიარებინა, მისი ხასიათის, მეტყველებისა და აზროვნების

თავისებურებანი გამეცნო თქვენთვის. მხოლოდ იმ უცილობელმა მიზეზმა, რომ რედაქციაში საჩქაროდ უნდა ჩამებარებინა სხდომის ანგარიში, მაიძულა ლორდ როქსტონის დატოვება.

როცა მოვდიოდი, იგი ლამპის მოწითალო შუქით მოფენილ ოთახში იჯდა და გულმოდგინედ უცხებდა ზეთს თავისი საყვარელი შაშხანის საკეტს, თანაც ჩუმ-ჩუმად ეცინებოდა იმ თავგადასავალთა მოგონებაზე, რომელსაც ბედი გვიმზადებდა. და მე გავიმსჭვალე რწმენით, რომ, თუკი ჩვენს ექსპედიციას რაიმე საშიშროება მართლაც მოელოდა, მაშინ ინგლისში ვერ ვიპოვიდი ლორდ როქსტონზე მშვიდსა და გულად თანამგზავრს.

მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი დღის უჩვეულო ამბებმა საშინლად მომქანცა, მაინც დიდხანს ვიჰექი მაკ-არდლთან, რომელსაც მთლიანად განვუმარტე საქმის ვითარება. მან ეს ამბები იმდენად სერიოზულად მიიჩნია, რომ დააპირა მოეხსენებინა მეორე დღესვე ჩვენს პატრონ სერ ჯორჯ ბომონტისათვის.

ჩვენ შევთანხმდით, რომ მე მთელი ჩვენი თავგადასავლის დაწვრილებით ანგარიშს წერილების სახით ვაცნობებდი მაკ-არდლს; ეს წერილები კი პროფესორი ჩელენჯერის სანქციის მიხედვით ან მაშინვე დაიბეჭდებოდა ხოლმე, ან არადა შეინახავდნენ, ვინაიდან ჩვენ კიდევ არ ვიცნობდით იმ პირობებს, რომელზედაც დაგვეთანხმა იგი. ტელეფონით შევეკითხეთ და პროფესორმა საშინელი ყვირილი მორთო, პროტესტი განაცხადა პრესის მიმართ. შემდეგ, მოიჯერა გული რა ლანძღვა-გინებით, დაუმატა, რომ თუ ჩვენ მას ვაცნობებდით გამგზავრების დღესა და საათს, იგი გემზე მოგვაწვდიდა იმ

აუცილებელ ინსტრუქციებს, რომლებიც მას საჭიროდ მიაჩნდა.

მეორე შეკითხვაზე კი პასუხი ვეღარ მივიღეთ. მხოლოდ მისის ჩელენჯერი საცოდავად შეგვევედრა, რომ მისი მეუღლე აღარ გაგვეძიბიანებინა მეტად, - ისედაც ცოფიანივით არისო. მესამე ცდა, რომელიც იმავე დღეს ჩავატარეთ, კატასტროფულად დამთავრდა: ჩვენ გავიგონეთ საშინელი ჭახანი და ცოტა ხნის შემდეგ სატელეფონო ბიურომ გვაცნობა, რომ პროფესორი ჩელენჯერის ტელეფონი სრულიად დაიმსხვრა. ამის შემდეგ აღარ გვიცდია მასთან საუბარი.

ახლა კი, ჩემო სულგრძელო მკითხველნო, მე ვწყვეტ თქვენთან საუბარს. ამიერიდან (თუკი ამ ამბის გაგრძელება ოდესმე მოაღწევს თქვენამდე)ჩემს შემდგომ თავგადასავალს მხოლოდ გაზეთის საშუალებით გაიგებთ. მე ვაბარებ რედაქტორს მოვლენათა ანგარიშს იმ ამბებისას, რომლებმაც ჩაუყარა საწყისი მეცნიერების ისტორიაში ყველაზე უფრო შესანიშნავ ექსპედიციას და, თუ მე არ მიწერია ინგლისში დაბრუნება, თქვენ მაინც გაიგებთ, თუ როგორ მოხდა ეს ყოველივე.

მე ვამთავრებ ამ სტრიქონებს გემი „ ფრანცისკის “ სალონში. ლოცმანი წამოიღებს მისტერ მაკ-არდლისათვის გადასაცემად.

ნება მიბოძეთ, სანამ ამ წიგნს დავხურავდე, მოვხაზო კიდევ ერთი სურათი, - სურათი, რომელიც დარჩება ჩემს მესსიერებაში, როგორც უკანასკნელი მოგონება სამშობლოზე.

გვიანი გაზაფხულის ნისლიანი დილა, ცივი წვიმა ცრის, სანაპიროზე მოაბიჟებს სამი ფიგურა, პრიალა მაკინტოშებით შემოსილი. ისინი მიემართებიან დიდი გემის ტრაპზე, რომელზეც უკვე აღმართულია

ლურჯი დროშა. მათ წინ მებარგე ჩემოდნებით, პორტპლედებით და შაშხანებით დატვირთულ ტვირთს მოათრევს. ანონილი, დაღონებული პროფესორი სამერლი მიდის, თავზაღუნული ძლივს მიათრევს ფეხებს იმ ადამიანის მსგავსად, რომელიც მნარედ ინანიებს შეცდომას. ლორდ ჰონ როქსტონი, რომელსაც მონადირის კეპი ახურავს, მხნედ მიაბიჯებს და მისი ცოცხალი სახე ბრწყინავს ბედნიერებისაგან. მე კი ეჭვი არ მეპარება იმაში, რომ ჩემი შესახედაობა ბედნიერების გამომხატველია, რადგანაც უკანასკნელი დღეების მოუსვენრობა და გამოთხოვების სიმწარე უკან მოვიტოვე.

ჩვენ უკვე მივუახლოვდით გემს, როდესაც უკან ხმამაღალი ძახილი შემოგვესმა. ეს პროფესორი ჩელენჯერია, რომელიც გაცილებას შეგვპირდა. იგი სულმოუთქმელად მოგვდევდა უკან, სულ მთლად განითლებული და მნარედ განაწყენებული.

- არა, მაღლობელი ვარ, - ამბობს პროფესორი, - მე არ მაქვს სურვილი გემზე ამოსვლის. რამდენიმე სიტყვა მაქვს თქვენთვის სათქმელი, რომელსაც აქედანაც კარგად მოისმენთ. უპირველეს ყოვლისა, გთხოვთ, ნუ დამაყვედრით თქვენს წაბრძანებას. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ჩემთვის ეს სულერთია და არავითარ მოვალეობას არ მაკისრებს თქვენ წინაშე, ჭეშმარიტება მუდამ ჭეშმარიტებად დარჩება და ყველა ის გამოკვლევანი, რომელიც თქვენ უნდა ჩაატაროთ, მას კი არ შეცვლის, არამედ მხოლოდ გააღვავებს ზოგიერთი უვიცის ცნობისმოყვარეობას. თქვენთვის საჭირო ცნობები და ჩემი ინსტრუქციები აი ამ დალუქულ კონვერტშია მოთავსებული. ამას თქვენ გახსნით მაშინ, როდესაც ჩახვალთ ქალაქ

მანაოსში. იგი მდინარე ამაზონზე მდებარეობს. არაფრით გახსნათ ეს კონვერტი მითითებულ დროზე ადრე. მე ვენდობი თქვენს სინდისს და დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი პირობები ზუსტად იქნება დაცული.

მისტერ მელოუნ, არ მაქვს განგრახული, აგიკრძალოთ თქვენ კორესპონდირება, რადგანაც თქვენი მგზავრობის მიზანია, ფაქტობრივად გააშუქოთ ეს ამბავი. თქვენგან მხოლოდ ერთ რამეს მოვითხოვ: არ აცნობოთ ზუსტად, სად მიდიხართ, და არ მისცეთ ნება ექსპედიციის ცნობების გამოქვეყნებისა თქვენ დაბრუნებამდე.

მშვიდობით, სერ! თქვენ მოახერხეთ, რომ ჩემი შეხედულებანი ოდნავ შეცვლილიყო რეპორტიორების მიმართ.

მშვიდობით, ლორდ ჭონ! როგორც მე მსმენია, მეცნიერება თქვენთვის ბეჭდითა შვიდითა დაბეჭდილი წიგნია, მაგრამ ნადირობით კი ამ ადგილებში უთუოდ კმაყოფილი დარჩებით. ეჭვიც არ მეპარება, რომ ცოტა ხნის შემდეგ „ მონადირეში “ გამოქვეყნდება თქვენი შენიშვნები იმის გამო, თუ როგორ მოკალით დიმორფოდონი. თქვენც გეთხოვებით, პროფესორო სამერლი. თუკი თქვენ კვლავ გაქვთ ნიჭი თვითგაუმჯობესებისა, რისიც გულახდილად მოგახსენებთ, არა მჯერა, მაშინ ლონდონში დაჭვიანებული დაბრუნდებით.

იგი შემოტრიალდა ერთი წუთის შემდეგ მე ქიმიდან შევნიშნე ტანმორჩილი ფიგურა, რომელიც მატარებლისაკენ მიეშურებოდა.

ჩვენ უკვე შევედით ლა-მანშში. გაისმა უკანასკნელი ზარი, რომელმაც გვაცნობა, რომ დროა წერილების ჩაბარებისა. ახლა დავემშვიდობებით ლოცმანს.

ახლა კი „ წინ, გემო, გაცურე წინ! “ ღმერთო, გვიშველე ჩვენც,

მათაც, ვინც ნაპირზე დავტოვეთ, და მათაც, ვინც იმედოვნებს ჩვენს ბედნიერად შინ დაბრუნებას.

თავი მეშვიდე

„ხვალ ჩვენ უცნობ მხარეში მივდივართ“

თავს არ მოვაბეზრებ ჩემს მკითხველს იმისი აღწერით, თუ როგორ ვიმოგზაურეთ ჩვენ ოკეანის დიდი კომფორტაბელური გემით. არც იმას მოვიხსენებ, თუ როგორ გავატარეთ ერთი კვირა ქ. პარაში (დავჭრდები მხოლოდ მაღლობის გადახდას კომპანია „პეტრა-და პინტასთვის“, რომელიც საჭურვლის ყიდვაში დიდად დაგვეხმარა). მე მოკლედ შევეხები ჩვენს მოგზაურობას ვრცელსა და მღვრიე ამაზონზე. ამ მდინარის გემი სიდიდით თითქმის არ ჩამოუვარდებოდა ატლანტის ოკეანის გემს.

ხანგრძლივი მგზაურობის შემდეგ გავიარეთ ობიდოსის სრუტე და ქალაქ მანაოსში ჩავედით. იქ ჩვენ ბრიტანეთ-ბრაზილიის სავაჭრო კომპანიის აგენტის, მისტერ შორტმენის თავაზიანობის წყალობით, მოვახერხეთ თავიდან აგვეცდინა ის საეჭვო სიამოვნება, რომელიც ადგილობრივ სასტუმროში მოგველოდა. ჩვენ მის სტუმართმოყვარე მამულში ვიყავით იმ დრომდე, რომელიც პროფესორ ჩელენჯერის კონვერტში იყო აღნიშნული. მაგრამ სანამ გადავიდოდე იმდღევანდელი მოულოდნელი ამბების აღწერაზე, მინდოდა ჩემი

თანამგზავრების უფრო ვრცელი დახასიათება მომეცა; აგრეთვე თქვენთვის გამეცნო ის ხალხი, რომელიც ჩვენ შემოვიკრიბეთ სამხრეთ ამერიკაში ექსპედიციის მომსახურებისათვის.

მე გნერთ მთელი გულწრფელობით და ვენდობი თქვენს ტაქტიანობას, მისტერ მაკ-არდლ, რადგან გამოქვეყნებამდე მასალა თქვენს ხელში გაივლის.

მეცნიერული ღვანლი პროფესორ სამერლისა ძალიან კარგადაა ცნობილი, რადა საჭიროა ამაზე ლაპარაკი. იგი ბევრად უფრო შემზადებული აღმოჩნდა ამ მძიმე ექსპედიციისათვის, ვიდრე ჩვენ გვეგონა. მისმა გამხდარმა, ძარღვმაგარმა სხეულმა არ იცის დაღლა. ხოლო მისი მშრალი, გამკილავი და ხანდახან თითქმის მტრული ხასიათი უცვლელია ყოველნაირ პირობებში. მიუხედავად მისი ხანდაზმულობისა (იგი სამოცდახუთი წლისაა), ერთხელაც არ დაუჩივლია იმ სიძნელეებისა და გაჭირვების გამო, რომელთა გადატანა ჩვენ მოგვიხდა. თავდაპირველად ვშიშობდი, პროფესორი სამერლი ექსპედიციის ტვირთი იქნება-მეთქი, მაგრამ ახლა უნდა ვაღიარო, რომ იგი ჩემზე ნაკლებამტანი არ ყოფილა. სამერლი ღვარძლიანი ადამიანია და უდიდესი სკეპტიკოსი. იგი ახლაც არ მაღავს თავის მტკიცე რწმენას, თითქოს პროფესორი ჩელენჯერი წმინდა წყლის მატყუარა იყოს, ხოლო ჩვენი სულელური და სახითათო მოგზაურობა საბოლოოდ არაფერს მოგვიტანს, იმედგაცრუების გარდა, და რომ ჩვენ საქვეყნოდ გაგვამასხარავებენ ინგლისში. პროფესორი სამერლი სულ ამას ამტკიცებდა საუთჰემპტონიდან დაწყებული მანაოსამდე, ზიზღით იღრიჯებოდა და თხის წვერებს

აცანცარებდა.

ხმელეთზე რომ გადმოვედით, სამერლი ოდნავ ანუგეშა სამხრეთ ამერიკის ფრთოსანათა და მწერთა მრავალფეროვნებამ და სიმდიდრემ, რადგან იგი მეცნიერებისათვის მართლაც თავდადებულია. ახლა პროფესორი სამერლი დილიდანვე დახეტიალებს ტყეებში სანადირო თოფითა და პეპლების საჭერი ბადით ხელში, საღამოობით კი შესანახად ამზადებს მოპოვებულ ნიმუშებს. სხვა უცნაურობათა შორის აღსანიშნავია მისი სრული უყურადღებობა და დაუდევრობა გარეგნობის მიმართ, მეტისმეტი დაბნეულობა და ჟინი მოკლე ჩიბუხისა, რომელიც მას მუდამ გაჩრილი აქვს პირში. ახალგაზრდობაში პროფესორს მონაწილეობა მიუღია რამდენიმე სამეცნიერო ექსპედიციაში (იყო მაგალითად რობერტსონთან ერთად ავსტრალიაში), და ამიტომ მოხეტიალე ცხოვრება მისთვის ახალი ამბავი არ არის.

ლორდ ჭონ როქსტონი ოდნავ ჩამოჰვავს პროფესორ სამერლის. არსებითად კი ისინი ერთმანეთის საწინააღმდეგო ხასიათისანი არიან. ლორდ ჭონი ოცი წლით უმცროსი იქნება სამერლიზე, მაგრამ ისიც ასეთივე ანონილი და გამხდარია. როგორც მახსოვს, მისი გარეგნობა აგინერეთ კიდეც ჩემი მოთხრობის იმ ნაწილში, რომელიც ლონდონში დარჩა. იგი მუდამ სუთთაა, გულმოდგინედ და კოხტად ჩაცმული, მუდამ თეთრ ტანსაცმელში; ატარებს მაღალყელიან ყავისფერ ფეხსაცმელებს და დღეში ერთჭერ მაინც იპარსავს წვერს. როგორც მეტი წილი საქმიანი ადამიანებისა, ლორდ ჭონი სიტყვაძუნნია, უფრო ხშირად ჩაფიქრებული; მაგრამ, მიუხედავად ამისა, შეკითხვაზე მაშინვე

გიპასუხებთ და ხალისით ჩაებმება ხოლმე საერთო საუბარში, რომელსაც ლაზათს მატებს მოკლე, ნახევრად სერიოზული და ნახევრად სახუმარო რეპლიკებით. იგი შესანიშნავად იცნობს მსოფლიოს სხვადასხვა მხარეს, ხოლო სამხრეთ ამერიკას - განსაცვიფრებელი სიღრმითა და სიზუსტით. მას სწამს ჩვენი ექსპედიციის მიზანშენონილობის და პროფესორ სამერლის დაცინვას აინუნშიაც არ აგდებს. ლორდ როქსტონს რბილი ხმა და მშვიდი მანერები აქვს, მაგრამ მისი მოციმციმე ლურჯი თვალების სიღრმეში მიმაღულია რაღაც ისეთი, რომელიც გვაგრძნობინებს, რომ ამ თვალების პატრონს შეუძლია ბრაზისაგან გაცოფდეს და დაუნდობელი გახდეს. ხოლო მისი ჩვეულებრივი თავშეკავებულობა და სიდინჯე კიდევ უფრო აძლიერებს იმ გრძნობას, თუ რაოდენ საშიში იქნება ეს ადამიანი განრისხების ჟამს. მას არ უყვარს საუბარი თავის მოგზაურობაზე ბრაზილიასა და პერუში და ამიტომ მე აზრადაც არ მომსვლია, რომ მისი გამოჩენა ასე ააღელვებდა ამაზონის ნაპირზე მცხოვრებთ. ეს ადამიანები მას შესცქერიან, როგორც მფარველსა და საიმედო ქომაგს. ქერათმიანი ბელადის გმირობის ირგვლივ, როგორც მას აქ უწოდებენ, უკვე მთელი ლეგენდები შეუთხზავთ, მაგრამ ჩემთვის საკმარისი იყო ის ფაქტები, რომელთა გაგებაც მოვახერხე და ისინი თავისთავად განსაცვიფრებელნი არიან. მაგალითად, გამოირკვა, რომ ამ რამდენიმე წლის წინათ ლორდ ჭონი მოხვედრილა „უპატრონო მიწაზე“, რომლის საზღვრები ჭერ კიდევ დაუზუსტებელი იყო პერუსა, ბრაზილიასა და კოლუმბიას შორის. ამ ვეებერთელა სივრცეზე ბლომად იზრდება კაუჩუკის ხეები, რომელნიც მკვიდრთათვის,

კონგრესითა მსგავსად, უბედურების წყაროდ შეიქმნა და არანაკლები ბოროტება მოაქვს მათთვის, ვიდრე დარიენის ვერცხლის მაღნებში იძულებით ჭოჭოხეთურ შრომას ესპანელთა მბრძანებლობის დროს. არამთადა მეტისების ერთმა ჯგუფმა დაიპყრო მთელი ეს მხარე, გადაიბირა ნაწილი ინდიელებისა, შეაიარაღა ისინი და მათი დახმარებით სხვები მონებად აქცია. არაადამიანური წამებით აიძულეს ისინი, მოეჩეხათ კაუჩუკის ხეები და დაეცურებინათ მდინარეზე პარასკენ.

ლორდ ჭონ როქსტონმა სცადა დაჩაგრულთა გამოსარჩლება, მაგრამ შეურაცხყოფისა და მუქარის გარდა ვერაფერი მიიღო. მაშინ მან გამოუცხადა ომი მონათმფლობელების მეთაურს, ვინმე პედრო ლოპესს. თავი მოუყარა მონებს, შეაიარაღა ისინი და დაიწყო საომარი მოქმედებანი, თავისივე ტყვიით განგმირა მხეცი მეტისი და მის მიერ შემოღებული სისტემა მონობისა მოსპო.

ამის შემდეგ საკვირველი აღარ არის, რომ ამ ქერათმიანმა ადამიანმა ხავერდოვანი ხმით და თავისუფალი მანერებით, საერთო ყურადღება დაიმსახურა სამხრეთ ამერიკის დიდი მდინარის მთელ სანაპიროზე. თუმცა ყურადღების გრძნობები, როგორც მოსალოდნელია, სხვადასხვანაირია, რადგანაც ადგილობრივი მკვიდრნიმისი მადლიერნი არიან, მათი ყოფილი დამმონებელნი კი - სიძულვილით აღსავსე. იმ რამდენიმე თვეს, რომელიც ლორდ როქსტონმა ბრაზილიაში გაატარა, ფუქად არ ჩაუვლია: იგი თავისუფლად დაეუფლა ადგილობრივ ენას, რომლის სიტყვების ერთი მესამედი პორტუგალიური იყო, ხოლო ორი მესამედი - ინდური.

ზემოთ უკვე ვახსენე, რომ ლორდ ჭობ როქსტონს თქმის აბოდებდა სამხრეთ ამერიკაზე. იგი გატაცებით ლაპარაკობდა მასზე და ეს გატაცება გადამდები იყო, რადგან ჩემისთანა უვიცსაც კი გაუღვიძა ინტერესი ამ ქვეყნის მიმართ. ვწუხვარ, რომ არ ძალმიძს გადმოგცეთ მომხიბვლელობა მისი შესანიშნავი თხრობისა, რომელშიც ზუსტი ცოდნა ისე მჭიდროდ არის შერწყმული მგზნებარე ფანტაზიასთან, რომ თვით პროფესორი სამერლიც კი ყურადღებით უსმენს მას და სკეპტიკური ღიმილი თანდათან ქრება ხოლმე მისი გამხმარი პირისახიდან! ლორ ჭონი გვიყვებოდა ჩვენ ამ მედიდური მდინარის ისტორიას. ეს მდინარე გამოკვლეული იყო ჰერ კიდევ პირველი დამპყრობლებისაგან, რომელთაც ამ მდინარით გაუცურავთ მატერიკის ერთი კიდიდან მეორემდე, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც კიდევ ბევრი საიდუმლო იმაღება მის ვიწრო და ცვალებად სანაპირო ხაზში.

- რა არის იქ, იქითა მხარეში? - წამოიძახებდა იგი და ჩრდილოეთისაკენ მიგვითითებდა. - ჭაობები და გაუვალი ჭუნგლები. ვინ იცის, იქ რა იფარება? იქით კი, სამხრეთით? ველური შამბნარიანი ჭაობებია, სადაც თეთრს ჰერ ფეხი არ დაუდგამს. შეუცნობელი სამყარო გვარტყია ჩვენ ყოველმხრივ. რა ვიცით ჩვენ, რა ხდება ამ მდინარის სანაპიროების მიღმა? ვის შეუძლია თქვას, რომ მოხუცი ჩელენჯერი მართალს არ ამბობდა?

პროფესორი სამერლი ამ სიტყვებს ისე იღებდა, როგორც პირდაპირ გამოწვევას. ჭიუტი ღიმილი კვლავ გაიშლებოდა მის სახეზე. იგი ირონიულად აქნევდა თავს, ჩიბუხიდან დაუსრულებლად უშვებდა

კვამლს და არც ერთი სიტყვით არ არღვევდა მტრულ სიჩუმეს.

მაგრამ კმარა ამდენი ლაპარაკი ჩემს ორ თეთრ თანამგზავრზე; მათი ხასიათი და ნაკლი, ისევე როგორც ჩემი, მომავალში გაირკვევა. ჭობს მოგითხოვთ იმ ადამიანებზე, რომელთაც შემდეგში იქნებ არც ისე პატარა როლი ითამაშონ.

დავიწყოთ გოლიათი ზანგით, რომელსაც სახელად სამბო ჰქვია. ეს შავი ჰერკულესი ცხენივით მუშაობს და დაახლოებით ისეთივე ჭკუითაა დაჭილდოებული. ჩვენ იგი ქალაქ პარაში დავიქირავეთ, გემთა კომპანიის რეკომენდაციით, ამ გემებზე მას ჩიქორთული ინგლისური შეუსწავლია.

იქვე, პარაში, ჩვენ გადავიბირეთ ორი მეტისი, რომელნიც ამაზონკის სათავეებიდან წითელ ხეს აცურებდნენ ქალაქისაკენ. მათ ერქვათ: ჰომესი და მანუელი - შავგვრემანები, წვეროსნები და მძვინვარე შესახედავნი, მათი ღონე და სიმარდე ავაზასაც კი შეშურდებოდა. ჰომესსა და მანუელს მთელი თავისი სიცოცხლე ზედა ამაზონის აუზის იმ ნაწილებში გაეტარებინათ, რომელიც ჩვენ უნდა გამოგვეკვლია, და უფრო ამიტომ აიყვანა ლორდ ჭონმა ისინი. ერთ-ერთ მათგანს - ჰომესს - ის უპირატესობაც ჰქონდა, რომ საუცხოოდ ლაპარაკობდა ინგლისურად. ამ ადამიანებმა იკისრეს ჩვენი მომსახურება - საჭმლის კეთება, გათბობა და სხვა სამუშაოების შესრულება. მათი ჭამაგირი სულ თხუთმეტ დოლარს უდრიდა თვეში. ამათ გარდა ჩვენ სამი ბოლივიელი ინდიელი დავიქირავეთ - მაოს ტომისა, რომელთა წარმომადგენლებიც განთქმულნი არიან, როგორც საუკეთესო მეთევზები და მენავეები. ყველაზე უფროსს მათში მაიო

შევარქვით, ხოლო ორ დანარჩენს - ჰოსე და ფერდინანდი.

მაშ ასე, სამი თეთრვანიანი, ორი მეტისი, ერთი ზანგი და სამი ინდიელი - ასეთი გახლდათ ჩვენი პატარა ექსპედიციის შემადგენლობა, რომელიც ელოდა მანაოსში შემდეგ ინსტრუქციებს, რათა გამგზავრებულიყო და შეესრულებინა მისთვის დაკისრებული უჩვეულო ამოცანა.

დაბოლოს განვლო მოსაწყენმა კვირამ, დადგა სანატრელი დღე და საათი... თქვენ წარმოიდგინეთ ნახევრად ჩაბნელებული სადარბაზო ოთახი სანტ-იგნასიოში, რომელიც ქალაქ მანაოსიდან ორი მილის მანძილზე მდებარეობს. დაშვებული შტორების იქით მზე თვალისმომჯრელად ბრნყინავდა და პალმის ჩრდილები მზეზე ისე ჩაშავებულიყვნენ, როგორც თავად პალმები. ნიავიც კი არ იძვროდა და პაერში მწერების გაუთავებელი ბზუილი იდგა, ამ ტროპიკულ მრავალოქტავიან გუნდში მოისმოდა ფუტკრების ბოხი ბზუილი და მოსკიტების გამგმირავი ფალცები.

აივნის უკან კავტუსის მესრით შემორაგული პატარა ბაღი იყო აყვავებული ბუჩქებით, რომელთა თავზე დაქროდნენ მზით გაბრნყინებული დიდი ცისფერი პეპლები და პანაწკინა კოლიბრები.

ჩვენ ბამბუკის მაგიდას ვუსხედით, ნინ დაბეჭდილი კონვერტი გვედო, რომელზეც პროფესორი ჩელენჯერის გაკრული ხელით შემდეგი რამ იყო წაჭდაბნილი:

„ ინსტრუქციები ლორდ ჭონ როქსტონისა და მისი თანამგზავრებისათვის. გაიხსნას ქალაქ მანაოსში 15 ივლისს, შუადღის 12 საათზე „ .

ლორდ ჭონმა საათი მაგიდაზე დადო.

- კიდევ შვიდი წეთი დარჩა, - თქვა მან, - მოხუცი საკმაოდ პუნქტუალურია.

პროფესორმა სამერლიმ გესლიანად ჩაიცინა და თავისი გამხმარი ხელი კონვერტისაკენ გასწია.

- ჩემი აზრით, სულერთია, ამ კონვერტს ახლა გავხსნით თუ შვიდი წეთის შემდეგ, - თქვა მან, - ესეც იგივე გაიძვერობა და პრანქვა-გრეხაა, რომლითაცამის დამწერმა, სამწუხაროდ, კარგა ხანია გაითქვა სახელი.

- არა, თუ თამაშია, ბარემ ვითამაშოთ, როგორც წესი და რიგია, - შეესიტყვა ლორდ ჭონი, - ამ თამაშს მოხუცი ჩელენჯერი ხელმძღვანელობს, ჩვენ აქ მისი წყალობით ვართ. ჩვენი მხრიდან უსინდისობა იქნებოდა მისი ბრძანების შეუსრულებლობა.

- კარგი, თუ ღმერთი გწამს! - განრისხდა პროფესორი. - მე ლონდონშიც კი მეთავილებოდა ყოველივე ეს და, რაც დრო გადის, სულ უარესი და უარესია! მე არ ვიცი, რა არის ამ კონვერტში, მაგრამ თუ იქ არ იქნა სრულიად დაზუსტებული მარშრუტი, ვეღარ მოვითმენ და პირველივე გემით წავალ პარაში. ბოლოს და ბოლოს, მე უფრო მნიშვნელოვან საქმეს მოვკიდებ ხელს, ვიდრე ვიდაც შეშლილის აბდაუბდა გამოვამჟღავნო. აბა, როქსტონ, ახლა უკვე დროა.

- დიახ, უკვე შესრულდა დრო, - თქვა ლორდ ჭონმა, - შეგიძლიათ ნიშანი მისცეთ.

მან კონვერტი პატარა დანით გახსნა, იქიდან შუაზე გაკეცილი ქაღალდის ფურცელი ამოიღო, ფრთხილად გაშალა და მაგიდაზე

დადო. ქაღალდი სრულიად სუფთა იყო. ლორდ ჭონმა გადმოაბრუნა ფურცელი მეორე მხარეს, ისიც დაუწერელი აღმოჩნდა. გაკვირვებულებმა ერთმანეთს გადავხედეთ, ენა ჩაგვივარდა, მაგრამ ჩამოვარდნილი სიჩუმე პროფესორი სამერლის დამცინავმა სიცილმა დაარღვია.

- ეს ხომ გულახდილი აღიარებაა! - წამოიყვირა მან. - სხვა რაღა გინდათ? ამ ადამიანმა თავად დაგიმტკიცათ თავისი თღლითობა. ისღა დაგვრჩენია, დავძრუნდეთ უკან და საქვეყნოდ ვამხილოთ იგი, როგორც უსირცხვილო მატყუარა.

- იქნებ სიმპათიკური მელანია! - წამოვიძახე მე.

- არა მგონია, - მიპასუხა ლორდ როქსტონმა და სინათლეზე გახედა ქაღალდს, - არა, ძვირფასო ჭაბუკო, ზედმეტია თავის მოტყუება. სანაძლეოს ჩამოვალ, რომ ამ ფურცელზე არათერი ყოფილა დაწერილი.

- შეიძლება შემოვიდე? - დაიგრგვინა აივნიდან ვიღაცის ხმამ.

ტანმორჩილი ფიგურა გამოჩნდა მზისაგან განათებულ კარში. ეს საოცარი ხმა! ეს უზომოდ განიერი ბეჭები! ჩვენ ერთხმად შევყვირეთ და წამოვცვივდით ადგილებიდან, როდესაც ჩვენ წინაშე უცნაური ჭრელლენტებიანი ბავშვის ქუდითა და ტილოს ფეხსაცმელებით აღიმართა თვით ჩელენჯერი. იგი თვალისმომჯრელ სინათლეში იდგა, ხელები ქურთუკის ჭიბეში ჩაეწყო, თავისი საუცხოო ასირიული წვერი წინ გამოებზიკა და სანახევროდ დახრილი ქუთუთოებიდან მოგვშტერებოდა.

- მაინც დავიგვიანე რამდენიმე წუთით, - წარმოთქვა მან და ჭიბიდან

საათი ამოიღო, - მე რომ კონვერტი გადმოგეცით, უნდა გამოგიტყვდეთ, მეგონა აღარ მოგიხდებოდათ მისი გახსნა, რადგან მე თავიდანვე გადავწყვიტე, დანიშნულ დროზე ადრე შემოგერთებოდით თქვენ. ამ სამწეხარო დაგვიანების მიზეზი სულელი ლოცმანი და მეჩეჩებია, რომელთაც ჩვენი გემი წააწყდა. ვშიშობ, რომ ჩემს კოლეგას, პროფესორ სამერლის, ძალაუნებურად მივეცი საბაბი ჩემი ლანძღვა-გინებისა.

- უნდა მოგახსენოთ, სერ, - საკმაოდ მკაცრი ტონით შენიშნა ლორდ ჭონმა, - რომ თქვენმა გამოცხადებამ, ცოტა არ იყოს, შეამსუბუქა ის არასასიამოვნო მდგომარეობა, რომელიც აქ შეიქმნა, ვინაიდან ჩვენ უკვე ექსპედიციას ვადამდე დამთავრებულად მივიჩნევდით. მაგრამ მე მაინც ვერაფერი გამიგია, რამ გაიძელათ თქვენ ამ არაჩვეულებრივი ონებისათვის მიგემართათ?

ნაცვლად პასუხისა, პროფესორი ჩელენჯერი მაგიდასთან მოვიდა, მე და ლორდ ჭონს ხელი ჩამოგვართვა, მძიმედ, შეურაცხმყოფელად თავი დაუკრა პროფესორ სამერლის და დაწნილ სავარძელში ჩაეშვა, რომელმაც სიმძიმისაგან ჭრიალი დაიწყო.

- უკვე მზად ხართ გასამგზავრებლად? - იკითხა მან.  
- ხვალ შეგვიძლია გამგზავრება.  
- ჩვენც წავიდეთ. ახლა თქვენ აღარ დაგჭირდებათ არავითარი რუკა, არავითარი მითითებანი - მე თვითონ ვიქნები თქვენი გამცილებელი, თუ დააფასებთ ამას! მე თვითონ გადაწყვეტილი მქონდა, ექსპედიციის ხელმძღვანელი ვყოფილიყავი. თქვენ მალე დარწმუნდებით იმაში, რომ ვერავითარი ვრცელი რუკა ვერ შეცვლის

ჩემს გამოცდილებას და ხელმძღვანელობას. ხოლო, რაც შეეხება ჩემს პატარა ეშმაკობას კონვერტთან დაკავშირებით, ცხადია, ჩემი განზრახვა მაშინვე რომ გამემხილა თქვენთვის, თავს ვეღარ დავაღწევდი თქვენს ხვეწნას, რათა მეც თქვენთან ერთად წამოვსულიყო.

- ჩემგან ვერასოდეს ეღირსებოდით მაგას, სერ! - მკვახედ უპასუხა სამერლიმ. - თუგინდ მთელ ოკეანეზე სხვა გემი არ ყოფილიყო!

ჩელენჯერმა მისკენ გაიქნია თავისი ბანჭგვლიანი ხელი...

- ეჭვგარეშეა, თქვენც მიხვდებით თქვენი საღი გონებით, რომ მე სწორი მოსაზრებით ვხელმძღვანელობდი. საჭირო იყო, თავისუფლად მემოქმედა მანამდე, ვიდრე არ დადგებოდა მომენტი, როდესაც ჩემი თქვენთან ყოფნა აუცილებელი იქნებოდა. ეს მომენტიც დადგა. ახლა თქვენი ბედი საიმედო კაცის ხელშია. თქვენ უთუოდ მიაღწევთ დანიშნულ ადგილს. დღეიდან მე გახლავართ ექსპედიციის ხელმძღვანელი. გთხოვთ ყველას, დღესვე დაასრულოთ ყოველნაირი სამზადისი, რათა ხვალ დილაპირიან დავიძრათ ადგილიდან. ჩემთვის დრო ძვირფასია; ალბათ - თქვენთვისაც, თუმცა უფრო ნაკლებად. ამიტომ წინადადებას გაძლევთ, რაც შეიძლება სწრაფად გავიაროთ ის გზა, რომლის დასასრულსაც გაჩვენებთ ყოველივე იმას, რისთვისაც თქვენ აქ ჩამობრძანდით.

ლორდ ჭონ როქსტონმა უკვე რამდენიმე დღის წინ დაიქირავა დიდიორთქლის კატარდა „ ესმერალდა “ , რომლითაც ჩვენ უნდა გავმგზავრებულიყოთ ამაზონის აღმა. წელიწადის დროს ექსპედიციის გამგზავრებისათვის არავითარი მნიშვნელობა არ

გამგზავრებისათვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვინაიდან იქაური ტემპერატურა ზამთარ-ზაფხულს სამოცდათხუთმეტ და ოთხმოცდაათ გრადუსს შორის მერყეობს მხოლოდ. სხვა ამბავია წვიმების პერიოდი: იგი დგება დეკემბრიდან მაისის თვემდე და მდინარეში წყალი თანდათან მატულობს, ორმოცი ფუტით იზრდება ჩვეულებრივ დონესთან შედარებით. ამაზონი ნაპირებიდან გადმოდის და ვეებერთელა მდინარეებს იკავებს. უშველებელი სივრცე ჭაობებად იქცევა, სადაც ფეხით გავლა შეუძლებელია - აუცილებლად ჩაეფლობი; ნავით კი ვერ გაცურავ წყლის ნაკლებობის გამო.

ივნისის დამდეგს წყალი თანდათან იწყებს კლებას და ოქტომბერ-ნოემბერში ყველაზე უფრო დაბალ დონეს აღწევს. ჩვენი ექსპედიციის გამგზავრება სწორედ იმ პერიოდს დაემთხვა, როდესაც ეს მდინარე მთელი თავისი შენაკადებით, ასე თუ ისე, თავის კალაპოტში ეტევა.

ამაზონის მდინარება საკმაოდ ნელია, ვინაიდან მისი კალაპოტის გადახვევა ერთ მილზე რვა დიუმს არ აღემატება. ძნელად თუ მოიპოვება ქვეყანაზე სხვა, უფრო მოსახერხებელი მდინარე ნაოსნობისათვის.

სამხრეთ-აღმოსავლეთის ქარების სიჭარბის გამო იალქნიანი გემები დაუბრკოლებლივ მიადგება ხოლმე პერუს საზღვრებს, უკან დაბრუნებისას კი წყლის მდინარებას მიჰყვება. რაც შეეხება ჩვენს „ესმერალდას“ , მისი სვლა შესანიშნავი მექანიზმის მეოხებით სრულიად არ იყო დამოკიდებული ზანტ მდინარეზე და ჩვენ ისეთი სისწრაფით მივდიოდით წინ, თითქოს ეს ამაზონი კი არა, დამდგარი ტბორია.

პირველი სამი დღის განმავლობაში ჩვენს კატარდას ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით ეჭირა გეზი მდინარეების აღმა. თუმცა, ამაზონის შესართავი იმ ადგილებიდან რამდენიმე ათასეული მილის მანძილზე იმყოფებოდა, იგი ისეთი განუსაზღვრელი სიგანისაა, რომ მდინარის შუა ადგილიდან ორივე ნაპირი ძლივს მოჩანდა პორიზონტან. მანაოსიდან გამგზავრების მეოთხე დღეს ჩვენ შევუხვიეთ ერთ-ერთ შენაკადში, რომელიც შესართავიდან თითქმის არ ჩამოუვარდებოდა ამაზონს სიგანით, მაგრამ სწრაფად დაიწყო დავინროება. გავიდა კიდევ ორი დღე და ჩვენ მივედით ინდიელთა რომელიღაც დაბასთან. აქ პროფესორმა ჩელენჯერმა გადმოსვლა შემოგვთავაზა, „ ესმერალდა “ კი უკან გაბრუნდა მანაოსში.

- მალე დაიწყება ჭორომები, - აგვიხსნა მან, - კატარდა აქ აღარ გამოგვადგება. ჩვენ ვიმყოფებით უცხო მხარის კარიბჭესთან, - დასძინა მან საიდუმლოდ, - და რაც უფრო ნაკლებ ხალხს გავანდობთ ჩვენს საიდუმლოს, მით უკეთესი ჩვენთვის.

ამავე მიზნით მან ჩამოგვართვა პატიოსანი სიტყვა, რომ არც ერთი ჩვენგანი არ გამოაქვეყნებს და არც ზეპირად გაავრცელებს ნამდვილ ცნობებს იმ ადგილის გეოგრაფიული მდებარეობის შესახებ, საითაც მიემგზავრებოდა ჩვენი ექსპედიცია. მსახურებს კი დიდი ამბით დაადებინა ფიცი, საიდუმლოება შეენახათ. ყოველივე ეს მე მაიძულებს, თავი შევიკავო მოვლენათა აღნუსხვისაგან და ვაფრთხილებ ჩემს მკითხველებს, რომ რუკებსა და ნახაზებზე, რომელნიც შეიძლება დავურთო ჩემს მოთხოვნას, სისწორით იქნება მოცემული მხოლოდ ურთიერთმდებარეობა ცალკეული ადგილებისა და არა მათი

კოორდინატები. მაშასადამე, ამ მონაცემებით სარგებლობა იმ მიზნით, რომ ჩაწვდეთ უცნობ მხარეს, არ შეიძლება. რამდენად მართალი იყო პროფესორი ჩელენჯერი, ასე გულმოდგინედ რომ იცავდა თავის საიდუმლოებას - სხვა საკითხია, მაგრამ ჩვენ არ შეგვეძლო, მას არ დავმორჩილებოდით, რადგან იგი უფრო ადვილად ჩაშლიდა ექსპედიციას, ვიდრე ოდნავ გადაუხვევდა დადგენილ პირობებს.

ორ აგვისტოს ჩვენ გამოვეთხოვეთ „ ესმერალდას “ . გაწყდა ქვეყანასთან დამაკავშირებელი უკანასკნელი ძაფი. მას შემდეგ გავიდა კიდევ ორი დღე. პროფესორმა ინდიელებისაგან იქირავა ორი დიდი ნავი, იმდენად მჩატე (ისინი ნადირის ტყავისაგან იყვნენ გაკეთებული, ბამბუკის კარვასზე გადაჭიმული), რომ გაჭირვებისას შევძლებდით ხელით გადატანას. ეს ნავები დატვირთული იყო მთელი ჩვენი მოწყობილობით. დამატებით მენიჩბეებად კიდევ ორი ინდიელი დავიქირავეთ, სახელად იპეტუ და ატაკა. მგონი, ისინი იყვნენ პროფესორ ჩელენჯერის გამყოლები მისი პირველი მოგზაურობისას. ორივეს, ეტყობა, შიშის ზარს ჰგვრიდა ის ამბავი, რომ ხელმეორედ გამგზავრება შესთავაზეს იმავე მხარეს, მაგრამ ინდიელების ყოფა-ცხოვრებაში ბელადი დღემდე სარგებლობს პატრიარქალური უფლებებით და თუკი მას რაიმე საქმე ხელსაყრელად მიაჩნია, თავისი ტომის ხალხი როდი გაუბედავს წინააღმდეგობას.

მაშ ასე, ხვალ ჩვენ უცნობ მხარეში მივემგზავრებით. ჩემს პირველ კორესპოდენციას მე შემხვედრი ნავით გამოვგზავნი და, შეიძლება, ეს ცნობები უკანასკნელად მივაწოდო მათ, ვისაც ჩვენი ბედ-ილბალი აინტერესებს. თანახმად ჩვენი მოლაპარაკებისა, თქვენი მისამართით

ვგზავნი ამ სტრიქონებს, ჩემო ძვირფასო მისტერ მაკ-არდლ. შეამოვლეთ, შეასწორეთ ჩემი წერილები; ერთი სიტყვით, როგორც გნებავთ, ისე მოიქეცით. ვენდობი თქვენს ტაქტს.

ჩვენი წინამდღოლის მტკიცე რწმენის მიხედვით, ჩანს იგი მართლაც დაგვიმტკიცებს სიმართლეს საქმით და მეც, წინააღმდეგ პროფესორი სამერლის დაჟინებული სკეპტიციზმისა, მჭერა, რომ ჩვენ უდიდეს და საკვირველ მოვლენათა წინაშე ვიმყოფებით.

## თავი მერვე უცნობი ქვეყნის კარიბჭესთან

დე, ჩვენმა მეგობრებმაც იზეიმონ ჩვენთან ერთად. ჩვენი მოგზაურობის მიზანს მივაღწიეთ და თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომპროფესორის მტკიცებანი შემოწმდება. მართალია, ზეგანზე ჩვენი ექსპედიცია ჭერ არ ასულა, მაგრამ იგი აქვე ახლოსაა, მის დანახვაზე თვით პროფესორი სამერლიც კი დამშვიდდა სულიერად. მას, რა თქმა უნდა, არც კი სურს გაიფიქროს, რომ მისი მოწინააღმდეგე მართალია, მაგრამ უკვე ნაკლებად დაობს და მეტნილად დუმს სიფრთხილისათვის.

ახლა უკან დავბრუნდები და განვაგრძობ თხრობას იმ ადგილიდან, სადაც შევწყვიტე იგი. ერთი ჩვენი თანმხლები ინდიელი უნდა გავაბრუნოთ უკან, რადგან მან მაგრად დაიშავა ხელი. მე მას წერილს

გამოვატან, თუმცა ძალიან ვეჭვობ, მიაღწევს თუ არა იგი დანიშნულ ადგილს.

უკანასკნელი ჩანაწერი იმ დღეს გავაკეთე, როდესაც ჩვენ დავაპირეთ ინდიელთა სოფლის მიტოვება, რომელსაც „ესმერალდათი“ მივადექით. ამ შემთხვევაში უსიამოვნო ამბით მიხდება დაწყება, რადგან გუშინ ექსპედიციის ორ მონაწილეთა შორის პირველი სერიოზული შეტაკება მოხდა და კინაღამ ტრაგიკულად დამთავრდა. მუდმივ შეხლა-შემოხლას პროფესორებს შორის, რა თქმა უნდა, არაფრად ვთვლი. მე უკვე გნერდით მეტის ჰომესტე, რომელიც ინგლისურად ლაპარაკობს. იგი საუცხოო მუშა და დაუზარელი ადამიანია, მაგრამ ავადმყოფური ცნობისმოყვარეობით არის შეპყრობილი - იმ სენით, რომელიც ადამიანების მეტ ნაწილს ახასიათებს. სოფლიდან ჩვენი გამგზავრების უკანასკნელ საღამოს, ეტყობა, ჰომესი ჩვენი ქოხის მახლობლად დაიმალა, სადაც ჩვენ გეგმები განვიხილეთ, და მან საუბარს ჩუმად ყური მიუგდო.

გოლიათმა სამბომ, რომელიც ძაღლივით ერთგულია ჩვენი და ამავე დროს მეტისებს ვერ იტანს, შენიშნა იგი და ქოხში შემოათრია. ჰომესმა ამოაძრო დანა და უთუოდ დაპკრავდა ზანგს, ეს უკანასკნელი მართლაც არაჩვეულებრივი ღონის პატრონი რომ არ ყოფილიყო. მან ერთი ხელის მოქნევით განაიარადა იგი. ჩვენ ორივეს სასტიკი საყვედური გამოვუცხადეთ და ვაიძულეთ, ერთმანეთისათვის ხელი ჩამოერთმიათ. იმედი გვაქვს, ამით გათავდება მათ შორის ყველაფერი. რაც შეეხება ჩვენს მეცნიერთა შორის შუღლს, იგი შენელების ნაცვლად სულ უფრო და უფრო გამწვავდა. უნდა

გამოგიტყდეთ, რომ ჩელენჯერი ძალზე გამომწვევად იქცევა, სამერლის მნარე ენა კი შეუძლებელს ხდის მათ შერიგებას. გუშინ, მაგალითად, ჩელენჯერმა განაცხადა, ტემზის სანაპიროებზე სეირნობა არ მიყვარს, რადგან სევდას მგვრის ჩემი სამუდამო სამყოფლის, ვესტმისტერის ტაძრის დანახვაო. პროფესორს ეჭვიც კი არ ეპარება, რომ იგი, როგორც გამოჩენილი პირი, ვესტმისტერის სააბატოში იქნება დაკრძალული. სამერლის მნარედ გაეღიმა და თქვა:

- რამდენადაც მე ვიცი, მილბენვის ციხე დიდი ხანია დაანგრიეს.

ჩელენჯერს იმდენად დიდი წარმოდგენა აქვს თავის თავზე, რომ სამერლის კბენა არ სწყინს. მას მხოლოდ ულვაშში ეღიმება და მიმართავს მოწყალე ტონით, თითქოს ბავშვს ელაპარაკებაო:

- მაშ, აგრე? კეთილი, კეთილი.

ამ ორ ადამიანს, თავისი ჭკუითა და ცოდნით, გამოჩენილ მეცნიერთა პირველი რიგები შეუძლია დაამშვენოს; სინამდვილეში კი ისინი ნამდვილი ბავშვები არიან. ერთი - გამხდარი, მობუზღუნე, მეორე კი - მსუქანი, მბრძანებელი.

რაც უფრო ეცნობი ცხოვრებას, მით უფრო ნათლად ჩანს, თუ რა ხშირად არ ეთანხმება ჭკუა, ხასიათი და სული ერთმანეთს!

მეორე დღეს გავემგზავრეთ და ეს თარიღი უნდა ჩაითვალოს ჩვენი შესანიშნავი ექსპედიციის საწყისად. მთელი ჩვენი ბარგი საუცხოოდ ჩაეტია ორ ნავში. ჩვენ თვითონ კი ორ ჭგუფად გავიყავით, თითოეულში ექვსი კაცი მოხვდა. თანაც საერთო ინტერესები მოითხოვდა, რომ პროფესორები სხვადასხვა ნავებში მოხვედრილიყვნენ. მე ჩელენჯერთან ჩავჭექი, რომელიც დადუმებული

ექსტაზის მდგომარეობაში იყო და მისი სახე სათნოებას ასხივებდა. თუმცა მე უკვე მქონდა შემთხვევა, იგი სხვა გუნებაზეც მენახა. ამიტომ ყოველ წეთში მოველოდი, რომ მოწმენდილ ცაზე უცბად მეხი დაიჭექებდა.

ამ ადამიანთან შეუძლებელია, დამშვიდებული იყო. სამაგიეროდ მასთან არც მოგწყინდება ოდესმე, რადგან მუდამ მოელი მისი მგზნებარე ტემპერამენტის მოულოდნელ აფეთქებას.

ორი დღის განმავლობაში ჩვენ მივცურავდით განიერი მდინარის აღმა. მდინარის წყალი მუქი ფერის იყო, მაგრამ იმდენად გამჭვირვალე, რომ ფსკერი მოჩანდა. ასეთივეა ნახევარი იმ შენაკადებისა, რომლებიც ამაზონს ერთვის, სხვებში კი წყალი მღვრიე-მოთეთრო ფერისაა. ეს დამოკიდებულია იმ ადგილებზე, თუ სად მიედინება ისინი: იქ, სადაც ნიადაგი მცენარეული ნეშომპალისაგან შედგება, მდინარეებში წყალი გამჭვირვალეა; თიხნარ ნიადაგში კი იგი ამღვრეულია. ჭორომი ორგან შეგვხვდა და ორჯერვე მოვუარეთ ნახევარი მილის მანძილზე. მთელი ჩვენი ქონება ხელით გადავათრიეთ. ტყე ორივე ნაპირას ასწლოვანი იყო და იქ გავლა უფრო გაგვიადვილდა, ვიდრე გაუვალ ბუჩქნარში, ამიტომ ჩვენი ტვირთი არც ისე გვაწუხებდა.

მე ვერასოდეს დავივიწყებ საზეიმო საიდუმლოების შეგრძნებას, რაც ამ ტყეებში განვიცადე. ქალაქის მკვიდრი მცხოვრები ვერც კი წარმოიდგენს ასეთ ვეებერთელა ხეებს, თითქოს თვალუწვდენელ სიმაღლეზე აღმართულს, ცად აზიდულს. გოტიური ისრების მსგავსი გადახლართული ტოტები მთლიანი მწვანე კარავივით მოჩანდა, სადაც

აქა-იქ თუ შემოაღწევდა ოქროსფრად მზის სხივი. ამ საზეიმო წყვდიადს აპობდა იგი. შარშანდელი ფოთლებისრბილი და სქელი ხალიჩა აყრუებდა ჩვენი ფეხის ხმას. ჩვენ მივდიოდით შეპყრობილნი ისეთი მოკრძალებით, რომელიც ვესტმისტერის სააბატოში შეიძლება განიცადოთ მხოლოდ და თვით პროფესორმა ჩელენჯერმაც კი ჩურჩულით დაიწყო ლაპარაკი. მე რომ მარტო ვყოფილიყავი, ამ გიგანტური ხეების სახელებს ვერასოდეს გავიგებდი, მაგრამ ჩვენი მეცნიერები მაშინვე გაჩვენებდნენ კედრის, ვეებერთელა ალვის, კონდორისა და სხვა მრავალი ჭიშის ხეს. ცხოველთა სამეფო შედარებით ღარიბია აქ.

ყოველივე, რასაც კი სიცოცხლის ნიშანწყალი აქვს ამ უღრან ტყეებში, ზევით მიიღებვის, სინათლისაკენ, რადგან უიმისოდ სიკვდილი ელის. პატარა მცენარეები ეხვევა და ენებება უფრო ძლიერ და მაღალ თანამოძმებს. მცოცავი მცენარე აქ საოცრად ბევრია. ის მცენარეები კი, რომლებიც ევროპელის თვალსაზრისით, არ უნდა ეხვეოდეს, თავისდაუნებურად ეუფლებიან ამ ხელოვნებას, ოღონდ კი თავი დააღწიონ წყვდიადს. მაგალითად, მე ვნახე, თუ ჩვეულებრივი ჭინჭარი, ჟასმინი და თვით პალმა იასიტარა როგორ შემოხვეოდა კედრის ღეროებს და მიიღებვოდა მაღლა, კენწეროსაკენ.

ქვევით, უშველებელი მწვანე თაღის ქვეშ, არ ისმოდა არც ხმაური, არც წრიპინი. მაგრამ სადღაც მაღლა, ჩვენ ზემოთ, განუწვეტელი მოძრაობა იყო.

იქ მზის სხივებში ნებივრობდა მთელი სამყარო გველებისა, მაიმუნებისა, ფრინველებისა და ნელამავალთა. ისინი, ალბათ,

გაკვირვებულნი შესცქეროდნენ ადამიანთა პანანინა ფიგურებს, რომელნიც დაცოცავდნენ ძირს, ამ იდუმალებით სავსე ნისლით მოცული უფსკრულის ფსკერზე. გათენებისას და მზის ჩასვლისას ტყის გულში გაისმოდა მყვირალა მაიმუნების ღმუილი და გამაყრუებელი ჭიკჭიკი ბოლოქანქალა თუთიყუშებისა; პაპანაქების დროს კი მხოლოდ მწერების ბზუილი გვესმოდა, შორეული ზვირთებისმაგვარი, და სხვა არაფერი... არაფერი არღვევდა საზეიმო მედიდურებას ამ დიდი სვეტების კოლონადისას, რომელიც მაღლა ამართულიყო, ჩვენ ზემოთ გამეფებულ წყვდიადში. მხოლოდ ერთხელ, დაბურული ხეების ქვეშ, რომელიღაც მოუხეშავმა ცხოველმა გაირბინა - არ ვიცი, დათვი იყო თუ ჭიანჭველიჭამია. ეს იყო ერთადერთი მაჩვენებელი იმისა, რომ ამაზონის ტყეებში სიცოცხლე დაბლა, მიწაზე არსებობდა.

სხვათა შორის, ზოგიერთი სხვა ნიშანი მოწმობდა აგრეთვე ადამიანის არსებობასაც ამ უღრან ტყეში - ადამიანისას, რომელიც ჩვენთან ახლოს იმყოფებოდა. მოგზაურობის მესამე დღეს ჩვენ გავიგონეთ რაღაც უცნაური, რიტმული გუგუნი, ეს ხმა დილის განმავლობაში ხან მიწყნარდებოდა და ხან ისევ შეარხევდა ჰაერს თავისი საზეიმო გრიალით. როდესაც ამ გუგუნმა პირველად მოაღწია ჩვენამდე, ნავები ერთიმეორისაგან რამდენიმე იარდის მანძილზე იყო დაშორებული. ინდიელები გარინდებულნი ისხდნენ, თითქოს ბრინჯაოს ქანდაკებებად ქცეულანო. მათ სახეებზე საშინელება აღბეჭდოდათ.

- რა არის ეს? - შევეკითხე მე.

- დაფდაფი, - დაუდევარი ტონით მიპასუხა ლორდ ჭონმა, - საომარი

დაფილაფებია, მე უკვე მქონია შემთხვევა მათი მოსმენისა.

- დიახ, სერ, ეს საომარი დაფილაფია, - დაადასტურა მეტისმა პომესმა, - ინდიელები ბოროტი ხალხია. ისინი გვითვალთვალებენ. მოგვალავენ კიდეც, თუ მოახერხეს.

- როგორ მოგვაგნეს მათ? - ვკითხე მე და ჩავაშტერდი დაბურულსა და უძრავ ტყეს.

მეტისმა მხრები აიჩეჩა.

- ინდიელებმა ყველაფერი იციან. მათ ასე სჩვევიათ. ისინი გვითვალთვალებენ. დაფილაფით იციან ერთმანეთში გადალაპარაკება. ინდიელები მოგვალავენ.

შუადღისას (ჩემს უბის ნიგნაკშია აღნიშნული, რომ ეს მოხდა სამშაბათს, 8 აგვისტოს) გუგუნი ყოველი მხრიდან შემოგვერტყა. არანაკლებ ექვსი-შვიდი დოლისა იქნებოდა. ხან აჩქარებდნენ რიტმს, ხან კი ანელებდნენ. აი, სადღაც აღმოსავლეთიდან მოისმა გარკვევით ყრუ გუგუნი... პაუზა... შემდეგ გუგუნი მოისმა ჩრდილოეთიდან. ეს გაუთავებელი გუგუნი გაისმოდა, როგორც კითხვა და პასუხი. მასში იყო რაღაც მუქარის მსგავსი, ძალიან მოქმედი ნერვებზე. იგი უერთდებოდა იმ სიტყვებს, რომლებსაც განუწყვეტლივ გვიმეორებდა ჩვენი მეტისი: „ მოგვალავთ, თუ მოვახერხეთ “ , „ მოგვალავთ, თუ მოვახერხეთ “ , „ მოგვალავთ, თუ მოვახერხეთ “ . არაფერი იძვროდა ამ მდუმარე ტყეში. ნოშოს მუქი ფარდა წყნარი ბუნების სიმშვიდით სუნთქვადა, მაგრამ მის მიღმა გაუთავებლად სულ ერთი და იგივე ხმა მოისმოდა, რომელსაც ჩვენი მოძმე-ადამიანი გვითვლიდა. „ მოგვალავთ, თუ მოვახერხეთ “ , ამბობდნენ აღმოსავლეთიდან. „

მოგვლავთ, თუ მოვახერხეთ „, უპასუხებდნენ მათ ჩრდილოეთიდან.

მთელ დღეს ბუბუნებდნენ და გუგუნებდნენ დაფდაფები და მათი მუქარა ჩვენს სხვადასხვა ფერის თანამგზავრებს სახეს უცვლიდა. თვით გამბედავი და ტრაბახა მეტისიც კი დაშინებული გამოიყურებოდა. სამაგიეროდ, იმ დღეს მე დავრწმუნდი, რომ ორივე ჩვენი პროფესორი: სამერლი და ჩელენჯერი დაჭილდოებულნი არიან გონებრივი სიმამაცით. ასეთივე შეუდრეველი იყო არგენტინელ გაუჩოსებთან დარვინი და უოლესი - მალაელ მონადირეთა შორის. მწყალობელ ბუნებას ასე დაუწესებია, რომ ადამიანს არ შეუძლია იფიქროს ერთსა და იმავე დროს ორ საგანზე, და სადაც მეტყველებს მეცნიერული ცოდნის წადილი, იქ პირადი ხასიათის მოსაზრებებს ადგილი არ აქვს. არც ერთი პროფესორი, ვითომც აქ არაფერიაო, არც ერთ ბუჩქს და გაფრენილ ჩიტს არ უშვებდნენ შეუმჩნეველს; უცებ ატეხდნენხოლმე გაცხარებულ კამათს, თითქოს ვერ ამჩნევენო ირგვლივ არსებულ საიდუმლო მუქარის ხმებს. სამერლი ძველებურად მკვახედ უპასუხებდა ხოლმე ჩელენჯერს, რომელიც ჩვეულებისამებრ მჯექარე ხმით როხოვხებდა. არც ერთ მათგანს არ მიაჩნდა საჭიროდ, ერთი სიტყვა მაინც ეთქვა ინდიელთა დაფდაფების გამო. ისინი ისე იქცეოდნენ, თითქოს ყოველივე ეს სამეფო საზოგადოების კლუბის თამბაქოს მოსაწევ დარბაზში ხდებოდა, სენტ-კეიმს-სტრიტე. მხოლოდ ერთხელ გახდნენ ინდიელები მათი ყურადღების ღირსნი.

- კაციჭამიები მირახნას ტომისა, ანდა შეიძლება ამაიუკასი, - წარმოთქვა ჩელენჯერმა და მიუთითა ტყის იმ მხარეს, საიდანაც ეს გუგუნი მოისმოდა.

- სრული ჭეშმარიტებაა, სერ, - უპასუხა სამერლიმ, - ისევე, როგორც ყველა აქტიური ტომი, ეგენიც მონღოლურ რასას ეკუთვნიან; მათი ენა კი ნახევრად სინთეტურია.

- რა თქმა უნდა, ნახევრად სინთეტურია, - დაეთანხმა ჩელენჯერი მოწყალედ, - რამდენადაც მე ვიცი, სხვა ენები ამ კონტინენტზე არ არსებობს. მე კი ჩაწერილი მაქვს ასეულები სხვადასხვა კილოსი. ხოლო, რაც შეეხება მონღოლურ რასას, მაგაში კი ძლიერ დაეჭვებული ვარ.

- რომ დარწმუნდეთ ამ თეორიის სინამდვილეში, საკმარისია სრულიად ზერელე ცოდნა შედარებითი ანატომიისა, - გესლიანად შენიშნა სამერლიმ.

ჩელენჯერმა მამაცურად გამობზიკა ნინ ნიკაპი. ჩალის ქუდის ფარფლები და წვერი - აი, რისი დანახვა შეგვეძლო ჩვენ.

- მართალს ბრძანებთ, სერ, ზერელე ცოდნა სხვას ვერაფერს მოგვცემს. ამომწურავ ცოდნას კი სულ სხვა დასკვნებამდე მივყავართ.

ისინი მტრულად ჩააშტერდნენ ერთმანეთს თვალებში, ამ დროს კი ტყეში ძლივს გასაგონად გაისმოდა ეხო: „ მოგვლავთ... თუ მოვახერხეთ, მოგვლავთ ” .

საღამოს ჩვენი ნავები შუა მდინარეში შევიყვანეთ, ლუზის მაგიერ მძიმე ქვაბი მოვიმარჯვეთ და მოსალოდნელი თავდასხმისათვის მოვემზადეთ. ღამე მშვიდობიანად გავიდა, გათენებისას კი წყნარი დაფდაფის ხმის ქვეშ განვაგრძეთ გზა. დღის სამი საათი იქნებოდა, როდესაც ერთ-ნახევარი მილის მანძილზე მაღალი ჭორომები გადაგვეღობა, სწორედ ისინი, რომელნიც პროფესორი ჩელენჯერის

პირველი ექსპედიციისას გახდა მიზეზი მისი მარცხისა.

უნდა გამოგიტყდეთ, ამ ჭორომების დანახვამ გამამხნევა, რადგან ეს იყო პირველი დამამტკიცებელი საბუთი პროფესორი ჩელენჯერის ნაამბობის ჭეშმარიტებისა.

ინდიელებმა გაუვალ ბუჩქნარში გადაიტანეს ჩვენი ნავები და მარაგით სავსე ტომრები. ჩვენ კი - ოთხი თეთრვანიანი, შაშხანებით ხელში მივდევდით მათ, რათა დაგვეფარა ისინი იმ საშიშროებისაგან, რომელიც ტყიდან იყო მოსალოდნელი. ჩვენდა საბედნიეროდ, ჩვენი პარტია დაღამებამდე გასცილდა ჭორომებს, ათი მიღის აღმა ავყევით მდინარეს და ღამის გასათევად შევჩერდით.

ჩემი ანგარიშით, ამაზონი ამ დროისათვის დაახლოებით ასი მიღის მანძილზე მოვიტოვეთ უკან.

მეორე დღეს დილაადრიან მოხდა მნიშვნელოვანი მოვლენები. შეშფოთებული პროფესორი ჩელენჯერი გათენებისთანავე ათვალიერებდა ორივე ნაპირს და რაღაცას აშტერდებოდა. უცებ მან კმაყოფილებით შესძახა და მიგვითითა მდინარეზე მძიმედ გადმოზნექილ ხეზე.

- როგორ ფიქრობთ, ეს რა არის? - იკითხა მან.
- რა თქმა უნდა, პალმა ასაი, - თქვა სამერლიმ.
- მართალია და სწორედ ეს პალმა მქონდა მე მინიშნებული! კიდევ ნახევარი მიღი იმ ნაპირის ზევით და ჩვენ მივადგებით მწვანეში მიმავალ ნაკადულს. ყველაზე საკვირველი ისაა, რომ ხეები აქ მთლიანად კედელივითაა აღმართული.

აი ნახეთ, ბნელი ბუჩქნარი ღია მწვანე ლერწმებით იცვლება. იქ

მაღალ ალვის ხეებშეა იმყოფება საიდუმლო ჭიშკარი უცნობი მხარისა. ახლა თქვენ თვითონ დარწმუნდებით ამაში. აბა, წინ გავწიოთ!

და მართლაც, განცვითრების მეტი აღარაფერი დაგვრჩენოდა. მივცურეთ რა იმ ადგილთან, სადაც ღია მწვანე ლერწმის შამბნარი იწყებოდა, შევიჭრით მათში. შემდეგ ასი იარდის მანძილზე მიგვყვებოდა ორი ნავი, კეტებით ვემიჯნებოდით ნაპირებს და, როგორც იქნა, შევიჭრით წყნარსა და პატარა მდინარეში, რომელსაც ქვიშით მოფენილი ფსკერი ჰქონდა. მისი ვიწრო ნაპირები მწვანით იყო შემოსილი. ის, ვინც ვერ შეამჩნევდა, რომ აյ ხშირი ბუჩქნარის ნაცვლად ლერწამი იზრდებოდა, ვერასოდეს მიხვდებოდა ამ მდინარის არსებობას და მის მიღმა გადაშლილ ჭადოსნურ სამეფოს.

დიახ, ეს გახლდათ ჭეშმარიტად ჭადოსნური სამეფო! ასეთი სიმშვენიერე შეიძლება დახატოს მხოლოდ მგზნებარე ფანტაზიის მქონე ადამიანმა. ხშირი ტოტები გადახლართულიყო ჩვენს თავზე და ბუნებრივ მწვანე თაღს ქმნიდა. ამ მწვანე გვირაბში კი მიჩუხუხებდა გამჭვირვალე მწვანე მდინარე. იგი, თავისთავად შესანიშნავი, კიდევ უფრო ზღაპრული მოჩანდა ამ უცნაურად მოვარვარე შექის გამო.

ბროლივით წმინდა, სარკესავით უძრავი, კიდეებთან ამწვანებული - როგორც აისბერგი, წყლის ზედაპირი ციმციმებდა ფოთლოვანი თაღის ქვეშ და ჩვენი ნიჩბების მოქნევისას უცნაურად ხუჭუჭდებოდა.

ეს გზა სწორედ საოცნებო ქვეყნის შესაფერისი იყო და იქითვენ მიგვიძლოდა კიდეც.

ახლა ინდიელები აღარ იძლეოდნენ ნიშანს, სამაგიეროდ ცხოველები უფრო ხშირად გვხვდებოდნენ და მათი მიმნდობლობა

ამტკიცებდა, რომ ისინი მონადირეებს ჭერ არ შეხვედროდნენ.

ფუნჩულა, შავი ხავერდისკანიანი მაიმუნები, თვალისმომჯრელი თეთრი კბილებითა და ეშმაკური თვალებით, გამაყრუებელი ლაქლაქით გვაცილებდნენ.

ხანდახანნაპირებიდან მძიმე შხაპუნით ეცემოდა წყალში კაიმანი. ერთხელ როგორდაც ვეებერთელა ტაპირმა გამოგვხედა ბუჩქნარიდან და ცოტა ხნის შემდეგ აუჩქარებლივ მიიმალა ტევრში. შემდეგ დიდმა, მოქნილმა ყვითელმა პუმ გაირბინა ხეებში; იგი შემოტრიალდა და ქერა ბეჭებიდან ზიზღით აღსავსე მწვანე თვალები შემოგვანათა. ირგვლივ აუარებელი ფრინველი იყო, განსაკუთრებით ჭაობისა. წყლის პირას გადმოზნექილ ყოველ ღეროზე გუნდებად ისხდნენ: იბისები, ყანჩები, ყარყატები, ცისფერი, ღია ნითელი, თეთრი. ბროლივით წმინდა წყალი კი სავსე იყო მრავალნაირი ფერის თევზით.

სამი დღე მივცურავდით ამ მომწვანო-მოოქროსფრო გვირაბში. წინ რომ ვიყურებოდი, ვერ ვარჩევდი, სად მთავრდებოდა მწვანე წყალი და სად იწყებოდა მწვანე თაღი.

არაფერი არღვევდა ღრმა სიმშვიდეს ამ მდინარისას, ადამიანის ჭაჭანება გამქრალიყო.

- ინდიელები აღარ ჩანან. კურუპურისა ეშინიათ, - თქვა როგორდაც ჰომესმა.

- კურუპური - ეს ტყის სულია, - განმარტა ლორდ ჭონმა, - აქ ამ სახელს ეძახიან ყველაფერს, რასაც ბოროტი საწყისი აქვს. საცოდავ ადგილობრივ მკვიდრთ ჰგონიათ, რომ ამ ადგილებში რაღაც საშინელება იმაღება და ახლოს არ ეკარებიან აქაურობას.

მესამე დღეს ჩვენთვის ნათელი გახდა, რომ ნავებს უნდა გამოვთხოვებოდით, რადგანაც რაც უფრო წინ მივდიოდით, მდინარე თანდათან პატარავდებოდა და ქვიშა გვაბრკოლებდა. ბოლოს ჩვენ გადმოვათრიეთ ნივთები წყლიდან და ღამის გასათევად, ნაპირზე, ბუჩქნარში დავბანავდით. დილიდან მე და ლორდ ჭონმა ორი მილი გავიარეთ ტყეში მდინარის დინების გასწვრივ და, როცა დავრწმუნდით, რომ მდინარე თანდათან კლებულობდა, ეს ამბავი პროფესორ ჩელენჯერს ვაცნობეთ; ამითვე დავამოწმეთ მისი მოსაზრებანი, რომ ჩვენ უკვე მივაღწიეთ საბოლოო პუნქტს, რომლის იქითაც ნავებით აღარ შეიძლებოდა წასვლა. მაშინ ჩვენი ნავები კიდევ უფრო ზევით ნაპირზე, სიღრმეში წავათრიეთ და ბუჩქნარში დავმალეთ, იქვე ხეზე ცულით ნიშანი ამოვკვეთეთ, რათა უკან დაბრუნებისას ადვილად მოგვეძებნა. ამის შემდეგ ერთმანეთში გავინაწილეთ ჩვენი ტვირთი - შაშხანები, ვაზნები, სურსათი, საბნები, კარავი და სხვა, მოვიკიდეთ მხრებზე და კვლავ გავემგზავრეთ. ეს იყო უკანასკნელი ეტაპი და უფრო დიდი სიძნელეების გადალახვა მოგველოდა, ვიდრე დასაწყისში.

გამგზავრება, სამწუხაროდ, ჩვენი ორი ყვინჩილას შეტაკებით აღინიშნა. მას შემდეგ, რაც ჩელენჯერი ჩვენს ექსპედიციას შემოუერთდა, ყველაფერს იგი განაგებდა, ეს კი სამერლის აშკარად არ მოსწონდა. და სწორედ იმ დღეს, როცა ჩელენჯერმა თავის კოლეგას უბრძანა, წაედო ანეროიდის ბარომეტრი, მოხდა განხეთქილება.

- ნება მიბოძეთ, შეგევითხოთ, სერ, - მკაცრი სიმშვიდით წარმოთქვა

სამერლიმ, - რა უფლებით აძლევთ თქვენს თავს ნებას, გვიმეთაუროთ?

ჩელენჯერი უცბად აპილპილდა და მთლად აიბურძგნა:

- ექსპედიციის ხელმძღვანელის უფლებით, პროფესორო სამერლი!
- იძულებული გახლავართ მოგახსენოთ, რომ მე თქვენ არ მიგიჩნევთ ხელმძღვანელად, სერ!

- ნუთუ მართლა?! - ჩელენჯერმა მართლაც სპილოსებური გრაციით, დამცინავად დაუკრა მას თავი. - მაშინ კეთილი ინებეთ და მაჩვენეთ ჩემი ადგილი!

- სიამოვნებით, სერ. თქვენ ხართ ის ადამიანი, რომლის სიტყვების სიმართლე ეჭვს ბადებს, ჩვენ კი კომისიის წევრები ვართ და უნდა შევამოწმოთ. თქვენ იმყოფებით თქვენს მსაჯულებთან, სერ.

- ღმერთო დიდებულო! - წამოიძახა ჩელენჯერმა და ჩამოჰდა გადაბრუნებულ ნავზე. - რავი ასეა, კეთილი ინებეთ და უჩემოდ განაგრძეთ გზა, მე კი ნელ-ნელა გამოგყვებით უკან. თუ მე არა ვარ ამ ექსპედიციის ხელმძღვანელი, რა საჭიროა ჩემი გაძლოლა?!

საბედნიეროდ, ჩვენს პარტიაში ორი კეთილგონიერი ადამიანი აღმოჩნდა - ლორდ ჭონი და მე, თორემ ჩვენი მეცნიერების უგუნურება და აპილპილება იქამდეც მივიდა, რომ ლონდონში ხელცარიელი დავბრუნდებოდით. რამდენი ხვეწნა, შთაგონება და ახსნა-განმარტება დაგვჭირდა, ვიდრე მათ დავაწყნარებდით. და ბოლოს, სამერლი დაწინაურდა ჩიბუხით პირში და გესლიანი ღიმილით; ჩელენჯერი კი ბურტყუნით უკან მისდევდა. ჩვენდა საბედნიეროდ, ჭერ კიდევ რამდენიმე დღის წინ გამოვარკვიეთ, რომ ეს ორი ბრძენი არაფრად აგდებდა ედინბურგელ დოქტორ ილინგუორთს და ამან გვიხსნა

გაჭირვებისაგან. ამიერიდან ვახსენებდით თუ არა შოტლანდიელ ზოოლოგს, სწრაფად ვაქრობდით მოსალოდნელ ჩხუბს. საერთო სიძულვილის გამო ორივე პროფესორი დროებით ერთდებოდა და გაცხარებული ლანძღავდა მას ერთხმად.

მდინარის სანაპიროების გასწვრივ მწკრივად მიმავალნი ვამჩნევდით, რომ იგი თანდათანობით პატარა ნაკადულად იქცა, ბოლოს კი მწვანე ხავსით მოფენილ ჭანჭრებს შეერია, რომელშიც მუხლებამდე ვეფლობოდით. ამ ადგილას ურიცხვი მოსკიტი და კოლო ირეოდა.

ნავების მიტოვების შემდეგ ერთი დღე გავიდა. ადგილმდებარეობა ძლიერ შეიცვალა. ახლა მთებზე გვიხდებოდა სიარული. უღრანი ტყე საგრძნობლად შეთხელდა და მისი ტროპიკული სიმშვენიერეც თანდათან გაქრა. ამაზონის დაბლობის შლამით განოყიერებული ვეებერთელა ხეები ადგილს უთმობდა ქოქოსისა და ფინიკის პალმებს, რომლებიც ჯგუფ-ჯგუფად იდგა ხშირ ბუჩქნარში. ნოტიო დაბლობებში იზრდებოდა პალმები კოხტად მოხრილი ტოტებით. ჩვენ კომპასის მიხედვით მივდიოდით. ინდიელებსა და ჩელენჯერს შორის გზის ამორჩევის გამო რამდენჯერმევამათი გაიმართა. ორივეჯერ მთელმა ჩვენმა პარტიამ არჩია, როგორც გახელებულმა პროფესორმა აღნიშნა, „ ევროპის თანამედროვე კულტურის სრულყოფილი პროდუქტის ნაცვლად, მივნდობოდით ველურების მცდარ ინსტინქტებს “ . მესამე დღეს გამოირკვა, რომ ინდიელებისათვის უპირატესობის მინიჭება სრულიად საფუძვლიანი იყო. ჩელენჯერმა თვითონვე იცნო ზოგიერთი ადგილი, რომელიც პირველი მოგზაურობიდან

დაამახსოვრდა. ერთ ადგილას კი ჩვენ წავანყდით ოთხ ამომწვარ ქვას - აյ მას კარავი ჰქონდა ადრე. აღმართი კვლავ გრძელდებოდა. ორი დღე მოვუნდით რიყის ქვით მოფენილი გორაკის გადალახვას, მცენარეულობის სახე ისევ შეიცვალა და წინანდელი ტროპიკული სიმშვენიერიდან აյ დარჩა მხოლოდ „ სპილოს ძვლის “ პალმები და მრავალი ყვავილი: გუგულის კაბები, რომელთა შორის მე ვისწავლე გამოცნობა იშვიათი Nუტტონია Vეხილლარია-სი. გორაკის ნაპრალებში პატარა ნაკადულები მოჩუხჩუხებდა, გვიმრის შამბნარით დაჩრდილული. ღამღამობით ტბის ნაპირებთან, რიყის ქვებზე გვიხდებოდა შესვენება, სადაც ჯგუფ-ჯგუფად დაცურავდნენ მოლურჯო-მოშავო ზურგიანი პანანა თევზები, ჩვენი ინგლისური კალმახის მსგავსნი. გემრიელ ვახშამს ვიკეთებდით მათგან.

ჩვენი მოგზაურობის მეცხრე დღეს, როდესაც ჩემი ანგარიშით, დაახლოებით ასოცი მილი განვვლეთ ნავების მიტოვების ადგილიდან, ტყე სულ დაპატარავდა და თანდათანობით ბუჩქნარად იქცა. ბუჩქნარი ბამბუკის გაუთავებელი შამბნარით შეიცვალა. იმდენად გაუვალი იყო ეს შამბნარი, რომ დანგებითა და ინდური ნაჭახებით ვიკაფავდით გზას. მთელ დღეს მოვუნდით ამ ამბავს, დილის შვიდი საათიდან საღამოს რვა საათამდე. მხოლოდ ორჯერ, მცირე ხნით შევისვენეთ.

ძნელი წარმოსადგენია ამაზე უფრო მოსაბეზრებელი და მომქანცველი საქმიანობა! ველზეც ჰორიზონტი ათი-თორმეტი იარდით განისაზღვრებოდა; სხვა დროს კი მე მხოლოდ ლორდ ჭონის ზურგს ვხედავდი ჩემ წინ, თეთრი ტილოს პერანგით შემოსილს. ირგვლივ, ძლიერ ახლოს, ლერწმის ყვითელი კედელი გრძელდებოდა. მზის

სხივები აქა-იქ შემოპარულიყო. ჩვენ ზევით, თხუთმეტი ფუტის მანძილზე, ღია ლურჯი ხის ფონზე ირხეოდა ბამბუკის კენწეროები. მე არ ვიცი, რა ცხოველები ბინადრობდნენ ამ უღრანში, მაგრამ ჩვენ არაერთხელ გავიგონეთ, ჩვენგან სულ ახლოს, ვიღაცის მძიმე ნაბიჯების ხმა. ლორდ ჭონის აზრით, ესენი გუანაკონები ან ლამები იყვნენ. მხოლოდ დაღამებისას დავაღწიეთ თავი ლერწმის ჭალას და განამებულნი ამ გაუთავებელი დღის შრომის შემდეგ, მაშინვე შევუდექით ბანაკის კეთებას.

მეორე დღეს გზაში შემოგვათენდა, ადგილმდებარეობა კვლავ შეიცვალა. უკან, თითქოს მდინარის კალაპოტიაო. გარკვევით მოჩანდა ყვითელი კედელი ლერწმისა, ნინ ფართო ველი გადაჭიმულიყო, აქა-იქ ხისებრი გვიმრებით დაფარული, რომელიც თანდათან მაღლდებოდა გრძელი თხემისკენ და ვეშაპის ზურგის მოხაზულობას გვაგონებდა. დაახლოებით შეადღისას გადავლახეთ ჩვენ იგი და მის გადაღმა დავინახეთ ველი, იქით კი კვლავ დამრეცილი ფერდობი, ნაზად მომრგვალებული ჰორიზონტან. სწორედ აქ, ამ გორაკზე, მოხდა ერთი ამბავი, რომელსაც ალბათ დიდი მნიშვნელობა აქვს.

ნინ მიმავალი პროფესორი ჩელენჯერი, რომელსაც თან ორი ინდიელი ახლდა, უცებ შეჩერდა და აღელვებულმა დაიწყო ხელის ქნევა. სადღაც მარჯვნივ მიგვითითებდა იგი. გავიხედეთ თუ არა იქითკენ, დაახლოებით ერთი მილის დაშორებით, დავინახეთ რაღაც ვეებერთელა ნაცრისფერი ფრინველის მსგავსი რამ, რომელმაც ნელ-ნელა შეიფერთხა ფრთები, წყნარად დაეშვა დედამიწაზე და ხეებში მიიმალა.

- დაინახეთ? - აღტაცებული ხმით შესძახა ჩელენჯერმა. - შენიშნეთ, სამერლი?

მისი კოლეგა თვალს არ აშორებდა იმ ადგილს, სადაც ეს საოცარი ფრინველი მიიმალა.

- რა არის, თქვენი აზრით? - იკითხა მან.

- როგორ თუ რა არის? პეტროდაქტილია!

სამერლიმ დამცინავად გადაიხარხა.

- პტერო-სისულელე! - თქვა მან. - ეს ყარყატია, სრულიად ჩვეულებრივი ყარყატი.

ჩელენჯერი ბრაზისაგან ხმას ვერ იღებდა. ნაცვლად პასუხისა, მან მოიგდო ზურგზე ტომარა და გასწია წინ, მაგრამ ლორდ ჭონს, რომელიც მე წამომენია, ჩვეულებრივზე უფრო სერიოზული გამომეტყველება პქონდა. ხელში თავისი ცეისის დურბინდი ეჭირა.

- მე მაინც მოვახერხე მისი შეთვალიერება, - თქვა მან, - ვერ გავძედავ თქმას, თუ რა არის იგი. ეს კია, რომ ამის მსგავსი ფრინველი ჰერ ჩემს ცხოვრებაში არ მინახავს. მთელი ჩემი მონადირის გამოცდილებით ვადასტურებ ამას.

აი, ასე მიდიოდა ჩვენი საქმეები. მივედით თუ არა სინამდვილეში უცნობი ქვეყნის კარიბჭესთან? ვიმყოფებოდით თუ არა იმ დაკარგული ქვეყნის მისადგომებთან, რომელზეც განუწყვეტლივ ჩაგვჩიჩინებდა ჩვენი წინამდღოლი? ყოველივე ისე ჩავიწერე, როგორც მოხდა და ახლა თქვენ იმდენივე იცით, რამდენიც მე. სხვა ღირსშესანიშნავი აღარაფერი მომხდარა.

მაშ, ასე, ჩემო ძვირფასო მკითხველო, - თუკი მეყოლება ოდესმე

მკითხველი, - თქვენც ამოჰყევით აღმა განიერ მდინარეს, ჩემთან ერთდ განვლეთ შამბარი მწვანე გვირაბში, გამოიარეთ ფერდობზე პალმებს შორის, გაივაკეთ ლერწმებში და დაეშვით ხისებრი გვიმრებით გაბარდნულ ველზე. ახლა მიზანი ჩვენი მოგზაურობისა ჩვენ წინ არის გადაშლილი.

გადავლახეთ რა მეორე მთაგრეხილი, დავინახეთ ხშირი პალმებით მოფენილი ვინრო ხეობა, მის მიღმა კი გრძელი ხაზი წითელიკლდებისა, რომელიც ალბომში ჩანახატებიდან დამამახსოვრდა. მე ახლა ვწერ, მაგრამ საკმარისია მივატოვო წერა, რომ დავრწმუნდე მის იგივეობაში ალბომში ჩანახატთან. უმოკლესი მანძილი ციცაბო კლდეებიდან ჩვენს სადგომამდე შვიდ მილს არ აღემატება, შემდეგ კი იგი თვალუწვდენელ სივრცეში მიიკლავნება.

ჩელენჯერი მამალივით ამაყად დადის ბანაკში. სამერლი დუმს, მაგრამ ძველებურად სკეპტიკურადაა განწყობილი. კიდევ ერთი დღე და ზოგი ჩვენი ეჭვი საბოლოოდ გაითანხება. ჭერჭერობით კი ამ წერილს ვატან ჰოსეს, რომელმაც ბამბუკებში დაიშავა ხელი და გათავისუფლება მოითხოვა.

ვიმედოვნებ, რომ წერილი მაინც მიაღწევს დანიშნულ ადგილას. პირველი შემთხვევისთანავე კიდევ მოგწერთ. ამ წერილთან ერთად გიგზავნით ჩვენი მოგზაურობის დაახლოებით გეგმას, იმ ანგარიშით, რომ იგი დაგეხმარებათ, ნათლად წარმოიდგინოთ აქ აღწერილი ამბავი.

თავი მეცხრე

„ წინასწარ ამას ვინ განჯვრებდა “

საშინელი უბედურება შეგვემთხვა, წინასწარ ამას ვინ განჯვრებდა! ახლა უკვე ჩვენს უბედურებას ბოლო აღარ უჩანს. შესაძლებელია სამუდამოდ განწირულნი ვიყოთ, რათა ამ იდუმალსა და მიუვალ ადგილას გავატაროთ მთელი ჩვენი სიცოცხლე. იმდენად თავზარდაცემული ვარ მომხდარი ამბებით, რომ არა გამეგება რა. არ ვიცი, მომავალი რას გვიმზადებს. აწმყო საშინელებად მეჩვენება, მომავალი კი უკუნეთად.

ამაზე საშინელ მდგომარეობაში ალბათ არ ჩავარდნილა ჭერ არც ერთი ადამიანი. ისეთი გამოუვალია ჩვენი მდგომარეობა, რომ საჭიროც კი არაა მიგითითოთ ზუსტად, რომელი განედისა და გრძედის ქვეშ ვართ მოხვედრილი. მოგიწოდებთ მეგობრებს - დამხმარე ექსპედიცია მოგვაშველოთ. ვიდეც რომ წამოვიდეს ასეთი ექსპედიცია, ჩვენი ხვედრი ალბათ ბევრად უფრო ადრე გადაწყდება, ვიდრე ისინი სამხრეთ ამერიკას მოაღწევენ.

დიახ, ჩვენ ისე ვართ მოწყვეტილნი ყოველგვარი დახმარების საშუალებას, თითქოს მთვარეზე ვიმყოფებოდეთ. თუ გამარჯვებული დავბრუნდით, მხოლოდ ჩვენსავე თავს უნდა ვუმადლოდეთ ამ გადარჩენას.

ჩემი სამივე თანამგზავრი შესანიშნავი ადამიანია - განსაკუთრებული გონებისა და უდრევი გულის მქონენი. მხოლოდ და

მხოლოდ მათ ემყარება მთელი ჩვენი იმედები. მე მაშინვე მიძრუნდება იმედის ნაპერნვალი, როდესაც მათ დამშვიდებულ სახეებს ვუმზერ. გარეგნულად მეც, ალბათ, მშვიდი გამომეტყველება მაქვს, თუმცა საშინლად მტანწავს თვალბედითი საშიშროებანი.

ნება მიბოძეთ, რაც შეიძლება დაწვრილებით მოგითხოვთ თანამიმდევრობითი სვლა მოვლენებისა, რომელმაც კატასტროფამდე მიგვიყვანა.

ჩემს წინა წერილში გნერდით, რომ ვიმყოფებით თხუთმეტი კილომეტრის მანძილზე მოწითალო ციცაბო კლდეების უღელტეხილიდან, რომელნიც გარს ევლებიან იმ ზეგანს, პროფესორი ჩელენჯერი რომ მოგვითხოვოდა.

როცა უფრო ახლოს მივედით იმ ფრიალო კლდეებთან, მომეჩვენა, რომ ისინი ბევრად უფრო მაღალი იყვნენ, ვიდრე ჩვენ წარმოგვედგინა პროფესორ ჩელენჯერის გადმოცემის მიხედვით. ზოგან მათი სიმაღლე ათასი ფუტი იქნებოდა.

ჩვენ წინ აღმართულიყო მაღალი პირამიდისებური კლდე, რომელიც თავისივე სიმაღლის ზეგანისაგან უფსკრულითაა გამოყოფილი. კლდის მწვერვალზე მაღალი ხე დგას.

- აი, ამ ხეზე, - წარმოთქვა ჩელენჯერმა და ხეზე მიუთითა, - ამ ხეზე ვნახე პირველად პტეროდაქტილი. ვიდრე მოვკლავდი, ბევრი ვეცადე მწვერვალზე ასვლას, მაგრამ კლდის შუამდე ძლივს მივაღწიე. მე ვფიქრობ, რომ ისეთი გამოცდილი ალპინისტი, როგორიც მე გახლავართ, მოახერხებდა მწვერვალამდე ასვლას, მაგრამ, სულერთია, იქიდან ტაფობზე გადასვლა მაინც შეუძლებელია.

ჩელენჯერმა რომ თავის პტეროდაქტილზე დაიწყო საუბარი, მე პროფესორ სამერლის გადავხედე მალულად და სახტად დავრჩი: მის სახეზე ჩვეულებრივი უნდობელი ღიმილის ნაცვლად, ნდობისა და სინანულის გამომეტყველება შევნიშნე. გესლიანი ღიმილი მოშორდა მის ტუჩებს, იგი გაფითრებული იდგა და არც კი ცდილობდა განცვიფრების დამალვას. ჩელენჯერმაც კი შენიშნა მისი სიტყვებისაგან გამოწვეული ეფექტი და გამარჯვების ნეტარებით ტკბებოდა.

- პროფესორი სამერლი, რა თქმა უნდა, ფიქრობს, - თქვა მან უხეში დაცინვით, - რომ პტეროდაქტილის ხსენების დროს მე ჩვეულებრივი ყარყატი მქონდა მხედველობაში. საქმე ისაა, რომ ამ ჩემს ყარყატს ზოგიერთი თავისებურებანი ახასიათებს: ბუმბულის ნაცვლად სქელი კანი და აპკისებური ფრთები აქვს, ხოლო ნისკარტში - ბასრი კბილები, - ამ სიტყვებითა და დამცინავი ხითხითით ჩელენჯერმა თავი დაუკრა თავის კოლეგას, რომელიც საჩქაროდ გაშორდა მას.

დილით მსუბუქად ვისაუზმეთ ყავითა და მანიოკით (უნდა გავფრთხილებოდით სურსათის მარაგს), მერე პატარა სამხედრო საბჭო მოვინვიეთ და შევუდექით იდუმალებით მოცულ ტაფობზე ასასვლელად გეგმის შემუშავებას. ჩელენჯერი, ვითარცა უზენაესი მოსამართლე, თავმჯდომარეობდა.

წარმოიდგინეთ ასეთი სურათი: კლდეზე წამოჭიმული წვეროსანი, კეფაზე მოგდებული სასაცილო ჭილის ქუდით; იგი ქედმაღლურად შემოგვყურებს მოჭუტული თვალებით და დინჯად, სვენებ-სვენებით ლაპარაკობს ჩვენი დღევანდელი მდგომარეობისა და მომავლის

შესახებ. მის წინაშე ჩვენ ვზივართ, სამნი: თქვენი მონა-მორჩილი მზისაგან დამწვარი და სუფთა პაერით გაფანსაღებული; მედიდური და ძველებურადვე სკეპტიკურად განწყობილი სამერლი, თავისი განუყრელი ჩიბუხით, და გამხდარი, სამართებელივით ბასრი ლორდ ჭონი, რომელიც თოფს დაჰყრდნობია და არნივის თვალებით ჩელენჯერს შეჰყურებს. ჩვენ უკან ორი შავი მეტისი დაინდიელების ჭგუფი იყო თავმოყრილი, წინ კი - მოწითალო წიბოვანი კლდეები გვიშლიდა ხელს, სასურველი მიზნისათვის რომ მიგვეღწია.

- იქნებ არც კი ღირდეს ამაზე ლაპარაკი, - ასე დაიწყო ჩვენმა წინამძღოლმა, - რომ როცა პირველად ჩამოვედი, ტაფობზე ასასვლელად ყველაფერი ვიღონე და, თუ მე - გამობრძმედილმა ალპინისტმა, ვერა გავაწყვე რა, როგორლა მოახერხებს იქ ასვლას სხვა ვინმე? თუმცა მაშინ თან არ მქონდა ალპინისტის სათანადო მოწყობილობანი; ახლა მე ამისთვის ვიზრუნე და, რაც უნდა დამემართოს, მწვერვალს მივაღწევ. ეს კია, რომ მთავარ ქედზე ასვლა ამ მხრიდან ჭრჭერობით ძნელი საფიქრებელია. პირველად ყოფნისას, მე მეჩქარებოდა კიდეც, ვინაიდან წვიმების პერიოდი მოახლოვდა და ამასთანავე ყოველგვარი მარაგი შემომელია. ყველაფერმა ამან ჩემი დრო ძლიერ შეზღუდა და ქედის შემოვლა მხოლოდ აღმოსავლეთის მიმართულებით შევძელი, დაახლოებით ექვსი მილის მანძილზე, მაგრამ ზევით ასასვლელი მოხერხებული ადგილი მაინც ვერ გამოვნახე. ახლა როგორ უნდა მოვიქცეთ?

- ჩემი აზრით, მხოლოდ ერთი გამოსავალი დაგვრჩენია, - წარმოთქვა პროფესორმა სამერლიმ, - თუ თქვენ ქედი აღმოსავლეთის

მიმართულებით გამოიკვლიეთ, ახლა მისი გამოკვლევა დასავლეთიდანაა საჭირო. ვცადოთ, იქნებ დასავლეთიდან მივუდგეთ.

- სწორია, - დაუკრა კვერი ლორდ ჭონმა, - როგორც ჩანს, ეს ქედი არც ისეთი დიდია, რომ გაგვიძნელდეს მის ირგვლივ შემოვლა. თუ ვერ ვნახეთ მოხერხებული ადგილი, ისევ აქ დავბრუნდებით.

- მე უკვე ავუხსენი ჩვენს ახალგაზრდა მეგობარს, - წარმოთქვა ჩელენჯერმა (იგი მუდამ ისე მომიხსენებდა ხოლმე, თითქოს ათი წლის ბავშვი ვყოფილიყავი), - რომ იოლ მისასვლელზე ფიქრიც ზედმეტია სულ უბრალო მიზეზის გამო: ასეთი მისასვლელი რომ ყოფილიყო, ტაფობი გარემო სამყაროს მოწყვეტილი აღარ იქნებოდა და იქ ვერ წარმოიშობოდა ისეთი პირობები, რომლებიც არღვევდა სახეობათა გამძლეობის ყველა ჩვენთვის ცნობილ კანონს. მიუხედავად ამისა, მე მაინც სრულებით შესაძლებლად მიმაჩნდა, რომ მის ფერდობზე იქნებოდა ისეთი ადგილი, რომლის დაძლევასაც გამოცდილი ალპინისტი მოახერხებდა. ძონძროხა და ტლანქი ცხოველებისათვის კი, რა თქმა უნდა, დაუძლეველი იქნება. ასეთი ადგილი ერთი მაინც უნდა იყოს. ამაში მე დარწმუნებული გახლავართ.

- რამ ჩაგინერგათ ასეთი რწმენა, სერ? - მკვახედ შეეკითხა სამერლი.

- იმან, რომ ჩემმა წინამორბედმა, ამერიკელმა მეპლ-უაიტმა შეძლო ტაფობზე ასვლა. ასე რომ არ ყოფილიყო, მაშინ როგორდა დაინახავდა იმ ურჩხულს, რომელიც მას თავის ალბომში ჩაუხატავს?

- თქვენ კვლავ წინ გარბიხართ და აღარ ელოდებით, სანამ ყოველივე ეს გამოირკვეოდეს, - ჰიქურ შეუბრუნა სიტყვა სამერლიმ, -

ტაფობის არსებობა მნამს, ვინაიდან იგი აგერ, ჩემ თვალწინაა, მაგრამ იქ სიცოცხლე იყო თუ არა, ეს ჭერ კიდევ საკითხავია.

- გნამთ თქვენ რამე თუ არ გნამთ, ეს სრულებით არაა საყურადღებო. მე ამითაც კმაყოფილი ვარ, რომ ტაფობის არსებობის სინამდვილემ მაინც მიაღწია თქვენს შეგნებამდე, - ჩელენჯერმა ასწია თავი, უცბად წამოიჭრა ფეხზე, სტაცა სამერლის ქეჩოში ხელი და ნიკაპი ზევით აუნია, - ჰოდა, სერ, - წამოიყვირა მან სიბრაზისაგან ჩახრინწული ხმით, - ახლა ხომ დარწმუნდით, რომ ტაფობზე ცხოველთა სამყარო არსებობს?

მე უკვე ვიღაპარავე იმ ხშირი ჯეჭილოვანი მწვანის შესახებ, რომელსაც მოეცვა მთაგრეხილის ქვიანი კიდურები. სწორედ ამ შამბნარიდან უცრად გამოჩნდა რაღაც შავი, მბზინვარე არსება. იგი ზანტად მიუახლოვდა ხრამს და ზედ გადმოეკიდა. მხოლოდ მაშინ გავარკვიეთ, რომ იგი იყო ვეებერთელა გველი, ნიჩაბივით ბრტყელი თავით. ცოტა ხანს ქანაობდა ის ხრამის ზემოთ, მერე ნელ-ნელა დაიხია უკან და ჩირგვებში შთაინთქა.

ამ სანახაობამ იმდენად გაიტაცა სამერლი, რომ პირველად არც კი უცდია, თავი დაეღწია ჩელენჯერის თათებიდან, მაგრამ შემდეგ მოვიდა გონს, ხელი ჰკრა თავის კოლეგას და კვლავ გაიძღინძა.

- პროფესორო ჩელენჯერ, - წარმოთქვა მან, - მეტად მოხარული ვიქნებოდი, თუ მიაგნებდით რაიმე სხვა ხერხს თქვენი სიტყვებისადმი ყურადღების მისაქცევად, იმის მაგივრად, რომ ნიკაპი აუნიოთ ხოლმე კაცს. ასეთ თავხედობას ვერ გაამართლებს ჩვეულებრივი ბოას გამოჩენაც კი.

- მაგრამ ხომ არის სიცოცხლე ზეგანზე! - გამარჯვებულის ხმით წამოიძახა მისმა კოლეგამ. - და ახლა, როცა ჩემი მოსაზრება ისეთი თვალსაჩინო საბუთით დადასტურდა, რომ იმის წინააღმდეგ გამოსვლას ვეღარ გაძედავენ თვით წინასწარშეგონებული და დაჩლუნგებული ჭკუის პატრონებიც ვი, წინადადებას ვიძლევი, დაუყოვნებლივ დავტოვოთ ჩვენი სადგომი და გავწიოთ დასავლეთის მიმართულებით ისეთი ადგილის აღმოსაჩენად, საიდანაც შეიძლება ტაფობზე ასვლა.

ქედის ძირი ქვიანი იყო, ოღროჩოღრო, რის გამოც წასვლა მეტად გვიძნელდებოდა, მაგრამ მოულოდნელმა აღმოჩენამ გაგვამხნევა: ჩვენ წავანყდით ვიღაცის სადგომის ძველისძველ კვალს. ქვებს შორის ეყარა რამდენიმე თუნექი ხორცის კონსერვისა, დამზადებული ჩიკაგოში; გატეხილი დანა, კონიაკის ეტიკეტიანი ბოთლი და მრავალი სხვა, ასეთიშემთხვევისათვის ჩვეულებრივი წვრილმანი. ასევე იყო დაკუმშულ-დახეული გაზეთი - „ ჩიკაგოს დემოკრატი ” , მაგრამ, რა რიცხვის იყო გაზეთი, ვერ გავარკვიეთ.

- ეს ჩემი არაა, - თქვა ჩელენჯერმა, - ალბათ მეპლ-უაიტისა იქნებოდა.

ლორდ ჭონი დაკვირვებით ათვალიერებდა იმ ხისებრი გვიმრის მაღალ ღეროს, რომლის ჩრდილშიც სადგომი მოეწყოთ.

- აბა, დახედეთ, - თქვა მან, - ვგონებ, ეს გზის მაჩვენებელი უნდა იყოს.

ხეზე მიჭედილი იყო ნაფოტი, რომელსაც წაწვეტილი ბოლო დასავლეთისაკენ ჰქონდა მიმართული.

- სრული ჯეშმარიტებაა! - წამოიძახა ჩელენჯერმა. - არც შეიძლება აյ სხვა რამე იყოს. ჩვენს წინამორბედს ესმოდა, რომ მისი მომავალი გზა მეტად სახიფათოა და დატოვა ეს სარი იმ შემთხვევისთვის, თუ მას ძებნას დაუწყებდნენ... მოითმინეთ, შესაძლოა, ჩვენ სხვა კვალსაც წავანედეთ.

იგი მართალი აღმოჩნდა, მაგრამ რამდენად მოულოდნელი და საშინელი იყო ის, რაც ჩვენ ვიხილეთ! თვით ქედის ძირში იყო გაყოლებული ბამბუკის მაღალი რაყა, სწორედ იმგვარი, როგორიც ჩვენი მოგზაურობის დასაწყისში შეგხვდა და რომელსაც დიდი ვაივაგლახით დავაღწიეთ თავი. მაღალი ღეროები ზოგან 20 ფუტამდე აღწევდა, მაგარი წვეტები კი ისე ჰქონდა ზევით აშვერილი, თითქოს ნამდვილი სარი ყოფილიყო. ჩვენ ამ რაყას გასწვრივ მივდიოდით და უცბად შევნიშნეთ, რომ იქ რაღაც თეთრმა იელვა. თავი გავყავი ღეროებში და თავის ქალა დავინახე. მისგან რამდენიმე ნაბიჭის დაშორებით, სანაპიროსაკენ, ეგდო თვით ჩონჩხიც. ინდიელებმა სწრაფად გაკაფეს ეს ადგილი თავიანთი დანებით და იქ დატრიალებული ტრაგედია წარმოგვიდგა ყველა წვრილმანით. დაღუპულის ტანისამოსიდან მხოლოდ ძონძებიღა დარჩენილიყო, მაგრამ სრულიად მთელი აღმოჩნდა ფეხსაცმელები, რომლებიც ძვლებზე იყო წამოცმული და მათი შემწეობით შეიძლებოდა მიხვედრა, რომ მათი პატრონი ევროპელი იყო. ძვლებს შორის ეგდო ოქროს საათი ნიუ-იორკის ფირმის „ ჰუდგინისა “ და სტილოგრაფიული კალამი ძენვით. იქვე ახლოს ეგდო ვერცხლის სათუთუნე, რომელსაც ხუფზე ამოკვეთილი ჰქონდა წარწერა: „ ჭ. კ-ს ა.ე. ს-საგან “ . სათუთუნეს

ფერი არ შესცვლოდა, მაშასადამე, უბედური შემთხვევა არც ისე დიდი ხნის წინ მომხდარიყო.

- ვინ უნდა იყოს, ნეტავი? - იკითხა ლორდ ჭონმა. - საბრალო! - ყველა ძვალი დაჩეჩქვილი აქვს!

- ბამბუკი კი გვერდებში აქვს გაჩრილი, - თქვა სამერლიმ, - მართალია, ბამბუკი საოცარი სისწრაფით იზრდება, მაგრამ მაინც დაუჭერებელია, რომ ღეროები ოც ფუტზე მეტად გაზრდილიყვნენ იმ ხნის განმავლობაში, რაც ეს ჩონჩხი აქ გდია.

- რაც შეეხება დაღუპულის ვინაობას, - თქვა ჩელენჯერმა, - ამის შესახებ არავითარი ეჭვი არ მებადება. სანამ ასეინდში შეგიერთდებოდით, მე ზუსტი ცნობები შევკრიბე მეპლ-უაიტის შესახებ. პარაში მის შესახებ არაფერი იცოდნენ. ბედად, კვალი მიმაგნებინა ერთმა ნახატმა მისი ალბომიდან. გახსოვთ საუზმე როსარიოში ვიღაც ხუცესთან? აი, სწორედ ამ ხუცესის ნახვა მოვახერხე და, თუმცა დიდი მოკამათე აღმოჩნდა და მეტადაც გამიგულისდა, როცა დავუწყე მტკიცება, რომ რელიგიური რწმუნებანი ვერ გაუმაგრდებიან თანამედროვე მეცნიერებას - ჩვენმა ბაასმა მაინც ამაოდ არ ჩაიარა. მეპლ-უაიტი ყოფილა როსარიოში ოთხი წლის წინათ, ესე იგი ორი წლით ადრე სიკვდილამდე: მას თან ახლდა თურმე მისი მეგობარი, ამერიკელი ჰეიმს კოლვერი, რომელიც ხმელეთზე არ გადმოსულა და ხუცესი არ უნახავს. ამიტომ, ეჭვგარეშეა, რომ ჩვენ წინაშე სწორედ ამ ჰეიმს კოლავერის ნეშტია.

- ჩემთვის ნათელია მისი დაღუპვის სურათიც, - თქვა ლორდ ჭონმა, - იგი გადმოვარდნილია კლდიდან ან გადმოუგდიათ იქიდან და

ბამბუკებზე ჩამოცმულა. სხვა გზით ვერ ავხსნით ძვლების ასე დამტვრევას. ბამბუკიც ვერ გახვრებდა ასეთი სისწრაფით მის სხეულს.

ჩვენ მდუმარენი ვემზერდით ჩვენ წინაშე მდებარე ნეშტს და ვუფიქრდებოდით ლორდ ჭონ როქსტონის სიტყვებს. კლდის ქიმი უროსავით გადმოჰკიდებოდა ზემოდან ბამბუკის ტევრს. ამერიკელი იქიდან გადმოვარდნილა! მაგრამ განა თვითონ გადმოვარდა? ნუთუ სინამდვილეში ეს მართლა უბედური შემთხვევა იყო? შეიძლება ასეცაა. და რაღაც ბოროტებამ და საშინელებამ დაგვეროლა, როცა გავიფიქრეთ ამ უცნობ მხარეზე.

მდუმარედ გავნიეთ ამ ქვის კედლის გასწვრივ, რომელიც ისეთივე სწორ ციცაბოს წარმოადგენდა, როგორსაც წარმოადგენს უსაზღვრო ყინულოვანი არეები ანქტარქტიკისა: ისინი პორიზონტიდან პორიზონტამდეა გადაჭიმული და იმ სიმაღლეზეა აღმართული, რომ ზემოდან დასცექრის მათ შორის დარჩენილ გემთა აფრებს. პირველი ხუთი მილის მანძილზე ჩვენ არ შეგვხვედრია არც ერთი ნაპრალი, არც ერთი ბზარი ამ ქვიან მთაგრეხილში. მაგრამ უცებ ჩვენ წინ გაიძლვა იმედის სხივმა.

მცირე სიღრმეში, სადაც წვიმის ნაკადი ვერ მისწვდებოდა, ცარცით დახატული იყო ისარი, რომელიც ასევე დასავლეთისაკენ მიუთითებდა.

- ისევ მეპლ-უაიტი,
- თქვა პროფესორმა ჩელენჯერმა,
- მას ეტყობა,
- წინათგრძნობა ჰქონდა, რომ მის კვალს მიჰყვებიან ადამიანები,
- რომელნიც ღირსნი იქნებიან ყოველგვარიმზრუნველობისა.
- მაშასადამე, მას თან ჰქონია ცარცი?
- აბა, როგორ! მის საგზაო ტოპრაკში იყო მთელი ყუთი ფანქრებისა.

მახსოვს, ყურადღება მივაქციე, რომ თეთრი ფანქრისგან მხოლოდ პატარა ნატეხი დარჩენილიყო.

- ფრიად დამაჯერებელი საბუთია, - თქვა სამერლიმ, - მივდიოთ მის ისრებს და გავწიოთ დასავლეთისაკენ.

ჩვენ ხუთი მილი გავიარეთ და კიდევ დავინახეთ თეთრი ისარი კლდეზე. ამ ადგილას ქვის კედელზე გამოჩნდა პირველი ვიწრო ნაპრალი. ნაპრალში კიდევ იყო ჩახატული ისარი, მაგრამ იგი ამ შემთხვევაში მიუთითებდა სადღაც ზევითკენ.

რა დღესასწაული გაგვითენა ამ ადგილმა! გიგანტური კლდეები, ზედ ფირუზი ცის მცირე ნაგლეჭი და თან საოცარი სიბნელე, რადგან სინათლის შუქი თითქმის ვერ ატანდა მეტად ხშირი მწვანის ორმაგ სისქეში. ჩვენ რამდენიმე საათის უქმელები ვიყავით, თანაც ქვებზე სიარულმა მოგვქანცა, მაგრამ განა შეიძლებოდა აქ შეჩერება?! ინდიელებს ბრძანება მივეცით, ბანაკი მოეწყოთ და ჩვენ ოთხმა, ორი მეტისის თანხლებით გავწიეთ წინ, ვიწრო ხეობის სიღრმეში.

შესასვლელში ხეობას ორმოც ფუტზე მეტი სიგანე არ ჰქონდა, მაგრამ შემდეგ დაიწყო ორნოხები და ბოლოს მიადგა ისეთი ფრიალოსა და მოლიპულ ფერდობს, რომ ზევით ასვლაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. ჩვენს წინამორბედს, ცხადია, რაღაც სხვა ჰქონდა მხედველობაში.

უკანვე გამოვბრუნდით, - ხეობას სულ მეოთხედი მილი თუ ექნებოდა სიღრმე, - და უცბად ლორდ ჭონის გამჭრიახმა თვალმა დაინახა ის, რასაც ჩვენ ვეძებდით: მაღლა, სწორედ ზედ ჩვენს თავზე, საერთო სიბნელეში მოჩანდა კიდევ უფრო ჩაბნელებული წერტილი. ეს

უეჭველად უნდა ყოფილიყო შესასვლელი რაღაც გამოქვაბულისა.

ხეობის ძირში ქვების გროვა ეყარა და ჩვენ სულ იოლად ავყევით ზევით. ჩვენი ეჭვები მთლიანად გაქარწყლდა. აი, გამოქვაბულის შესასვლელი, მის გვერდით ისევ ცარცით დახატული ისარი! მაშასადამე, აქედან, სწორედ ამ ადგილიდან მეპლ-უაიტმა და მისმა ბედკრულმა თანამგზავრმა იწყეს ტაფობზე ასვლა.

ჩვენ იმდენად ვიყავით აღელვებულნი, რომ აზრადაც არ მოგვსვლია უკან, ბანაკში დაბრუნება. გვინდოდა ახლავე დაგვეთვალიერებინა გამოქვაბული. ლორდ ჭონმა ზურგჩანთიდან ამოიღო ელექტრონის ფარანი, რომელსაც გზა უნდა გაენათებინა ჩვენთვის ამ სიბნელეში. მათ წინ გასწია, თანაც აქეთ-იქით ყვითელ შექს ჰფენდა. ჩვენ კვალდაკვალ მივდევდით.

გლუ კედლებისა და მრგვალი ქვაბის გროვის მიხედვით, ეს მღვიმე კლდეში წყლით უნდა ყოფილიყო ჩამორეცხილი. შიგ შესვლა სათითაოდ მოვახერხეთ, ისიც მხრებში მოხრილებმა. პირველი ორმოცდაათი იარდის მანძილზე გამოქვაბული სიღრმით მიდიოდა პირდაპირ კლდის სისქეში; შემდეგ კი დაიწყო აღმავლობა ორმოცდახუთგრადუსიანი შეღმართით. მალე ეს შეღმართი ციცაბოდ იქცა და ჩვენ დაგვჭირდა, დაოთხილებს გვევლო ზევით იმ რიყეზე, რომელიც ფეხქვეშ გვემლებოდა. გაიარა კიდევ რამდენიმე წუთმა და უცბად ლორდ როქსტონმა წამოიძახა:

- გასასვლელი აღარა!

მასთან მივიჭერით და ფანრის ყვითელ სინათლეზე დავინახეთ ბაზალტის ნატეხების გროვა, რომელიც გამოქვაბულის ჭერამდე

აღნევდა.

- მეწყერია!

გამოვაძვრეთ რამდენიმე ქვა, მაგრამ ამან ვერაფერი გვიშველა; პირიქით, შეირყა უფრო დიდი ლოდები, რომელთაც შეეძლო, ჩვენც გავესრისეთ. ასეთი დაბრკოლების გადალახვა, ცხადია, ჩვენ არ შეგვეძლო. გზა, რომელთაც მეპლ-უაიტს უვლია, აღარ არსებობდა!

ისე დაგვრთგუნა ამან, რომ ერთმანეთს სიტყვაც ვეღარ ვუთხარით, უკან გამოვბრუნდით და ლასლასით გავუყევით ბნელ ხეობას, მაგრამ ამ დროს მოხდა მეტად საინტერესო რამ:

ჩვენ შეჯგუფებული ვიყავით ხეობის ძირში, გამოქვაბულზე ორმოცი ფუტით დაბლა. უცებ სულ ახლოს ჩამოგვიქროლა ვეებერთელა ლოდმა. სწორედ სასწაულებრივად გადავურჩით სიკვდილს. შეუძლებელი იყო გარჩევა, საიდან წამოვიდა ეს უზარმაზარი ლოდი, მაგრამ ორივე მეტისის სიტყვით, რომელნიც გამოქვაბულის შესასვლელთან იდგნენ, ამ ლოდმა მათაც ჩამოუქროლა. მაშასადამე, იგი ვერსაიდან ჩამოვარდებოდა, თუ არა თვით მწვერვალიდან. ავიხედეთ ზევით, მაგრამ მწვანე შამბში, რომელიც კლდის კიდურებს ფარავდა, არავითარი მოძრაობა არ შეიჩნეოდა. მიუხედავად ამისა, არც ერთ ჩვენგანს ეჭვი არ გვეპარებოდა, რომ ლოდი ჩვენ გვესროლეს. მაშასადამე, ტაფობზე არიან ადამიანები, რომელთაგანაც კარგს არაფერს უნდა მოველოდეთ.

ჩვენ დაუყოვნებლივ გამოვედით ხეობიდან და დავიწყეთ ფიქრი, თუ რა გავლენის მოხდენა შეეძლო ჩვენს გეგმაზე მოულოდნელ შემთხვევას.

მდგომარეობა ისედაც მძიმე იყო, მაგრამ თუ ბუნებრივ დაბრკოლებას ზედ დაერთო ადამიანთა ბოროტი ზრახვანი, მაშინ ჩვენი საქმე წასულია. მაგრამ მაინც რომელი ჩვენგანი იფიქრებდა შინ დაბრუნებას, ვიდრე არ გაიგებდა, თუ რა იმალება ამ მშვენიერ მცენარეთა უკან, რომელიც გადაშლილია რაღაც ასი ფუტის მანძილზე ჩვენ ზემოთ? ჩვენ გავსინჯეთ ყველაფერი ეს და გადავწყვიტეთ განგვეგრძო ტაფობის ირგვლივ შემოვლა, მოგვეძებნა ისეთი ადგილი, საიდანაც შესაძლო იქნებოდა ტაფობზე ასვლა.

კლდის გრეხილი თანდათან დადაბლდა და ახლა დასავლეთის მაგივრად ჩრდილოეთისაკენ მიემართებოდა. თუ განვლილ მანძილს წრეხაზის სექტორად მივიღებთ, მაშინ მთელი წრეხაზი, ჩანს, არც ისე დიდი იქნებოდა და უარეს შემთხვევაში, რამდენიმე დღის შემდეგ ჩვენ შეგვეძლებოდადაბრუნება იმ ნერტილში, საიდანაც შემოვლა დავიწყეთ.

ოცდაორმა მიღმა, რომელიც ჩვენ იმ დღეს გავიარეთ, ახალი ვერაფერი შეგვძინა. ისიც საყურადღებოა, რომ ანეროიდის ბარომეტრის ჩვენებით იმ ადგილიდან დაწყებული, სადაც ნავები გვქონდა დატოვებული, თანდათანობით ავსულვართ, სულ მცირე, რომ ვიანგარიშოთ, სამი ათასი ფუტის სიმაღლეზე ზღვის დონიდან. ამით აიხსნება თვალსაჩინო ცვლილება როგორც ტემპერატურის, ისე მცენარეულობის. ჩვენ თითქმის მოვიშორეთ წყეული მწერები, რომელნიც ტროპიკთა შორის სიცოცხლეს უმნარებენ მოგზაურებს. პალმის ზოგიერთი სახეობანი კიდევ გვხვდება, ხისებრი გვიმრა კიდევ ბევრია, მაგრამ მაღალი ხეები, რომლებითაც ესოდენ მდიდარია

ამაზონის აუზი, უკვალოდ გაქრნენ; სამაგიეროდ ამ პურადვიორ კლდეთა შორის რა სასიამოვნოა ჩვენი ხვართქლას, ბეგონიას - იმ ყვავილების ხილვა, რომელნიც მშობლიურ მხარეს მოგვაგონებს! აი, სწორედ ასეთი წითელი ბეგონია ყვავის სტრიტებში ერთ ფანჯარაზე... მაგრამ ვგრძნობ, ცოტა არ იყოს, ჩემს პირად მოგონებათა სამყაროსკენ გადავუხვიე.

იმ საღამოს - მე ისევ მთაგრეხილის გარშემო პირველი დღის ლაშქრობას მოგითხოვთ - ისეთი რამ განვიცადეთ ჩვენ, რომ ეჭვი აღარ იყო, სულ ახლო მომავალში სასწაულები მოგველოდა.

ძვირფასო მისტერ მაკ-არდლ! როცა ამ სტრიქონებს გადაიკითხავთ, იქნებ პირველად იგრძნოთ, რომ რედაქციას აქ ტყუილად არ გამოვუგზავნივარ და ეს მასალა, რომლის დაბეჭდვაც შეიძლება პროფესორის ნებართვით, არაჩვეულებრივ საინტერესოა. დიახ, თვით მე გავბედავ იმის გამოქვეყნებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ინგლისში დავბრუნდები ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთებით, რომლებიც ჩემი სიტყვების ჭეშმარიტებას დაადასტურებენ, თორემ მეც ახალ ბარონ მიუნჰაუზენს შემარქმევენ და ყბას დამადგამენ.

თქვენ, უეჭველია, დამეთანხმებით და არ მოიწადინებთ „ დეილი-გაზეთის “ რეპუტაცია სარისკოდ გახადოთ მანამდე, ვიდრე ჩვენ შევძლებთ ღირსეულად თავის დაცვას იმ კრიტიკისა და სკეპტიციზმის ტალღისაგან, რომელსაც უეჭველად გამოიწვევს ჩემი წერილები. ამიტომ ანგარიში ამ გასაოცარი შემთხვევის შესახებ ჯერ თქვენს მაგიდაში ეწყოს, ელოდოს თავის დროს.

თითქოს ერთ წამში მოხდა ყველაფერი და კვალი ამ შემთხვევისა

მხოლოდ ჩვენს გონიერაში დარჩა.

აი, როგორ იყო საქმე: ლორდ ჭონმა მოკლა აგუტი - ღორის მსგავსი ტანძორჩილი ცხოველი. ნახევარი ინდიელებს გადავეცით, ნახევარი ცეცხლზე შესაწვავად მოვამზადეთ. შეღამებისას აცივდა და ცეცხლს შემოვუსხედით. ღამე უმთვარო იყო, მაგრამ ვარსკვლავები ოდნავ მაინც აცისკროვნებდა ღამის წყვდიადს, რომელსაც არემარე მოეცვა. უცბად ამ სიბნელიდან, ამ ღამის წყვდიადიდან სტვენით (თვითმფრინავის ხმას მოგაგონებდათ) კოცონს ზევიდან მოაშურა რაღაც სულდგმულმა. მისმა გაფოფრილმა ფრთებმა ერთი წუთით ყველანი დაგვფარა, მოვასწარი დამენახა მისი გრძელი გველისებური კისერი; მძვინვარე, ნითელი ცეცხლივით მოელვარე თვალები და უშველებელი დაფჩენილი ნისკარტი, რომელიც ჩემდა განსაცვიფრებლად, სავსე იყო თვალისმომჯრელად თეთრი კბილებით. ერთი წამიც და, ეს ცხოველი გაქრა და ჩვენი ვახშამი გაიტაცა; ვეებერთელა შავი ჩრდილი, რომელსაც ოცი ფუტის სიგანის მაინც იყო, ცისკენ გაეშურა. შემზარავი ფრთები, რომელთაც ერთი წუთით დააბნელა ვარსკვლავები, მიეფარა ჩვენ ზემოთ აღმართულ კლდეებს. ამით გაოცებულნი, ჩვენ მდუმარედ ვისხედით ცეცხლთან, როგორც ვირგილიუსის გმირები, რომელთაც პარპიები დაესხნენ თავს. სამერლიმ პირველმა დაარღვია სიჩუმე:

- პროფესორო ჩელენჯერ, - საზეიმო, მღელვარებით აკანკალებული ხმით წარმოთქვა მან, - თქვენ წინაშე ბოდიში უნდა მოვიხადო. არ ვიყავი მართალი, სერ, მაგრამ იმედი მაქვს, წარსულს დავიწყებას მისცემთ.

ეს კარგად იყო ნათქვამი და ორმა ჩვენმა მეცნიერმა პირველად ჩამოართვა ერთმანეთს ხელი. აი, რა მოგვიტანა ჩვენ პტეროდაქტილთან შეხვედრამ. რავი ესენი შერიგდნენ, ვახშმის დათმობა აღარ გვაღონებდა.

თუ ზეგანი წინაისტორიულ ცხოველებით არის დასახლებული, მათი რაოდენობა, ჩანს, არც ისე დიდი უნდა იყოს, რადგან მომდევნო სამი დღის განმავლობაში ისეთი აღარაფერი შეგვხვედრია. მთელი ეს დრო ჩვენ მივდიოდით ზეგანის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით, სრულიად მოშიშვლებულ, დამაღონებლად ველურ ადგილზე. ჭერ ეს იყო ქვიანი უდაბნო, მერე სევდის მოგვრელი ჭაობები, სადაც უამრავი გარეული ფრინველი დაქროდა. ეს ადგილები სრულიად შეუვალია და კლდის ძირს თვითონ რომ არ ჰქონოდა მაგარი გამონაშვერი, ჩვენ უკანვე დაბრუნება მოგვიხდებოდა.

რამდენჯერ წელამდე ჩავეფალით ტროპიკულ ჭაობში, მაგრამ ყველაფერზე უარესი იყო იარაკაკა - ეს სამხრეთ ამერიკის უსაშინელესი გესლიანი და ავი გველი, და ამ გველებით სავსეა ჭაობი. ისინი ათასობით მოძვრებოდნენ აყროლებული ჭანჭროებიდან და უკან მოგვდევდნენ. ჩვენი ხსნა მხოლოდ შაშხანები იყო, რომლებიც მუდამ მზად გვქონდა.

მე, ალბათ, არასოდეს დამავიწყდება კოშმარული მოგონება ერთ ძაბრისებრ ორმოზე, რომელზედაც გადავლებული იყო მომწვანო ხავსი. იქ ამ უნასების ნამდვილი ბუდე იყო. დაგვინახავდნენ თუ არა, მაშინვე ჩვენკენ მოაშურებდნენ, ვინაიდან იარაკაკა სწორედ იმითაა ცნობილი, რომ როგორც კი თვალს მოჰკრავს კაცს, მაშინვე

გამოუდგება. ყველა გველს ვერ დავხოცავდით და ამიტომ გაქცევა ვამჯობინეთ. იმდენი ვირბინეთ, ვიდრე არაქათი გამოგველეოდა. მერე შევდექით და უკან მივიხედეთ, დავინახეთ, რომ ჩვენი საშინელი მდევრები ლელიანში იკლაკნებოდნენ. ეს სურათი არასოდეს დამავიწყდება. რუკაზე, რომელსაც ჩვენ ვხაზავთ, ეს ადგილი აღნიშნული იქნება „გველის ჭაობის „სახელით.

აღმოსავლეთის მხრიდან კლდეები შოკოლადისფერი იყო. მცენარეულობა, რომელიც ფარავდა მათ მწვერვალს, საგრძნობლად გამეჩხერდა. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მთაგრეხილის საერთო დონემ სამას-ოთხას ფუტამდე დაინია, ჩვენ მაინც ვერ მივაკვლიეთ იმ ადგილს, საიდანაც შესაძლო იქნებოდა ზეგანზე ასვლა. კლდეები თითქოს უფრო ფრიალო გახდა.

- მაგრამ წვიმის წყალი ხომ ქვემოთ უნდა მიედინებოდეს?! - ვთქვი მე, როცა ვმსჯელობდით, თუ რა ღონისძიებისათვის მიგვემართა. - მაშასადამე, შეუძლებელია ფერდობზე არ არსებობდეს წყლის ნაღვარევი.

- ჩვენს ახალგაზრდა მეგობარს ხანდახან ფხიზელი აზრის ნაპერწკალი გაუელვებს ხოლმე თავში, - თქვა პროფესორმა ჩელენჯერმა და თანაც ხელი დამკრა ბეჭზე.

- წვიმის წყალი სადმე უნდა მიდიოდეს, - გავიმეორე მე. - არა, ვერ უყურებთ, რა ფხიზელი ჭკუისაა! უბედურება მხოლოდ ისაა, რომ თვალნათლივ დავრწმუნდით ასეთ ნაღვარევის არარსებობაში.

- მაშ, სადღა მიდის იგი? - ჩავაცივდი მე.

- ცხადია, ზედვე რჩება, სადღაც შიგნით, რადგან ნაღვარევი არსად ჩანს.

- მაშასადამე, ტაფობის ცენტრში ტბა უნდა იყოს.  
- ვგონებ, რომ ასეა.  
- და შესაძლებელია, იგი წარმოშობილიყო ძველი კრატერის ადგილას, - თქვა სამერლიმ, - ამ მთაგრეხილის ფორმა ცხადლივ ვულკანური წარმოშობისაა. ყოველ შემთხვევაში, მე უფრო იმ აზრს ვიზიარებ, რომ ტაფობის ზედაპირს დაქანება ცენტრისაკენ აქვს, იქ კი დიდი რეზერვუარი უნდა არსებობდეს, საიდანაც წყალი რომელიმაც მიწისქვეშა გზით გველთა ჭაობში უნდა ჩადიოდეს.

- ან ორთქლად იქცევა, რაც ხელს შეუწყობდა შესაფერისი დონის დაცვას, - შენიშნა ჩელენჯერმა, რის შემდეგაც ორივე მეცნიერმა ჩვეულებრისამებრ, სამეცნიერო პაექრობა გამართა, რომელიც ჩვენთვის, უმეცართათვის, ნამდვილი ჩინური ანბანი იყო.

მეექვსე დღეს დავამთავრეთ მთაგრეხილის შემოვლა და დავუბრუნდით ადრინდელ სადგომს - პირამიდულ ციცაბოს. დანაღვლიანებულნი დავბრუნდით, რადგან ამ შემოვლამ საბოლოოდ დაგვარწმუნა, რომ თვით ყველაზე მარტვე და ღონიერიც ვერ შეძლებდა ზეგანზე ასვლას. ხეობა, რომლისკენაც მიმართული იყო მეპლ-უაიტის ისრები და რომლითაც, როგორც ჩანს, თვითონ ისარგებლა, ახლა გაუვალი აღმოჩნდა. რაღა დაგვრჩენოდა? სურსათი და ის, რასაც ჩვენ ნადირობით მოვიპოვებდით, ჰერ სრულიად საკმარისი გვქონდა, მაგრამ დადგებოდა დღე, როცა მარაგის შევსება იქნებოდა საჭირო. ორი თვის შემდეგ წვიმები

დაიწყებოდა და მაშინ ბანაკში ვერავინ გაძლებდა. ეს კლდეები მარმარილოზე უფრო მაგარი იყო. ჩვენ არც დრო გვქონდა და არც ძალა გვეყოფოდა, რომ ამ სიმაღლეზე ბილიკი ამოგვეკვეთა. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ მთელი საღამო მოწყენილები შევცქეროდით ერთმანეთს და ბოლოს, სიტყვები რომ უსაზღვროდ არ გვეხარჯა, საბნების ქვეშ მოვექეცით. სანამ დავიძინებდით, მე კიდევ შემდეგი სურათით ვტკბებოდი: ჩელენჯერი, როგორც ვეებერთელა გომბეშო, ცეცხლთნ ჩაცუცქელიყო. ვეება თავი ხეებზე დაეყრდნო და ისე წასულიყო ფიქრებში, რომ ხმაც კი არ გამცა, როცა „ ღამე ნებისა “ ვუსურვე.

მაგრამ დილით ჩვენ წარმოგვიდგა სულ სხვა ჩელენჯერი. ეს ჩელენჯერი, ეტყობოდა, აღტაცებული იყო საკუთარი თავით და მთელი თავისი არსებით თვითვმაყოფილების სხივებს აფრქვევდა. საუზმის დროს გადმოგვხედავდა ხოლმე ცბიერი თავმდაბლობით, თითქოს გვეუბნებოდა: „ ყველა თქვენი ქება დამსახურებული მაქვს, ეს ვიცი, მაგრამ გემუდარებით, ნუ მაიძულებთ, რომ დარცხვენილი გავწითლდე! “ წვერი გაბურდგნილი ჰქონდა, მკერდი - წამოჭიმული; ხელი ქურთუკის ჭიბეში ჩაედო. ალბათ, ასე ჰქონდა მას წარმოდგენილი საკუთარი თავი ტრაფალგარ-სკვერის ერთ-ერთ კვარცხლბეკზე, რომელიც ჰქონდებოდა არ იყო დაკავებული ლონდონის მორიგი საფრთხობელათი.

- ევრიკა! წამოიძახა ბოლოს ჩელენჯერმა და წვერებში მისი კბილები გამოკრთა. - ჰენტლმენებო, შეგიძლიათ მომილოცოთ, მეც შემიძლია მოგილოცოთ ყველას. ამოცანა ამოხსნილია.
- თქვენ მიაგენით ზეგნის გზას?

- ვძედავ, ასე ვიფიქრო.

- მერე საიდან?

პასუხის მაგივრად ჩელენჯერმა მიუთითა პირამიდულ ციცაბოზე, რომელიც აღმართული იყო ჩვენი სადგომის მარჯვნივ. ჩვენ სახეები დაგვიგრძელდა. ყოველ შემთხვევაში, მე მაინც. ჩელენჯერისგან ვიცოდით, რომ ამ ციცაბოზე ასვლა შესაძლო იყო, მაგრამ მასა და ზეგანს შორის საშინელი უფსკრული იყო.

- ჩვენ ვერავითარ შემთხვევაში ვერ გადავლახავთ იმ უფსკრულს, - ნავილუდლულე მე.

- ციცაბოზე მაინც ავალთ, - თქვა მან, - მერე იქ ვნახოთ, შეიძლება მოვახერხო დამტკიცება იმისა, რომ ჩემი აღმოჩენის უნარი ჭერ კიდევ არაა ბოლომდე ამოწურული.

ნასაუზმევს გავხსენით ჩანთა, რომელშიც ჩვენს ხელმძღვანელს ჩალაგებული ჰქონდა ყველა თავისი ალპინისტური მოწყობილობა. ამოვალაგეთ რკინის წრიაპები, კავები, რკალები და იშვიათი სიმაგრისა და სიმსუბუქის ბაგირი ას ორმოცდაათი ფუტის სიგრძისა. ლორდ ჭონი ნაცადი ალპინისტი იყო, სამერლისაც შეუსრულებია მეტად ძნელი ლაშქრობა. მაშასადამე, აქ, საქმეში გამოუცდელი, ჩვენგან მხოლოდმე აღმოვჩნდი, მაგრამ ძალასა და თავგამოდებას უნდა აენაზღაურებინა ჩემი გამოუცდელობა.

ამოცანა არც ისე ძნელი აღმოჩნდა, თუმცა იყო წუთები, როცა თმა ყველაზე დამიდგა. შეღმართის პირველი ნახევარი სულ იოლად გავიარეთ, მაგრამ შემდეგში უფრო და უფრო ფრიალო აღმოჩნდა და უკანასკნელი ორმოცდაათი ფუტის სიმაღლეზე ასასვლელად,

ხელებითა და ფეხებით ვეკონინებოდით ყოველ შვერილს, ყოველ ნაპრალს კლდისას. ვერც მე და ვერც პროფესორი სამერლი ვერ დავძლევდით ამ აღმართს, ჩელენჯერი რომ არ ყოფილიყო: მან პირველმა მიაღწია მწვერვალს (საკვირველი იყო, როგორ გამოიჩინა ასეთი სიმკვირცხლე ამ ზონზრობა კაცმა) და გამოაბა თოკი დიდ ხეზე, რომელიც იქვე იდგა. იმის შემწეობით ჩვენ მალე ავცოცდით ზევით, უსწორმასწორო ქვის კედელზე და გავჩერდით ბალახით მოსილ ველზე, რომელიც ოცდახუთ ფუტამდე სივრცის იქნებოდა. ეს იყო ციცაბო მწვერვალი.

ცოტათი რომ მოვითქვით სული, უკან მივიხედე და ჩემ წინ გადაშლილი სანახაობით განცვითრებული დავრჩი. მთელი ბრაზილიის ვაკე ჩვენ წინ იყო გადაჭიმული. იგი შორს, ცისფერი ნისლის იქით უერთდებოდა ჰორიზონტს. ჩვენ ფერხთით ამართული იყო აქა-იქ ხისებრი გვიმრით მოსილი, დაქანებული ქვიანი ფერდობი, მოშორებით კი, ბორცვთა შორის, გარკვევით მოჩანდა ყვითელ-მწვანე ტევრი ბამბუკისა, რომელზეც ჩვენ ის-ის იყო, გავიარეთ. შემდეგ ჩირგვები და ხეები უფრო გახშირდა და ბოლოს ერთ მთლიან კედლად იქცა, რომელიც გრძელდებოდა შორს, სადამდეც კი თვალი მიუწვდებოდა და, ალბათ, კიდევ უფრო შორსაც, ორი ათას მილსაც გადააჭარბებდა ამ მხარის შუაგულისაკენ. როგორც მოჯადოებული, ისე ვტკბებოდი ამ საოცნებო პანორამით, როცა მხრებზე მოულოდნელად ვიგრძენი პროფესორის მძიმე ხელი.

- აქ მოიხედეთ. ჩემო ჭაბუკო მეგობარო, - მითხრა მან, - არც ერთი ნაბიჯი უკან! მიისწრაფოდეთ წინ ჩვენი დიდი მიზნებისაკენ.

ზეგანს გადავავლეთ თვალი. იგი სწორედ ჩვენს დონეზე იყო და ჩირგვნარის მწვანე არშია, აქა-იქ ხეებით დაფარული, ისე ახლოს იყო ციცაბოდან, რომ უნებლიერ ეჭვი დამებადა: ნუთუ მართლა მიუწვდომელია? თვალდათვალ ეს უფსკრული სიგანით ორმოც ფუტს არ აღემატებოდა, მაგრამ განა სულერთი არაა - ორმოცი ფუტი იქნება თუ ოთხასი? ხეს მოვეჯიდე და ძირს ჩავიხედე, ჰურღმულში. იქ, სულ ძირში, შავად მოჩანდა ნამცეცა ფიგურები ინდიელებისა, რომლებიც ჩვენ შემოგვჩერებოდნენ. ორივე კედელი, როგორც კლდისა, ისე მთაგრეხილისა, სრულიად ციცაბო იყო.

- საყურადღებო რამაა! - მომესმა უცებ პროფესორ სამერლის ხიხინა ხმა.

მივიხედე და დავინახე, რომ იგი უაღრესი ინტერესით ათვალიერებდა იმ ხეს, რომელიც მე მიმაგრებდა უფსკრულის ზემოთ. ამ გლუ ქერქსა და მცირენიბოებიან ფოთლებში რაღაც საოცრად ნაცნობი იყო.

- ეს ხომ წითელია! - ნამოვიძახე მე.

- სრული ჭეშმარიტებაა, - დამიდასტურა სამერლიმ, - ჩვენი თანამემამულეც მოხვედრილა უცხოეთში.

- არა მარტო თანამემამულე, პატივცემულო სერ, არამედ ერთგული მოკავშირეც, თუ ამაზე მიდგა საქმე, - თქვა ჩელენჯერმა, - ეს წითელა მხსნელად მოგვევლინება.

- ხიდი! - ნამოიძახა ლორდ ჭონსმა. - ღმერთო მოწყალეო, ხიდი!

- სწორია, ჩემო მეგობრებო, ეს ხიდად გამოგვადგება! ტყუილად ხომ არ ვიტეხდი გუშინ თავს მთელი საათი?! სულ იმას ვცდილობდი,

რამე გამოსავალი მენახა. თუ ჩვენს ჭაბუკ მეგობარს მოაგონდება, მისთვის ერთხელ უკვე ნათქვამი მაქვს, რომ ჭორჭ ედუარდ ჩელენჯერი მაშინ უფრო კარგად გრძნობს თავს, როცა ჩიხში მოექცევა, გუშინ კი - თქვენ, რასაკვირველია, არ უარყოფთ ამას - ჩვენ ყველანი ჩიხში ვიყავით მომწყვდეულნი. მაგრამ იქ, სადაც გონება და ნებისყოფა ერთად მოქმედებს, გამოსავალს ყოველთვის მიაგნებ. ამ უფსკრულზე ხიდი უნდა გავდოთ. და აი ხიდიც თქვენ წინაშეა!

მართლაც და, ბრწყინვალე აღმოჩენაა! ხე იყო არანაკლებ სამოცი ფუტის სიმაღლისა და, თუ სასურველ მიმართულებას მივცემდით, უფსკრულს გადასწვდებოდა. ციცაბოზე ასვლის წინ ჩელენჯერმა თან წამოიღო ცული, ახლა იგი მე გადმომანოდა.

- ჩვენს ჭაბუკ მეგობარს სახარბიელო კუნთები აქვს. იგი ყველაზე უკეთ სძლევს ამ დავალებას. მიუხედავად ამისა, გთხოვთ მხოლოდ ის გააკეთოთ, რასაც გეტყვით, და არ ეცადოთ გონების დაძაბვას.

თანახმად მისი მითითებისა, რამდენჯერმე შემოვკარი ხეს ისეთი ანგარიშით, რომ იგი წაქცეულიყო სასურველი მიმართულებით. დავალება ძნელი არ აღმოჩნდა, რადგან თვით ხის შტამბი ძლიერ გადაზნექილი იყო ზეგნისაკენ. ამის შემდეგ ბეჭითად შევუდექით სამუშაოს, თანაც ლორდ ჭონი მენაცვლებოდა. დაახლოებით ერთი საათის შემდეგ გაისმა ძლიერი ჭახანი. ხე შეტორტმანდა და წაიქცა. თანაც მისი კენწერო ჩაიმალა ჩირგვნარში, რომელიც უფსკრულის მეორე მხარეზე იყო. შტამბი წაგორდა ფართობის კიდურისაკენ და ერთ საშინელ წუთს ჩვენ მოგვეჩვენა, რომ ხე ძირს ვარდებოდა, მაგრამ იგი შედრკა ნაპირიდან რამდენიმე დიუმის დაშორებით და

გაჩერდა. ხიდი უცნობი ქვეყნისაკენ გადებული იყო!

ჩვენ ყველამ ხმის ამოუღებლად ჩამოვართვით ხელიპროფესორ ჩელენჯერს, მან კი მოიხადა თავისი ჩალის ქუდი და ყოველ ჩვენგანს მდაბლად დაგვიკრა თავი.

- მე მეკუთვნის პატივი, პირველმა დავდგა ფეხი უცნობი ქვეყნის მიწაზე, - თქვა მან. - ეჭვი არ მეპარება, რომ მომავალში მხატვრები აღბეჭდავენ ამ ისტორიულ მომენტს თავიანთ ტილოებზე.

ის უკვე მიუახლოვდა უფსკრულის ნაპირს, როცა ლორდ ჭონმა უცბად სტაცა ხელი ქურთუკზე.

- ჩემო ძვირფასო მეგობარო, - უთხრა მან, - არათრის გულისთვის არ მოგცემთ ამის ნებას.

- ეს რას ნიშნავს, სერ? - ჩელენჯერმა თავი უკან გადმოიქნია, წვერი მაღლა აებზიკა.

- ყველაფერში, რაც მეცნიერებას შეეხება, მე ვცნობ თქვენს უპირატესობას, ვინაიდან თქვენ მეცნიერი ხართ, მაგრამ ეს ჩემი საქმეა. ასე რომ, კეთილი ინებეთ და მე დამიჭერეთ.

- როგორ თუ „თქვენი საქმეა“, სერ?

- ყოველ ჩვენგანს თავისი ხელობა აქვს, ჩემი ხელობა კი ჭარისკაცულია. ვინაიდან ჩვენ ვემზადებით უცნობ ქვეყანაში შესაჭრელად, სადაც, შესაძლოა, უამრავი მტერი დაგვხვდეს, მცირეოდენი სიფრთხილე და თავის დაჭერა გვმართებს. თავაღებით მოქმედებას მე არ ვარ ჩვეული.

იმდენად დამაჯერებელი იყო ლორდ ჭონის მოსაზრებანი, რომ დავაც კი აღარ შეიძლებოდა. ჩელენჯერმა თავი ასწია და მხრები

აიჩეჩა.

- ვეთილი, სერ, მაგრამ თქვენ რა წინადადებას გვთავაზობთ?

- ვინ იცის, შეიძლება ამ ჩირგვნარში მიმაღლულია მთელი ტომი კანიბალებისა, რომელთაც სწორედ ახლა აქვთ საუზმის დრო, - თქვა ლორდ ჭონმა, იგი ხიდის გასწვრივ გაჰყურებდა კლდეებს, - ჰოდა, თუ ადუღებულ ქვაბში ჩაგვყრიან, მერე გვიანდა იქნება ფიქრი. ამიტომ, თუმცა იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ არაფერი ცუდი ჩვენ არ გველის, მაგრამ მაინც გვმართებს ყოველი შემთხვევისთვის სიფრთხილით და დაკვირვებით მოქმედება. მე მელოუნთან ერთად ქვევით ჩავალ, ნამოვიდებთ ოთხივე შაშხანას და უკან დავბრუნდებით ორივე მეტისის თანხლებით. მერე ერთი ჩვენგანი შაშხანით საფარქვეშ გადავა იქითა მხარეს და, თუ ყოველივე მშვიდობიანად გათავდა, მაშინ სხვებიც მას მიჰყვებიან.

ჩელენჯერი ჩამოჟდა მოჭრილი ხის ძირზე და მოუთმენლად ამოიკვნესა. მე და სამერლიმ ერთსულოვნად დავუჭირეთ მხარი ლორდ ჭონს, რადგან ვივარაუდეთ, რომ როცა მოქმედებაზე მიდგება საქმე, ხელმძღვანელობის უფლება მას უნდა ეკუთვნოდეს. ახლა ციცაბოზე ასვლა გაცილებით უფრო ადვილი იყო, რადგან თოვი გვეხმარებოდა. ერთი საათის შემდეგ ჩვენ დავბრუნდით შაშხანებითა და საფანტის თოფით. მეტისებმა ლორდ ჭონის განკარგულებით, სანოვაგის მარაგით სავსე ტომარა ზევით ამოიტანეს იმ შემთხვევისათვის, თუ ჩვენი პირველი იერიში უცნობ მხარეში გაჭიანურდებოდა. ვაზნები ყველას ჰქონდა.

- აბა, თუ თქვენ უსათუოდ გნებავთ იყოთ პირველი... - თქვა ლორდ

ჭონმა, როცა გადასვლის სამზადისი დამთავრდა.

- მეტად დავალებული ვარ თქვენი ესოდენ მოწყალე ნებართვისთვის, - გესლიანად მიუგო პროფესორმა, რომელსაც არ სწამდა არავითარი ავტორიტეტი, გარდა საკუთრისა, - თუ საწინააღმდეგო არა გექნებათ რა, ვისარგებლებ თქვენი თავაზიანობით და გამოვალ ამ შემთხვევაში პიონერის როლში.

მან ზურგზე მოიგდო ცული, შეჯდა ხეზე და ორივე ხელის ბიძგებით მალე გადავიდა მეორე მხარეს, იქ ხელები მაღლა ასწია და დაიძახა:

ძლივს! ძლივს!

მე შიშით ვადევნებდი თვალყურს და ველოდებოდი, თუ რა ბედს უმზადებდა მას ეს მწვანე ფარდა. მაგრამ გარშემო სიწყნარე იყო, მხოლოდ რაღაც უცნაური ჭრელი ფრინველი აუფრინდა პროფესორს ფეხებთან და ხეებს მიეფარა. შემდეგ სამერლი გავიდა იქითა მხარეს. საოცარია, რამდენი ძალა მოიპოვება ამ სუსტ სხეულში! მან მოისურვა აუცილებლად ორი შაშხანის თან წაღება. ამგვარად, ახლა ორივე პროფესორი შეიარაღებული იყო. მერე ჩემზე მიდგა ჭერი. ვცდილებდი, არ ჩამეხედა ქვემოთ, საშინელ უფსკრულში. სამერლიმ გამომიწოდა შაშხანის კონდახი, მაგრამ ერთი წამის შემდეგ მე უკვე ხელი ვტაცე მის ხელს. რაც შეეხება ლორდ ჭონს, ის სულ თავისუფლად გამოვიდა ხიდზე - გამოვიდა სრულიად დაუხმარებლად! რვინის ნერვების პატრონია ეს კაცი!

აი ჩვენ ჭადოსნურ ქვეყანაში ვართ, დაკარგულ სამყაროში, სადაც აქამდე მხოლოდ მეპლ-უაიტმა მიაღწია! დადგა ზეიმის წუთები. მაგრამ ვინ იფიქრებდა, რომ ეს წამი იქნებოდა ჩვენთვის უსაშინელესი

უბედურების დასაწყისი. ნება მიძოძეთ, რამდენიმე სიტყვით  
მოგითხოთ, როგორ დაგვატყდა ეს უბედურება.

გავცდით უფსკრულის ნაპირს და მოვასნარით ორმოცდაათ  
ფუტამდე გავლა ხშირ ჩირგვნარზე, რომ უეცრად, ზურგიდან მოგვესმა  
გამაყრუებელი გრიალი. ჩვენ ინსტინქტურად უკანვე დავბრუნდით.  
ხიდი აღარ დაგვხვდა! ჩავიხედე ძირს და უფსკრულის ძირში დავინახე  
ერთმანეთში არეული ტოტები და ნაფოტები - აი, ყოველივე, რაც  
წიფლის ხისგან დარჩენილიყო. ნუთუ კლდის პირმა ვერ გაუძლო ხის  
სიმძიმეს და მის ქვეშ ჩაინგრა? ეს იყო პირველი ფიქრი, რომელიც  
თავში მოგვივიდა. მაგრამ შემდეგ გამოჩნდა პირამიდულ ციცაბოს  
ქარაფს მოფარებული ვიღაცის მიხავისფერი სახე. ეს იყოჩვენი  
პირველი მეტისი პომესი. მაგრამ სად გაქრა მისი თავდაჭერილი  
ღიმილი? სახე, რომელიც ჩვენ მოგვჩერებოდა, დაღრეჭილი იყო  
მძულვარებისაგან; დაკმაყოფილებულ შურისძიებას გიჟური  
აღტაცებით აენთო მისი თვალები.

- ლორდ როქსტონ! - დაიძახა მან. - ლორდ როქსტონ!  
- რა გინდა? - უპასუხა ჩვენმა თანამგზავრმა. - მე აქ ვარ! ჩვენამდე  
შეუკავებელი ხარხარის ხმამ მოაღწია.

- ჰო, შენ მანდ ხარ, ინგლისელო ძაღლო, და მანდედან აღარ  
გეღირსება თავის დაღწევა! მე ველოდი, დიდხანს ველოდი  
ხელსაყრელ დროს. თქვენ გაგიჭირდათ ზევით ასვლა, ძირს  
ჩამოსვლა კი უფრო გაგიჭირდებათ. ეჰ, ბრიყვებო! მოხვდით  
ხაფანგში? ყველანი უკლებლივ მოხვდით!

თავზარდაცემულნი სიტყვებს ვეღარ ვპოულობდით და მდუმარენი

შევცეროდით მეტისს. დიდმა გადატეხილმა რტომ, რომელიც იქვე ეგდო ბალახებში, მიგვახვედრა, თუ რა იარაღი ეხმარა, როცა ჩვენს ხიდს შლიდა. მისი სახე მიიმალა ჩირგვებში, მაგრამ ერთი წამის შემდეგ ისევ გამოჩნდა, კიდევ უფრო დაღრეჭილი მძულვარებით.

- ჩვენ კინაღამ ქვით მოგვალით გამოქვაბულთან, - დაიძახა მან, - მაგრამ ასე ჭობია! ნელი სიკვდილი უფრო საშინელია. გათეთრდება თქვენი ძვლები და ვეღარავინ გაიგებს, თუ სად ყრიან ისინი, არავინ მოვა, რომ მიწა მოგაყაროს. როდესაც ჩაძალლების ჟამი მოგიახლოვდება, მოიგონე ლოპესი, რომელიც შენ მოკალი ამ ხუთი წლის წინათ მდინარე ჰეტუმაიოსთან! მისი ძმა ვარ და, როგორი სიკვდილიც უნდა მენიოს, დამშვიდებული მოვკვდები, რადგან მისი ჭავრი ამოვიყარე!

მეტისმა გაბრაზებით მოგვიღერა მუშტი და გაქრა. სიჩუმე ჩამოვარდა.

ჰომესს რომ მარტო ჭავრის ამოყრით დაეკმაყოფილებინა თავი, ყველაფერი შერჩებოდა. იგი დაღუპა უგუნურმა გატაცებამ დრამატული ეფექტის მოსახდენად, რაც სჩვევია ლათინთა მოდგმის ხალხს. როქსტონი კი, რომელსაც სამხრეთ ამერიკის სამ მხარეში სახელი ჰქონდა გავარდნილი, როგორც „ლვთის რისხვას“ , არავის აძლევდა ნებას, მისთვის ხუმრობა შეებედა. მეტისი უკვე ჩადიოდა ციცაბოს მეორე ფერდობზე, მაგრამ მიწაზე ფეხის დადგმა მაინც არ ეღირსა. ლორდ ჭონმა შემოურბინა ზეგანის კიდეს, რომ იგი მხედველობიდან არ გამოჰქმაროდა. იგრიალა შაშხანამ, გავიგონეთ გამგმირავი ხმა და წუთის შემდეგ - დაცემული სხეულის ყრუ ტყაპანი. როქსტონი

დაბრუნდა. სახე თითქოს გაჰქვავებოდა.

- ბრმა ვარ, ყეყეჩი! - სიმწრით თქვა მან. - ჩემმა სისულელებ  
დაგღუპათ ყველანი. განა უნდა დამვიწყებოდა, რომ ეს ადამიანები  
არავის აპატიებენ სასტიკ შეურაცხყოფას?! მათთან მუდამ ფხიზლად  
უნდა იყო.

- მეორე მეტისი რაღად შეიწყნარეთ? მის დაუხმარებლად ჰომესი  
ხომ ვერ დაძრავდა ხეს?

- იმასაც მოვუღებდი ბოლოს, მაგრამ შემებრალა. შეიძლება ის  
არაფერ შუაში იყო, მაგრამ თქვენ თითქოს მართალი ხართ. უკეთესი  
იქნებოდა, ისიც თან მიმეყოლებინა: უეჭველად ეხმარებოდა ჰომესს.

ახლა, როცა ამ მოღალატეობის ნამდვილი მიზეზი გამომჟღავნდა,  
ჩვენ გვაგონდებოდა, რომ მეტისის საქციელი ბევრჯერ იყო საეჭვო.  
ყოველივე აშკარა გახდა: მისი ურყევი მისწრაფება, როგორმე გაეგო  
ექსპედიციის გეგმები; ჩხების ატეხა ქოხთან, როცა სამბომ დაუშალა  
ჩვენი ბაასის მოსმენა; სიძულვილით სავსე გამოხედვა, რომელსაც  
ჩვენ ხშირად ვამჩნევდით მას. ჩვენ ამაზე ვბაასობდით და ამავე დროს  
ვცდილობდით შევგუებოდით შემთხვევათა ახალ მიმართულებას. ამ  
დროს ჩვენი ყურადღება მიიპყრო საინტერესო სცენამ, რომელიც  
ქვევით ხდებოდა, მთაგრეხილის ძირში, თეთრით მოსილი კაცი,  
ალბათ, ის მეტისი, რომელიც ცოცხალი გადარჩა, ისეთი სისწრაფით  
გარბოდა ვაკეზე, თითქოს უკან სიკვდილი დასდევნებიაო. მას  
უშველებელი ნახტომებით მისდევდა უკან კუპრივით შავი ბუმბერაზი -  
ჩვენი ერთგული ზანგი სამბო. იგი დაეწია გაქცეულს, შეახტა ზურგზე და  
კისერში ხელები მოუჭირა. მიწაზე გაგორდნენ, ერთი წუთის შემდეგ

სამბო წამოდგა ფეხზე, დახედა მის წინ გაშელართულ სხეულს, სიხარულით დაგვიქნია ჩვენ ხელი და გაიქცა ციცაბოსაკენ. უძრავად მდებარე თეთრი ფიგურა ისევ ისე გაუნძრევლად დარჩა შეა მინდორში.

ორივე მოღალატეს მიეზღო სამაგიერო, მაგრამ მათი ნამოქმედარი მაინც გამოუსწორებელი იყო. ჩვენ აღარ შეგვეძლო ციცაბოდ დაბრუნება. ოდესღაც ჩვენი სამყოფელი მთელი სამყარო იყო, ახლა იგი შევინწოდა ამ ტაფობის ფართობით. ერთიც და მეორეც ცალ-ცალკე არსებობს. აი ვაკე, რომელიც იქით მიემართება, სადაც ჩვენი ნავებია მიმალული. იქ კი, ლილისფერი ნისლით შებურული ჰორიზონტის იქით, მდინარეა - უკან დასაბრუნებელი გზა ცივილიზაციისაკენ. გაქრა ერთადერთი შემაერთებელი რგოლი. არავითარი გამომგონებლობა არ გამოდგება იმისათვის, რომ გავდოთ ხიდი იმ უფსკრულზე, რომელსაც გაუთიშავს ჩვენი აწმუო და წარსული. საკმარისი იყო მხოლოდ ერთი წამი და როგორ შეიცვალა ყოველივე.

აი, ახლა გავიგე, რა მასალისაგან ყოფილა ნაძერწი ჩემი სამი ამხანაგი. შესახედავად ხომ მეტად დინჭი და ჩაფიქრებულნი იყვნენ, მაგრამ ისედაც ამ ხალხის აუდელვებელ და მშვიდ მდგომარეობას ვერაფერი არღვევდა. ჩვენ არაფერი დაგვრჩენოდა, გარდა იმისა, რომ ჩირგვებში ვმსხდარიყავით და მოთმინებით დაგვეცადა სამბოსათვის.

მართლაც მალე გამოჩნდამისი შავი, სათნო სახე და იგი კლდის ქიმზე აღიმართა მთელი თავისი გოლიათური ტანით.

- ახლა მე რა გააკეთე? - დაიძახა სამბომ. - თქვენ მე უთხარი და მე

ყველაფერი გააკეთე.

ასეთი შეკითხვა ადვილი იყო, მაგრამ პასუხის გაცემა კი - ძნელი, ჩვენ მხოლოდ ერთი რამ ვიცოდით: სამბო - ჩვენი ერთადერთი კავშირია გარე სამყაროსთან, ოღონდ კი იმანაც არ მიგვატოვოს.

- არა, არა! - დაიძახა სამბომ. - მე თქვენ არ დაგტოვე. მე სულ აქ... ინდიელები უნდა წავიდა; სამბო ვერ დაიჭირა ინდიელები. ისინი ამბობენ, აქ კურუპური ცხოვრობს, შინ წავიდეთ, თქვენ აღარა ხარ, მარტო სამბო ვერ დაიჭირა ინდიელები.

მართლაცდა, ინდიელები ბოლო დროს აღარ ფარავდნენ, რომ ჩვენი მიტოვება და შინ წასვლა უნდოდათ. სამბო მართალს ამბობდა: მათი დაკავება არასგზით არ შეიძლებოდა.

- სამბო, დააჭერე ინდიელები, ხვალამდე მოგვიცადონ! მაშინ ბარათს გავატან მათ! - დავუძახე მე.

- კარგი, სერ! ინდიელები ხვალ მოიცადე. სამბომ სიტყვა მოგვცა.

ჩვენი ერთგული ზანგისათვის ბევრი საქმე აღმოჩნდა, მაგრამ ყველაფერი ისე მოაგვარა, რომ უეცრად აღარ შეიძლებოდა. პირველ ყოვლისა დავავალეთ მოეხსნა თოვი, რომელიც ჭირკვზე იყო შემოხვეული, და გადმოეგდო ჩვენთვის მისი ერთი ბოლო. თოვი სარეცხის თოვზე უფრო მსხვილი არ იყო, მაგრამ მეტად მაგარი. მართალია, ხიდად არ გამოდგებოდა, მაგრამ ჩვენს მდგომარეობაში ასეთი რამ ყოველთვის საჭიროა. მერე სამბომ იმ ბოლოზე, რომელიც მისკენ დარჩა, გამოაბა ტომარა სურსათ-სანოვაგით, რომელიც უკვე ჰქონდა ციცაბოზე ატანილი, და ჩვენ გადავითრიეთ იგი ჩვენკენ. ეს ჩვენ ერთ კვირას მაინც გვეყოფოდა, ნადირობიდან რომ არ

შეგვემატებინა რამე. დასასრულ, სამბომ ამოზიდა კიდევ ორი ტომარა, რომლებშიც ვაზნები და მრავალი სხვა რამე იყო მოთავსებული. ეს ყოველივე თოკის შემწეობით ჩვენკენ გადავათრიეთ. უკვე საღამო იყო, როცა ჩვენი ზანგი უკანასკნელად ჩავიდა ძირს და კიდევ ბეჭითად დაგვიდასტურა, რომ ინდიელები დილამდე მოგვიცდიანო.

აი, ამიტომ თითქმის მთელი ღამე - პირველი ღამე, რომელიც ზეგანზე გავატარე, - მე ვიჰექი ფარანთან და ვწერდი იმას, რაც თავს გადაგვხდა.

ღამის სათევად ავირჩიეთ ადგილი თითქმის უფსკრულის პირას და იქვე ვივახშემეთ. საჭმელს აპოლინარისიც დავაყოლეთ; ორი ბოთლი ამ სასმლისა ერთ-ერთ სასურსათო ტომარაში აღმოჩნდა. წლის მიგნება ჩვენთვის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია, მაგრამ ვგონებ, ლორდ ჭონისათვისაც კი საკმაოა დღევანდელი ფათერაკები, სხვებს ხომ მით უმეტეს, არავითარი სურვილი არ აქვთ გასწიონ უცნობი მხარის დასაზვერად. გადავწყვიტეთ, კოცონი არ გავაჩაღოთ და საზოგადოდ ვცდილობთ, რაც შეიძლება ნაკლებად ვიხმაუროთ.

ხვალ, უფრო სწორი კი იქნება, თუ ვიტყვი - დღეს, რადგან გათენებამდე ვიჰექი, - ჩვენ მოვახდენთ პირველ ლაშქრობას ამ იდუმალ სამყაროში. როდის შევძლებ ჩემი ჩანაწერების გაგრძელებას - შევძლებ კი? მე არ ვიცი ჭერჭერობით. ინდიელები ისევ აქ არიან - აქედან ვხედავ და დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი სამბო მალე გაჩნდება წერილებისათვის. ძალიან ვიმედოვნებ, რომ ადგილზე მიაღწევს წერილები. რაც უფრო მეტს ვფიქრობ ჩვენს მდგომარეობაზე, მით უფრო უნუგეშოდ მეჩვენება იგი. დაბრუნების

იმედი მე აღარ მაქვს. ზეგნის კიდებე რომ იყოს მაღალი ხე, ჩვენ ახალ ხიდს გავდებდით უფსკრულზე, მაგრამ ორმოცდაათ ფუტზე უფრო ახლო უფსკრულის ნაპირამდე ხეები არ არის. ასეთი სიმძიმის მითრევა ამსიშორებზე ჩვენ ოთხსაც არ შეგვიძლია; თოვი კი მეტად მოკლეა, ისე ვერ დაეშვები. არა, ჩვენი მდგომარეობა უიმედოა, უიმედო!

თავი მეათე  
„აი, საოცრებაც“

ჩვენ ნამდვილი საოცრებანი შეგვემთხვა და ახლაც საოცრების წინაშე ვდგავართ. მთელი ჩემი ქაღალდის მარაგი ხუთი გაცრეცილი ბლოკნოტისა და დაშლილ ფურცელთა გროვისაგან შედგება. სტილოგრაფიული ფანქარი კი ერთადერთიღა დამრჩა, მაგრამ სანამ ჩემს ხელს შერჩება მოძრაობის უნარი, არ შევწყვეტ ჩვენი თავგადასავლის დაწვრილებით ჩაწერას. თანაც არც იმას ვივინყებ, რომ ადამიანთა მოდგმიდან ამ საოცრებათა ერთადერთი მოწმენი ჩვენ ვართ, ამიტომაც ვჩქარობთ მათ აღწერას, სანამ ისინი ჭრ კიდევ ახალია ჩვენს მეხსიერებაში და, სანამ არ გვეწვევა მწარე ხვედრი, რომელსაც, როგორც ჩანს, ვერ ავცდებით.

შეძლებს თუ არა სამბო ამ ბარათების მიტანას ამაზონის ნაპირამდე? მივიტან თუ არა მე თვითონ მათ ლონდონში, თუ

სასწაულით დავაღწიე თავი აქაურობას? ჩაუვარდება თუ არა ისინი ხელში ვინმე გამძედავს, რომელმაც შეიძლება გაუმჯობესებული მონოპლანით მიაღწიოს ზეგანზე?! - არ ვიცი, მაგრამ მე მტკიცედ მჯერა, რომ ეს ჩანაწერები კლასიკურ მოთხრობად გადაიქცევა ნამდვილ თავგადასავალთა გამო; მათი ხვედრი უკვდავებაა.

მეორე დღესვე, მას შემდეგ, რაც საზიზღრმა ჰომესმა ხაფანგი დაგვიგო, ზეგანზე ბევრი გამოცდილება შევიძინეთ. თუმცა პირველმა გამოცდამ, რომელიც მენილად მხვდა იმ დილას, ვერ ჩამინერგა სიმპათიები იმ ადგილისა, სადაც ჩვენ ბედმა გამოგვტყორცნა. მხოლოდ გამთენისას ჩამეძინა და, გამოვიღვიძე თუ არა, წვივზე რაღაც უცნაური შევნიშნე. ძილში შარვლის მარტვენა ტოტი წამოწეულიყო და ახლა მასა და წინდას შორის ფეხზე დამჯდომოდა რაღაც მუქი-წითელი ყურძნის მარცვლისოდენა ცხოველი. მოვინდომე ხელით შევხებოდი, მაგრამ მაშინვე ეს ყურძნის მარცვალი თითებში გამისკდა და სისხლმა ითქრიალა ყოველ მხრივ. საშინელმა ზიზღმა და ძრწოლამ მოიცვა ჩემი არსება. ჩემს ყვირილზე ორივე პროფესორმა მოირბინა.

- მეტად საყურადღებოა! - თქვა სამერლიმ, როცა ჩემკენ დაიხარა. - ვეებერთელა ტკიპაა, რამდენადაც ვიცი, ის არსად არის მოხსენიებული.

- ჩვენ ვიმკით ჩვენი შრომის პირველ ნაყოფს, - დარიგების კილოთი ჩაიდუდღუნა ჩელენჯერმა, - მას უნდა ვუწოდოთ ჟხოდეს მალონი. მხოლოდ, ჩემო ახალგაზრდა მეგობარო, რა მნიშვნელობა აქვს ისეთ უმნიშვნელო რამეს, როგორიც ტკიპის ნაკბენია, როცა თქვენი სახელი

აღბეჭდილი იქნება ზოოლოგიის მატიანეში. სამწუხაროდ, თქვენ გაგისრესიათ ეს საუცხოო ეგზემპლარი იმ მომენტში, როცა იგი ძღვებოდა.

- რა საზიზღრობაა! - ნამოვიძახე მე.

პროტესტის ნიშნად პროფესორმა ჩელენჯერმა ასწია თავისი გაბურძგნილი წარბები და დასამშვიდებლად მომიტყაპუნა ხელები ბეჭჩე.

- შეეჩვიეთ, რომ საგნები განჯვრიტოთ მეცნიერული თვალსაზრისით, განივითაროთ მეცნიერის მიუდგომლობა, - თქვა მან, - კაცისათვის, რომელიც ფილოსოფიურად აზროვნებს, როგორც მაგალითად მე, ეს ტკიპა მისი ლანცეტისებურ ხორთუმითა და მუცლით, ბუნების ისეთივე მშვენიერი ქმნილებაა, როგორიც, ვთქვათ, ფარშევანგი, ან ჩრდილოეთის ციალი. მე ტკივილსა ვგრძნობ, როცა მესმის, რომ თქვენ ესოდენ საძრახის აზრს გამოთქვამთ მის შესახებ. თუ არ დავიზარებთ, ჩვენ შეგვიძლია მეორე ასეთივე ეგზემპლარი ვიპოვოთ, ამაში ეჭვი არ მეპარება.

- არც მე მეპარება ეჭვი, - პირქუშად წაილუდლუდა სამერლიმ, - ვინაიდან ეს მეორე ეგზემპლარი სწორედ ახლა ჩაგიძვრათ საყელოში.

ჩელენჯერი იქვე შეხტა, ხარივით დაიღრიალა და დაიწყო ქურთუკისა და პერანგის გახდა. მე და სამერლი ისე გავმხიარულდით, რომ ვეღარც კი მოვახერხეთ შველა. ბოლოს, როგორც იყო, გავატიტვლეთ ჩელენჯერის ძლიერი ტანი და დავიჭირეთ ტკიპა, რომელიც შავი ბალნის ტევრში გახლართულიყო. სწორედ ამ ბალნის წყალობით ვერ მოესწორ მისთვის ზიანის მიყენება. აღმოჩნდა, რომ

გარშემო ჩირგვნარი სულ ამ საზიზღარი არსებებითაა სავსე, ამიტომ გადავწყვიტეთ, ჩვენი სადგომი სხვა ადგილას გადაგვეტანა.

მაგრამ ჭერ უნდა შევთანხმებულიყავით ჩვენს ერთგულ ზანგთან, რომელიც მალე გამოჩნდა ციცაბოს მწვერვალზე კაკაოსა და ორცხობილას დასტებით. ეს ყოველივე ჩვენთან გადმოვზიდეთ, ხოლო იმ სანოვაგიდან, რაც ქვევით დარჩა, ვუთხარით, რომ თავისთვის დაეტოვებინა ორი თვის მარაგი, დანარჩენი კი დაენაწილებინა და დაერიგებინა ინდიელებისათვის, როგორც ჭილდო მათ მიერ გაწეული სამსახურისათვის და როგორც საწინდარი ამაზონზე წერილების მიტანისა. რამდენიმე საათის შემდეგ ჩვენ დავინახეთ, მწკრივად, თავზე ბოხჩებით გაპყვნენ ისინი ვაკეს იმავე გზით, რომლითაც ჩვენ აქ მოვედით. სამბო მოენყო პატარა კარავში, პირამიდული კლდის ძირში, და იგი იყო ერთადერთი რგოლი, რომელიც ჩვენ გვაკავშირებდა გარე სამყაროსთან.

ახლა უნდა შეგვემუშავებინა მოქმედების გეგმა უახლოესი დროისათვის.

ჩვენი სადგომი ტკიპებით მოცული ჩირგვნარიდან გადავიტანეთ პატარა მინდორზე, რომელიც ხეებით იყო გარემოცული. შეა მინდორში ეგდო რამდენიმე გლუვი რიყის ქვა, იქვე ახლოს საუცხოო წყარო მოჩუხჩუხებდა და ჩვენ, კმაყოფილნი ამ სისუფთავით და კომფორტით, შევუდექით გეგმის შემუშავებას ამ უცხო მხარეში შესაჭრელად. ხშირ ფოთლებში ფრინველები ერთმანეთს ეხმაურებოდნენ - ყველაზე უფრო ხმამაღლა კი ისმოდა გაბმული სტვენა ჩვენთვის სრულიად უცნობი მგალობლისა. არავითარი სხვა

ნიშანწყალი სიცოცხლისა ჩვენ აქ არ შეგვინიშნავს.

პირველად უნდა მოგვეხდინა მთელი ჩვენი ავლა-დიდების აღწერა, რათა ბეჭითად გვცოდნოდა, რამდენი დღის უზრუნველყოფის იმედი უნდა გვქონოდა. აღმოჩნდა, რომ მარაგი სრულიად საკმაო გვაქვს; ამასთან ყველაფერი ვივარაუდეთ, რაც თან ამოვიტანეთ და რაც ზანგმა მოგვანოდა თოვით, მაგრამ რაც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ განსაცდელს, რომელსაც ჩვენ ალბათ ვერ ავცდებოდით, თან გვქონდა ოთხი შაშხანა ათას სამასი ვაზნით, საფანტის თოფი და ას ორმოცდაათამდე საშუალო ყალიბის ტყვია. სანოვაგე რამდენიმე კვირას გვეყოფოდა, თამბაქო - აუარებელი გვქონდა, ზოგი სამეცნიერო ინსტრუმენტებიც, ძლიერი ტელესკოპისა და კარგი საველე ბინოკლის ჩათვლით. ყოველივე ეს მინდორჩე დავალაგეთ, თან სიფრთხილე ვიხმარეთ - დანებით დავჭრით ეკლიანი ტოტები და თხუთმეტი იარდის დიამეტრის ღობე შემოვავლეთ. პირველ ხანებში ეს მოედანი უნდა ყოფილიყო ჩვენთვის მთავარი შტაბიც, თავშესაფარიც მოულოდნელად თავდასხმის შემთხვევაშიც და მთელი ჩვენი ქონების საწყობიც. ამ ბანაკს ეწოდა სახელად ჩელენჯერის ციხესიმაგრე.

ახალ ადგილზე მოწყობას შუაღამედე მოვუნდით, მაგრამ სიცხე მაინცდამაინც არ გვაწუხებდა. საზოგადოდ ტემპერატურა და მცენარეულობის ხასიათი ტაფობზე უფრო ზომიერ სარტყელს უახლოვდებოდა, ვიდრე ტროპიკულს. იმხეებს შორის, რომლებიც გარს გვერტყნენ, იყო წითელი, მუხა და არყიც. ვეებერთელა გინკო, რომელსაც ყველა მეზობლისათვის გაესწრო, თავისი მძლავრი

ტოტებითა და მარაოსებრი ფოთლებით ჩრდილს ჰფენდა ჩვენს სამყოფელს. მის ჩრდილქვეშ განვაგრძობდით ბასს: სიტყვა ჰქონდა მიცემული ლორდ ჯონს, რომელმაც თავის თავზე მიიღო ექსპედიციის მეთაურობა ასეთ გადამწყვეტ წუთებში.

- სანამ რომელიმე ცოცხალი არსება ჩვენსას ვერას გაიგებს და ვერ დაგვინახავს - მხეცი იქნება თუ ადამიანი, სულერთია, ჩვენ საფრთხეში არ ვართ, - თქვა მან, - მაგრამ როგორც კი შეგვნიშნავენ პლატოზე, ჩვენი დამშვიდებული ცხოვრება გათავებულია. ჭერჭერობით კი არავითარ ეჭვს არ ვძადებთ, ამიტომ პირველ ხანებში ჩუმად უნდა ვიყოთ და დაზვერვა მეტად ფრთხილად ვაწარმოოთ. არაფერს გვავნებს, ჩუმ-ჩუმად თვალყური რომ ვადევნოთ მეზობლებს, სანამ მათთან დარბაზობას გავმართავდეთ.

- მაგრამ ჩვენ ხომ წასვლა გვესაჭიროება, - ყოყმანით ჩავურთე მე. - ჭაბუკო, თქვენ სავსებით მართალი ხართ, უნდა დავიცვათ გარკვეული საზღვრები, რომელთაც კეთილგონიერება გვივარნახებს. მეტად შორს წასვლა არ შეიძლება. ისეთი მანძილი უნდა გავიაროთ, რომ ყოველ წუთში შეგვეძლოს აქ, ჩვენს სიმაგრეში დაბრუნება. რაც მთავარია, არამც და არამც თოფი არ უნდა გავარდეს, თუ, რა თქმა უნდა, ჩვენი სიცოცხლე საფრთხეში არ იქნება.

- მაგრამ ხომ გაისროლეთ თქვენ გუშინ, - თქვა სამერლიმ. - ეს იმიტომ, რომ მე არჩევანის დრო აღარ მქონდა. გარდა ამისა, არა მგონია მისი ხმა შორს გასულიყო, შეაგულისავენ: გუშინ მძლავრი ქარი ქროდა პლატოდან. მართლა, რა სახელი ვუწოდოთ პლატოს? ამის გადაწყვეტა ხომ ჩვენი საქმეა!

შემოვიდა რამდენიმე წინადადება, მეტ-ნაკლებად ვარგისი. მაგრამ უკანასკნელი სიტყვა ეკუთვნის ჩელენჯერს.

- რა საჭიროა აქ ბევრი ფიქრი, - თქვა მან, - ტაფობს უნდა ენოდოს მეპლ-უაიტის ქვეყანა იმ პიონერის პატივსაცემად, რომელმაც იგი აღმოაჩინა.

ეს სახელი ვუწოდეთ პლატოს, ამ სახელით იქნება იგი აღნიშნული რუკაზე, რომლის შედგენაც მე მომანდვეს; ამავე სახელით, ვიმედოვნებ, იგი შევა მომავალ ატლასებში.

ჩვენ წინაშე გადაუდებელი ამოცანა იყო - მშვიდობიანი გზით შესვლა მეპლ-უაიტის ქვეყანაში. ჩვენ საკუთარი თვალით უკვე ვხედავთ, რომ იქ ბინადრობენ რაღაც უცნაური სულდგმულები. მეპლ-უაიტის ჩანახატები ხომ კიდევ უფრო საშინელ ცხოველთა გამოჩენას გვიქადდა. ბოლოს საკმაო საფუძველი გვქონდა გვეფიქრა, რომ ტაფობზე არიან ადამიანებიც, რომელთა მძვინვარებაზე ლაპარაკობდა ბამბუკით განგმირული ჩონჩხი.

აღარავითარი იმედი აღარ გვქონდა ხსნისა. ვიცოდით, რომ ფათერაკი ყოველ ნაბიჭებ გვიდარაჭებდა, და გადავწყვიტეთ იმ ზომების მიღება, რომელთაც ლორდ ჰონს უკარნახებდა მისი გამოცდილება. მაგრამ განა შეგვეძლო დიდხანს შეჩერება იმ იდუმალი სამყაროს ზღურბლზე, როდესაც გულს გვილევდა სურვილი, რაც შეიძლება მალე შეგვეღნია თვით მის შუაგულში?

ამგვარად, ჩვენ ჩირგვებით ამოვავსეთ ბანკის შემოსავალი, მთელი ჩვენი მარაგი დავტოვეთ ეკლიანი ღობის შიგნით და ნელა, დიდი სიფრთხილით გავემართეთ უცნობი ქვეყნისაკენ. გავყევით პატარა

ღელეს, რომელსაც სათავე ვაკეში ჰქონდა და რომელიც დაბრუნებისას გზის მაჩვენებელ ძაფად უნდა ყოფილიყო.

ხეირიანად ვერც კი მოვასწარით, ბანაკს დავშორებოდით, რომ წავანებით საოცრებათა პირველ ნიშნებს. ხშირ ტყეში ბევრი ჩემთვის უცხო ხე იყო, მაგრამ ჩვენმა ბოტანიკოსმა სამერლიმ იცნო ციკადეი და წინვიანთა რამდენიმე სახეობა, რომელიც დიდი ხანია გამქრალან დედამიწის პირიდან. გავიარეთ ტყით რამდენიმე ასეული იარდი და გავედით იმ ადგილზე, სადაც ღელე იშლებოდა, მის ნაპირებზე ამოსულიყო ხშირი და მაღალი ლელი, რომელიც პროფესორმა სამერლიმ შვიტას თანრიგს მიაკუთვნა. ქარი არხევდა გვიმრათა კენწეროებს. ლორდ ჭონმა, რომელიც წინ მიდიოდა, ხელი ასწია.

- დახედეთ, - თქვა მან, - აი, კვალი! ალბათ, აქ დაიარებოდა ყველა ფრთოსანთა წინაპარი!

შედედებულ ტალახში ცხადად ჩანდა ვეებერთელა სამთითა კვალი. ეს კვალი მიდიოდა ჭაობიდან ტყისაკენ. ჩვენ შევჩერდით ამ საოცარ კვალის წინაშე. თუ აქ მართლა გაიარა ფრინველმა - აბა, სხვა რა პირუტყვს შეეძლო ამგვარი კვალის დაჩნევა - მაშინ მისი ფეხი სირაქლემაზე იმდენად დიდი ყოფილა, რომ წარმოდგენაც კი ძნელია ამ გიგანტისა. ლორდ ჭონმა დაკვირვებით მიმოიხედა აქეთ-იქით და ორი ვაზნა ჩადო თოფის მსხვილყალიბიან შაშხანაში.

- გეფიცებით მონადირის სახელს, - თქვა მან, - კვალი სრულიად ახალია. ამ ცხოველს აქ გაუვლია რაღაც ათიოდე წუთის წინ. ხედავთ, წყალს ვერც კი მოუსწრია ნაფეხურების ამოვსება. ღმერთო ჩემო! აი, მისი ბარტყის კვალიც, იმგვარივე, მხოლოდ უფრო მცირე.

მართლაცდა, კვალი პარალელურად მოჰყვებოდა.

- აბა, ამაზე რაღას იტყვით? - აღტაცებით წამოიძახა პროფესორმა სამერლიძე და მიუთითა კვალზე, რომელიც ძლიერ წააგავდა ადამიანის ხელის ხუთი თითის ანაბეჭდს.

- ველდი! - წამოიძახა ჩელენჯერმა აღტაცებისაგან თავდავიწყებით.

- მე მინახავს ამგვარი ნაკვალევი ველდის ფეხებში. ეს სულდგმული აიმართება ხოლმე მთელი ტანით და მოძრაობს უკანა სამთითა კიდურებით, წინა ხუთთითა კიდურები კი შველის სიარულის დროს. არა, ძვირფასო როქსტონ, ეს სრულიადაც არ არის ფრინველი!

- მხეცია?

- არა, ქვენარმავალია - დინოზავრი. სწორედ ისაა და არა სხვა რამე! ოთხმოცდაათი წლის წინათ ამგვარმა კვალმა თავგზა აუბნია ერთ მეტად პატივცემულ სასექსელ მეცნიერს. მაგრამ ვინ იოცნებებდა... ვინ გაბედავდა ოცნებას... რომ ვეღირსებოდით ამის ნახვას.

უკანასკნელი სიტყვები ჩელენჯერმა ჩურჩულით წარმოთქვა, ჩვენ კი გაოცებისაგან გავშეშდით. კვალმა ჭაობიდან ხშირ შამბიან ბუჩქნართან მიგვიყვანა. მას იქით, სხვებს შორის დიდი ქაშანი აღმოჩნდა და ამ ქაშანზე დაიარებოდა ხუთი არაჩვეულებრივად უცნაური ცხოველი - ამგვარი რამ ჩემს დღეში არ მინახავს. ჩვენ ჩირგვებს ამოვეფარეთ და მათ დიდხანს ვათვალიერებდით.

როგორც უკვე გითხარით, ისინი ხუთივენი დასეირნობდნენ - ორი დიდი და სამი პატარა. მათმა ახოვანებამ გაგვაოცა. პატარებიც კი ტანით სპილოს აღემატებოდნენ, დიდებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი

იყო. მათი ხვლივისებური ქერეჭიანი ტყავი ელვარებდა მზებე. ხუთივე უკანა ფეხზე იდგა და ფართო, მსხვილ კუდებზე დაყრდნობით, ხუთთითა ფეხებით თავისკენ იწევდნენ მწვანე ტოტებს და ფოთლებს აცლიდნენ.

რომ უფრო სრული წარმოდგენა იქონიოთ ამ ურჩხულებზე, გეტყვით, რომ ისინი მოგვაგონებდნენ გიგანტურ, სიმაღლით ოც ფუტამდე, შავი ნიანგის ტყავით მოსილ კენგურუს.

არ ვიცი, რამდენი ხანი დავყავით იქ და მოჯადოებულებმა ვუცქირეთ ამ არაჩვეულებრივ სანახაობას. ძლიერი ქარი ჩვენკენ ქროდა, ჩირგვები საიმედო საფარს წარმოადგენდა. მაშასადამე, შიში არ უნდა გვეონოდა, ურჩხულები ვერ მოგვაგნებდნენ. მათი შვილები დროგამოშვებით უხეშად იწყებდნენ ხოლმე ცელქობას, შეხტებოდნენ და ყრუ ტლაშუნით ეცემოდნენ ძირს. მათი მშობლები, როგორც ეტყობოდა, გამოუთქმელი ღონის პატრონები იყვნენ, ვინაიდან ერთმა მათგანმა, როცა იგი ვეღარ მისწვდა მაღალი ხის კენწეროჩე ფოთლებს, მოხვია ხეს წინა თათები და ისეთი ძალით მოსწია თავისკენ, რომ ეს ვეება ხე შუაზე გადატყდა, როგორც სუსტი რტო. ეს საქციელი მოწმობდა ორ რამეს: ერთს იმას, რომ კუნთები მათ მეტად ძლიერად ჰქონდათ განვითარებული, მეორეც იმას, რომ ტვინი განუვითარებელი ჰქონდათ, რადგან ამ ურჩხულს ხე პირდაპირ თავში მოხვდა და ბევრიც აღრიალა. უშველებელი აგებულება პირდაპირ არ ეთანაბრებოდა მის გამძლეობას, რომელიც ბუნებისაგან ჰქონდა მინიჭებული. ამ შემთხვევამ, ალბათ, სიფრთხილის გრძნობა გაუმახვილა, ვინაიდან იგი თავისი სამივე გიგანტი შვილითურთ ნელა

გაუდგა ტყისკენ გზას. რამდენიმე ხანს ვხედავდით, როგორ ბზინავდა ტევრში მათი შავი ზურგები, თავები კი ხან ბუჩქებს ზემოთ გამოჩნდებოდა, ხან კი ისევ იმალებოდა ხეებში. შევხედე ჩემს ამხანაგებს. ლორდ ჭონი იდგა და თითი ჩახმახზე ედო, თვალები კი მონადირის გატაცებით ანთებოდა. რას არ გაიმეტებდა იმისათვის, რომ ერთი ასეთი თავი ჩამოევიდა თავის ოთახში ბუხრის თავზე, ორი გადაჭვარედინებული ნიჩბის გვერდით! მაგრამ მაინც გონიერებამ სძლია, ვინაიდან იცოდა, რომ ჩვენ მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩავწვდებოდით უცნობი ქვეყნის საიდუმლოებას, თუ მის მობინადრეებს ეჯვიც კი არ ექნებოდა ჩვენი არსებობის შესახებ.

ორივე პროფესორს თითქო ენა ჩაუვარდაო სიხარულისაგან; ყველაფერი დაავიწყდათ. უნებლიერ ჩაეკიდათ ერთმანეთისათვის ხელი და ისე გაშტერებულიყვნენ, რომ ორ პატარა ბავშვს ჰგავდნენ, რომელთაც რაღაც უჩვეულო საოცრება დაინახეს. ჩელენჯერს პირზე ანგელოზის ღიმილი უთამაშებდა, რის გამოც ლოყები ვაშლებივით გამოჰქმდებოდა. გესლიანი გამომეტყველება გაქრა სამერლის სახიდან, მოკრძალების აღტაცებამ შეცვალა იგი.

- აწ განუტევე მონა შენი! - წამოიძახა ბოლოს. - აბა რაღას იტყვიან ამაზე ინგლისში?

- ჩემო ძვირფასო სამერლი, საიდუმლოდ შემიძლია გაცნობოთ, რასაც იტყვიან ინგლისში, - უპასუხა ჩელენჯერმა, - იქ იტყვიან, რომ თქვენ აშკარა ცრუპენტელა და თვალთმაქცი ხართ და მეცნიერებასთან არავითარი კავშირი არ გაქვთ. იმასვე იტყვიან, რასაც თქვენ და თქვენისთანები ჩემზე ამბობდით.

- თუკი ფოტოსურათებს წარვედგენთ?
- სიყალბეა, სამერლი! ტლანქი სიყალბე!
- თუ ნივთიერ საბუთს წარვედგენთ?
- ომ! მაშინ კი ჩვენგან თავს ვერ დაიძვრენენ! მელოუნი და მისი ფლიტ-სტრიტელი ბრძო ქებასაც კი შეგვასხამენ. დაიმახსოვრეთ! ოცდარვა აგვისტოს ჩვენ ვნახეთ მეპლ-უაიტის ქვეყანაში ხუთი ცოცხალი იგუანოდონი. გააკეთეთ შესაბამისი ჩანაწერი თქვენს წიგნში, ჩემო ახალგაზრდა მეგობარო, და ამის ცნობა მიაწოდეთ თქვენი უბადრუკი გაზეთის ფურცელს.
- და იმისთვისაც მოემზადეთ, რომ რედაქტორი თქვენ გამოგაპანდურებთ, - დაუმატა ლორდ ჭონსმა, - იმ განედში, რომელზეც ლონდონი იმყოფება, ყოველივე როგორლაც სხვაგვარად გამოიყერება, ჩემო კეთილო ჭაბუკო. განა ცოტაა ხალხი, რომელიც არას ამბობს თავის თავგადასავლებზე იმის შიშით, რომ არ დაუჭერებენ! აბა, ამისათვის მათ ვინ გაკიცხავს? გაივლის ერთი-ორი თვე და ჩვენ თვითონ ეს სიზმრად მოგვეჩვენება. რა უნოდეთ თქვენ ამ ურჩხულებს?
- იგუანოდონი, - თქვა სამერლიმ, -მათი ფეხის ანაბეჭდი აღმოჩენილია ჰასტინგსის ქვიშნარში, კენტში, სასექსში. სამხრეთ ინგლისში აუარებელნი იყვნენ, სანამ მცენარეები შემოელეოდათ; შემდეგ კი პირობები შეიცვალა და ნადირი თანდათან გადაშენდა. აქ, როგორც ჩანს, ყოველივე ისე დარჩენილა, როგორც იყო, რავი იგუანოდონები დღემდე განაგრძობენ არსებობას.
- თუ აქედან ცოცხალი გავედით, შინ ისე არ დავბრუნდები, მაგისი

თავი რომ არ წავიდო, - თქვა ლორდ ჭონმა, - დამაცათ, აფრიკელო  
მონადირენო, შერისაგან გამწვანდებით! მაგრამ, მეგობრებო, თქვენი  
არ ვიცი და მე კი ასე მგონია, რომ საცაა რაღაც სერიოზულ  
უსიამოვნებას გადავეყრებით.

იგივე წინათგრძნობა რაღაც მრისხანე საიდუმლოებისა, მეც  
მქონდა. ტყის წყვდიადში საშინელებანი იმალებოდნენ და გული  
უნებლიერ შიშისაგან იკუმშებოდა, როცა ვაკვირდებოდით ამ ხშირი  
მწვანით მოსილ უღრან ტყეს. მართალია, ვეებერთელა იგუანოდონები  
სრულიად უვნებელი დონდლოები იყვნენ, მათ არ შეეძლოთ ჩვენთვის  
რაიმე განსაკუთრებული ზიანის მიყენება, მაგრამ ვინ იცის, ხომ არ  
დარჩენილან ამ საოცრებათა სამყაროში სხვა ბუმბერაზები,  
რომელნიც ახლა მიმალული არიან ბუნაგებში, კლდეთა და ჩირგვთა  
შორის, და მხოლოდ ხელსაყრელ წამს ელოდებიან, რომ  
გამოცვივდნენ და დაგვეტაკონ? მე მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა  
მაქვს წინაისტორიული ცხოვრების შესახებ, მაგრამ მახსოვს,  
როგორდაც ხელში ჩამივარდა ერთი წიგნი, სადაც ლაპარაკი იყო  
მხეცებზე, რომელთათვისაც ლომები და ვეფხვები ისეთ უბრალო  
ნანადირევს წარმოადგენდნენ, როგორსაც თაგვი კატისათვის. ვაითუ  
ასეთი ურჩხულები ცხოვრობენ მეპლ-უაიტის ქვეყნის უღრანებში!

იმ დილას, ჩვენთვის პირველ დილას უცნობ ქვეყანაში - ჩვენ  
დავრწმუნდით, რომ აქ ყოველ ნაბიჭებ ფათერაკი მოგველოდა. ეს  
შემთხვევა პირდაპირ საზიზღარი იყო და ლაპარაკიც კი მეზარება  
მასზე. თუ დავუკერებთ ლორდ ჭონს და ქაშანს, სადაც იგუანოდონები  
ბალახობდნენ, მოვიგონებთ როგორც სიზმარს; მაშინ

პტეროდაქტილებით სავსე ჭაობი ჩვენს მეხსიერებაში ჩარჩება, როგორც საშინელი კოშმარი...

ახლავე მოგითხობთ ყოველივეს.

ჩვენ ტყე-ტყე მივდიოდით მეტად ნელი ნაბიჯით, ერთი იმიტომ, რომ ლორდ ჭონი, როგორც მზვერავი, ნებას არ გვაძლევდა, მას დავწეოდით; მეორეც, ორივე პროფესორი ხშირად აღტაცებაში მოჰყავდა ხოლმე რომელიმე მათვის უცნობი ყვავილის ან მწერის სახეობას. სამი-ოთხი მიღის შემდეგ ღელის მარჯვენა ნაპირას დაყოლებული ხეები შეთხელდა და ჩვენ წინაშე კიდევ გამოჩნდა ერთი ქაშნი. ჩირგვნარის არშიის იქით მოჩანდა უზარმაზარი რიყის ქვები - ქვები ყველგან გვხვდება ზეგანზე. ჩვენ ნელა მივიწევდით წინ ჩირგვებს შორის, რომლებიც ნელამდე გვწვდებოდა, და უცბად სადღაც ძალიან ახლოს მოგვესმა ხმები - არცთუ ყიყინი, არცთუ სისინი - ერთ გაუგებარ გუგუნად შეერთებული, რომლისგანაც ჰაერი ზანზარებდა. ლორდ ჭონმა ნიშანი მოგვცა - შეჩერდითო, თვითონ მოხრილმა რიყესთან მიირბინა. მან ზევიდან გადაიხედა, შედრკა და, თითქოს ჩვენი არსებობა დაავიწყდაო, დიდხანს იდგა თავის წინ გადაშლილი სანახაობით შეძრნუნებული. ბოლოს ხელი დაგვიქნია, მოდითო, და თან გვანიშნა, ფრთხილად ვყოფილიყავით. ეტყობოდა, რიყის იქით რაღაც საოცრება, იქნებ საშინელი საფრთხეც, იმალებოდა.

მივიპარეთ ლორდ ჭონთან და ძირს ჩავიხედეთ. ჩვენ წინაშე პირი დაეღო ღრმა ქვაბულს, ალბათ, ერთ-ერთ იმ მომცრო კრატერს, რომელთა რიცხვიც ბევრია ზეგანზე. ამ ქვაბულის ძირზე, ჩვენგან ასი იარდის მოშორებით, ლელიანის ნაპირზე ლაპლაპებდა

გადამწვანებული, დაგუბებული წუმპეები. ადგილი თავისთავადაც საშინელი იყო, მაგრამ, როცა მის მოსახლეობას დავაკვირდი, უნებლიერ მომაგონდა სცენები დანტეს „ ჭოჭოხეთის “ მეშვიდე გარსიდან.

აქ ბუდობდნენ პტეროდაქტილები ასობით და ათასობით! ისინი ფართხალებდნენ ქვაბულში - სინსილები წყალთან დაცოცავდნენ, მათი საზიზღარი დედები კი მეჩეჩზე კვერცხებს ჩეკდნენ. მთელი ეს მასა, უსაზიზღრესი ჭოჭოების ყვირილით, ჰაერს არყევდა და თავის გარშემო ისეთ საშინელ სიმყრალეს ავრცელებდა, რომ ლამის გული აგვერია. ცოტა ზემოთ საკუთარ ქვებზე წამომსხდარიყვნენ ვეებერთელა ნაცარა მამლები. გამომხმარი ფიტულის მსგავსად ისხდნენ ისინი სრულიად უძრავად, მხოლოდ სისხლიან თვალებს ატრიალებდნენ და ხანდახან ნისკარტებსაც აკაკუნებდნენ - როცა ჭრიჭინა გამოუფრენდათ. გიგანტური, მოხრილი, აპკისებური ფრთები გვერდებზე ჰქონდათ მიკრული და ამიტომ გარეგნობით ადამიანს მოგაგონებდნენ. დიდიან-პატარიანად თუ ჩავთვლით, ქვაბულში ამ საზიზღარ არსებათა რაოდენობა არანაკლებ ათასი იქნებოდა.

ორივე ჩვენი პროფესორი ისე გაახარა წინაისტორიული სამყაროს ახლო შესწავლის შესაძლებლობამ, რომ ისინი სიამოვნებით გაატარებდნენ აქ მთელ დღეს. მათ გვიჩვენეს მკვდარი თევზები და ფრინველები, რომელნიც ქვებზე ეყარნენ და, ალბათ, პტეროდაქტილების საკვებს წარმოადგენდნენ. ულოცავდნენ ერთმანეთს, რომ ახლა მაინც გააშუქებდნენ საკითხს, თუ რატომაა, რომ ძვლები ამ მფრინავი ჭოჭოებისა ასეთი დიდი რაოდენობით

გვხვდება მთელ რიგ ადგილას, მაგალითად, კემბრიჯის ქვიშნარში. ახლა ეჭვგარეშეა, რომ პტეროდაქტილები, პინგვინების მსგავსად, გუნდ-გუნდად ცხოვრობდნენ.

ბოლოს და ბოლოს, რათა დაემტკიცებინა კოლეგისათვის რაღაც თებისი, ჩელენჯერმა ქვებიდან წამოიღო თავი და კინაღამ სუყველა დაგვღუპა. ჩვენთან ყველაზე ახლო მყოფმა მამალმა უცბად საშინელი სისინი დაიწყო, აიქნია აპკისებური ოცფუთიანი ფრთები და ავიდაპაერში. დედლები პატარებით შესგუფდნენ წყლის პირას, გუშაგნი კი ერთმანეთის მიყოლებით სწრაფად აიჭრნენ ცაში. საკვირველ სანახაობას წარმოადგენდნენ ეს უსაზიზღრესი ქმნილებანი. ისინი ასობით დაქროდნენ ცაში ჩვენს თავზე და მერცხლებივით აპოდდნენ ჰაერს. მაგრამ ჩვენ მალე დავრწმუნდით, რომ ამ სანახაობის მზერა კარგს არას გადაგვყრიდა. პტეროდაქტილებმა ჯერ მაღლა ცაში დაიწყეს ირგვლივ ფრენა, ცხადია, იმის მოსასინჯად, თუ რამდენად დიდი იყო საფრთხე; მერე კი თანდათან შეავინროვეს წრე და დაბლა დაეშვნენ. ბოლოს მათმა ფრთების შრიალმა ისე ძლიერად დაიწყო ტყლაშუნი, რომ უნებლიერ მომავონა ჰენდონის აეროდრომი შეჯიბრების დღეებში.

- მოეცალეთ! - დაიყვირა ლორდ ჯონმა და შაშხანას წაავლო ხელი. - პირდაპირ ტყისაკენ გაიქეცით, ერთმანეთს არ დასცილდეთ.

მაგრამ წრე ჩვენ ზემოთ უკვე შეიკრა, პტეროდაქტილები ფრთებით თითქმის სახეზე გვეხებოდნენ. ჩვენ კონდახებით ვცემდით, მაგრამ რაღაც რბილს ხვდებოდა და არავითარ ზიანს მათ არ აყენებდა. უცბად ამ ასპიდურ შავად მოელვარე წრიდან კისერი წამოგრძელდა.

მძვინვარე ნისკარტი პირდაპირ ჩვენ გვიმიზნებდა. ერთს მეორე მოჰყვა. სამერლიმ შეყვირა და ხელი მიიფარა გასისხლიანებულ სახეზე. მე ძლიერი ბიძგი ვიგრძენი კეფაში და ტკივილისაგან კინაღამ გრძნობა დავკარგე. ჩელენჯერი წაიქცა, დავიხარე მისაშველებლად და ზედ კი დავეცი, კიდევ ახალი ჩაკვრა ვიგემე. იმწამსვე ლორდ ჭონმა გაისროლა. თავი ავწიე და დავინახე, რომ ერთი პტეროდაქტილი ძირს ეგდო ფრთამოტეხილი. გადებული ნისკარტიდან დორბლს ყრიდა და გამძვინვარებით აბრიალებდა სისხლიან თვალებს - ნამდვილი სატანაა, შეა საუკუნეების დროინდელი მხატვრის დახატული! თოფის ხმით შეშინებული მისი თანამოძმენი სასწრაფოდ მაღლა აფრინდნენ და ჩვენ ზემოთ ტრიალი დაიწყო.

- თავს უშველეთ! - დაიძახა ლორდ ჭონმა.

ჩვენ ჭიქურ მივაშურეთ, ჩირგვნარი გადავლახეთ, მაგრამ ტყის პირს რომ მივაღწიეთ, ჰარპიები ისევ დაგვეწივნენ. სამერლი წააქციეს, ჩვენ ავიყვანეთ და ხეების ქვეშ შევეფარეთ. ტყეში საფრთხე აგვცდა, რადგან პტეროდაქტილებს ტოტებს შორის არ შეეძლოთ თავიანთი ვეებერთელა ფრთების გაშლა.

საცოდავი სანახავი ვიყავით, ბანაკში რომ ვბრუნდებოდით, ისინი კვლავ მოგვდევდნენ, ლაჟვარდ ცაში ლივლივით კრავდნენ წრეს და ისეთ სიმაღლეზე ავიდნენ, რომ ძლივს მტრედის ოდენად მოჩანდნენ. მხოლოდ მაშინ დაგვანებეს თავი, როცა უღრან ტყეს შევეფარეთ. მას შემდეგ კი აღარ გამოჩენილან.

- საოცრად საინტერესო და ჭკუის მასწავლებელი შემთხვევაა, - წარმოთქვა ჩელენჯერმა, როცა შესივებულ მუხლს იბანდა ღელეში, -

ახლა, სამერლი, მე და თქვენ კარგად ვიცით, როგორ უჭირავთ თავი გამძვინვარებულ პტეროდაქტილებს.

სამერლი ამ დროს შებლიდან მოთქრიალე სისხლს იწმენდდა. მე საკმაოდ ღრმა ჭრილობას ვიხვევდი ვისერზე. ლორდ ჭონი ჩვენზე უფრო იოლად გადარჩა - ურჩხულმა მხოლოდ ბეჭი გაუკანრა და პერანგი გაუხია.

- უნდა აღინიშნოს, - განაგრძო ჩელენჯერმა, - რომ ჩვენმა ახალგაზრდა მეგობარმა ჩხვლებით მიიღო ჭრილობა. ლორდ ჭონის პერანგიდან იმოდენა ნახევის მოგლეჭა მხოლოდ კბილებით შეიძლებოდა, მე კი თავზე ფრთებით მცემეს. ამგვარად, პტეროდაქტილთა თავდასხმის მრავალნაირ მეთოდს გავეცანით.

- კიდევ ცოტაც და ჩვენი აღსასრულიც დადგებოდა, - პირქუშად ჩაილაპარავა ლორდ ჭონმა, - უფრო საზიზღარი სიკვდილის წარმოდგენაც კი შეუძლებელია - გახდე ამ ბინძურ ქმნილებათა მსხვერპლი! არ მინდოდა სროლა, მაგრამ სხვა გზა არ იყო.

- რომ არ გესროლათ, ახლა ამ ღელესთან არ ვისხდებოდით, - გულდაჭერებით წარმოვთქვი მე.

- იმედი ვიქონიოთ, რომ ჩემი ნასროლი საქმეს არ ავნებს, - თქვა ლორდ ჭონმა, - აქაურ ტყეებში ხშირად გაისმის ბგერა არანაკლებ ხმოვანი: ხან ტოტი მოტყდება, ხან მთელი ხეც ტყდება. მაგრამ დღეისათვის კმარა ამდენი ძლიერი შეგრძნება, უმჯობესია, ჩვენს ბანაკს მივმართოთ და ჩვენს პატარა აფთიაქში კარბოლკა მოვძებნოთ. ვინ იცის, იმ საზიზღართა ნაკბენი შეიძლება გესლიანი იყოს.

მაგრამ, რაც ქვეყნიერება არსებობს, არა მხოლოდ ერთი დღის განმავლობაში ადამიანს ამდენი ხიფათი შემთხვეოდეს! თურმე ახალი უბედურება გვიცდიდა. ღელეს შევყევით და მინდორზე გავედით. დავინახეთ ეკლის ღობე, რომლითაც ჩვენი ბანაკი იყო შემორაგული და გადავწყვიტეთ, რომ ამჟერად ჩვენი განსაცდელი დასრულებული იყო, მაგრამ შესვენება მაინც არ გვერგო. შესასვლელი წინანდებურად ჩახერგილი იყო, ღობე - მთელი, მაგრამ ჩვენ მაინც მივხვდით, რომ ჩვენი აქ არყოფნის დროს ვიღაცა ყოფილა. დაუპატიჟებელ სტუმარს მიწაზე არავითარი კვალი არ დაეჩნია და მხოლოდ ბანაკზე გადმოშვერილი გინგკოს უზარმაზარი ტოტი ცხადყოფდა ამას. რაც შეეხება მის ძალასა და გამბედაობას, ამას ცხადლივ მოწმობდა ჩვენი საწყობის მდგომარეობა. ყველა საგანი მიბნეულ-მობნეული იყო მინდორში. ერთი თუნუქის კოლოფთი ხორცი დაეჭყლიტა, - ცხადია, ამ ხერხით მას უნდოდა ხორცი ამოედო. ვაზნების ყეთისაგან მარტოოდენ ნაფოტებიდა დარჩენილიყო და მათ ახლოს ეგდო ლავაშივით შეგრეხილი ვაზნა. გაურკვეველმა ძრწოლამ შეიპყრო ჩვენი გული და შიშით დავუწყეთ ყურებახშირი ჩრდილით დაბურულ ხის ძირებს იმის მოლოდინში, რომ აი, ახლავე გამოჩნდებოდა რაღაც საშინელება.

როგორ მოგვეფონა გულზე, როცა იმავე წუთში მოგვესმა სამბოს ხმა და, როცა ტაფობის კიდურებს მივუახლოვდით, ფრიალოს მწვერვალზე დავინახეთ მისი მოღიმარი სახე.

- ყველაფერი კარგადაა, მისტერ ჩელენჯერ! ყველაფერი კარგად! - დაიძახა მან. - სამბო აქაა, წუ გეშინია! როცა დაუძახებ სამბოს, ის ყოველთვის აქ იქნება.

ვეცქერთ ამ პატიოსან ზანგს და გავყურებთ თვალუწვდენელ ვაკეს, რომელიც თითქმის ამაზონის შენაკადებამდე აღწევს. ჩვენ გვახსოვს, რომ ეს მაინც მეოცე საუკუნეა, რომ ჩვენ მიწაზე ვცხოვრობთ და არა რაღაც პირველყოფილი ქაოსით მოცულ პლანეტაზე, სადაც ჭადოსნურმა ძალამ გადაგვრტყორცნა. მაგრამ რა ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ პორიზონტის იისფერი ხაზიდან დიდ მდინარემდე ერთი ხელის მიწვდენაღაა - იმ მდინარემდე, რომელზეც მიმოცურავენ ვეებერთელა გემები; რომ იქ ხალხი, ადამიანები თავიანთ პატარა საოჯახო საქმეებზე მუსაიფობენ, ჩვენ კი გადმოტყორცნილნი პირველყოფილ ქვეყანაში, პირველყოფილ არსებებთან, მხოლოდ გავცქერით იმ მხარეს და ვნაღვლობთ იმ ქვეყანაზე, რომელიც სავსეა ესოდენ სიხარულით!

მე დამრჩა ერთი მოგონება, რომელიც დაკავშირებულია ამ არაჩვეულებრივ დღესთან. ამითვე დავამთავრებ ჩემს წერილსაც. ჭრილობებმა ნამდვილად იმოქმედა ჩვენი პროფესორების წერვებზე და მათ წამოიწყეს ცხარე პაექრობა იმის შესახებ, თუ წინა ისტორიის ჭოჭოთა რომელ სახეობას ეკუთვნიან ჩვენი მტრები - პტეროდაქტილებს თუ დიმორფოდონებს. საქმე იქამდე მივიდა, რომ გესლიანი სიტყვებიც კი იხმარეს. თავი რომ ამერიდებინა მათი კინკლაობისათვის, იქვე წაქცეული ხის შტამბზე ჩამოვარექი და ჩიბუხის წევა დავიწყე. რამდენიმე წუთის შემდეგ ჩემ წინ აიმართა ლორდ ჭონის ფიგურა.

- გესმით, მელოუნ, - თქვა მან, - თქვენ კარგად გახსოვთ ის ადგილი, სადაც ეს პირუტყვები ბუდობენ?

- რა თქმა უნდა, მახსოვს.
- რაღაც ვულკანურ-კრეატერისებურია, არა?
- სრული სიმართლეა, - ვუპასუხე მე.
- როგორია იქ ნიადაგი, მიაქციეთ ყურადღება?
- მარტო რიყეა და ქვები.
- არა, თვით წყლის მახლობლად, სადაც ლელი ხარობს...
- რაღაც მოლურჭო, თიხისმაგვარი.
- აი, სწორედ... ვულკანური კრატერი და ლურჯი თიხა.
- რად გაინტერესებთ? - შევეკითხე მე.
- არა, ეს ისე, - მიპასუხა ლორდ ჭონმა და აუჩქარებლად გაემართა იქით, საიდანაც ჰერ კიდევ მოისმოდა ლაპარაკი ჩვენი მეცნიერი მოკამათეებისა - დაძაბული, მკვახე ტენორი სამერლისა და ომახიანი ბანი ჩელენჯერისა.

მე, ალბათ, დამავიწყდებოდა ლორდ ჭონის სიტყვები, მაგრამ იმ დღეს კიდევ გავიგონე ისინი: „ ლურჯი თიხა... ლურჯი თიხა ვულკანურ კრატერში “ . ეს იყო უკანასკნელი სიტყვა, რაც მე გავიგონე და მთელი დღის მოქანცულმა ღრმა ძილს მივეცი თავი.

თავი მეთერთმეტე

მე გმირი ვხდები

ლორდ ჭონის სიფრთხილე გამართლდა: ურჩხულების ნაკბენი

გესლიანი აღმოჩნდა. მეორე დილით მე და სამერლის მძიმე ტკივილები და კანკალი დაგვაწყებინა, ჩელენჯერს კი ისე გაუსივდა მუხლი, რომ მტკივანი ფეხის გადადგმა ძალიან უჭირდა. ამიტომაც მთელი დღე ბანაკში გავატარეთ და ვცდილობდით, რაც ძალა შეგვწევდა, დავხმარებოდით ლორდ ჭონს, რომელიც გართული იყო ეკლიანი ღობის გამაგრებით, რაც ერთადერთი თავდასაცავი იყო მტრისაგან. ნათლად მახსოვს, რომ დილიდან დაწყებული რაღაც ახირებული შეგრძნება დამჩემდა: სულ მეჩვენებოდა, ვითომ თვალყურს გვადევნებდნენ, მაგრამ ვინ და საიდან, ამას ვერ გეტყოდით.

ვეღარ მოვითმინე და ჩემი შიში ჩელენჯერსაც გავუზიარე, რომელმაც დაუყოვნებლივ მიაწერა იგი ჩემს გონებრივ აშლილობას, ვითომდა ციებცხელებიანი მდგომარეობით გამოწვეულს. ასე იყო თუ ისე, მე მაინც განვაგრძობდი აქეთ-იქით თვალების ცეცებას. მოველოდი, რომ რაღაცას დავინახავდი, მაგრამ ჩვენი ეკლიანი ღობისა და წყვდიადით მოცულ უზარმაზარ ხეთა კენწეროების მწვანე თაღების გარდა ვერაფერს ვხედავდი. მაინც ეს რწმენა, რომ ვიღაც არაკეთილმოსურნე მზვერავი მიმალულა ჩვენგან რაღაც ორიოდე ნაბიჯის მანძილზე, არამცთუ მტოვებდა, არამედ უფრო და უფრო ძლიერდებოდა. მომაგონდა ცრუმორწმუნე ინდიელების შიში მრისხანე კურუპურის წინაშე, რომელსაც უღრანი ტყე ფარავს და უკვე მზად ვიყავი, სარწმუნოდ მიმეღო, რომ ეს ბოროტი სული მოსვენებას არ აძლევს იმ გამბედავ ხალხს, რომელიც მის წმინდა სავანის საიდუმლოთა საიდუმლოში შეჭრილა.

იმ ღამეს - მეპლ-უაიტის ქვეყანაში ჩვენს მესამე ღამეს - ერთმა შემთხვევამ მეტად მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე და გვაიძულა, კიდევ ერთხელ გვეთქვა მადლობა ლორდ ჭონისათვის, რომელმაც არ დაიზარა შრომა ჩელენჯერის კოშკის გასამაგრებლად. ჩვენ მიფერფლილი ცეცხლის პირას გვეძინა, რომ უცბად გაგვაღვიძა, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვი, ფეხზე წამოგვაგდო სასტიკმა ღრიალმა და წრიპინმა; არ ვიცი, რას შეიძლება შევადარო ისე ყვირილი, რომელიც გაისმოდა სადღაც სულ ახლოს, ჩვენი ბანაკის გვერდით. ჩემს დღეში არ მსმენია უფრო საშინელი რამ. იგი აპობდაპაერს, როგორც ორთქლის სასტვენი, თუმცა ამ სასტვენს არც სიფაქიზე ჰქონდა და არც მკაფიოობა. ჩვენ ყურები დავიცეთ, რომ არ მოგვესმინა განუსაზღვრელი საშინელებისა და ტანკვის მომგვრელი საზიზდარი გრუხენი. ნერვები ვეღარ უძლებდა ასეთ დაძაბულობას. ცივმა ოფლმა დამასხა, გული შემეცუმშა, თითქოს მთელი მწეხარება ცხოვრებისა, მთელი მისი აურაცხელი ტანკვა-წამება, ყველაფერი, რაშიც კი მას შეუძლია ბრალი დასდოს ზეცას, შეერთებულიყო ამ უსაშინელეს, მტანკველ ღრიალში. და თითქოს განზრახ, რომ მეტი სიმძაფრე მიეცა მისთვის, თითქოს ამ საერთო ღრიალს აპყვაო, იქვე გვრგვინავდა ვიღაცის წყვეტილი, საზიზდარი სიცილი, ვიღაცის საზეიმო როხროხი. ეს კოშმარული დუეტი სამ-ოთხ წუთს გაგრძელდა და მთელი ალიაქოთი ატეხა ფრინველთა შორის, რომელთაც ხეებზე ეძინათ. მერე ყოველივე უცებ მიწყდა. ჩვენ დიდხანს ვიყავით გაჩუმებულნი, თავზარდაცემულნი. ბოლოს ლორდ ჭონმა ფიჩხი შეუკეთა. ცეცხლის მოწითალო ანარეკლმა გაანათა ჩემი ამხანაგების

სახეები, რაღაცამ შეითამაშა ჩვენ ზემოთ ფოთლებში.

- რა არის? - ჩურჩულით ვიკითხე.

- დილით გავიგებთ, - თქვა ლორდ ჭონმა, - ეტყობა, აქვეა სადღაც, ამ ბილიკთან ახლოს.

- ჩვენ მომსწრენი გავხდით, შორიდან ყური გვეგდო წინაისტორიული ტრაგედიისათვის, რომელიც გათამაშდა ლელიანში, იურის პერიოდის ტბასთან, როცა დიდი ჭოჭო ბოლოს უღებდა თავისსავე სუსტ თანამოძმეს ჭინჯრობაში! - წარმოთქვა ჩელენჯერმა, თავისთვისაც კი არაჩვეულებრივად საზეიმოდ. - დიახ, ადამიანი დიდად მოგებული დარჩა, რომ დედამინაზე ცოტა მოგვიანებით გაჩნდა. სამყაროს განთიადზე მას ისეთი ურჩხულები შეხვდებოდნენ, რომელნიც არ შეუშინდებოდნენ არც სიმამაცეს, არც მის გამომგონებლობას. განა მას ისარი, შურდული ან შუბი უშველიდა ისეთ ძალებთან შეხვედრისას, რომლებიც ნუხელ თარეშობდნენ? თანამედროვე შაშხანაც კი ვერ მისცემდა უპირატესობას.

- მიუხედავად ამისა, მე მაინც ჩემი საყვარელი მეგობრის იმედი მაქვს, - თქვა ლორდ ჭონმა და თავის „ ექსპრესის “ ლულას გადაუსვა ხელი, - მაგრამ არ გედავებით, ამ საშინელებას არა ნაკლები შანსები ექნებოდა გამარჯვებისათვის.

სამერლიმ ხელი ასწია.

- ჩუუ! - წაიჩურჩულა მან. - რაღაც მომესმა.

სამარისებური სიჩუმე დაარღვია ყრუ, მწყობრმა ბრაგუნმა. რაღაც ცხოველი მიიღალებოდა ტევრში და სიფრთხილით ადგამდა თავის მძიმე თათებს. მან ნელი ნაბიჭით შემოუარა ჩვენს ვარავს და

შემოსასვლელთან შედგა. ჩვენ გავიგონეთ მისი მსტვენავი ქშენა. მხოლოდ სუსტი ღობე გვყოფდა ამ ღამეულ ურჩხულისაგან. შაშხანებს ვტაცეთ ხელი, ლორდ ჭონმა კი გამოაძრო ღობიდან ჩირგვი და რაღაც სათოფურისებრი მოაწყო.

- ღმერთო ჩემო! - წაიჩურჩულა მან. - მგონია კიდევაც ვხედავ.

მე გავიგონე სათოფურში, ლორდ ჭონის მხარის ზემოდან. დიახ, ნამდვილია! ხმირ ჩრდილში, ხის ქვეშ კიდევ უფრო მუქი ჩრდილი მოჩანდა. ველური ძალა და მძვინვარება იგრძნობოდა მინაზე გართხმულ პირველყოფილ მხეცში. სიმაღლით ცხენზე მეტი არ იქნებოდა, მაგრამ ზორბა გარეგნობა მის არაჩვეულებრივ ძალას მოწმობდა. მხოლოდ მეტად მძლავრ ორგანიზმს შეეძლებოდა ასეთი სუნთქვა - სავსე, თანაბარი, როგორც საორთქლე ქვაბი. ურჩხული გაინძრა და მე დავინახე მისი საშინელი, მწვანე, ცეცხლივით მოელვარე თვალები. მაშინვე მოისმა შრიალი, - იგი ნელა გვიახლოვდებოდა.

- ახლავე გადმოხტება! - ვთქვი და ჩახმახი შევაყენე.

- არ ესროლოთ! - წამჩურჩულა ლორდ ჭონმა, - განა შეიძლება სროლა ასეთ წყნარ ღამეში? ხმა ხომ რამდენიმე მილის მანძილზე გავა. ეგ უკანასკნელ შემთხვევაში შეიძლება.

- ამ ღობეზე თუ გადმოეშვა, ხომ დავიღუპეთ! - თქვა სამერლიმ ნერვული სიცილით.

- აქეთ გადმოსვლას არ დავაცლით! - წამოიძახა ლორდ ჭონმა. - მაგრამ სროლა მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში შეიძლება. იქნებ მას ისედაც ვძლიო. უნდა ვცადო.

მეტად ძნელი წარმოსადგენია უფრო გაბედული საქციელი: ლორდ ჭონი კოცონთან დაიღუნა, დაავლო ხელი მუგუზალს და თვალის დახამხამებაში გაძვრა ღობეში სათოფურად დატოვებულ საძრომში. ურჩხული მრისხანე გრუხუნით გამოიწია წინ. მაგრამ ლორდ ჭონი ერთი წამითაც კი არ შეყოყმანებულა, ფიცხელ მივარდა მასთან და მუგუზალი პირდაპირ დრუნჩმი ატაკა. ჩემ წინ მხოლოდ ერთი წუთით გაიელვა გიგანტური გომბეშოს უსაზიზღრესმა ნიღაბმა - მეჭეჭიანი, თითქოს კეთრისაგან დაღრღნილი ტყავი და უშველებელი, სისხლით მოსვრილი დრუნჩი. მაშინვე ჩირგვნარში გაისმა ტკაცანი და ჩვენი საზარელი სტუმარიც შთაინთქა უღრან ტყეში.

- აკი ვფიქრობდი, რომ ცეცხლის შეეშინდებოდა, - სიცილით წარმოთქვა ლორდ ჭონმა, როცა შიგნით შემობრუნდა და მუგუზალი ცეცხლში შეაგდო.

- თქვენ თავი განირეთ! - ერთხმად წამოვიძახეთ ყველამ.  
- სხვა გზა არ იყო. ის ურჩხული რომ ჩვენ შორის გაჩენილიყო, ჩვენ ერთმანეთს დავხოცავდით სროლის დროს. ღობეს გარეთ სროლასაც არ ჰქონდა აზრი: მაშინ იგი უეჭველად გადმოგვეჭრებოდა აქეთ და ატეხილი სროლა ხომ ერთბაშად გაგვცემდა. საზოგადოდ, ჩემი აზრით, ჩვენ იოლად გადავრჩით. ნეტავ რა მხეცი იყო?

ჩვენმა სწავლულებმაგაუბედავად გადახედეს ერთმანეთს.  
- მე ვერ გავბედავ ზუსტად განვსაზღვრო ეს სულდგმული, - თქვა სამერლიმ, რომელც ჩიბუხს აბოლებდა.  
- ასეთი სიფრთხილე ახასიათებს ადამიანებს, რომელთაც აზროვნება ჭეშმარიტად მეცნიერული აქვთ, - ჩელენჯერმა

ქათინაურისათვისაც კი დაიმდაბლა თავი! - მეც ზოგადი განმარტებით უნდა შემოვფარგლო ჩემი რწმენა, რომ ახლა ჩვენ შევეჭახეთ ხორცის მჯამელ დინობავრის ერთ-ერთ სახეობას. ზეგანზე მათი არსებობის შესაძლებლობის შესახებ თქვენ უკვე მოსმენილი გაქვთ ჩემი აზრი.

- მრავალ წინოისტორიულ სახეობათა შესახებ არ მოუღწევია ჩვენამდე ცნობებს, - თქვა სამერლიმ - ჩვენი მხრივ ზერელე საქციელი იქნება, ყოველ ცოცხალ არსებას, რომელიც კი ჩვენ აქ შეგვხვდება, სახელი შევარქვათ.

- სავსებით მართალი ხართ. ჩვენი შესაძლებლობა განისაზღვრება მხოლოდ დაახლოებითი კლასიფიკაციით. დავიცადოთ ხვალამდე, მაშინ უკეთ გამოჩნდება, ახლა კი ჭობს ძილს დავუბრუნდეთ.

- მხოლოდ ერთი პირობით: ერთი ჩვენგანი საგუშაგოზე დარჩება, - გადაჭრით განაცხადა ლორდ ჭონმა, - ასეთ ქვეყანაში ხუმრობა მიუტევებელია, მეგობრებო. ამიერიდან წინადადებას ვიძლევი, დამის მორიგეობა შემოვიღოთ, ორ-ორი საათით თითო ცვლაში.

- მაშ, პირველი გუმგი მე ვიქნები, სწორედ ჩიბუხის გამოცლაც მინდა, - თქვა პროფესორმა სამერლიმ.

იქედან მოყოლებული, უგუშაგოდ ჩვენ აღარ ვწვებოდით დასაძინებლად.

დილით გამოირკვა მიზეზი იმ შემზარავი ყვირილისა, რომელმაც ჩვენ გამოგვაღვიძა. ახო, სადაც ჩვენ იგუანოდონები ვნახეთ, ნამდვილ ბრძოლის ველად გადაქცეულიყო. როცა დავხედეთ სისხლის გუბეებს და ხორცის უშველებელ ნაფლეთებს, რომლებიც მიმობნეული იყო მწვანე ბალახზე, შეგვეძლო წარმოგვედგინა, რომ აქ ბლომად იყვნენ

დახოცილი მხეცები. მაგრამ როცა ახლოს გავსინჯეთ ყველა ეს ნაგლეჯი, აღმოჩნდა მხოლოდ ერთი იგუანოდონის ტანის ნაწილები, პირდაპირ ნაკუნ-ნაკუნ დაგლეჯილი მეორე მხეცისაგან, რომელიც თუ უფრო ძლიერი არა, უფრო მძვინვარე მაინც იქნებოდა.

ორი პროფესორი სამეცნიერო პაექრობაში ჩაება. ისინი განსაკუთრებული დაკვირვებით ათვალიერებდნენ ყოველ ნაჭერს, რომელთაც ემჩნეოდათ ნიშანი შეუბრალებელი ეშვებისა და ვეებერთელა ჭანგებისა.

- ახლავე რაიმე დასკვნების გამოტანა ნაადრევი იქნებოდა, - თქვა პროფესორმა ჩელენჯერმა, როცა მუხლებზე დადებულ მოთეთრო ხორცის ნაჭერს სინჯავდა, - ზოგიერთ მონაცემთა მიხედვით, თავდასხმა მოუხდენია ხმალვბილა ვეფხვს. ასეთი ვეფხვების ჩონჩხებს პოულობენ გამოქვაბულებში კონგლომერატა შორის. მაგრამ მხეცი, რომელიც ჩვენი თვალით ვნახეთ, გაცილებით დიდია და უფრო ქვეწარმავალს ჰგავს. პირადად მე იმ აზრის ვარ, რომ ეს ალოზავრი იყო.

- ან მეგალოზავრი, - თქვა სამერლიმ.  
- შესაძლებელია. ერთი სიტყვით, რომელიმე ხორციჭამია დიდ დინოზავრთაგანი იყო. მათ შორის გვხვდება უსაშინლესი ურჩხულები, რომლებიც კი ოდეღაც ან ბილნავდნენ დედამინის სფეროს, ან ამშვენებდნენ მუზეუმებს, - ჩელენჯერმა გადაიხარხარა თავისივე მახვილ სიტყვაზე. იუმორის გრძნობა მას მეტად პრიმიტიული ჰქონდა და ყოველთვის ახარებდა თავისი ყოველი, თუნდაც მეტად უკბილო ხუმრობა.

- რაც უფრო ნაკლებად ვიხმაურებთ, მით უმჯობესია! - მკვახედ შეაჩერა იგი ლორდ ჭონმა. - რა ვიცით, ვინ დაეხეტება ჩვენ მახლობლად? თუ იმ მხეცს კიდევ მოეპრიანება აქ დაბრუნება საუზმისათვის და ჩვენ წაგვანყდა, მაშინ გვექნება სასაცილო საქმე. მაგრამ ეს რა არის?

იგუანოდონის ფართლიან, შავ ტყავზე, ბეჭმელოთ ცხადლივ მოჩანდა ბნელი ნატყეპი, რომელიც ფერით ასფალტს მიაგავდა.

ვერც ერთმა ჩვენგანმა ვერ განმარტა ეს ნიშნები, თუმცა სამერლის მოაგონდა, რომ ორი დღის წინ დაინახა სწორედ ამგვარივე ნიშანი ერთ-ერთ ახალგაზრდა იგუანოდონზე. ჩელენჯერი შემომწყრალი იჭდა, მრავალმნიშვნელოვან სიჩუმეს იცავდა და მთელი თავისი გამომეტყველებით ამბობდა: „აი, მე ვიცი, მაგრამ არ გეტყვი!“ ლორდ ჭონს სხვა აღარა დარჩენოდა, რომ იმავე კითხვით უშუალოდ მისთვის მიემართა.

- თუ თქვენი მოწყალება მომცემს ნებას, რომ ხმა ამოვიდო, ბედნიერი ვიქნები გამოვთქვა ჩემი აზრი, - საგანგებო სარკაზმით დაიწყო ჩელენჯერმა, - ჩემს სიცოცხლეში პირველად მოვისმინე ასეთი საყვედურები. განა არ ვიცოდი, რომ თქვენს ნებადაურთველად უბრალო ხუმრობა და გაცინებაც კი არ შეიძლებოდა?!

მხოლოდ მის შემდეგ, როცა ლორდ ჭონმა ბოდიში მოიხადა ჩვენი ფხუვიანი მეგობრის წინაშე, მან კეთილი ინება, თავისი მრისხანება მოწყალებად შეეცვალა. როცა მისი მღელვარება სრულებით დაშომმინდა, იგი ავიდა წაქცეულ ხის შტამბზე და მოგვმართა გრძელი და, როგორც ყოველთვის, არაჩვეულებრივი საზეიმო სიტყვით,

თითქოს მის წინაშე არა ჩვენი - სამი კაცისაგან შემდგარი ჰგუფი, არამედ ათასობით მსმენელთაგან შემდგარი აუდიტორია ყოფილიყო, რომელიც პროფესორისაგან უძვირფასეს ცნობებს ეღის.

- რაც შეეხება ზემოაღნიშნულ ნიშნებს, - დაინყო ჩელენჯერმა, - მე მზად ვარ მივემხრო ჩემი მეგობრისა და კოლეგის, პროფესორ სამერლის აზრს, რომელიც ირწმუნება, რომ ეს ასფალტია. მეპლუაიტის ქვეყანა აშკარად ვულკანური წარმოშობისაა. ასფალტი კი, როგორც ცნობილია, ეკუთვნის სიღრმის წარმონაქმნათაგანს და, უეჭველია, აქაც იქნება თხევად მდგომარეობაში. მაშასადამე, შესაძლოა იგუანოდონის კანსაც მოსცხებოდა იგი. სხვათაშორის, ჩვენ წინ დგას მეორე საკითხი, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი: რანაირად შეუძლიათ აქ არსებობა ხორციჭამია მტაცებლებს, რომელთვის ერთმა უკვე ინახულა ეს ახო და ზედ ასეთი საშინელი კვალი დატოვა? ჩვენ ვიცით, რომ ზეგანი თავისი სივრცით არ აღემატება ინგლისის საშუალო საგრაფოს. ამ, ყოველი მხრით შემოზღუდულ სივრცეში, მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ცხოვრობდნენ ზოგიერთი სახეობანი, რომელიც დიდი ხანია გადაშენდნენ დედამინის ზურგიდან.

მე მეგონა, და ეს ჩემთვის ეჭვგარეშეა, ხორციჭამია ცხოველებს, დაუბრკოლებლივ გამრავლების გამო, დიდი ხნით ადრე უნდა მოესპოთ მათთვის ბუნების მიერ ბოძებული საზრდოს მარაგი და ან შიმშილით უნდა დახოცილიყვნენ, ან სხვა რომელიმე საკვებზე გადასულიყვნენ. როგორც ვხედავთ, არც ერთი მომხდარა და არც მეორე. მაშასადამე, უნდა წარმოვიდგინოთ, რომ შემცირება ამ

მძვინვარე მტაცებელთა რაოდენობისა, ურომლისოდაც წარმოუდგენელია წონასწორობა ბუნებაში, აյ მიღწეულია რაღაც სხვა გზებით. როგორია ეს გზები? აი, ერთი მრავალ, ფრიად საინტერესო პრობლემათაგანი, რომელიც ელოდება ახსნას. ჩემს თავს ნებას ვაძლევ ვიმედოვნებდე, რომ ჩვენ კიდევ გვექნება შემთხვევა, თვალი ვადევნოთ ამ ხორციჭამია დინობზავრებს უფრო ახლო მანძილიდან.

- მე კი ნებას ვაძლევ ჩემს თავს, იმედი ვიქონიო, რომ ამგვარი შემთხვევა აღარასოდეს გვექნება, - ვთქვი მე.

პასუხად პროფესორმა წარბები შეყარა, როგორც სკოლის მასწავლებელმა, რომელიც არაფრად ჩააგდებს ხოლმე უტიფარი მონაფის უადგილო შენიშვნას.

- იქნებ პროფესორმა სამერლიმ ინებოს თვით მოსაზრებათა გამოთქმა ამ საკითხის შესახებ! - შესთავაზა ჩელენჯერმა.

და ორივე მეცნიერი აფრინდა მეცნიერების მწვერვალებზე, რომელთა გაზავებულ ატმოსფეროში შეიძლებოდა მხოლოდ ისეთ პრობლემათა განსჯა, როგორიცაა კავშირი არსებობისათვის ბრძოლისა და დაბადებათა ოდენობის კლებას შორის, საკვების მტკიცე შემცირების დროს.

იმ დილით გავემგზავრეთ ღელიდან აღმოსავლეთისაკენ, რომ კიდევ არ წავწყდომოდით პტეროდაქტილების ჭაობს და ზეგანის მცირე ნაწილი რუკაზე გადავიტანეთ. ამ მხარეში ბუჩქნარი ისეთი ხშირი იყო, რომ დაგვჭირდა პირდაპირ ძრომით სვლა. აქამდე მე მოგითხოვით მხოლოდ საშინელებაზე მეპლ-უაიტის ქონების შესახებ, მაგრამ ეს უსამართლობაა, ვინაიდან მთელი ის დილა ჩვენ დავეხეტებოდით

უმშვენიერეს ყვავილთა შორის, უმთავრესად ორი ელფერისა - თეთრისა და ყვითლისა. ჩელენჯერისა და სამერლის სიტყვებით პირველყოფილი სამყარო ამ ორი ფერით შემოისაზღვრება. ბევრ ალაგას მინა მთლიანად დაფარული იყო ყვავილებით და ფეხები კოჭებამდე გვეფლობოდა ამ საუცხოო რბილ ხალიჩებში, რომლებიც ირგვლივ ისეთ ძლიერსა და ტკბილ კეთილსურნელებას ფენდა, რომ მისგან თავბრუც მეხვეოდა. ყველგან ბზუოდნენ ფუტკრები, სწორედ ისეთები, როგორიც ჩვენში, ინგლისშია. ხის ტოტები ძირს იხრებოდა ხილის სიმძიმისაგან, რომელთაგან ზოგი ნაცნობი იყო, ზოგი კი სრულიად უცნობი. ჩვენ ვარჩევდით ფრინველთაგან ნაკენვს და რადგან მოშხამვის შიში აღარ გვქონდა, საამო მრავალფეროვნება შეგვქონდა ჩვენს მენიუში. შამბნარის ამ ნაწილში ყოველი მიმართულებით მიიმართებოდა გარეულ ნადირთაგან გათელილი ბილიკები; ჭაობიანი დაბლობები კი აჭრელებული იყო უამრავი კვალისგან. მათ შორის გვხვდებოდა იგუანოდონის კვალიც. ერთგან ტყის ახოში ამ ბუმბერაზთა მცირე ჭოგი ბალახობდა და ლორდ ჭონმა ბინოკლით გაარჩია, რომ მათაც ჰქონდათ ტანზე ასფალტის ნიშნები, თუმცა არა იმ ადგილებზე, სადაც გაგლეჭილ იგუანოდონს. ახსნა ამ ახირებული მოვლენისა ვერც ერთმა ჩვენგანმა ვერ შეძლო.

გზაში ხშირად გვხვდებოდნენ წვრილფეხა ცხოველები - მაჩვ-ზღარბი, ქიცვიანი ჭიანჭველაჭამია, გვიმრისფერი ტახი - გრძელი, ზევით აკაუჭებული ეშვებით. ერთხელ ხეებს იქით კარგა მოშორებით, დავინახეთ მწვანე გორაკის ფერდობი, რომელზეც გამალებით არბოდა რუხ-მიხავისფერი რაღაც მსხვილი ნადირი. მან ისეთი

სიმარდით გაირბინა, რომ კარგად ვერც კი გავარჩიეთ. მაგრამ თუ ის ირემი იყო, როგორც ლორდ ჭონი გვარწმუნებდა, მაშინ ტანად იგი არ ჩამოუვარდებოდა იმ გიგანტურ დომბას, რომლის ჩონჩხს აქამდე კიდევ პოულობენ ჩემი მშობლიური ირლანდიის ჭაობებში.

იმ იდუმალი სტუმრობის შემდეგ ჩვენ სიფრთხილით ვძრუნდებოდით ხოლმე ბანაკში, მაგრამ იმგვარი რამ აღარ განმეორებულა. იმ საღამოს ცხარე კამათი გაიმართა მომავლის გეგმების შესახებ. ამას უფრო დაწვრილებით მოგითხოვთ, რადგან მან გავლენა იქონია ჩვენს შემდგომ მოქმედებაზე და ხელი შეგვიწყო, რამდენიმე დღის განმავლობაში გავცნობოდით მეპლ-უაიტის ქვეყანას გაცილებით უკეთ, ვიდრე ამას მოვახერხებდით მრავალი კვირის განმავლობაში.

კამათი გახსნა სამერლიმ. მას ჭერ კიდევ დილიდანვე ემჩნეოდა რაღაც გულნაწყენობა და, როცა ლორდ ჭონმა წამოიწყო ლაპარაკი ხვალინდელი დღის გეგმების შესახებ, პროფესორი აენთო.

- დღესაც, ხვალაც და ზეგაც ჩვენ უნდა ვეძიოთ გასასვლელი ამ ხაფანგიდან, - თქვა მან, - თქვენ სულ იმაზე იმტვრევთ თავს, თუ როგორ შეაღწიოთ ქვეყნის გულში, მე კი მგონია, ჩვენ უნდა ვფიქრობდეთ მხოლოდ იმაზე, თუ როგორ დავაღწიოთ თავი აქაურობას.

- სწორედ განცვითრებას ვარ, სერ, რომ მეცნიერს შეუძლია სულით ასე დაცემა! - დაიგუგუნა ჩელენჯერმა და თავის მშვენიერ წვერზე ხელიჩამოისვა.

- თქვენ მოხვდით ქვეყანაში, რომელიც აღსავსეა ცნობისმოყვარე

ბუნებისმეტყველისათვის ისეთი ნიმუშებით, რომელთაც ტოლი არცა  
აქვთ და არცა პქონიათ მას შემდეგ, რაც სამყარო არსებობს! და თქვენ  
წინადადებას იძლევით, დავტოვოთ ეს ნაკრძალი? გვირჩევთ  
ვიკმაროთ მხოლოდ ზერელე გაცნობა მისი და მისი ბინადრებისა!  
თქვენგან არ მოველოდი ამას, პროფესორო სამერლი!

- ნუ ივიწყებთ, თუ შეიძლებოდეს, - წყრომით დაიწყო სამერლიმ, -  
რომ ლონდონში მელოდება სტუდენტთა დიდი ჭგუფი, რომელიც  
მიტოვებულია ჩემი გამოთაყვანებული მოადგილის ანაბარა. ჩემი  
მდგომარეობა ცოტათი განსხვავდება თქვენგან, პროფესორო  
ჩელენჯერ, ვინაიდან, რამდენადაც ვიცი, თქვენთვის არავის  
არასდროს მოუნდვია ესოდენ საპასუხისმგებლო სამუშაო, როგორიცაა  
ახალგაზრდობის განსწავლა.

- სრული სიმართლეა, - დაეთანხმა ჩელენჯერი, - რად უნდა  
დაიტვირთო კაცმა ფუჭი რამეებით თავი, როცა უფრო დიდი  
შემოქმედებითი ძიებისთვის ვართ მოწოდებული?! აი რატომაა, რომ  
ასეთ წინადადებაზე სულ მუდამ კატეგორიულ უარს ვამბობ ხოლმე.

- როგორ წინადადებაზე? - გესლიანი დაცინვით შეევითხა სამერლი.  
მაგრამ ამ დროს ლორდ ჭონმა მოასწრო საუბრის გადატანა სხვა  
თემაზე.

- უნდა მოგახსენოთ, - დაიწყო მან, - რომ პირდაპირ თავის მოჭრად  
მიმაჩნია ლონდონში დაბრუნება, სანამ საფუძვლიანად არ გავეცნობი  
ამ მხარეს.

- მე კი გამბედაობა არ მეყოფა, რედაქციის კარი შევაღო და ჩვენს  
მხცოვან მაკ-არდლის დავენახვო. თქვენ ხომ არ გამიწყრებით, სერ?

იგი არ მაპატიებს, ასეთი მასალა რომ უგულებელვყო. მაგრამ, ჩემი აზრით, ეს კამათი სულ ზედმეტია: ძალიანაც რომ მოვინდომოთ, ჩვენ ხომ ძირს ჩასვლა არ შეგვიძლია!

- პრიმიტიული ფხიზელი აზრი ჩვენს ჭაბუკ მეგობარს რამდენადმე უნაზღაურებს გონიერივი განვითარების ნაკლოვანებას, - თქვა ჩელენჯერმა, - ცხადია, ჩვენ არავითარი საქმე არა გვაქვს მაგის საზიზღარ პროფესიულ ინტერესებთან, მაგრამ რაც მართალია, მართალია: ძირს ვერ ჩავალთ, მაშასადამე, ტყუილად ვხარჭავთ ძალას უაზრო კამათზე.

- მე კი ვფიქრობ, რომ ყოველივე, რაც თქვენ მოისაზრეთ, ძალ-ღონის უაზრო ხარჭვა იქნება, - დაინუნუნა სამერლიმ პირიდან ყალიონის გამოუღებლად, - ნება მომეცით, მოგაგონოთ, რომ ჩვენ აქ მოვედით სრულიად გარკვეული მიზნით, რომელიც ჩვენ დაგვისახა ლონდონის ზოოლოგიური ინსტიტუტის სამეცნიერო კრებამ. ეს მიზანია - პროფესორ ჩელენჯერის მტკიცებათა შემოწმება. უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ უკვე სავსებით შეგვიძლია მისი სისწორის დადასტურება. მაშასადამე, ჩვენი მისია დამთავრებულია. რაც შეეხება ტაფობისა და მისი ბინადრების დეტალურად შესწავლას, ამ უშველებელი ამოცანის შესრულებას შეძლებს მხოლოდ დიდი, სპეციალურად აღჭურვილი ექსპედიცია. თუ ამას ჩვენ მოვკიდეთ ხელი, მაშინ ვინდა მიიტანს ინგლისში ჩვენი გარჭით მოპოვებულ ცნობებს, რომლებიც წარმოადგენს უძვირფასეს განძს მეცნიერებისათვის? პროფესორმა ჩელენჯერმა გამოიგონა ამ გარეგნულად მიუვალ ზეგანზე ასვლის საშუალება. მოდი, მასვე ვთხოვოთ, ვიდევ აამოძრაოს

მისთვის ჩვეული გამომგონებლობა და დაგვაძრუნოს იმავე ქვეყანაში, საიდანაც მოვედით.

სამერლის მოსაზრებანი უაღრესად გონივრული მეჩვენა. ჩელენჯერიც შეფიქრიანდა, ვინაიდან გაითვალისწინა, რომ თავის მტერთა შერცხვენას ვერ შეძლებდა, თუკი მისი სიმართლის დადასტურება ვერ მიაღწევდა იქამდე.

- ტაფობიდან ჩასვლის პრობლემა, პირველი შეხედვით გადაუწყვეტლად გვეჩვენება, - თქვა მან, - მაგრამ ეჭვი არ მეპარება, რომ ადამიანის გონება ამ მდგომარეობიდანაც იპოვის გამოსავალს. პატივცემული კოლეგავ, როგორც ჩანს, მართალია, ჩვენ არ უნდა გავაჭიანუროთ მეპლ-უაიტის ქვეყანაში ყოფნა. დროა მოვისაზროთ, თუ როგორ დავბრუნდეთ შინ. მაგრამ კატეგორიულად ვაცხადებ უარს ზეგნის დატოვებაზე, ვიდრე მას გამოვიკვლევდეთ და რაიმე რუკას მაინც შევადგენდეთ.

პროფესორმა სამერლიმ მოუთმენლად დაითრუტუნა.

- ორი დღე უკვე მოვანდომეთ კვლევა-ზერვას, - თქვა მან, - მაგრამ თითქმის ამაოდ. ჩვენ კვლავინდებურად, არავითარი წარმოდგენა არ გვაქვს ზეგანის მდებარეობაზე. მხოლოდ ერთი რამ გამოირკვა: მეპლ-უაიტის ქვეყანა დაფარულია ხშირი ტყეებით. უფრო დაწვრილებით კვლევისათვის ხომ თვეები მოგვინდება! სხვა საქმეა, აյ რომ რაიმე მაღლობი იყოს, მაგრამ ზეგანს დაქანება ცენტრისაკენ აქვს, მაშასადამე, რამდენიც უნდა წავიდოთ სიღრმისაკენ, მისი საერთო ხედი, სულერთია, ჩვენს წინ არ გადაიშლება.

სწორედ ამ დროს მომევლინა ზემთაგონება. შემთხვევით ერთმა

უზარმაზარმა, კვანძებიანმა ხემ გინგკომ, რომელიც გვფარავდა თავისი ძლიერი ტოტებით, მიიპყრო ჩემი ყურადღება. ასეთი ძლიერი შტამბი არ ჰქონდა ახლომახლო არც ერთ ხეს. მაშასადამე, ეს ხე უფრო მაღლაც უნდა ყოფილიყო სხვებზე. თუ ზეგანი თავისი განაპირებიდან მართლა დაქანებული ცენტრისაკენ, მაშინ ეს გიგანტი რატომ არ გამოგვადგება სათვალთვალო კოშკად, მეპლ-უაიტის მთელი ქვეყნის დასათვალიერებლად? ჯერ კიდევ პატარაობიდან ვიყავით დაჩვეული ხეზე ასვლას. ჩემი თანამგზავრები ჩემზე უკეთ დაცოცავენ კლდეებზე, მაგრამ აქ კი ისინი ვერ მომწვდებიან. ოდონდ ფეხი მოვიკიდო ქვედა ტოტზე, სხვა ყველაფერი ადვილია - კენწერომდეც მივაღწევ!

ჩემი აზრი აღტაცებით გაიზიარეს.

- ჩვენს ახალგაზრდა მეგობარს შეუძლია ჩაატაროს ჭამბაზური აინები, - თქვა ჩელენჯერმა დამისი ლოყები წითელი ვაშლებივით გამოიბერა, - მე მივესალმები ასეთ გადაწყვეტილებას.

- ჭაბუკო, თქვენ პირდაპირ გენიალური ვინმე ყოფილხართ! - წამოიძახა ლორდ ჭონმა და ბეჭებზე ხელი დამკრა. - არ მესმის, რატომ არ მოგვივიდა თავში ეს აზრი უფრო ადრე! მზის ჩასვლამდე მხოლოდ ერთი საათიღა დარჩა, მაგრამ თქვენ მაინც მოასწრებთ ადგილმდებარეობის მოხაზვას, სრულიად მარტივს მაინც. აცოცდით ზევით ბლოკნობით. ხის ძირში ჩვენ ახლავე მივდგამთ სამ ყუთს ერთმანეთზე და როგორმე შეგსვამთ ზედ.

ლორდ ჭონი შედგა ყუთებზე და სითრთხილით დამიწყო დახმარება, მაგრამ ამ დროს საქმეში ჩაერია ჩელენჯერი. მან მოირბინა ჩვენთან

და თავისი ძლიერი ხელის ერთი მოძრაობით პირდაპირ შემისროლა ზევით. მე ხელი ვტაცე მსხვილ ტოტს და დავიწყე ფეხების გადანაცვლება შტამბზე ასაცოცებლად. ჰერ ავინიე ხელებზე და ტანის ნახევარი ავიტანე, მერე მუხლებით დავდექი რტოზე. სამი ქვედა ტოტი საფეხურებად გამოვიყენე, სხვებით, უფრო წვრილებით, ვისარგებლე ზევით ასასვლელად და ისეთი სისწრაფით ავედი მაღლა, რომ მაღლე მიწას ვეღრ ვხედავდი.

დროგამოშვებით შეჩერებაც მიხდებოდა. ერთხელ მომიხდა ლიანაზე აცოცება, რომელიც ათ ფუტამდე იყო სიგრძით. საერთოდ ყოველივე კარგად მიდიოდა. მე უკვე მეგონა, რომ ჩელენჯერის ბოხი ხმა მაღლე ვეღარც კი ამოაღნევდა ჩემამდე. ხე სწორედ გიგანტური სიმაღლის იყო. ვიყურებოდი მწვანე ფოთლებში, მაგრამ მათ შეთხელება სრულადაც არ ემჩნეოდა. მაღლე შემხვდა ტოტი, რომელზედაც იჭდა მკვრივი მწვანე დათვიმსხალა - ალბათ, რამე პარაზიტი მცენარისა. კისერი წავიგრძელე, რომ გადამეხედა, და თავზარდაცემული იმით, რაც მოულოდნელად თვალწინ წარმომიდგა, კინაღამ ხიდან ჩამოვვარდი. ვიღაცის სახე მომჩერებოდა - ორი ფუტის მანძილზე ვიყავით ერთმანეთისაგან. სულდგმული, რომელსაც ეს სახე ეკუთვნოდა, მწვანე დათვიმსხალას ეფარებოდა და იქიდან ამოყო თავი. სახე ადამიანის ჰქონდა, ყოველ შემთხვევაში, მაიმუნისაზე უფრო ადამიანისას ჰგავდა. გრძელი, მოთეთრო, სულ დასიებული, ცხვირმიჭვეჭყილი, მასიური ქვედა ყბა, ნიკაპსა და ყბებს მსხვილი ჰაგარი უმოსავდა, როგორც ნამდვილი ბაკენბარდები. ურჩხულმა პირი დააღო და ბრდღვინვა დაიწყო, თითქოს წყევლა-კრულვას ანთხევდა

ჩემ მიმართ. მხოლოდ მაშინ შევნიშნე მისი მკერდი, ძირს დახრილი ძაღლის ღრჯოლები. წარბებიდან შემომანათა სიძულვილით და მუქარით აღსავსე მძვინვარე თვალებმა, მაგრამ ისინი უეცრად ჩაქრნენ განუსაზღვრელი შიშის გამო. ურჩხული ქვასავით დაეშვა ძირს. გაისმა ხმამაღალი ტკაცატკუცი დამტვრეული ტოტების. ღორივით ჟღალმა ჭაგრიანმა ტანმა ერთი წამით გაიელვა ჩემ თვალწინ და ფოთლებში გაქრა.

- რა ამბავია? - მომესმა ქვემოდან ლორდ როქსტონის ხმა. - მოხდა რამე?

- დაინახეთ? - დავუყვირე მე აღელვებისგან ცახცახით. ხელი მაგრად მქონდა ჩაკიდებული ტოტისათვის.

- გავიგონეთ რაღაც ხმაური. გვეგონა, რომ თქვენ ფეხი მოგისხლებდათ. მაინც რა მოხდა?

ამ საოცარი კაცმაცუნის უეცარმა გამოჩენამ ისე ამაღელვა, რომ მინდოდა უკვე ძირს ჩავსულიყავი და თანამგზავრებისათვის მეამბნა, რაც მოხდა, მაგრამ კენწერომდე სულ ცოტადა მანძილი იყო და მრცხვენოდა ძირს ჩასვლა, სანამ დავალებას არ მოვათავებდი.

ამიტომ კარგა ხანს შევისვენე, სული მოვითქვი და გავწიე ზევით. ერთხელ როგორღაც დამპალ ტოტს დავაბიჭე ფეხი და მხოლოდ ხელებითდა შევიკავე თავი. საზოგადოდ კი ასვლა ძნელი არ იყო. ფოთლები თანდათან შეთხელდა, სახეზე სიომ მომბერა, ეს კი იმის მომასწავებელი იყო, რომ გინგკო უკვე ასცილდა გარშემორტყმულ ხეებს.

მაგრამ მე სულ ზევით და ზევით მივცოცავდი და გადაწყვეტილი

მქონდა, სანამ კენწეროს არ მივაღწევდი, აქეთ-იქით არც კი მიმეხედა. ბოლოს ტოტები უკვე იზნიქებოდა ჩემი სიმძიმის გამო. მაშინ ავირჩიე საიმედო ორკაპი, მოვეწყე შიგ ჩინებულად და გადავხედე იმ იდუმალებით მოცულ ქვეყნის საოცნებო პანორამას, სადაც ჩვენ ბედმა გადმოგვტყორცნა.

მზე უკვე ჰორიზონტის ხაზამდე იყო დასული, მაგრამ საღამო იყო იმდენად მშვიდი და მოწმენდილი, რომ ჩემ ქვემოთ გადაჭიმული ზეგანი მთლიანად მოჩანდა კიდით კიდემდე. იგი წარმოადგენდა ოვალს, ოცდაათ მილს სიგრძითა და ოცს სიგანით; ფორმით ძაბრისებრი, მხოლოდ არა ღრმა, რადგან კედლებიდან დაქანება ცენტრისაკენ ჰქონდა, სადაც კარგა მოზრდილი ტბა იყო ათი მილი საერთო ფართობის. ამ მშვენიერი ტბის გარშემო ხშირი ლელიანი იყო. მომწვანო წყლიდან აქა-იქ მოჩანდა მოყვითალო სილიანი მეჩეჩი, რომელიც ოქროსფრად ელავდა მზის მოალერსე სხივებში. ამ მეჩეჩებზე იჯდა უამრავი რაღაც შავი საგანი. ალიგატორებთან შედარებით ისინი დიდები იყვნენ, ნავებთან შედარებით - მეტად გრძელები. ბინოკლით დავუწყე თვალიერება და ცოცხალი ცხოველები აღმოჩნდნენ, მაგრამ სახელდობრ რა, ვერ გამოვიცანი. იმ მხრიდან, სადაც ჩვენი ბანაკი იყო, აქა-იქ გაქაჩლებული ტყიანი ფერდობები მოჰყვებოდა ექვს მილამდე ცენტრალურ ტბასთან. თითქმის ჩემს ფეხებთან გავარჩიე იგუანოდონების ეხო და ცოტა მოშორებით, შეთხელებულ ხეებს შორის მოჩანდა მისასვლელი პტეროდაქტილების ჭაობისაკენ. სამაგიეროდ, ტბის მეორე მხარის გარემოცულობა მკვეთრად იცვლებოდა. იქამართული იყო ისეთი მოწითლო ბაზალტის

კედლები, როგორებიც ჩვენ ძირს ვნახეთ. ეს მთაგრეხილი სიმაღლით ორას ფუტამდე იქნებოდა, მისი ძირი კი ტყიანი იყო. მოწითალო კედლების ქვედა ნაწილში, მიწიდან ცოტა ზემოთ, ბინოვლით გავარჩიე მთელი რიგი ხვრეტილებისა, რომელნიც გამოქვაბულში შესასვლელები უნდა ყოფილიყო. ერთ-ერთ ამ გამოქვაბულთან რაღაც თეთრად კიაფობდა, მაგრამ რა იყო იგი, ვერ შევძელი გამოცნობა.

მუშაობა შევწყვიტე მხოლოდ მზის ჩასვლისას, როცა აღარაფერი მოჩანდა, და ჩამოვედი ამხანაგებთან, რომელნიც მოუთმენლად მელოდნენ ხის ძირში. აი, როდის გავხდი ნამდვილი გმირი! ეს განზრახვა მე მეკუთვნოდა და მევე მოვიყვანე იგი სისრულეში. აი, ის რუკა, რომელიც მთელ ერთ თვეს მოგვაგებინებს და აგვაცილებს ბრმასავით ხეტიალს უცნობ ქვეყანაში. ამას მოჰყვა საზეიმო ხელის ჩამორთმევა. მაგრამ, სანამ რუკას ვაჩვენებდი ამხანაგებს, უნდა მეამბნა მათთვის ჩემს შეხვედრაზე კაც-მაიმუნთან.

- იგი სულ იქ იყო, - ვთქვი მე.
- საიდან იცით? - მკითხა ლორდ ჭონმა.
- მე არ მცილდებოდა შეგრძნება, რომ ჩვენ ვიღაცის ბოროტი თვალები გვიყურებდა. გახსოვთ, პროფესორო ჩელენჯერ? მე თქვენ ამაზე გელაპარაკეთ.
- სინამდვილეა, რაღაც მაგდაგვარი გამიგონია. ჩვენს ჭაბუკ მეგობარს აქვს შთაბეჭდილების ის უნარი, რომლითაც განირჩევიან კეტლის ჭილაგის ნარმომადგენელნი.
- ტელეპათიის თეორია... - წამოიწყო სამერლიმ და თანაც ჩიბუხს ტენიდა.

- ეგ მეტად რთული პრობლემაა, ნუ შევუდგებით ახლა მის გარჩევას,
  - გადაჭრით მოუქრა სიტყვა ჩელენჯერმა, - უკეთესი იქნება მითხარით,
  - მომმართა მე მედიდურად, როგორც ეპისკოპოსმა იცის საკვირაო სკოლის მონაფის გამოცდის დროს: - ხომ არ შეგინიშნავთ, შეუძლია თუ არა იმ ცხოველს ცერის დაჭერა ხელისგულზე?
- ეს კი არ შემიმჩნევია.
  - კუდი აქვს?
  - არა.
  - უვანა კიდურებით რამის დაჭერა შეუძლია თუ არა?
  - ასე რომ არ ყოფილიყო, ხომ ვერ შეძლებდა ისეთი სისწრაფით ტოტიდან ტოტზე ხტომას?!
  - თუ მეხსიერება არ მღალატობს, სამხრეთ ამერიკაში მაიმუნების ოცდათექვსმეტ სახეობას ანგარიშობენ... პროფესორო სამერლი, გთხოვთ თავი შეიკავოთ შენიშვნების მოცემისაგან... მხოლოდ კაცისმაგვარნი მათ შორის არ არიან. ახლა ეჭვგარეშეა, რომ ისინი აქ ცხოვრობენ, მაგრამ ეს რაღაც სხვა ნაირსახეობაა და არა ის ბანჯგვლიანი გორილისმაგვარი მაიმუნები, რომელნიც გვხვდებიან მხოლოდ აფრიკასა და აღმოსავლეთში (მე კინაღამ წამომცდა, რომ ამ გორილის მსგავსთა ნათესავი კენსინგტონშიც მინახავს). აქაური ნაირსახეობის მაჩვენებელია სახეზე ბალნიანობა და ტყავის თეთრი ფერი. ეს უკანასკნელი კი მით აიხსნება, რომ ეს მაიმუნები ხეებზე ცხოვრობენ ხშირ ფოთლებს შორის. ჩვენ წინაშე დგას საკითხი: ვის უფრო უახლოვდება აქაური ნაირსახეობა - მაიმუნს თუ ადამიანს? უკანასკნელ შემთხვევაში, იგი წარმოადგენს იმას, რასაც უბრალოდ

ენოდება „ ნაკლისი რგოლი ” . ჩვენი მოვალეობაა დაუყონებლივ შეუდგეთ ამ პრობლემის გადაწყვეტას.

- ნინააღმდეგი ვარ! - მკეთრად გააწყვეტინა სიტყვა სამერლიმ. - ახლა, როცა უკვე გვაქვს რუკა, ამით კი დავალებული ვართ მისტერ მელოუნის ენერგიული მოქმედებისა და მოსაზრებისაგან (იძულებული ვარ მოვიყვანო მისი სიტყვები), ჩვენი ერთადერთი მოვალეობაა - მივიღოთ ყველა ზომა, რათა დაუყონებლივ გავცილდეთ ამ საშინელ ადგილს.

- ცივილიზაციის სიკეთე მოსვენებას არ გაძლევთ! - ამოიკვნესა ჩელენჯერმა.

- დიახ, სერ! ცივილიზაციის უდიდეს სიკეთედ მელანი მიმაჩნია, სერ! ჩვენ ანგარიში უნდა ჩავაბაროთ ყველაფრის, რაც აქ ვნახეთ. შემდგომ გამოკვლევებს სხვებმა მოჰკიდონ ხელი. თქვენ ხომ თვითონაც თანახმა იყავით ამისა, სანამ მისტერ მელოუნმა არ წარმოგიდგინათ თავისი რუკა.

- კარგი, - თქვა ჩელენჯერმა, - მეც ხომ ერთბაშად მომეფონება გულზე, როცა საბოლოოდ დავრწმუნდები, რომ ექსპედიციის შედეგები მიაღწევს ჩვენს მეგობრებამდე? მაგრამ ჭერჭერობით წარმოდგენაც კი არა მაქვს, როგორ გავაღწიოთ თავი აქედან. თუმცა ჭორჭ ედუარდ ჩელენჯერს არ შეხვედრია შეჯახება ისეთ პრობლემასთან, რომელიც ვერ დაეძლიოს მის ჭკუას, და ის გპირდებათ, რომ ხვალ ჭეროვნად შეუდგება ამ საკითხს...

კამათი ამით დასრულდა. იმ საღამოსვე კოცონისა და ერთადერთი სანთლის სინათლეზე ჩვენ ჩემი მონახაზის მიხედვით დავხატეთ

მივიწყებული სამყაროს პირველი რუკა. ჩემ მიერ ხის კენწეროდან აღნიშნული დეტალები შევიტანეთ შესაფერის ადგილებზე. ჩელენჯერის ფიქრი შეჩერდა დიდ თეთრ ნიშანზე, რომელიც ტბას აღნიშნავდა.

- რა სახელი ვუწოდოთ? - იკითხა მან.
- რატომ არ უნდა ისარგებლოთ შემთხვევით, რომ უკვდავყოთ თქვენი სახელი? - ჩვეულებრივ გესლიანობით თქვა სამერლიმ.
- დარწმუნებული ვარ, სერ, შთამომავლობას დარჩება უფრო ძლიერი საფუძველი, რომ ჩელენჯერის სახელი შეინახოს, და ეს საფუძველი დამყარებული იქნება მის პირად დამსახურებაზე, პირქუშად უპასუხა პროფესორმა, - ყოველ უმეცარს შეუძლია მიატმასნოს თავისი სახელი რომელიმე მდინარეს ან მთის მწვერვალს. მე ასეთი ძეგლები არ მესაჭიროება.

სამერლიმ კვლავჩაიცინა და ახალ შეტევას აპირებდა, მაგრამ ლორდ ჭონი შეეცადა მოვამათეთა დაოკებას.

- ძვირფასო ჭაბუკო, ტბა თქვენ უნდა მონათლოთ, - თქვა მან, - თქვენ პირველმა დაინახეთ იგი და, თუ მოისურვებთ აღნიშნოთ რუკაზე „ მელოუნის ტბა “ , იცოდეთ არავინ შეგეცილებათ.

- დიახ, დიახ! ჩვენმა ჭაბუკმა მეგობარმა უნდა მისცეს სახელი ტბას, - მხარი დაუჭირა ჩელენჯერმა.

- თუ ასეა, - ვთქვი მე და თანაც ვიგრძენი, რომ გავწითლდი, - ენოდოს მას „ გლედისის ტბა “ .

- როგორ ფიქრობთ, „ ცენტრალური “ უფრო არ ნათელყოფს მის ადგილმდებარეობას? - მკითხა სამერლიმ.

- არა, იყოს „გლედისის ტბა“.

ჩელენჯერმა თანაგრძნობით გადმომხედა და მეგობრული საყვედურით თავი ჩაიქნია.

- ეჰ, სიყმანვილევ, სიყმანვილევ! - თქვა მან. - რა გაეწყობა, გლედისი იყოს, გლედისი!

თავი მეთორმეტე

„რა საშინელება იყო ტყეში“

ნინა წერილში უკვე მოვიხსენიე... იქნებ არა? - ბოლო დროს მეხსიერება როგორღაც მღალატობს, - რომ სიამაყით ჩემს ტყავში აღარ ვეტეოდი, როცა სამმა ისეთმა რჩეულმა კაცმა, როგორებიც ჩემი თანამგზავრები არიან, მაღლობით ჩამომართვეს ხელი. მათი სიტყვით, თუ არ გადავარჩინე, მეტად გავაადვილე მაინც ჩვენი მდგომარეობა. რადგან ყველაზე უმცროსი წევრი ვიყავი ექსპედიციისა და, რაც გამოცდილებასა და ხასიათის სიმტკიცეს ეხებოდა, ყველაფერში ისინი მჯობნიდნენ, - მე ჩვენი მოგზაურობის პირველი დღიდანვე შეუმჩნეველი ვიყავი. მაგრამ ახლა მეც დრო დამიდგა. ვაი, ზვიადობას სიკეთე არ მოაქვს. თვითმოწონების გრძნობამ და ჩემი ძალებით ახალმა დაიმედებამ იმავე ღამეს ისეთი რამ განმაცდევინა, რომლის მოგონებაც კი აქამდე შიშის ზარს მგვრის.

აი, როგორ მოხდა ეს: გინგკოს ხის წვერზე ჩემი მარჯვე ასვლით

ყოველ საზღვარს გადააჭარბა ჩემმა სულიერმა აფორიაქებამ და თვალი ვეღარ მოვხუჭე. იმ ღამეს პირველი მორიგეობა სამერლის ხვდა. კოცონის მკრთალ სინათლეზე მისი მოუქნელი ფიგურა მოჩანდა. იგი მხოლოდ იჯდა, შაშხანა მუხლებზე დაედო და ისე ყვინთავდა, რომ მისი ცანცარა წვერი სულ თრთოდა. ლორდ ჭონი თავის სამხრეთ-ამერიკულ საბან-პონჩოში გახვეული იწვა და მისგან არა ისმოდა რა. სამაგიეროდ, ჩელენჯერის ბოხი და მაღალი ხვრინვა მთელ ტყეს ედებოდა.

გაბადრული მთვარე კაშკაშებდა; ღამის ჰაერმა, ცოტა არ იყოს, შეგვაცივა. რა ღამეა გასასეირნებლად! უეცრად აზრმა გამიელვა - რატომ არ უნდა გავისეირნო? რა მოხდება, რომ ჩუმად გავიდე ბანაკიდან, ვნახო გზა ცენტრალური ტბისაკენ და დილით დავბრუნდე აუარებელი ცხელ-ცხელი ამბით? მაშინ ხომ ჩემი აქციები უფრო მაღლა აინევს! და თუ სამერლი გვაიძულებს აქედან თავის დასაღწევად მივმართოთ რაიმე ხერხს, ლონდონში დავბრუნდებით უზუსტესი ცნობებით მეპლ-უაიტის ქვეყნის ცენტრალური ნაწილის შესახებ, სადაც ჩემ მეტს ფეხი არავის დაუდგამს. მომაგონდა გლედისი... „ ადამიანი თავად მოიხვეჭს დედებას ” , თითქოს ახლაც აჟღერდა ჩემს ყურებში; მომაგონდა მაკ-არდლიც. რა მასალაა გაზეთისათვის - მთელი გვერდის! რა კარიერა მელოდება წინ! დაინყება ომი და შეიძლება გამგზავნონ კორესპოდენტად სამხედრო მოქმედებათა ასპარეზზე. ვტაცე ხელი შაშხანას, რომელიც ხელში მომხვდა. ვაზნები ხომ ჭიბეში მეყარა. გადავაბიჭე შესასვლელს და გავძვერი გარეთ. უკან რომ მოვიხედე, თვალი მოვკარი ჩვენს ვაგლახ

გუშაგს სამერლის, რომელიც წინანდებურად თვლემდა მომქრალ კოცონთან და მწყობრად, ჩინური კერპივით აკატუნებდა თავს.

პირველი ასი იარდის გავლის შემდეგ ჩემთვის უკვე აშკარა შეიქნა, თუ რაოდენი უგუნურება იყო ჩემი საქციელი. ვგონებ უკვე მოვიხსენიე ამ ქრონიკის ფურცლებზე; წარმოდგენის მგზნებარება მიშლის ხელს, რომ ჭეშმარიტად გამბედავი კაცი გავხდე. ისიც მოვიხსენიე, რომ ყველაფერზე უფრო მეშინია, ლაჩრის სახელი არ დამერქვას. სწორედ ამ შიშს მივყავდი წინ. ერთი სიტყვით, ხელცარიელი ბანაკში ვეღარ დავბრუნდებოდი. ამხანაგებსაც რომ არ დაეწყოთ ჩემი ძებნა და არ გაეგოთ ჩემი სიმხდალე, სულერთია, ჩემთვის ადგილს ვეღარ ვპოვებდი მწვავე სირცხვილისაგან. ამავე დროს უკვე კანკალი დამაწყებინა და მზად ვიყავი ყველაფერზე ხელი ამეღო. ოღონდ კი ღირსეული გამოსავალი მეპოვა ამ უხერხელი მდგომარეობიდან.

რა საშინელება იყო ტყეში! ხეები იდგნენ ისე მჯიდროდ, როგორც კედელი. ფოთლებით ისე იყო დაბურული ტყე, რომ მთვარის შუქი თითქმის შიგ ვერ ატანდა და მხოლოდ სულ ზევითა შტოები იხატებოდა ვარსკვლავებით მოჭედილ ცის ფონზე. სიბნელეს რომ თანდათანობით თვალი შევაჩვიე, ზოგიერთ რამეს უკვე ვარჩევდი. ზოგ ხეს ვარჩევდი ამ სიბნელეში, სხვები კი ქრებოდნენ შავბნელ კატაბარდებში, რომელთაგან მე განზე ვხტებოდი შიშისაგან თავზარდაცემული, რადგან ისინი ხანდახან გამოქვაბულის შესასვლელად მეღანდებოდნენ. მომაგონდა სასოწარკვეთილი ღრიალი სასიკვდილოდ განწირული იგუანოდონისა, რომელიც მთელ ტყეში გაისმოდა. მომაგონდა მეჭეჭიანი გასისხლიანებული დრუნჩი,

რომელმაც ჩემს თვალწინ გაიელვა, როცა ლორდ ჭონბა მიანათა თავისი ჩირაღდანი. საშინელი უსახელო ურჩხული სწორედ ამ ადგილებში ნადირობს. მას შეუძლია ყოველ წეთში მეტაკოს ტყის სიბნელეში. შევჩერდი, ამოვიღე ჭიბიდან ვაზნა და გადავხსენი შაშხანის ჩახმახი. და უეცრად გულისცემა შეწყდა ჩემს მკერდში: ეს შაშხანა კი არა, საფანტის თოფი აღმოჩნდა.

ხელახლა გავითიქრე: „ არა ჭობია, დავბრუნდე? “ საბაბი სრულიად საკმარისია; ვერავინ გაბედავს ეჭვის შეტანას ჩემი მარცხის მიზეზებში. მაგრამ უგუნური ზვიადობა წინ აღუდგა თვით ამ სიტყვასაც კი. არა, მე არა მსურდა გაფიქრებაც კი, რომ ხიფათს შევეყრებოდი. თუ საქმე ამაზე მიდგება, მაშინ ალბათ ასეთ საშინელ ადგილას შაშხანაც ისევე გამოუსადეგარი იქნება, როგორც უბრალო სანადირო თოფი. ბანაკში დაბრუნებას და შეცდომის გამოსწორებას აზრი არა აქვს - მეორედ შეუმჩნევლად იქიდან წამოსვლას ვეღარ მოვახერხებ. დამჭირდება ჩემი განზრახვის განმარტება, მაშინ კი ინიციატივა ხელიდან წამივა. მცირე ჭოჭმანის შემდეგ მაინც გავბედე და უარგისი თოფით იღლიაში გავწიე წინ. ტყის სიბნელე მაშინებდა, მაგრამ იგუანოდონების ახოზე, რომელსაც მთვარის შუქი დაჰქათქათებდა, კიდევ უფრო შემეშინდა. ჩირგვებში მიმაღულმა დაკვირვებით მიმოვავლე თვალი. ურჩხულები არ ჩანდნენ. იმ ტრაგედიამ, რომლის შავდღიან გმირად შეიქნა ერთი იგუანოდონი, აიძულა დანარჩენები ამ საძოვარს გასცლოდნენ. ნისლიანი ვერცხლისებური ღამე მდუმარე იყო - არც შრიალი, არც ხმაური. მოვიკრიბე სიმამაცე და სწრაფად გადავირბინე ბილიკი. ისევ იმ ღელესთან გავედი, რომელიც გზის მაჩვენებელი ძაფის სამსახურს

მიწევდა. ეს მხიარული თანამგზავრი მირბოდა, ბუტბუტებდა და რაკრაკებდა ისე, როგორც ჩემი გულით საყვარელი ღელე, სადაც პატარაობისას ჩემს მშობლიურ ქვეყანაში კალმახზე ვთევზაობდი ხოლმე ღამღამობით. თუ ამის მდინარებას მივყევი, ტბასთან გამიყვანს, ზევით თუ შევყევი - უკანვე ბანაკში ამოვყოფ თავს. ღელე ხშირად იკარგებოდა ხოლმე ჩირგვნარში, მაგრამ მისი განუწყვეტელი ჩუხჩუხი სულ მესმოდა.

რაც უფრო დაქანებისაკენ მიდიოდა, მით უფრო თხელდებოდა ტყე და თავის ადგილს ბუჩქნარსა და შამბანარს უთმობდა, რომელთა შორის აქა-იქ მოჩანდა მაღალი ხე. სიარული გამიადვილდა და ახლა უკვე შემეძლო აქეთ-იქითც გამეხედა და თვითონ კი შეუმჩნეველი დავრჩენილიყავი. ჩემი გზა პტეროდაქტილთა ტბის მახლობლად გადიოდა. იქიდან ჩემკენ შრიალითა და სტვენით წამოფრინდა ერთი ამ გიგანტთაგანი, რომლის გაშლილი ფრთა ოცი ფუტი მაინც იქნებოდა. აი, კიდევ დაფარა მან მთვარის დისკო და თვალისმომჭრელი თეთრი ტროპიკული ელვარებით გამსჭვალული აპკისებური ფრთები ჩონჩხის ბნელი მოხაზულობით წამომადგა ზედ თავზე. მე ჩირგვნარში ვდურთე თავი, რადგან გამოცდილებით ვიცოდი, რომ საკმარისია ამისგან ერთი ხმის მიცემა და კალიასავით მომესევიან მისი თანამოძმენი. მხოლოდ მას შემდეგ, რაც პტეროდაქტილი შამბნარში დაეშვა, ფრთხილად გავუდექი გზას.

ღამე მეტად წყნარი იყო, მაგრამ ეს სიწყნარე დაარღვია ყრუ თანაბარმა გრგვინვამ, რომელიც ყოველი ნაბიჭის გადადგმაზე სულ უფრო და უფრო ხმამაღალი ხდებოდა. ბოლოს შევჩერდი წყაროსთან,

საიდანაც მოისმოდა ეს ხმა, რომელიც ქვაბში ადუღებული წყლის ხაფხაფს მოგაგონებდათ. მაშინ გავიგე, რაშიც იყო საქმე. პატარა მინდვრის შუა ადგილზე მოჩანდა ტბა, ან უკეთ რომ ვთქვათ, დიდი ტბორი, ვინაიდან დიამეტრით იგი არ აღემატებოდა ტრაფალგარ-სკვერის წყალსაცავს. მისი კუპრივით შავი ზედაპირი განუწყვეტლივ თუხთუხებდა, ბუშტები სკდებოდა და გაზს გამოყოფდა. ტბორის ზედაპირი სიცხისაგან ვარვარებდა, გარშემო მინა კი იმდენად გაცხელებულიყო, რომ ხელისგული შევახე და სიმწვავისაგან სასწრაფოდ უკან გამოვწიე. ჩანს, მძლავრი ვულკანური პროცესი, რომელსაც მრავალ საუკუნეთა წინათ ეს ზეგანი აუნევია დედამიწის პირიდან, ჰერ არაა დამთავრებული. ჩვენ აქ უკვე შეგვხვედრია საუცხოო მცენარეთა შორის კლდის შავი ნამტვრევები და გაცივებული ნიაღვარი, მაგრამ ეს თხევადი ასფალტის რეზერვუარი იყო პირველი უდავო დამამტკიცებელი იმისა, რომ ძველი ვულკანი აქამდე განაგრძობდა მოქმედებას. სამწუხაროდ, მე მეჩქარებოდა, ბანაკში გათენებამდე უნდა დავბრუნებულიყავი და ვეღარ მოვიცადე.

სანამ სული მიდგას, ამ საშინელ გზას ვერ დავივიწყებ. მთვარის შექით განათებულ ბილიკებს სულ ნაპირ-ნაპირ ვუვლიდი და ვცდილობდი რაც შეიძლება სიბნელეში მევლო. შიშისაგან გული მეკუმშებოდა, როცა შამბნარში მესმოდა მტვრევა ტოტებისა, რაც მოასწავებდა რომელიმე მხეცის გავლას. ვეებერთელა ჩეროები აიმართებოდნენ ჩემს წინაშე და მალე ქრებოდნენ, რადგან ისინი უხმაუროდ დაცურავდნენ თავიანთი რბილი თათებით. ხშირად შევჩერდებოდი ხოლმე მტკიცე გადაწყვეტილებით, რომ უკანვე

დავბრუნებულიყავი და ყოველთვის სიამაყე სძლევდა შიშსა და წინ - ნიშანში ამოღებული მიზნისაკენ მერეკებოდა.

ბოლოს (ჩემს საათში მეორე იყო დაწყებული) ხეებს შორის წყლის ზედაპირი გამოკრთა და ათი წუთის შემდეგ მე უკვე ლელიანში ვიდექი, ცენტრალური ტბის ნაპირად. დიდი ხანია წყურვილი მკლავდა, გულაღმა დავწექი და წყალს დავეწაფე, ცივი და მეტად სასიამოვნო აღმოჩნდა. ამ ადგილს ნაპირისაკენ მიჰყვებოდა ფართო, მრავალი კვალით აჭრელებული ბილიკი - ცხადია, ნადირი ეტანებოდა წყალს. ზედწყლის პირად ლავის ვეებერთელა ბელტი ამობურცულიყო და გაცივებულიყო. ზედ შევცოცდი, წამოვწექი და გარშემო მიმოვიხედე.

თავიდან რაც თვალში მეცა, თავისი მოულოდნელობით გამაოცა. გინკოს კენწეროდან გადაშლილი სანახაობის აღწერისას, მოვიხსენიე კლდოვან ქედზე შავი ნიშნები, რომლებიც შეიძლებოდა მიგვეღო გამოქვაბულში შესავალ ხვეულებად. ახლა როცა გავიხედე იქით, დავინახე მრავალი მრგვალი ხვრელი, რომლებიც კაშკაშა წითელი ცეცხლით ანათებდნენ, როგორც ოკეანეს გემის ილუმინატორები ბნელ ღამეში. ჯერ ვითიქრე, - ეს ალბათ, ანარეკლია ლავისა, რომელიც განუქრობელ ვულკანში ბობოქრობს-მეთქი, მაგრამ მაშინვე უარვყავი ასეთი ვარაუდი. ლავის ბობოქრობა შესაძლებელია სადმე ძირს და არა ამ სიმაღლეზე, კლდეთა შორის. მაშ ეს რას ნიშნავს? წარმოუდგენელია, მაგრამ სხვა განმარტებას ვერ მივუყენებ. ეს მოწითლო ნიშნები სხვა არა არის რა, გარდა იმ კოცონთა ანარეკლისა, რომლებიც გამოქვაბულში ანთია; იმ კოცონთა, რომელთა ანთება მხოლოდ ადამიანის ხელს შეეძლო. მაშასადამე,

ზეგანზე ადამიანები ყოფილან. რა ბრწყინვალე შედეგები მოიტანა ჩემმა ღამის გასეირნებამ! ასეთი ცნობებით უკვე აღარ შეგრცხვება ლონდონში დაბრუნება.

დიდხანს შევყურებდი ამ წითლად მოციმციმე ნათელს. ათი მილი მაინც მაშორებდა მათგან, მაგრამ ამოდენა მანძილზეც კი შეიძლებოდა გარჩევა, რომ ხან მიქრებოდა ცეცხლი, ხან ისევ იფეთქებდა ცხოველი სინათლით, ხან სრულიადაც ქრებოდა, ალბათ, როცა ვინმე ჩამოეფარებოდა. არაფერს ქვეყნად არ დავიშურებდი, რომ შემძლებოდა ამ გამოქვაბულებთნ მისვლა და შიგ შეხედვა. მერე კი როგორ ავუნერდი ჩემს თანამგზავრებს, გარეგნულად როგორები არიან და რა ცხოვრებას ეწევიან ის ადამიანები, რომელთაც ბინა დაუდვიათ დედამინის სფეროს ამ იდუმალ კუთხეში. ახლა ამაზე ფიქრიც კი ზედმეტია, მაგრამ არა მგონია, ვინმე ჩვენგანმა მოისურვოს ზეგანის დატოვება, ვიდრე დანამდვილებით არ შეიტყობს, რა იმალება ამ გამოქვაბულებში.

გლედისის ტბა - ჩემი ტბა! - ლაპლაპებდა ჩემ წინაშე, როგორც სინდიკი, მის ცენტრში კი ციმციმებდა მთვარის ნათელი სახე. იგი ღრმა არ იყო: წყლიდან ზოგ-ზოგან მოჩანდა სილის მეჩეჩები. გლუვი ზედაპირი ტბისა საკუთარი სიცოცხლითა ცხოვრობდა; ხან წრეები გაჩნდებოდა ზედ, ხან - მცირე ციმციმი. უცებ თევზმა იელვა თავისი ვერცხლოვანი ქაცვებით. აი, გამოჩნდა ასპიდურ-შავი ზურგი რაღაც ურჩხულისა. ვეებერთელა გედის მსგავსმა, გრძელ მოქნილკისრიანმა საოცარმა სულდგმულმა გაიარა ყოველი მეჩეჩის გასწვრივ. მერე მძიმედ მოიღო ზღართანი ტბაში და გაცურა. მისი მოხრილი კისერი და

კვირცხლი თავი დიდხანს მოჩანდა წყალზე. მერე ჩაყურყუმალავდა და მეტად აღარც ამოუყვია თავი.

მთელი ჩემი ყურადღება იმან მიიქცია, რაც თითქმის ჩემს ფეხებთან ხდებოდა. ნაპირზე ჩამოჭდა ორი მხეცი, რომლებიც დიდ არმალიდებს ჰგავდნენ. ისინი დაეწაფნენ წყალს და მალე აამუშავეს თავიანთი ენის გრძელი წითელი ბაფთები. მათ კვალდაკვალ მოჰყვა უზარმაზარი რქაბორჯდალა ირემი, ფურიორმითა და ორი ნუკრით. ასეთ მეფურ არსებას, ალბათ, სხვაგან ვერსად იპოვი. ცხენირემიცა და ამერიკული ირემიც ბეჭჩე თუ შემოსწვდებოდნენ მათ. იგი მთელი ჭალაბობით წყნარად შეექცეოდა წყალს, მაგრამ ხარირემმა უეცრად გამაფრთხილებლად დაიფრუტუნა და ყველანი მყისვე შთაინთქნენ ლელიანში. არმადილებმაც ბაჭბაჭით გასწიეს. ბილიკზე გამოჩნდა რაღაც ახალი ცხოველი - ნამდვილი ურჩხული.

თავში რაღაცამ გამკრა: სად მინახავს ეს მახინჭი მრუდი ზურგით, რომელიც სამკუთხა კბილებით იყო შეჭედილი, ფრინველის პატარა თავით თითქმის მინამდე დაშვებული? და უეცრად მომაგონდა. ეს ხომ სტეგოზავრია, რომელიც მეპლ-უაიტმა აღბეჭდა ალბომის ფურცლებზე. ცხოველი რომელმაც პირველ ყოვლისა დააინტერესა ჩელენჯერი. აი იგი ჩემ წინაშეა - შეიძლება სწორედ ის იყოს, რომელიც შეხვდა ამერიკელ მხატვარს. მისი სიმძიმისაგან მინას ზანზარი გაჰქინდა. წყალს ისეთი ხმაურით სვლეპდა, რომ გეგონებოდათ, ეს ხმა ღამეს აღვიძებსო. ხუთიოდე წამს სტეგოზავრი ჩემ გვერდით იდგა. ხელი რომ გამენია, შევეხებოდი მის საზიზღარ კბილებს, რომლებიც მისი ყოველი მოძრაობის დროს კრთებოდნენ. წყლის სმას რომ მორჩა, ურჩხული

ლოდებს მოეფარა.

საათი ამოვიღე - სამის ნახევარი იყო, სწორედ ის დრო, როცა ბანაკში უნდა დავბრუნებულიყავი. უკან დასაბრუნებელი გზა არავითარ ეჭვს არ იწვევდა ჩემში, რადგან აქედან ნამოსვლისას ღელის მარცხენა ნაპირს მოვდევდი, ღელე კი უერთდებოდა ცენტრალურ ტბას ჩემი სათვალთვალო პუნქტიდან რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით. ამგვარად, მშვენიერ გუნებაზე ვიყავი, როცა ბანაკისაკენ ვქენი პირი, თავმოწონებულმა ღამის გასეირნების შედეგებით და იმ აუარებელი ახალი ამბით, რომელთაც ამხანაგებს წარვუდგენ. რასაკვირველია, უმნიშვნელოვანესი ახალი ამბავი - შიგნიდან განათებული გამოქვაბულებია. ტროგლოდიტების რომელიღაც ჭილაგი უნდა ცხოვრობდეს იქ. ცოტა რამ ღირებულებას ჩემ მიერ ცენტრალურ ტბაზე მოხდენილი დაკვირვებანიც წარმოადგენდა. შემიძლია დავადასტურო, რომ აქაურობა სავსეა ცოცხალი არსებით, და გარდა ამისა, ავნერ წინაისტორიული ხმელეთის მცხოვრებთა რამდენიმე ახალ სახეობას, რომელიც ჩვენ აქამდე არ შეგვხვედრიან. ქვეყნიერებაზე ბევრი არ აღმოჩნდა ისეთი ადამიანი, - ასე ვფიქრობდი, - რომლებიც ერთ ღამეში (თანროგორ წარმოუდგენელ ღამეში), შეძლებდნენ კაცობრიობის ცოდნათა საუნჯეში ესოდენ ძვირფასი განძის შეტანას.

ფიქრებში წასული ნელ-ნელა მივდიოდი შეღმართით და უკვე დაახლოებით ნახევარი გზა მქონდა ბანაკამდე გავლილი, რომ უკნიდან რაღაც უცნაური ხმა შემომესმა და გამომაფხიბლა. ეს იყო რაღაც საშუალო, ხვრინვასა და ღრიალს შორის - ყრუ, დაბალი და არაჩვეულებრივად მრისხანე. ეტყობა, მახლობლად რაღაც მხეცი

გაჩნდა, მაგრამ სიბნელეში ვერაფერს გაარჩევდი: ნაბიჭე მოვუმატე და ნახევარი მიღი კიდევ გავიარე, ხელახლა მომესმა იგივე ხმა. ახლა უფრო ძლიერი და უფრო შემაძრნუნებელი. გული ჩამიკვდა მკერდში იმის გაფიქრებაზე, რომ ვიღაც უკან დამედევნა, სიცივემ ამიტანა და ვიგრძენი, რომ თმა ყალყებები დამიდგა. ერთმანეთიც კი დაუფლეთიათ ამ ურჩხულებს, მაგრამ ისინი რომ თავს დაესხნენ თანამედროვე ადამიანს, ინადირონ სამყაროს მეუფებე - ამ საშინელ აზრს ვერ ვურიგდებოდი. ჩემ წინაშე ისევ წარმოიშვა ის საშინელი სანახაობა დანტეს „ ჭოჭოხეთიდან “ - ლორდ ჭონის მიერ მუგუზლით განათებული, სისხლით მოთხუპნილი დრუნჩი. ვიდექი და თვალდახუჭული ვიმზირებოდი უკან, მთვარით გაბრნყინებული ბილიკისაკენ, თანაც შიშით მუხლები მეკვეთებოდა. ასეთი რამ შეიძლება მხოლოდ სიზმარში გეზმანოს. მყედროება, ვერცხლოვანი მთვარით გაშუქებული ბილიკი, ბუჩქების ჩრდილები შავად და უეცრად ეს მრისხანე სიწყნარე ისევ გაკვეთა იმავე დაბალმა ხორხისმიერმა გრგვინვამ. მისი ხმიანობა უფრო მძაფრდებოდა და ახლოვდებოდა. საეჭვო აღარ იყო: ვიღაც კვალდაკვალ მომდევდა და მანძილი ჩემსა და ჩემს მდევარს შორის ყოველ წუთს მცირდებოდა.

გაქვავებული ვიდექი და თვალს ვერ ვაშორებდი ბილიკს. უეცრად ისიც გამოჩნდა. ბილიკის შორეულ ბოლოში, რომელიც ახლახან გამოვიარე, ბუჩქები შეირხნენ. რაღაც დიდი, ბნელი მოსცილდა მათ და ერთის ნახტომით გამოიჭირა მთვარის შუქით განათებულ ბილიკზე. მე განზრახ ვამბობ ნახტომს, ვინაიდან ურჩხული ერთი ადგილიდან მეორეზე გადასასვლელად მთელი სიმაღლით აიმართება ხოლმე,

როგორც კენგურუ, და მეტად განვითარებული უკანა ფეხების მიწიდან უკუბიძებით გადადის მეორე ადგილზე. წინა ფეხები მუცელზე აქვს ხოლმე მიჭერილი. ამ მხეცის ახოვანებამ და ძლიერებამ გამაოცა - ნამდვილი სპილოა, ყალყზე შემდგარი და ამასთან ერთად, როგორ არაჩვეულებრივად მოძრავი! პირველ წამს მე კიდევ იმედმა გამიელვა თავში: იქნებ, ეს უწყინარი იგუანოდონია-მეთქი? მაგრამ, მიუხედავად ჩემი სრული უმეცრებისა, მაინც მივხვდი, რომ ვცდებოდი, სამთითა ბალახიჭამია იგუანოდონს თავი ფურირებივით პატარა ჰქონდა, ამ საშინელებას კი - ფართო და ბრტყელი. ერთი სიტყვით, ნამდვილი პირი იყო გომბეშოს დრუნჩისა, რომლის პატრონმაც ისე შეგვაშინა წინა ღამეს. გააფთრებული ღრიალი და უჭიათობა, რომლითაც იგი მე დამედევნა, მოწმობდა, რომ ეს იყო ხორციჭამია, უსაშინელესი მხეცთაგანი, რომელიც ოდესმე ყოფილა დედამიწაზე. ურჩხული ხშირად დავარდებოდა ხოლმე წინა ფეხზე და ცხვირით მიწას სუნავდა, რომ ჩემი კვალი ეყნოსა. ხანდახან კვალი ეკარგებოდა. მაგრამ დინოზავრი მაინც მიაგნებდა ხოლმე და გააფთრებული, უშველებელი ნახტომებით კვლავ დამედევნებოდა ბილიკით. ახლაც კი, ამ საშინელების მარტო მოგონებაზეც ცივ ოფლს მასხამს ხოლმე. რა უნდა მექნა? ხელში მქონდა მხოლოდ საფანტის თოფი, მაგრამ ახლა რაში გამომადგებოდა? სასონარკვეთილებით მიმოვისედე. თვალებით ვეძებდი რაიმე საფარს - კლდეს ან ხეს, მაგრამ აქ, ბუჩქნარის ტევრში, მხოლოდ ნორჩი ხეები იყო. ჩემს მდევარს სრულიადაც არ გაუჭირდებოდა, არათუ ნორჩი, დიდი ხეც კი წკირივით გადაემტვრია. უნდა გავქცეულიყავი, სხვა რაღა უნდა მექნა?! მაგრამ როგორ

გავქცეულიყავი უსწორმასწორო ქვიან შეღმართხე? ბედად დროზე შევნიშნე კარგად გატკეპნილი ბილიკი. დაზვერვისას შევნიშნე, რომ ბლომად იყო ასეთი ბილიკი, ნადირთა მიერ გატკეპნილი. თუ ამას მივაშურე, შეიძლება დავაღწიო თავი ჩემს მდევარს. მით უმეტეს, რომ სირბილი კარგად ვიცი და ახლა ფორმაშიც ვარ. გადავისროლე გვერდზე უმაქნისი თოფი და ისეთი სიმკვირცხლე გამოვიჩინე სირბილში, რომელიც არც ნინათ და არც ამ ღამის შემდეგ აღარ გამომიჩნია. ფეხები მეკეცებოდა, გული მისკდებოდა, სუნთქვა მეხუთებოდა, მაგრამ მაინც გავრბოდი, რადგან შიში მერეკებოდა. ბოლოს, როცა არაქათი გამიწყდა, შევდექი. ერთი წუთით მომეჩვენა, რომ მხეცმა თავი დამანება. ბილიკზე აღარავინ იყო და უეცრად ისევ მოისმა ფიჩხის ლანუნი, მძლავრი ფილტვების მსტვინავი ქშენა... მხეცი მეწეოდა. იგი ახლოვდებოდა! ხსნა აღარსად იყო! უგუნურო! რად ყოყმანობდი ისე ხანგრძლივ, მაშინვე ვერ გაიქცი? დინოზავრი პირველად მატო ყნოსვას ემყარებოდა, ამით კი უკან დადევნება ბრკოლდებოდა. მაგრამ როგორც კი გავიქცი, მან შემნიშნა და იმ წუთიდან თვალთაგან აღარ მიშორებდა. კიდევ რამდენიმე ნახტომი - და ურჩხული უკვე მოსახვევში გამოჩნდა. მთვარის კაშვაშა სინათლეზე გამოჩნდნენ ვეებერთელა გადმოკარკლული თვალები, დაღრენილი ხახა, ორწყება საშინელი კბილებით და წაწვეტებული ბრჭყალები. მხეცივით დავიღრიალე, უკანმიუხედავად მოვკურცხლე. წყვეტილი, ხრინნიანი ქშენა სულ უფრო და უფრო მიახლოვდებოდა. მძიმე ფეხის ბრაგუნი მეწეოდა. ერთი წამიც კიდევ და, ურჩხულიზურგზე ჩამჭიდებდა პირს. მაგრამ უეცრად - დამარეტიანებელი ტკაცანი... უფსკრულში

მივთრინავ; მერე კი სიბნელე, გონმიხდილობია და დავიწყების სიცარიელე.

როცა გონს მოვედი, - ალბათ, ეს მოხდა სულ რამდენიმე წეთში, - ცხვირში მეცა უსაშინელესი, სრულიად აუტანელი სიმყრალე. სიბნელეში ხელი მოვაფათურე და მაშინვე წავაწყდი რაღაც უშველებელ ხორცის ნაჭერს, მეორე ხელით ვეებერთელა ძვალი ვიპოვე. ზევით, ოვალში, ვარსკვლავები ანათებდა. მაშასადამე, მე ვეგდე რაღაც ღრმა ხაროს ძირში. ძლივს ავდექი და ყველაფერი გავსინჯე. მთელი სხეული მტებდა, მაგრამ ძვლები მთელი მქონდა, ვერავითარი დაზიანება ვერ აღმოვაჩინე. როცა ჩემს დანისლულ ტვინში ამოტივტივდა ჩემი თხრილში ჩავარდნის ნინამორბედი გარემოებანი, თავზარდაცემით ავიხედე ზემოთ, სრულიად დარწმუნებულმა, რომ დინოზავრის ბნელი თავი აი აგერ გამოჩნდებოდა მიმკრთალებულ ცის ფონზე, მაგრამ ყოველივე წყნარად და მშვიდად იყო. მაშინ მე ხელის ცეცებით მოვაირე ორმოს ძირი, რათა გამეგო, თუ სად ჩამაგდო ბედნიერმა შემთხვევამ. ორმო ღრმა აღმოჩნდა შვეული ნაპრალებით და სწორი ფსკერით, სიგრძე-სიგანით ოც ფუტამდე. ფსკერზე ეყარა სრულიად გახრწნილი ხორცის ნაგლეჯები, რომელთაგანაც აუტანელი სიმყრალე იდგა. ამ ლეშზე რომ ვაბიჭებდი და ხშირად ვფრთხილობდი კიდეც, უცბად რაღაც მაგარ საგანს წავაწყდი, - ეს აღმოჩნდა ხის მარგილი, ორმოს შუაგულში ჩასობილი. ხელი მოვუსვი და ზედ რაღაც წებოვანი ვიგრძენი, მაგრამ მარგლის წვერამდე მაინც ვერ ავწვდი.

მაშინვე გამახსენდა, რომ ჭიბეში ცვილიანი ასანთები მქონდა:

როგორც კი გავკარი ერთი ასანთი, მაშინვე გავიგე, რა დანიშნულება ჰქონდა ამ ორმოს. საეჭვო არა იყო რა. ეს იყო კაცის ხელით ნაკეთი სარეგვავი. შეაში ჩასობილი წამახვილებული მარგილი, სიმაღლით ცხრა ფუტამდე, სულ გაშავებული იყო იმ ცხოველთა სისხლით, რომლებიც ზედ ჩამოეცმოდნენ ხოლმე. ძირს მიმოფანტული მყრალი ლეშის ნაჯრები უნდა ყოფილიყო მარგილიდან ჩამოშორებული, რომ მომავალი მსხვერპლისათვის გაეთავისუფლებინათ ადგილი.

მომაგონდა ჩელენჯერი, რომელიც ირწმუნებოდა, რომ ადამიანს, რომელსაც თავდაცვისათვის მხოლოდ სუსტი საშუალებანი გააჩნია, არ შეუძლია იარსებოს ასეთი ურჩხულებით დასახლებულ ზეგანზე. მაგრამ ახლა ცხადია ჩემთვის კაცის მხეცებთან ბრძოლის საშუალებანი. გამოქვაბულები საიმედო თავშესაფარს წარმოადგენს მობინადრეთათვის, ვინც არ უნდა იყვნენ ისინი. ამ ადამიანთა მოდგმას გონებრივი უპირატესობა ვეებერთელა ჭოჭოებზე, ეტყობა იმდენად დიდი ყოფილა, რომ ნებას აძლევდა მხეცებს, ბილიკებზე მოეწყოთ ფოთლებით დაფარული ხაფანგები, რომლებშიც, მიუხედავად მათი ძლიერებისა და სიმარდისა, მხეცები იღუპებოდნენ. ადამიანი აქაც მბრძანებლობდა ბუნებაზე. ზევით ამოსვლა მაინცდამაინც დიდ სიმარტვეს არ მოითხოვდა, მაგრამ მე დიდხანს ვერ ვბედავდი ამას იმის შიშით, რომ არ ჩავვარდნილიყავი ურჩხულის თათებში, რომლებმაც კინაღამ დამგლიჭეს. ვინ იცის, იქნებ დინობავრი ბუჩქებშია მიმაღული და თავის მსხვერპლს უდარაჯებს? მაგრამ მე მომაგონდა ჩელენჯერისა და სამერლის ბაასი ამ გიგანტური ქვემძრომების ჩვეულებათა შესახებ და ცოტათი დავმშვიდდი. ორივე

პროფესორი შეთანხმდა იმაზე, რომ დინოზავრის ერთ ნამცეცა თავის ქალაში ტვინის ადგილი არ არის და არსებითად სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ ეს სრულიად უტვინო ცხოველები აღიგავნენ პირისაგან მინისა, რადგან ვერ მოახერხეს შეგუება არსებობის პირობათა ცვალებადობასთან.

სანამ მე დამიდარაჯდებოდა, დინოზავრს უნდა მოესაზრებინა, თუ რა დამემართა, მაგრამ ამისათვის საჭირო იყო მიზეზსა და შედეგს შორის კავშირის დადგენის უნარი. გაცილებით უფრო შესაძლებელია, რომ უტვინო ცხოველი, რომელიც მხოლოდ მტაცებლური ინსტინქტის ბრძანებით მოქმედებს, ჰერ გაშტერდა შეცბუნებული, მერე კი წავიდა ახალი მსხვერპლის საძებნელად. ორმოს კიდურამდე ავძვერი და აქეთ-იქით მომოვიხედე: ვარსკვლავები კრთებოდა, ცას სიმკრთალე დაჰკარგოდა; დილის ნიავმა საამო სიგრილით მომიქროლა სახეში. ჩემი მტერი აღარსად ჩანდა. ნელა ამოვძვერი ორმოდან და მიწაზე ჩამოვჭექი, თან მზად ვიყავი, უმცირესი განგაშისთანავე ჩემს თავშესაფარში ჩავმხტარიყავი. შემდეგ დილის მოახლოებითა და გამეფებული სიჩუმით რამდენადმე დამშვიდებულმა გავბედე მალულად უკანვე წასვლა იმავე ბილიკით. რამდენიმე წუთის შემდეგ ჩემი თოფი დავინახე, ავიღე იგი, გამოვედი ღელესთან, რომელიც გზის მაჩვენებლად მემსახურებოდა და ჩქარი ნაბიჭით ბანაკისაკენ გავწიე; ხშირად კი ვიმზირებოდი უკან და აქეთ-იქით შეშინებული ვიყურებოდი. უეცრად ქარმა მომბერა მოგონება ჩემს ამხანაგებზე. წყნარი დილის სიმშვიდე გაარღვია თოფის სროლის შორეულმა ხმამ. შევჩერდი და ყური მივუგდე - ყოველივე დუმდა. „ ხომ არ მოსვლიათ ჩვენებს რაიმე?“

" გამიელვა თავში, მაგრამ მაშინვე დავმშვიდდი, რადგან უფრო საღი და უფრო ბუნებრივი განმარტება მოვნახე. უკვე ინათა. ჩემი არყოფნა, რასაკვირველია, შენიშნეს ამხანაგებმა, ალბათ, გადაწყვიტეს, რომ მე ტყეში გზა დამებნა, და თოფი ისროლეს, რომ დამხმარებოდნენ ბანაკისაკენ გზის გაკვლევაში. მართალია, თოფის სროლა აკრძალული გვქონდა, მაგრამ თუ ისინი ფიქრობდნენ, რომ მე საფრთხე მელოდა, არა მგონია ამას ისინი შეეფერხებინა. საჭიროა, რაც შეიძლება მალე დაბრუნება ბანაკში, რომ განგაში დაშოშმინდეს.

დავიქანცე, გავიტანჯე და თუმცა ძალიანვცდილობდი, - სიარული აღარ შემეძლო. აი, თანდათან გამოჩნდება იგუანოდონების ბილიკიც. ახლა ტყიანი ვინრო ზოლილა მყოფდა ჩელენჯერის სიმაგრისაგან. მხიარულად დავიყვირე, რომ მალე დამემშვიდებინა ამხანაგები. პასუხი არ გამცეს. ირგვლივ ავისმომასწავებელი სიჩუმე იდგა. გული შემეკუმშა. ნაბიჭე ავუჩქარე, მერე გავიქეცი. აი, ზღუდეც, იგი მთელია, მაგრამ ხერგი აღარაა. შევვარდი შიგ. საშინელი სანახაობა წარმომიდა თვალწინ ადრიანი დილის მკრთალ სინათლეზე: ჩვენი ნივთები უწესოდ გაბნეულიყო მთელ მინდორზე. თანამგზავრები აღარსად ჩანდნენ, მიმქრალ კოცონთან კი წითლად მოჩანდა ბალახზე სისხლის დიდი გუბე.

იმდენად შემაძრნუნა ამ მოულოდნელობამ, რომ უცებ მოსაზრების უნარიც კი დავკარგე. მაგონდებოდა მხოლოდ, როგორც მძიმე კოშმარი, როგორ ვაწყდებოდი ტყეში დაცარიელებული ბანაკის ირგვლივ, სასოწარკვეთილი ვეძახდი ამხანაგებს, მაგრამ ტყის ტევრი მდუმარებდა. ჭკუიდან მშლიდა საშინელი აზრები. რა მეშველება, თუ

მათ მეტად ვეღარ ვიხილავ? რა მეშველება, თუ მარტოდ დავრჩი ამ საშინელ ადგილას და ვერასოდეს ვეღირსები ქვეყნად დაბრუნებას? რა მეშველება, თუ ბედმა გამნირა აქ საცხოვრებლად და სასიკვდილოდ? მინდოდა თმა დამეგლიჭა და თავი მიწისათვის მეხალა თავგანწირული მღელვარებით. მხოლოდ ახლა გავიგე, რა საყრდენი ყოფილან ჩემთვის ამხანაგები - ჩელენჯერიც მისი უშფოთველი გულდაჭერებულობით; მბრძანებელი, აუღელვებელი ლორდი როქსტონი, რომელიც იუმორის გრძნობას არასოდეს კარგავდა. უიმათოდ მე ვიყავი, როგორც სუსტი, უძლური ბავშვი, წყვდიადში კენტად დარჩენილი. საით მივცე თავი, რა ვქნა, საიდან დავიწყო?

რამდენიმე ხანს სრულიად დათრგუნვილი ვიჰექი, შემდეგ თანდათან გამოვერკვიე და დავიწყე იმაზე ფიქრი, თუ რა მნარე ბედი ენია ჩემს თანამგზავრებს. ბანაკის აკლება იმას მოასწავებდა, რომ მათ თავს დაესხნენ - ალბათ იმ დროს, როცა სროლა გავიგონე. მაგრამ გაისროლეს მხოლოდ ერთხელ, მაშასადამე, ყველაფერი უცებ გათავდა. შაშხანები აქვე მიწაზე ეყარა. ერთი მათგანის საკეტში, რომელიც ლორდ ჭონს ეკუთვნოდა, დაცლილი ვაზნა იყო. კოცონთან მიყრილი საბნების მიხედვით, რომლებიც ჩელენჯერსა და სამერლის ეკუთვნოდა, უბედურება თავს დასტეხიათ ძილის დროს. ვაზნებისა და სანოვაგის ყუთები მთელ მინდორზე იყო მიმობნეული. აქვე დავინახე ჩვენი ფოტოაპარატი და ფირფიტებიანი კოლოფები. ეს ყოველივე მთელი იყო, სამაგიეროდ ყუთებიდან ამოღებული სანოვაგის მარაგი გაქრა, ის კი, როგორც ვიცი, ბლომადაც იყო, მაშასადამე, ბანაკზე

თავდასხმა მოუხდენიათ არა ადამიანებს, არამედ მხეცებს, თორემ, წინააღმდეგ შემთხვევაში, აქ, ალბათ, აღარაფერს დატოვებდნენ.

ეგეცაა, თუ ეს მართლა მხეცები იყვნენ, ან ერთი რომელიმე ურჩხული, რაღა მოუვიდოდათ ჩემს თანამგზავრებს? ხორციჭამია მხეცები, რასაკვირველია, მათ დაგლეჭდნენ, მაგრამ ნეშტი მაინც რა იქნა?

მართალია, სისხლის გუბე მეტყველებდა იმაზე, რაც მოხდა; დინობზავრი კი, რომელიც მე დამედევნა ღამით, თავის მსხვერპლს ასე ადვილად წაიღებდა, როგორც თაგვს კატა (ამ შემთხვევაში ორი დანარჩენი ალბათ დაედევნებოდა), მაგრამ რატომ თან არ წაუღიათ შაშხანები? ჩემი დაღლილი, დატანჯული ტვინი უარს ამბობდა ამ ამოცანის ამოხსნაზე. ტყეში ძებნამაც ვერაფერი მომცა. გზა დავკარგე და მხოლოდ ბედნიერი შემთხვევის წყალობით ისევ მივაგენი ბანაკს, თუმცა საათზე მეტი კი დავკარგე ამისათვის.

ამ დროს თავში გამიეღვა ერთმა ფიქრმა, რომელშიც ზოგი რამ სანუგეშმო იყო. აქ მე სულ მარტო არ ვარ მაინც. კლდის ძირთან დარჩა ჩვენი ერთგული სამბო, იგი გაიგონებს ჩემს ხმას. მივედი რამთან და ძირს ჩავიხედე. აბა, რასაკვირველია. ის საბანზე ზის კოცონთან! მაგრამ იქ კიდევ ვიღაც არის. ნეტა ვინ იქნება? სიხარულისაგან გული შემიფრთხიალდა. იქნებ ერთ-ერთმა ჩემმა ამხანაგთაგანმა რამენაირად მოახერხა ძირს ჩასვლა? მაგრამ, როგორც კი დაკვირვებით დავაშტერდი, ეს იმედიც ჩამიქრა. სამბოს პირდაპირ მჯდომარე კაცის კანს ამომავალი მზის სხივებში სიწითლე გადაჰკრავდა - ეს ინდიელი იყო. ხმამაღლა დავიყვირე და

ცხვირსახოციც დავუქნიე. სამბომ თავი ასწია, პასუხად ხელი დამიქნია და ფრიალოსაკენ გაიქცა. რამდენიმე წუთის შემდეგ ის უკვე მის მწვერვალზე იდგა, სულ ახლოს ჩემგან, და მწეხარე დუმილით უგდებდა ყურს ჩემს მოთხოვნას.

- ისინი ეშმაკს წაუყვანია, მისტერ მელოუნ, - თქვა სამბომ, - თქვენ მოხვედით ეშმაკის ქვეყანაში და ყველას წაგიყვანთ იგი. ისმინეთ, რასაც სამბო გეუბნებათ, სერ: მალე ჩამოდით ძირს, თორემ უბედურება მოგელით.

- როგორ ჩამოვიდე, სამბო?
- ჩამოჭერით ლიანები ხეებიდან, მისტერ მელოუნ, გადმომიყარეთ აქ. მე მივაბამ ლიანებს გადანაჭერ ხის ძირზე და ხიდი გაკეთდება.
- ჩვენც ეგრე ვფიქრობთ, მაგრამ ვერ დაგვიმაგრებენ.
- გაგზავნეთ თოკებისათვის, მისტერ მელოუნ.
- ვინდა გავგზავნო და სად?
- გაგზავნეთ ინდიელთა სოფელში, სერ. ინდიელთა სოფელში ბევრი ტყავის ბაგირი. ინდიელი ძირს არის. გაგზავნეთ იგი.
- საიდან გაჩნდა?
- ეს ჩვენი ინდიელია. მისთვის ყველაფერი წაურთმევიათ, თავადაც უცემიათ, ის დაბრუნდა. ახლა წერილს წაიღებს, თოკებსაც მოიტანს - ყველაფერს გააკეთებს.

წერილს წაიღებს...სწორედ კარგი აზრია! შეიძლება ჩვენს საშველადაც მოვიდეს ვინმე? თუ არა და, აღმოჩენები მაინც, რომლებითაც ჩვენ გავამდიდრეთ მეცნიერება, მიაღწევს ჩვენს მეგობრებამდე და ქვეყნიერება გაიგებს, რომ ჩვენ ტყუილუბრალოდ

არ დავღუპულვართ. ორი წერილი უკვე მზად მქონდა. დღეს კიდევ მოვასწრებ მესამესაც, რომელშიც ამბავთა მსვლელობა უკანასკნელ წეთამდე იქნება აღწერილი.

სამბოს ვუბრძანე, საღამო ჟამს კიდევ ამოსულიყო ციცაბოჩე და მთელი ეს სევდიანი დღე მოვანდომე იმის აღწერას, რაც წინა ღამეს შემემთხვა. წერილებს თან დავურთე მცირე ბარათიც, რომელიც ინდიელს უნდა გადაეცა პირველსავე შემხვედრი თეთრვანიანისათვის - ვაჭრისათვის ან რომელიმე გემის კაპიტნისთვის. ბარათში იყო ნათქვამი, რომ ჩვენი სიცოცხლე იმაზეა დამოკიდებული, მოგვაწვდიან თუ არა ბაგირებს. საღმოს სამბოს გადავეცი ყველა წერილი და ჩემი ქისა სამი გირვანქა სტერლინგით. ეს ფული ინდიელისათვის იყო განკუთვნილი. ბაგირებისათვის კი ორჯერ მეტს ვპირდებოდი. ახლა, ძვირფასო მისტერ მაკ-არდლ, თქვენ მიხვდებით, თუ როგორ მოაღწია თქვენამდე ჩვენმა წერილებმა და გაიგებთ მთელ სიმართლეს თქვენი ბედკრული კორესპონდენტის შესახებ, იმ შემთხვევაში, თუ იგი ამის შემდეგ ერთ სტრიქონსაც ვეღარ მოგაწვდით. ახლა ისე ქანცგანყვეტილი და დათრგუნვილი ვარ, რომ გეგმის დაწყობა აღარ შემიძლია. ხვალიდან ვიფიქრებ მომავალზე და ბანაკთან კავშირის განუწყვეტლად შევუდგები ჩემი უბედური ამხანაგების ძებნას.

თავი მეცამეტე

„ ეს სანახაობა მე არასოდეს დამავიწყდება “

იმ სევდიან დღეს, მზის ჩასვლისას დავინახე ქვევით მიმავალი ინდიელი - უკანასკნელი იმედი ჩვენი გადარჩენისა, თვალი გავაყოლე მის პანაწინა ფიგურას, სანამ არ გაუჩინარდა საღამოს ვარდისფერ ნისლში, რომელიც ჩემსა და ამაზონს შორის ჩამონალილიყო.

უკვე სრულიად ბნელოდა, როდესაც ჩვენს გაცამტვერებულ ბანაკს მივაშურე. სამბოს კოცონს კიდევ ერთხელ შევავლე თვალი, ამ ერთადერთ სხივს სინათლისას, იმ ვეებერთელა ქვეყნიდან მოღწეულს და ისევე მოალერსეს, როგორც ერთგული ზანგის სიახლოვე უალერსებდა ჩემს დარდიან სულს. ახლა ამდენი უბედურების გადამტანი მხნედ ვგრძნობდი თავს და ის აზრი მამშვიდებდა, რომ მთელი მსოფლიო შეიტყობდა ამ აღმოჩენების ამბავს და სამუდამოდ შეინახავდა ჩვენს სახელებს.

მე შიშის ზარს მგვრიდა კვლავ ამ ბედუკუღმართ ბანაკში ღამის გათევა, ჭუნგლების კი კიდევ უფრო მეშინოდა. სხვა გზა არ იყო, ამ ორში ერთ-ერთი უნდა ამერჩია. კეთილგონიერება მოითხოვდა, რომ ფხიზლად ვყოფილიყავი, დაქანცული სხეული კი ძილს ვეღარ ებრძოდა. ავცოცდი გინკოს ხეზე, გულმოდგინედ დავუწყე ძებნა მის ქვედა ტოტებში ისეთ ადგილს, სადაც დაძინებაც მოხერხდებოდა და ძირს ჩამოვარდნისას, რაც მე არ ამცდებოდა, კისერი ნაკლებად დამიზიანდებოდა.

ძირს ჩამოსვლა მომიხდა, რადგან უნდა გადამეწყვიტა, თუ შემდეგში როგორ მოვქცეულიყავი. დიდი ხნის ფიქრის შემდეგ ბლომად დავყარე ტოტები ბანაკის შემოსასვლელთან, სამგან

გავაჩაღე კოცონი და სამკუთხედად მოვათავსე ისინი; მადიანად ვივახშე და დავიძინე. უთენია სრულიად მოულოდნელად და სასიამოვნოდ დაირღვა ჩემი მოსვენება.

ვიღაცის ხელი შემეხო ბეჭებზე. წამოვხტი, კანკალმა ამიტანა, სწრაფად შაშხანას ვტაცე ხელი და გახარებულმა შევძახე მყისვე, განთიადის ბინდბუნდში შევიცანი რა ჩემკენ დახრილი ლორდ ჭონი.

დიახ, იგი იყო, მაგრამ როგორი შეცვლილი! ლორდ ჭონი მე დავტოვე მშვიდი, თავდაჭერილი, სუფთა თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილი. ახლა იგი ჩემ წინ იდგა გაფითრებული, ნადირივით აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს და სულს ძლივს ითქვამდა, ეტყობოდა, ბევრი ერბინა. ქედი არ ეხურა, სახე მთლიანად დაკანრული და სისხლიანი ჰქონდა, ტანსაცმელი ნაფლეთებად ჰქცეოდა. ამ სანახაობით გაოცებული შევცქეროდი მას, მაგრამ მან ხმის ამოღებაც არ მაცალა და იქვე გაბნეული ნივთების მოგროვებას შეუდგა. თან მოკლე და ნაწყვეტ-ნაწყვეტ ფრაზებს მესროდა:

- სწრაფად, ყმაწვილო, დააჩქარეთ! ყოველი წუთი ძვირფასია, ორივე შაშხანა წამოიღეთ, დანარჩენი მე მაქვს. ვაზნები რაც შეიძლება ბლომად იქონიეთ, მაგრად გაიტენეთ ჭიბეები. ახლა სურსათი, ექვსი ქილა საკმარისია. ეგრე, ნურას შემეკითხებით, ნურც ილაპარაკებთ. აბა, გავიქცეთ, თორემ გვიანდა იქნება.

ჭერ კიდევ კარგად გამოფხიზლებული არ ვიყავი და გონს ვერ მოვსულიყავი, თუ რას ნიშნავდა ყოველივე ეს. იღლიაში ამოჩრილი ორი შაშხანითა და ექვსი კონსერვით ხელში გამალებული გამოვუდექი ლორდ ჭონს. იგი საგანგებოდ, რაც შეიძლება გაუვალ შამბნარს

არჩევდა და ბოლოს მაღალ ბუჩქებთან გამომიყვანა. ჩვენ შევცვივდით შიგ, მიუხედავად ეკალბარდისა. ლორდი ჭონი მიწაზე პირქვე დაემხო და მეც თან მიმიყოლა.

- მაშ ასე! - ძლივს წარმოთქვა მან. - ახლა ვგონებ, ჩვენ სამშვიდობოს ვართ. ისინი უეჭველად თავს დაესხმიან ჩვენს ბანაკს, მაგრამ ანგარიშში მოტყუფდებიან.

- რა მოხდა? - შევეკითხე მე, უკვე მოსულიერებულმა. - სად არიან ჩვენი პროფესორები? ან ვინ ნადირობს ჩვენზე?

- კაცმაიმუნები! - ოდნავ გასაგონად მითხრა ლორდ ჭონმა. - ღმერთო ჩემო, ეს რა საოცრებანი ვნახე! ხმადაბლაილაპარაკეთ. მათ მახვილი სმენა აქვთ, მხედველობაც ღმერთმა ყველას მისცეს ისეთი, ოღონდ ყნოსვისა კი რა მოგახსენოთ. რამდენადაც მე დავაკვირდი, ნაკვალევზე ვერ მოგვაგნებენ. სად დაიკარგეთ, ჭაბუკო? ბედი გენიათ! უმადლეთ თქვენს გამჩენს, რომ არ მოხვდით ამ ალიაქოთში.

მე ჩურჩულით ვამცნე ჩემი თავგადასავალი.

- დიახ, ჩვენი საქმე ცუდადაა! - თქვა ლორდ ჭონმა, გაიგო რა დინობავრისა და მახის ამბავი. - აქ აგარაკი ხომ არ გეგონათ?! მაგრამ მთელი „ბედნიერება“ იმწუთას ვიგრძენი, როდესაც ეს წყეულები თავს დაგვესხნენ. მე ერთხელ მოვხვდი კაციჭამია პაპუასების თათებში, მაგრამ ისინი მართლაც ანგელოზები არიან ამ საოცრებებთან შედარებით.

- მიამბეთ, რა მოხდა? - შევეხვენე მე.

- ეს მოხდა გათენებისას. ჩვენმა სწავლულმა მეგობრებმა გააჭყიტეს თუ არა თვალი, ჭერ კინკლაობაც ვერ მოესწროთ, რომ ერთბაშად

საიდანღაც გაჩნდნენ მაიმუნები. ვაშლის ხიდან ჩამოცვენილი ნაყოფივით დაგვაცვივდნენ თავზე. ისინი, ეტყობა, ჰერ კიდევ ბინდისას შემოეტმასნენ მაღალ ხეს, რომელზეც თქვენ აძვერით. ერთს მე იქვე ვაძგერე ტყვია მუცელში და ამის მეტი ვერც მოვახერხე, მათ იმწამსვე დაგვიპყრეს, მე მაიმუნებს ვუწოდებ ამ წყეულებს, მაგრამ მათ დაგვიშინეს კეტები, ქვები, რაღაცას ლაქლაქებდნენ თავიანთ ენაზე და საბოლოოდ ლიანებით ხელები შეგვიძოჭეს. ეს კაცმაიმუნები განვითარებითაც უფრო მაღლა დგანან ყველა იმ მხეცებზე, რომლებიც მე მინახავს ჩემი მოგზაურობისას. მე კი, მდლობა ღმერთს, ბევრი მიხეტიალია ამ ქვეყანაზე. მერე მათ ხელი სტაცეს თავიანთ თვისტომებს, რომლებსაც დაჭრილი ღორივით სდიოდათ სისხლი, და სადღაც წაათრიეს. შემდეგ კი ჩაცუცქდნენ ჩვენ ირგვლივ ყველანი, გააფთრებული დრუნჩებით თითქოს უნდა გავეგლიჭეთ. სიმაღლით დაახლოებით ადამიანის ტოლი არიან, მაგრამ ბევრად უფრო ჩასკვნილები. სხედან, გვიმჩერენ და გვიმჩერენ... წითური ჩამოფხატული წარბები, რაღაც უცნაური თვალები, თითქოს ბუნდოვანი შეშისააო. ჩელენჭერი ხომ უშიშარია, მასაც კი არ ესიამოვნა მათი ნახვა. წამოვარდა და დაიღრიალა: „ გაგვათავეთ, ნუ აყოვნებთ! “ ყოველივე ამან ისე იმოქმედა მასზე, რომ ჩანს გონება დაუბნელდა - ძალიან ბრაზობდა. ვგონებ, მაიმუნების მაგივრად მისი დაუძინებელი მტერი - რეპორტიორები რომ ყოფილიყვნენ, ასე არ იმოქმედებდა მასზე.

- მაიმუნები რაღას აკეთებენ?

მე გატაცებით ვისმენდი ლორდ ჭონის ჩურჩულს, თვითონ კი

გულმოდგინედ აცეცებდა თვალებს აქეთ-იქით და ხელს არ აშორებდა შაშხანის შემართულ ჩახმახს.

- მე უკვე მეგონა, ყველაფერი გათავდა-მეთქი, მაგრამ არც ეგრე იყო საქმე. მაიმუნებმა ილაქლაქეს, იყვირეს, შემდეგ ერთი ჩელენჯერთან მივიდა და გვერდში ამოუდგა. თქვენ ახლა გაგეცინებათ, ყმაწვილო, როგორი მსგავსება აღმოჩნდა მათ შორის! ახლობელი ნათესავები გეგონებოდათ... მე თვითონ არ დავიჭერებდი, მაგრამ თვალი ხომ არ მომატყუებდა. ეს ბებერი კაცმაიმუნი, როგორც ჩანს, ხელმძღვანელი ამ ტომისა, პირნავარდნილი ასლი აღმოჩნდა ჩელენჯერისა, მხოლოდ იგი სხვა ყაიდისა იყო - უფრო ნითური. სხვა მომაჯადოებელი ნიშნები ჩვენი მეგობრისა, ჩვენ თვალწინ იყო, თუმცა ოდნავ გადაჭარბებულ ფორმებში: კვადრატული ტანი, განიერი ბეჭები, ბორბალივით მკერდი, კისერჩავარდნილი, გრძელი ნითური წვერი, დაფანჩული წარბები და ისეთივე უტიფარი გამომეტყველება - ემმაკვაც წაუდიღართო თქვენ ყველანი! ერთი სიტყვით, ისეთივე! როდესაც ეს საოცრება ჩელენჯერს გვერდით ამოუდგა და თავისი თათი ბეჭებზე დაადო, ეფექტი თავზარდამცემი იყო. ცოტა არ იყოს ისტერიკულად განწყობილი სამერლი ხარხარებდა მათ შემხედვარე, სანამ ცრემლები არ მოადგა. დასაწყისში მაიმუნებიც იცინოდნენ, თუ შეიძლება ასეთ ტკარცალს სიცილი ვუწოდოთ. შემდეგ მოგვცვივდნენ და ტყეში წაგვასხეს. შაშხანებსა და სხვა ამისთანებს ხელი არ ახლეს, ყუთებიდან ამოღებული სანოვაგვე კი მთლიანად წაიღეს. გზაში მე და სამერლის კარგა ბლომად მოგვხვდა მათგან - აბა, დატვით ჩემი ცქერით და შეხედეთ ამ ნაფლეთებს. ბარდებში მიგვათრევდნენ, უგვზო-უკვლოდ,

მათთვის ეს არაფერს ნიშნავდა, რადგან ტყავი მოთრიმლული აქვთ. სამაგიეროდ, ჩელენჯერს არა გასჭირვებია რა. ოთხმა მაიმუნმა შეისვა იგი მხრებზე და რომაელი ტრიუმფატორივით წააბრძანეს. ჩუ, ეს რაღაა?

სადღაც შორიდან მოისმოდა საოცარი ტკაცუნი, რომელიც ჰიმკიმების წვრილ ყრილს ჩამოგავდა.

- ისინი არიან! - მიჩურჩულა მეგობარმა და ჩააწყო ვაზნები მეორე „ექსპრესის“ ორლულიანში. - გატენეთ ორივე შაშხანა, ჭაბუკო, ცოცხლები არ დავნებდეთ, ამაზე ნურც იოცნებებთ. გესმით, როგორ ჭყივიან? მაშასადამე, რაღაცამ ააღელვა ისინი. მომითმინეთ, ძვირფასნო, აბა გაბედეთ აქ მოსვლა და ვნახოთ, როგორ აგათამაშებთ.

- სადღაც ძალინ შორს არიან ჩვენგან.  
- ეს ხროვა ჩვენამდე ვერ მოაღწევს, მაგრამ მათ ეტყობა, მთელ ტყეში ჰყავთ მზვერავები დაქსაქსული. მაშ კარგი, დავუბრუნდეთ ჩემს სამწუხარო ამბავს. ჰო, მიგვათრიეს ვეებერთელა ხეივანში, ზედ უფსკრულთან. მათ იქ ხეებზე ნამდვილი ქალაქი აქვთ მოწყობილი - ათას ქოხამდე, რომელიც ტოტებისა და ფოთლებისაგანაა გაკეთებული. ეს ოთხი-ხუთი მილითაა დაშორებული ჩვენგან. საზარელიქმნილებანი! ალბათ, ვერასოდეს განვიბანები მათი სიბინძურისაგან. მთლიანად გამჩხრივეს თავისი ბინძური თათებით. ქალაქში უკვე ხელ-ფეხი შეგვიკრეს, მე ისეთი მარდი მაიმუნის ხელში მოვხვდი, რომ მასთან ბოცმანსაც კი მიუქარავს. მაშ ასე, შეგვბოჭეს და ხის ძირში დაგვყარეს, სადარაჭოდ ვეებერთელა მაიმუნი დაგვიყენეს

კეტით ხელში. მე რომ ვამბობ, „ ჩვენ და ჩვენ-მეთქი ” , ეს მხოლოდ მე და სამერლის გვეხება. ჩელენჯერი კი ხეზე ჩამოსკუპებული, ხილს მიირთმევდა და ტკბებოდა ცხოვრებით. თუმცა ჩვენც შეგვხვდა მისგან ცოტა რამ. მთავარი კი ისაა, რომ მან მოახერხა, ჩვენი ხლართები ოდნავ მოეშვა. თქვენ ალბათ, სიცილს ვერ შეიმაგრებდით, რომ დაგენახათ ხეზე წამოსკუპებული ჩვენი პროფესორი. იგი თითქმის გადახვევოდა თავის ორეულს და დაბალი ბინით ღიღინებდა: „ ო, ჟღაურნა ზარო! ” მუსიკა მაიმუნებს ამშვიდებდა. დიახ, თქვენ გაგეცინებთა, მაგრამ ჩვენ არ გვქონდა სიცილის თავი. ჩელენჯერს უფლება ჰქონდა, ყველაფერი გაეკეთებინა, რასაც კი მოისურვებდა, რა თქმა უნდა განსაზღვრულ ფარგლებში. ჩვენთვის კი ბევრად მკაცრი რეჟიმი დაამაყარეს. ერთდერთი, რაც ჩვენ გვაიმედებდა, ეს იყო ის აზრი, რომ თქვენ თავისუფალი გვეგულებოდით და მოუვლიდით ჩვენს ქონებასა და ჩანაწერებს.

ახლა კი, ძვირფასო ჭაბუკო! ისმინეთ და განცვითრდით. თქვენ ამტკიცებთ, რომ ზოგიერთი მაჩვენებლის მიხედვით - კოცონების, მახეებისა და მისთანების მიხედვით, - ზეგანზე ადამიანები ცხოვრობენ. ჩვენ თვითონ ვნახეთ ეს ადამიანები და უნდა მოგახსენოთ, რომ ეს უბადრუკნი საცოდავ სანახაობას წარმოადგენენ. შესაბრალისი, დაშინებული ხალხი! და ეს როდია საკვირველი? როგორც ჩანს, ადამიანთა მოდგმას ზეგანის ის ნაწილი უკავია, სადაც გამოქვაბულებია; მაიმუნებს კი - მეორე მხარე; და ამ ორ მოდგმას შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა წარმოებს. აი ასეთი ვითარებაა აქაური ამბებისა, თუ შევძელი მათში სწორად გარკვევა.

გუშინ კაცმაიმუნებმა ტყვედ ჩაიგდეს თორმეტი ინდიელი და თავიანთ ქალაქში მოათრიეს. ამას ისეთი ყვირილი და წივილი მოჰყვა, რომ ყურებს არ ვუპერებდი. წითელკანიანი ინდიელები დაბალი ტანისანი არიან. გზაში ამ მხეცებმა ისე დაჩხვლიტეს და დაკბინეს ისინი, რომ ფეხებს ძლივს მოათრევდნენ. ორი იქვე მოსპეს, ერთს კინაღამ ხელი წასწყვიტეს. ერთი სიტყვით შემზარავი სანახაობა იყო. იმ უბედურებს ყოჩაღად ეჭირათ თავი, ხმაც არ ამოუღიათ, ჩვენ კი აღარ შეგვეძლო მათი ყურება. სამერლის გული შეუწუხდა. ჩელენჯერმაც კი ძლივს გადაიტანა... მგონი წავიდნენ არა?

დიდხანს ვუგდებდით ყურს მდუმარე ტყეს, მაგრამ არა რა არღვევდა მის მყედროებას, გარდა ფრინველთა ჭიკჭიკისა. ლორდ ჭონი კვლავ თავის ამბავს დაუბრუნდა:

- თქვენ ბედმა გაგიღიმათ, ჭაბუკო! მაიმუნები ისე გაიტაცეს ინდიელებმა, რომ ჩვენზე აღარ ფიქრობდნენ. ასე რომ არ მომხდარიყო, ისინი აუცილებლად თავს დაესხმოდნენ ჩვენს ბანაკს ხელმეორედ. თქვენ მართლი აღმოჩნდით: ისინი ჩვენ განუწყვეტლივ გვათვალიერებდნენ ხეებიდან და კარგადაც მიხვდნენ, რომ ერთ კაცი გვაკლდა. თუმცა, შემდეგში მათ თქვენთვის აღარ ეცალათ.

აი, სწორედ ამიტომ მოხდა, რომ თქვენ მაიმუნების ხროვას კი არ გაუღვიძებიხართ, არამედ მე გაგაღვიძეთ. ღმერთო ჩემო, რა არ გადავიტანეთ ჩვენ შემდეგში! ლერნმის შამბნარი გახსოვთ, სადაც ამერიკელის ჩონჩხი ვიპოვეთ? იგი ზუსტად მაიმუნების ქალაქის ქვემოთ მდებარეობს; მაიმუნები კი თავის ტყვეებს იმ კლდიდან აგდებენ ძირს. მე დარწმუნებული ვარ, რომ იქ მთელი გორებია ამ

ჩონჩხებისა, მხოლოდ კარგად უნდა მოძებნოს კაცმა.

ზედ უსკრულთნ მათ საგანგებოდ დასუფთავებული აქვთ მოედანი სათანადო ცერემონიისათვის. საცოდავ ტყვეებს სათითაოდ ახტუნავებენ უფსკრულში და მთელი ინტერესი იმაში გამოიხატება, დაილენებიან ისინი მთლიანად თუ ლერწამზე ჩამოეცობიან. მაიმუნები გამწკრივდნენ უფსკრულთან, ჩვენც წაგვათრიეს, რათა დავმტკბარიყავით ამ სანახაობით. პირველი ხუთი ინდიელი გადახტა ქვევით. საცოდავად წამოეგნენ წამახვილებულ ლერწმებს. მე ახლა აღარ მაოცებს, უბედურ იანვის ჩონჩხს რომ ვიგონებ. დიახ, სანახაობა საშინელია... მაგრამ ამასთან ერთად გიტაცებს კიდეც . ჩვენ მოჯადოებულნი ვეყურებდით ამ ხტომას, თუმცა თითოეული ჩვენგანი ფიქრობდა: ახლა ჩემი ჭერი დადგებაო.

მადლობა ღმერთს, ჩვენამდე არ მოუღწევიათ. ხუთი ინდიელი დღეისათვის შემოინახეს. მაგრამ ამ სანახაობაში მე და სამერლი ვიქნებით ბენეფიციანტები. როგორცა ჩანს, ჩელენჯერი გადაურჩება. მაიმუნების გაგება არც ისე ძნელია, რადგან ისინი უმთავრესად, ნიშნებით გამოხატავენ თავიანთ სურვილებს. და სწორედ მათი გასაუბრების შედეგად მე გადავწყვიტე: დროა ვიმოქმედოთ-მეთქი.

ზოგი რამ უკვე მოფიქრებული მქონდა, მაგრამ მე მხოლოდ თავის იმედი უნდა მქონდეს, რადგან სამერლისთან ვერას გავხდი, არც ჩელენჯერია დიდად უკეთესი. ისინი რამდენიმე წუთით შეთანხმდნენ. მერე კი ატეხეს სასტიკი კამათი ამ წითური წყეულების მეცნიერული კლასიფიკაციის გამო, როგორც დაპყრობილი ვყავდით. ერთი ამტკიცებდა, რომ ისინი იავანის დრიოპითეკია, მეორე კი მათ

პითექანტროპებს უწოდებდა. ჭკუიდან შეცდნენ ორივენი! მე სულ სხვა რამ მაწუხებდა. უპირველეს ყოვლისა შევნიშნე, რომ ისინი სწორ გზაზე ადამიანზე უფრო ცუდად დარბოდნენ, რადგან მოკლე ფეხები აქვთ, დაგრეხილი; ტანი კი - მძიმე. თვით ჩელენჯერიც კი ქვას ასროლინებდა მათ საუკეთესო მორბენალს. მე და თქვენ კი ნამდვილი ჩემპიონები ვიქნებოდით მათთან შედარებით. გარდა ამისა, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რამ: მათ ნარმოდგენაც არა აქვთ ცეცხლსასროლ იარაღზე, ჩემი აზრით, ისინი ვერც მიხვდნენ, თუ რა დაემართა ჩემ მიერ დაჭრილ მაიმუნს. ერთი სიტყვით, მთავარი იყო იარაღებთან მიღწევა. ახლა ვაჩვენებ მათ სეირს.

დღეს დილაადრიან ერთი მაგრად ჩავცხე ხელი ჩემს დარაჭს მუცელში, მოვირბინე ბანაკში, გიპოვეთ თქვენ, შაშხანები... და სხვა ყოველივე თქვენც კარგად მოგეხსენებათ.

- ჩვენს პროფესორებს რა ეშველებათ? - შეძრნუნებულმა წამოვიძახე მე.

- უნდა გადავარჩინოთ. მათ არ შეეძლოთ ჩემთან ერთად გამოქცევა - ჩელენჯერი ხეზე იჯდა, სამერლის კი ღონე აღარა ჰქონდა, ამიტომ მე გადავწყვიტე, უნინარეს ყოვლისა, შაშხანების მოძებნა, - შემდეგ - ამახანაგების გადარჩენა. მართალია, გაბოროტებულ; მაიმუნებს შეეძლოთ მათი ჩაძალლება. ჩელენჯერს არა მგონია ხელი ახლონ, მაგრამ სამერლის იმედი აღარა მაქვს. თუმცა მას, ასე თუ ისე, სიკვდილი მაინც მოელოდა. ამაში სრულიად დარწმუნებული ვარ. ასე რომ, ჩემი გამოქცევით მდგომარეობა არ გაუარესდებოდა. ახლა სინდისი გვავალებს, ამხანაგები ვნახოთ ანდა გავიზიაროთ მათი ბედი.

ამიტომაც, ჩემო ჭაბუკო, მოიგონეთ ცოდვები, განინმინდეთ სული, რადგან საღმოსთვის გადაწყდება ჩვენი ბედი.

მე არ ვიცი, შევძელი თუ არა გადმოცემა ლორდ როქსტონის გამოთქმის მანერისა, - ნაწყვეტ-ნაწყვეტ ლაპარაკი, ფრაზების გასხაპულობა, მქირდავი უდარდელობა. ეს კაცი იყო ბელადად დაბადებული. რაც უფრო ახლოვდებოდა ხიფათი, მით უფრო მჯევრმეტყველი ხდებოდა, უფრო მეტად ენთებოდა მისი ცივი თვალები, უფრო და უფრო ებურძგნებოდა დონ-კიხოტივით გრძელი ულვაშები. მას უყვარდა რისკზე წასვლა, დრამატული მომენტებით დატვირთვის, ის, რაც თან ახლავს ნამდვილ ხიფათს, განსაკუთრებით, როცა ეს თავად მას ეხებოდა. როქსტონის აზრით, ყოველ განსაცდელში არსებობს აგრეთვე ერთგვარი სპორტული ინტერესები, - ინტერესი სასტიკი თამაშისა ადამიანსა და ბედისნერას შორის, სადაც სანაძლეოდ თავად სიცოცხლეა დადებული.

ყოველივე ამის წყალობით, ლორდ ჭონი უბადლო ამხანაგი იყო ცხოვრების უმძიმეს წუთებში. ჩემი მეგობრის დარდი მქონდა, თორემ მე სიხარულის მეტს არაფერს ვგრძნობდი ასეთი კაცის გვერდით ხიფათში ჩავარდნისას.

ის იყო, ბუნაგი უნდა დაგვეტოვებინა, რომ ლორდ ჭონმა მკლავში წამატანა ხელი.

- დახეთ, დახეთ! მოდიან, - მიჩურჩულა მან.

იმ ადგილიდან, სადაც ჩვენ ვიმყოფებოდით, მოჩანდა ვინრო ოლე ხეებშორის, რომლის ზევით მწვანე შტოები თაღისდარად იყვნენ ურთიერთში გადაბარდნილი.

ამ ოლეში მოდიოდნენ კაცმაიმუნების მთელი რაზმი, წელში მოკუზულნი. ფეხებდაღვარჯნილნი, მოძუნძულებდნენ ისინი აქეთ-იქით თვალების ცეცებით, თავიანთ გრძელ ხელებზე დაყრდნობილნი. მკერდჩაზნექილობა ამცირებდა მათ სიმაღლეს. დაახლოებით ხუთიოდე ფუტის სიმაღლისა იყო ყოველი მათგანი. ბევრი შეიარაღებული იყო კეტებით, ერთ წუთს მათ სრულიად გარკვეულად ვუცქერდი. მერე გაუჩინარდნენ ჩირგვებში.

- არადა, ჰერ ადრეა, - თქვა ლორდ ჭონმა და შაშხანა ძირს ჩამოილო, - ჭობს ვიყეჩოთ, ვიდრე ისინი არ მიატოვებენ ტყეში ბორიალს. მერე ვნახოთ, ეგებ მოულოდნელად დავესხათ მათ ქალაქს თავს. ჰერ ვაცალოთ ცოტა ხანს და მერე ვნახოთ.

ამ შესვენებით ვისარგებლეთ, თან წამოღებული ერთი ქილა გავხსენით და საუზმეს შევუდექით. ლორდ როქსტონს არაფერი ეჭამა დილიდან, გარდა ხის ორიოდე ნაყოფისა, ამიტომაც ხარბად დაენაფა საჭმელს. საუზმე რომ მოთავდა, ხელში შაშხანები ავიღეთ, ვაზნებით ჭიბეები გამოვიტენეთ და წავედით მეგობრების დასახმარებლად.

ვიდრე ტყიდან გამოვიდოდით, ლორდ ჭონმა რამდენიმე ნიშანი გააკეთა ხეებზე, რათა დაგვემახსოვრებინა, თუ რომელ მხარეს იმყოფებოდა ჩელენჯერის ბანაკი და საჭირო შემთხვევაში მაშინვე მოგვეძებნა ეს ადგილი. ჩუმად გავიარეთ ტყე და გამოვედით იმ ქარაფის კიდეზე, რომელიც იმყოფებოდა ჩვენი პირველი ბანაკის მახლობლად. აქ ლორდ ჭონი შედგა და მამცნო თავისი გეგმები:

- ხშირ ტყეში ეს მხეცები ადვილად დაგვესხმიან თავს, - თქვა მან, - რადგან თვალში ვეყოლებით, ჩვენ კი ვერ დავინახავთ მათ. შიშველ

ადგილს სულ სხვა ამბავია. იქ ჩვენ უფრო ჩქარა მოვახერხებთ სირბილს. ამიტომაც უნდა ვეცადოთ, სანამ ეს შესაძლებელია, ღია ადგილებში ვიაროთ ზეგანის კიდესთან. ტყე მეჩხერია, ამიტომ აქედან დავიწყებთ შეტევას. იარეთ დინჯად, თოფები მზად გქონდეთ. რაც უმთავრესია, გახსოვდეთ: ცოცხალი ნუ დანებდებით, ესროლეთ უკანასკნელ ვაზნამდე. აი, უკანასკნელი რჩევა, ჩემო ჭაბუკო!

ქარაფთან რომ გამოვედით, ქვევით გავიხედეთ და დავინახეთ ჩვენი კეთილი ზანგი, რომელიც ქვებზე დაცუცქელი იყო და ყალიონს ეწეოდა. როგორ მინდოდა დამეძახა მისთვის და მეცნობებინა, რაც თავს გადაგვხდა! მაგრამ ეს სახიფათო იყო - ჩვენ ხმას გაიგონებდნენ ტყეში მოფუსფუსე კაცმაიმუნები. მათი გნიასი ჩვენამდე აღწევდა.

ჩვენ ჩირგვებშიჩავწექით და ხმა გავიკმიდეთ, ვიდრე ეს გნიასი არ შეწყდა. ყოველივე ეს აბრკოლებდა ჩვენს წასვლას, ამიტომაც ლამის ორი საათი დაგვჭირდა მაიმუნთა ქალაქამდე მისაღწევად. ახლა იგი უკვე ახლოს იყო - ამას მე მივხვდი იმ სიფრთხილის გამო, რომელსაც იჩენდა ლორდ ჭონი. აპა, მან ხელი დამიქნია. დაწექიო, მიბრძანა. ჭერ წინ გადმოხტა, მაგრამ მაღევე უკან დაბრუნდა. სახის კუნთები უტოკავდა მღელვარებისაგან.

- ჩქარა! - მიჩურჩულა მან. - ჩქარა! არ დაგვიანდეს.

მე ვცახცახებდი, მივხოხდი მასთან და გავხედე ჩირგვებს, რომლის გადაღმა ველი იწყებოდა.

ეს სანახაობა მე არასოდეს დამავიწყდება. იგი ისეთი ფანტასტიკური და დაუკერებელი იყო, არ ვიცი, როგორ ავწერო, რომ თქვენ დაგაჭეროთ. ვინ იცის, იქნებ როგორმე დავაღწიოთ

განსაცდელს თავი, წლები გაივლის... მე ძველებურად ვიჭდები კლუბ „  
ველურის“ დარბაზში ფანჯარასთან, დავუწყებ მჩერას ტემზის  
სანაპიროს...

მე კი დავიწერებ მაშინ, რაც ახლა ჩემ თვალწინ ხდება?! განა მაშინ  
ეს საშინელ კოშმარად არ მომეჩვენება? აი, ამიტომ ვჩქარობ,  
ყოველივე ჩავიწერო, ვიდრე შთაბეჭდილებანი ახალია ჩემს გონიერები,  
სანამ თუნდაც ერთი კაცი - აგერ ჩემ გვერდით ბალახში მწოლიარე -  
დამიმოწმებს ამ ამბავს.

ჩვენ წინ ასი იარდის სიგანეზე მოედანი იშლებოდა უფსკრულის  
კიდემდე, ხშირი მწვანე ბალახითა და დაბალი გვიმრებით მოფენილი.  
ამ მოედანს ნახევარწრედ შემორტყმოდა ხეები, რომლებშიც  
რამდენიმე იარუსად ტოტებისა და ფოთლებისაგან დაწნილი უცნაური  
სახლები იყო ჩადგმული. თქვენ წარმოიდგინეთ, ჭილყვავთა  
სამფლობელო, სადაც ბუდის ნაცვლად პატარა სახლებია, და მაშინ  
მიხვდებით ყველაფერს. მათ შესასვლელთან და მახლობელ ტოტებზე  
მაიმუნები ჩამომსხდარიყვნენ. ზომის მიხედვით ადვილად შეიცნობდით  
- დედასა და პატარა შვილებს. ისინი ცნობისმოყვარეობით  
ადევნებდნენ თვალყურს, თუ ქვევით რა ხდებოდა და რისგანაც  
თვალის მოშორება ჩვენც არ შეგვეძლო.

ღია ადგილას, ზეგნის კიდის მახლობლად, თავი მოეყარა  
რამდენიმე ასეულ ამ წითურ არსებას. მათ შორის გამოირჩეოდნენ  
ნამდვილი გიგანტები. ყველანი საზიზღრები იყვნენ. მაიმუნები  
ერთმანეთს არ შორდებოდნენ, ჩანს რაღაც წესრიგს იცავდნენ. მათ წინ  
იდგა რამდენიმე დაბალტანიანი ინდიელი, ძლიერ პროპორციული

აღნაგობისა, რომელთა კანიც ბრინჯაოსაგან ბრწყინავდა მზის ნათელ სხივზე. ამ პატარა გროვაში გამოირჩეოდა მაღლი და გამხდარი თეთრი ადამიანი, თავზაქინდრული, გლხელდაკრეფილი, რაც საშინელებასა და სრულ სასოწარკვეთილებას გამოხატავდა. ჩვენ მაშინვე შევიცანით: ეს პროფესორი სამერლი იყო.

საცოდავ ტყვეებს ირგვლივ რამდენიმე კაცმაიმუნი შემორტყმოდა. ისინი გულმოდგინედ მიშტერებოდნენ მათ, რათა გაქცევის შემთხვევაში წინააღმდეგობა გაეწიათ. მარჯვნივ, ტაფობის განაპირას კიდევ ორი ფიგურა იდგა განკერძოებით, ისეთი შეუსაბამო - სხვა შემთხვევაში მათ კომიკურსაც კი უნდებდა კაცი, - და დავინახე თუ არა ეს წყვილი, მე უკვე ვეღარ მოვაშორე მათ თვალი. ერთი მათგანი ჩვენი მეგობარი ჩელენჯერი იყო. ნაცვლად ქურთუკისა, საცოდავი ძონძები მოსავდა მას. პერანგი სადღც გამქრალიყო, თითქოს არასოდეს სცმიაო. მისი წვერი კი უერთდებოდა მკერდზე სქლად გაბანჯვლულ ბალანს. ჩვენი მოგზაურობის განმავლობაში მას თმა საგრძნობლად გაზრდოდა და შავი ფაფარივით იშლებოდა ქარში. საკმარისი იყო კიდევ ერთი დღე, რომ ეს უმაღლესი პროდუქტი თანამედროვე ცხოველიზაციისა, სამხრეთ-ამერიკის უკანასკნელ ველურად გადაქვეულიყო.

ჩელენჯერის გვერდით იდგა მისი ბატონი - მეფე კაცმაიმუნების მოდგმისა. ლორდ ჭონი არ აზიადებდა: ეს იყო ზუსტი ასლი ჩვენი პროფესორისა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ იგი წითური იყო: ისეთივე ტანდაბალი, ისეთივე მკვრივი ბეჭებითა და გრძელი მკლავებით; ისეთივე გაბურძგნილი წვერი სცემდა ბანჯვლიან

მკერდზე.

განსხვავება მხოლოდ შემდეგი იყო: დაბალი მიტყეპილი შუბლი კაცმაიმუნისა წარმოადგენდა სრულ კონტრასტს ევრეოპელის საუცხოო თავის ქალასთან შედარებით. სხვა მხრივ კი მაიმუნების მეფე პროფესორის ნამდვილი კარიკატურა იყო.

ქაღალდზე ამ აღნერილობას ბევრი დრო სჭირდება, ისე კი მე ერთი წამით გადავავლე თვალი ამ სანახაობას და აქვე სულ სხვა ამბავმა მიმიზიდა: ჩვენ თვალწინ გათამაშებულმა დრამამ. ორმა კაცმაიმუნმა ხელი სტაცა ერთ ინდიელს და უფსკრულთან მიათრია საცოდავი. მეფემ ხელი დაუქნია, - მაიმუნებმა აიყვანეს იგი, გააქანეს და უფსკრულში გადააგდეს. გაქანების ძალა იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ უბედურმა წრე მოხაზა ჰაერში, ვიდრე ქვასავით დაეშვებოდა ძირს. მთელი მაიმუნთა ბრძო, გარდა გუშაგებისა, უფსკრულს მისცვივდა. გაინაბნენ და უცბად გაისმა გამაყრუებელი ყიჯინა. მაიმუნები დახტოდნენ, როგორც შეპყრობილნი, აქეთ-იქით. აქნევდნენ ბანჯგვლიან მკლავებს და სიხარულისაგან იკლაკნებოდნენ. მერე მოსცილდნენ უფსკრულს და შემდეგი მსხვერპლის მოლოდინში ძველებურად გამწკრივდნენ.

ამჯერად სამერლის რიგი დადგა. ორმა გუშაგმა სტაცა მას ხელი. უხეშად გაიგდეს წინ. იგი ფართხალებდა და იბრძოდა, ფართხალებდა როგორც წინილა, რომელსაც საქათმიდან მოათრევენ. სასონარკვეთილმა ჩელენჯერმა ხელების ქნევა ატეხა. ამ გზით მიმართავდა მაიმუნების მეფეს, ემუდარებოდა, ევედრებოდა, - შეიბრალე ჩემი ამხანაგიო. მაგრამ მაიმუნმა უხეშად ბლიკვი ჰკრა

თავის ორეულსდა თავი დააქნია. ეს იყო მისი უკანასკნელი ცნობიერი მოძრაობა, გავარდა შაშხანა და „ წითერი მეფე “ ტომარასავით დაეცა მიწაზე.

- ჰიქურ ესროლე ბრბოს! ნუ ზოგავ ვაზნებს, შვილო! - დამიყვირა ლორდ ჰონმა.

ყოველი კაცის, თეთრი ჩვეულებრივი ადამიანის სულში, უცნობი უფსკრულები იმალება. მე ყოველთვის გამოვირჩეოდი უცნაური გულმოწყალებით. დაკოდილი კურდღლის კვნესას არაერთხელ გამოუწვევია ჩემს თვალებზე ცრემლი, მაგრამ ახლა სისხლის წყურვილმა ამიტაცა. წამოვხტი ფეხზე, ტყვიას ტყვიაზე ვცლიდი. ჰერ ერთი თოფიდან ვისროდი, მერე მეორიდან. ვაჩხაკუნებდი საკეტს, ხელახლა ვტენიდი თოფს და ვყვიროდი მძვინვარე აღტაცებისაგან გონებადაკარგული. ორნი ვისროდით ოთხ შაშხანას და ჩვენ საგრძნობლად გავანადგურეთ მაიმუნების ბრბო. სამერლის ორივე მცველი უკვე უსულოდ ეგდო, ხოლო თავად სამერლი მთვრალივით ქანაობდა, არც კი გრძნობდა, რომ უკვე თავისუფალი იყო. ჩვენი მტრები თავგზააბნეული დარბოდნენ მინდორზე და არ იცოდნენ, სიკვდილის გრიგალისათვს თავი როგორ დაედწიათ. ხელებს აქნევდნენ, ყვიროდნენ, ბორძიკობდნენ და ძირს ეცემოდნენ. ბოლოს თავდაცვის ინსტინქტს მოჰყვნენ, ისაფრეს ხეები და უცებ დაცარიელდა მაიმუნების ცხედრებით მოფენილი ველი, ხოლო შუაგულში კიდევ მოჩანდა მცირე ჭავჭავებულებისა.

ჩელენჯერის მახვილმა ჭკუამ ანაზდად შეაფასა მდგომარეობა, მან ხელი წაავლო გაოგნებულ სამერლის და ჩვენკენ წამოათრია.

ამხანაგიო. მაგრამ მაიმუნმა უხეშად ბლიკვი ჰკრა თავის ორეულსდა თავი დააქნია. ეს იყო მისი უკანასკნელი ცნობიერი მოძრაობა, გავარდა შაშხანა და „ წითური მეფე “ ტომარასავით დაეცა მინაზე.

- ჭიქურ ესროლე ბრბოს! ნუ ზოგავ ვაზნებს, შვილო! - დამიყვირა ლორდ ჭონმა.

ყოველი კაცის, თეთრი ჩვეულებრივი ადამიანის სულში, უცნობი უფსკრულები იმალება. მე ყოველთვის გამოვირჩეოდი უცნაური გულმოწყალებით. დაკოდილი კურდღლის კვნესას არაერთხელ გამოუწვევია ჩემს თვალებზე ცრემლი, მაგრამ ახლა სისხლის წყურვილმა ამიტაცა. წამოვხტი ფეხზე, ტყვიას ტყვიაზე ვცლიდი. ჭერ ერთი თოფიდან ვისროდი, მერე მეორიდან. ვაჩხავუნებდი საკეტს, ხელახლა ვტენიდი თოფს და ვყვიროდი მძვინვარე აღტაცებისაგან გონებადაკარგული. ორნი ვისროდით ოთხ შაშხანას და ჩვენ საგრძნობლად გავანადგურეთ მაიმუნების ბრბო. სამერლის ორივე მცველი უკვე უსულოდ ეგდო, ხოლო თავად სამერლი მთვრალივით ქანაობდა, არც კი გრძნობდა, რომ უკვე თავისუფალი იყო. ჩვენი მტრები თავგზააბნეული დარბოდნენ მინდორზე და არ იცოდნენ, სიკვდილის გრიგალისათვს თავი როგორ დაედნიათ. ხელებს აქნევდნენ, ყვიროდნენ, ბორძიკობდნენ და ძირს ეცემოდნენ. ბოლოს თავდაცვის ინსტინქტს მოჰყვნენ, ისაფრეს ხეები და უცებ დაცარიელდა მაიმუნების ცხედრებით მოფენილი ველი, ხოლო შუაგულში კიდევ მოჩანდა მცირე ჭავჭავებულებისა.

ჩელენჭერის მახვილმა ჭკუამ ანაზდად შეაფასა მდგომარეობა, მან ხელი წაავლო გაოგნებულ სამერლის და ჩვენკენ წამოათრია.

ორი გუშაგი უკან გამოუდგა მას, მაგრამ ლორდ ჭონმა ჰერ ერთი დააწვინა ტყვიით და შემდეგ მეორე.

ჩვენ გამოცვივდით ბუჩქებიდან, ჩვენს მეგობრებს შევეგებეთ და დატენილი თოფები შევაჩეჩეთ ხელში. სამერლის უცებ გამოელია ღონე, ძლივძლივობით ადგამდა ფეხს. ამასობაში კაცმაიმუნებმა მოასწრეს გონს მოსვლა, ისინი გაიფანტნენ ჩირგვებში. ეტყობოდა, ჩვენთვის გზის გადაჭრას აპირებდნენ.

მე და ჩელენჯერმა ხელი ვტაცეთ სამერლის, ხოლო ლორდ ჭონი დადევნებულ მაიმუნებს იგერიებდა, ტყვიას ტყვიაზე ესროდა ჩირგვებიდან გამოყოფილ დრუნჩებს. დაახლოებით ერთი მილის მანძილზე კვალდაკვალ მოგვდევდნენ ეს საზიზღარი არსებანი თავიანთი გამაყრუებელი გნიასით.

ბოლოს, როცა დარწმუნდნენ ჩვენს უპირატესობაში, უკვე აღარ მოისურვეს ლორდ ჭონის მიერ გასროლილი ტყვიებისათვის შეეშვირათ თავი. ბანაკს რომ მივაღწიეთ, უკან მოვიხედეთ და დავრწმუნდით, რომ მაიმუნებმა თავი დაგვანებეს.

მაშინ ასე მოგვეჩვენა, მაგრამ ეს შეცდომა აღმოჩნდა.

შევედით თუ არა ბანაკში, ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით. დაქანცულები წყაროს პირას მივეგდეთ, რომ უცებ მოგვესმა აჩქარებული ნაბიჯები და შესაბრალისი ზღუქუნი. ლორდ ჭონმა შაშხანას დაავლო ხელი, ღობის გადაღმა გადაიხედა და ნახა მიწაზე გართხმული ოთხი ფიგურა სპილენძისფერი ინდიელებისა. ისინი შიშისაგან ცახცახებდნენ, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდათ, ჩვენთვის მფარველობა ეთხოვათ.

ერთი მათგანი წამოდგა, ხელები გაასავსავა და ამგვარად გვამცნო, რომ ტყეში, ჩვენ გარშემო მრავალი საფრთხე გვიდარაჲებდა.

მერე ფერხთით დაუვარდა ლორდ ჭონს და ლოფა მის მუხლებს მიადო.

- რა მოხდა? - წამოიძახა ჩვენმა ბელადმა და აღელვებით დაუწყო ულვაშებს გრეხა. - მართლაც რა ვუყოთ ამ ხალხს?

- ადექი, ადექი, მეგობარო, მოეშვი ჩემს ფეხსაცმელებს.

- ამათზეც უნდა ვიზრუნოთ, - თქვა სამერლიმ და ყალიონი დატენა, - თქვენ გამოგვტაცეთ სიკვდილს ხელიდან, მე პირდაპირ აღტაცებული ვარ.

- უცნაურია, უცნაური! - წამოიძახა ჩელენჯერმა. - არა მარტო ჩვენ, მთელი განათლებული კაცობრიობა ევროპისა ვალმოუხდელი დარჩება თქვენ წინაშე, - პირდაპირ ვიტყვი, რომ პროფესორი სამერლისა და პროფესორი ჩელენჯერის სიკვდილი აუნაზღაურებელ ხარვეზს დატოვებდა თანამედროვე მეცნიერებაში. თქვენ და ჩვენი ახალგაზრდა მეგობარი ყოველგვარი ქების ღირსნი ხართ.

მამობრივმა ღიმილმა გაუელვა ჩელენჯერის ტუჩებს, მაგრამ როგორ გაოცდებოდა განათლებული კაცობრიობა ევროპისა, თვალით რომ ეხილა თავისი საყვარელი იმედი და პირმშო: გაბურდგნილი თმა, შიშველი მკერდი და ნაფლეთბად ქცეული ტანსაცმელი.

მეცნიერების საყრდენი იჯდა, მუხლებშორის მოემწყვდია კონსერვის ქილა და თითებით იტენიდა პირში ავსტრიული ცხვრის ხორცის ნაჭრებს. ინდიელმა შეხედა მას, წამოიყვირა და ისევ

დავარდა ლორდ ჭონის ფერხთით.

- ნუ გეშინია, ყმაწვილო! - თქვა ჩვენმა წინამძღოლმა, თანაც ხელი მოუცაცუნა ინდიელს შავ თმაზე, - ჩელენჯერ, თქვენმა გამომეტყველებამ შეაკრთო ინდიელი და მე აქ გასაოცარს ვერაფერს ვხედავ. დამშვიდდი, მეგობარო, ესეც ისეთივე კაცია, როგორიც ყველა ჩვენ.

- მაინც, სერ! - წამოიძახა ჩელენჯერმა.

- არაფერია, პროფესორო, თქვენ ბედს უნდა უმაღლოდეთ, რომ ბუნებამ დაგაჭილდოვათ არაჩვეულებრივი გარეგნობით, რომ არა თქვენი მსგავსება მაიმუნების მეფესთან...

- კმარა, ლორდ ჭონ როქსტონ! თქვენ მომეტებულ უფლებებს აძლევთ თავს!

- ფაქტი ფაქტად რჩება.

- მე გთხოვთ, სერ, სხვა რამებე იღლაპარაკეთ. თქვენი შენიშვნები სავსებით უადგილოა და საქმეს არ ეხება. ჩვენ ახლა უნდა გადავწყვიტოთ, თუ რა ვეყოთ ამ ინდიელებს. აღბათ მოგვიხდება მათი შინ მიცილება. მაგრამ სად ცხოვრობენ ისინი, აი ესაა საკითხავი.

- არხეინად ბრძანდებოდეთ, - ვთქვი მე, - ინდიელები ცხოვრობენ ცენტრალური ტბის გადაღმა, გამოქვაბულებში.

- აჰა! ჩვენს ახალგაზრდა მეგობარს სცოდნია, თუ სად არის მათი საცხოვრებელი. აღბათ, არც ისე ახლოსაა...

- ოციოდე მიღი, თუ მეტი არა, - ვუპასუხე მე.

სამარლიმ დაიკვნესა:

- მე ყოველ შემთხვევაში მანამდე ვერ მივაღწიე, ხომ გესმით? ეს

ქმნილებები კიდევ დაბორიალებენ და მოგვდევენ უკან. მართლაც, უსიერ ტყიდან მოისმოდა შორეული გნიასი კაცმაიმუნებისა. ინდიელები კვლავ აყმუვლდნენ შიშისაგან.

- უნდა გავეცალოთ აქაურობას, რაც შეიძლება ჩქარა, - თქვა ლორდ ჭონმა, - ყმაწვილო! თქვენ დაეხმარეთ სამერლის, ინდიელები წაათრევენ ნივთებს. მაშ ვიაროთ, მანამ თვალი მოუკრავთ ჩვენთვის.

ნახევარი საათი არც კი მოგვინდა ჩირგვებთან მისვლამდე. იქ დავიმალეთ. ამაღელვებელი ყიჟინა კაცმაიმუნებისა მთელი დღე გვესმოდა ჩვენი ბანაკიდან, მაგრამ ჩვენამდე არავის მიუღწევია. ასე რომ, დაქანცულმა თეთრებმა და წითელკანიანებმა ხანგრძლივსა და უდტრვინველ ძილს მივეცით თავი.

საღამოთი ისე მეძინა, როცა ვიღაცამ მკლავზე წამავლო ხელი. თვალი გავახილე და ჩელენჯერი დავინახე.

- მისტერ მელოუნ! რამდენადაც ვიცი, თქვენ დღიურს აწარმოებდით და ალბათ, განზრახული გაქვთ, მოკლე ხანში გამოაქვეყნოთ იგი, - დაიწყო მან პათეტიკურად.

- მე აქ გამოგზავნილი ვარ რეპორტიორად, - მივუგე მე.  
- ჰო, რა თქმა უნდა. თქვენ, ალბათ, გაიგონეთ სულელური შენიშვნები ლორდ ჭონ როქსტონისა - თითქოს... თითქოს ერთგვარი მსგავსება იყო ჩემსა და...

- დიახ, გავიგონე.  
- ალბათ, არ დამჭირდება მოგაგონოთ, რომ ასეთი სისულეელის გამოქვეყნება და საერთოდ მოვლენათა აღწერის უმართებულო გაშუქება მე დიდ შეურაცხყოფას მომაყენებს.

- აღგითქვამთ, არ ვუდალატო ფაქტებს.  
- ლორდ ჭონი ფანტაზიორია და მისთვის ადვილია, თავისებურად  
ახსნას ის პატივისცემა, რომელსაც იჩენენ ყველაზე უკულტურო  
რასებიც ვი ადამიანური ღირსების მიმართ. თქვენთვის გასაგებია, რაც  
მოგახსენეთ, არა?

- სავსებით.  
- მაშ მე დავენდობი თქვენს ტექსტს, - თქვა ჰენტლმენმა და დიდი  
ხნის პაუზის შემდეგ დაუმატა: - ეს მაიმუნების მეფე არ იყო  
ჩვეულებრივი არსება, მას საკმარისად შთამაგონებელი გარეგნობა  
ჰქონდა. გონიერი იყო. ხომ ასეა, არა?

- დიდად პატივცემული პიროვნება იყო, - მივუგე მე.  
ეტყობოდა, პროფესორი დამშვიდდა და ხელახლა ძილს მისცა  
თავი.

თავი მეთოთხმეტე  
„ეს იყო ნამდვილი გამარჯვება“

ჩვენ გვეგონა, რომ ჩვენს მდევრებს - კაცმაიმუნებს ეჭვიც ვი არ  
ჰქონდათ ბუჩქნარში ამ თავშესაფრის არსებობის გამო, თუმცა მალე  
დავრწმუნდით, რომ ეს შეცდომა იყო. ტყეში სრული დუმილი  
ჩამოვარდნილიყო - არც ჩამიჩუმი ისმოდა და არც ფოთოლთა  
შრიალი. წინა დღეების გამოცდილებას მაინც უნდა ეკარნახებინა  
ჩვენთვის, თუ რა გულდასმითა და ეშმაკურად უთვალთვალებდნენ ეს  
პირუტყვნი თავიანთ მსხვერპლს და თავდასხმისთვის მოხერხებულ  
შემთხვევას ელოდნენ. არ ვიცი, მომავალში ბედი რას მიქადდა,

მაგრამ არა მგონია, ოდესმე ასე ახლოს ვყოფილიყავი სიკვდილთან, როგორც იმ დილით. ახლა ყოველივეს დაწვრილებით მოგითხობთ.

ნინა დღის საშინელი მღელვარებისა და შიმშილის შემდეგ ძილმაც ვერ გვიშველა აღგვედგინა ძალ-ღონე. სამერლი ისე დასუსტდა, რომ ფეხზე ძლივსღა იდგა, მაგრამ მისთვის ჩვეული ჭიუტობისა და ვაჟვაცობის გამო არ უნდოდა ამაში გამომტყდარიყო. ჩვენ მოვიწვიეთ სამხედრო საბჭო და გადავწყვიტეთ, კიდევ ორ საათს დავრჩენილიყავი ამ ადგილას, საუზმით მოვმაგრებულიყავით, რაც მეტისმეტად გვესაჭიროებოდა, შემდეგ კი გავდგომოდით გზას, გადაგვეჭრა ზეგანი და ცენტრალური ტბის მეორე მხარეს გამოქვაბულებთან გავსულიყავით, სადაც ჩემი დაკვირვებით ადამიანები ცხოვრობდნენ. ვიმედოვნებდით, რომ ჩვენ მიერ გადარჩენილი ინდიელები ტკბილ სიტყვას მაინც შეგვაწევდნენ და ვვარაუდობდით, რომ მათი თვისტომნი კარგად შეგვხვდებოდნენ.

ამგვარი მოგზაურობის შემდეგ მეპლ-უაიტის ქვეყანა უფრო მეტად გაგვიხსნის თავის საიდუმლოებებს და, შევასრულებთ რა ჩვენს დაკისრებულ მისიას, მთელ ჩვენს განზრახვებს მივმართავთ იქითვენ, თუ როგორ დავაღწიოთ თავი აქაურობას და კვლავ დავუბრუნდეთ ჩვენს ქვეყანას. თვით ჩელენჯერიც კი აღიარებდა, რომ მიზანი ჩვენი ექსპედიციისა მიღწეული იქნება ამით. ამის შემდეგ კი მოვალენი ვიქენებით, რაც შეიძლება სწრაფად ვამცნოთ მთელ ცივილიზებულ ქვეყანას ჩვენ მიერ მოპოვებული საოცარი აღმოჩენები.

ახლა ჩვენთვის შესაძლებელი გახდა უფრო ყურადღებით დავკვირვებოდით გადარჩენილ ინდიელებს. ისინი საშუალო ტანისანი

იყვნენ, ძარღვმაგარნი, მარდი და უბოროტო შესახედაობისა. სწორედ მოხაზული სახე სრულიად მოკლებული იყო ყოველგვარ ბალანს და სწორი შავი თმა კეფაზე შავი ღელით ჰქონდათ შეკრული. მათ ტანსაცმელს წარმოადგენდა მხოლოდ თეძოებზე შემოხვეული ტყავი. დაფლეთილი და დასისხლიანებული ყურის ბიბილოები იმას მოწმობდა, რომ მათ ყურებს რაღაც სამკაულები ამკობდა, რომელიც კაცმაიმუნების თათებში დარჩენილიყო. ინდიელები ცოცხლად ესაუბრებოდნენ ერთმანეთს ჩვენთვის უცნობ ენაზე, მაგრამ მაინც გავიგეთ ერთი რამ - მათ ტომს „ აკალა “ ერქვა, რადგან ამ სიტყვას რამდენჯერმე ზედიზედ წარმოთქვამდნენ ხოლმე, ერთმანეთს მიუთითებდნენ, შემდეგ შეკუმშულ მუშტებს ტყისაკენ იღერებდნენ და შიშისა დასიძულვილისაგან აკანკალებულნი ყვიროდნენ:

„ დოდა! დოდა! “ - ეტყობა ასე უნოდებდნენ ისინი კაცმაიმუნებს.  
- რას იტყვით თქვენ მაგათზე, ჩელენჯერ? - შეეკითხა ლორდ ჭონი. - ჩემთვის ნათელია მხოლოდ ერთი რამ: აგერ ის ახალგაზრდა გაპარსულშუბლიანი - მაგათი ბელადია.

და მართლაც, ამ ინდიელს განკერძოებულად ეჭირა თავი. დანარჩენები მას დიდი მოწინებით მიმართავდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ის ყველაზე უფრო ახალგაზრდა იყო. სიამაყე და დამოუკიდებლობა გამოკრთოდა ამ ყმაწვილის ყოველ მოძრაობაში და, როდესაც ჩელენჯერმა მას თავისი ვეებერთელა თათი დაადო თავზე, იგი დეზნაკრავი რაშივით გადახტა გვერდზე და სიბრაზემ გაიელვა მის შავ თვალებში. შემდეგ ხელისგული მკერდზე მიიღო და მთლიანად ღირსებით აღვსილმა რამდენჯერმე გაიმეორა სიტყვა „

მარეტას ”.

პროფესორი საერთოდ არ დაბნეულა ამ ამბით; სტაცა სხვა ინდიელს მხარში ხელი, დაუწყო აქეთ-იქით ტრიალი და, თითქოს თვალსაჩინო ხელსაწყო იყო, დაგვიწყო ლექციის კითხვა.

- განვითარებული თავის ქალა, პირისახის მოყვანილობა და ზოგიერთი სხვა ნიშანი იმას გვეუბნება, რომ ეს ტომი შეუძლებელია დაბალ რასას მივაკუთვნოთ, - დაიგუგუნა მან თავისი ხმოვანი ბანით. - რასიულ სკალაში მათი ადგილი მრავალ სამხრეთამერიკელ ტომზე წინ უნდა მოვათავსოთ. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ აქ, ამ ტაფობზე, ამ ტომის ნარმოშობა და განვითარება შეუძლებელი იქნებოდა. მაგრამ კაცმაიმუნებსაც ხომ ვეებერთელა უფსკრული აცალვევებს აქ შემორჩენილი წინაისტორიულ ცხოველებისაგან! აქედან ჩანს, რომ მათ არ შეეძლოთ გაჩენილიყვნენ და განვითარებულიყვნენ მეპლ-უაიტის ქვეყანაში.

- მაშ როგორ გაჩნდნენ? ციდან ხომ არ ჩამოსულან? - იკითხა ლორდ ჭონმა.

- ეს საკითხი უდავოდ დიდ კამათს გამოიწვევს ევროპისა და ამერიკის სწავლულთა შორის, - უპასუხა პროფესორმა, - ჩემი საკუთარი მსჯელობა მათზე - სწორია თუ არა იგი (როდესაც მან ეს უკანასკნელი სიტყვები ნარმოთქვა, არაჩვეულებრივი თავმომწონებით გამობზიკა მკერდი და ირგვლივ გადახედა ყველას) შემდეგში მდგომარეობს: აქაურ, სრულიად თავისებურ პირობებში ევოლუციამ მიაღწია ხერხემლიანების სტადიას და ამასთან ერთად ძველი ფორმებიც განაგრძობდა არსებობას. აი რატომ მოხდა, რომ იურიული

პერიოდის ფორმებთან ერთად აქ ცხოვრობს აგრეთვე თანამედროვე ტაპირი, დიდი ირემი და ჭიანჭველაჭამია. ჰერჯერობით ყველაფერი ნათელია, მაგრამ თქვენ, ალბათ, შემევითხებით, - აბა კაცმაიმუნები და ინდიელები საიდან გაჩნდნენო, როგორ უნდა განსაზღვროს მეცნიერულმა აზრმა მათი არსებობა ტაფობზე? ჩემი შეხედულებით განმარტება ამისა მხოლოდ ერთია: ისინი აქ გარედან შემოიჭრნენ. ადვილად შესაძლებელია, სამხრეთ ამერიკაში არსებული რომელიღაც კაცის მსგავსი მაიმუნები ჰერ კიდევ უხსოვარი დროიდან გადმოიხიზნენ აქ და ეს კაცმაიმუნები მათი ევოლუციის სახეობა გახდავთ, რომელთა ცალკეული წარმომადგენლებიც (ამ დროს ჩელენჯერმა მე გადმომხედა) იმდენად სასიამოვნო და წარმოსადეგი გარეგნობისანი არიან, რომ გონიერებაც რომ ჰქონდეთ მათ, ადამიანთა მოდგმასაც დაამშვენებდნენ უთუოდ. რაც შეეხება ინდიელებს, ეს ტომი ცოტა უფრო დაგვიანებით არის შემოჭრილი; ბარიდან გამოქცეულია ან შიმშილის, ან არა და მტრისაგან დევნის გამო. აქ ისინი მაშინვე შეეჩენენ ჰერ არნახულ საოცრებებს და მაშინვე მიაშურეს გამოქვაბულებს, რომელთა შესახებ ჩვენი ჭაბუკი მეგობარი ამბობს. უეჭველია, მათ სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკება ექნებოდათ გარეულ მხეცებთან, კერძოდ კი მაიმუნებთან, რომლებსაც არ სურდათ აქ ადამიანთა შემოჭრა და დაუზოგავად ეომებოდნენ. მიმართავდნენ მთელ თავიანთ ეშმაკობას, რითაც მათ შეუძლიათ დაიქადონ მათზე ბევრად დიდ ცხოველთა შორის. ჩემი აზრით, ამით აიხსნება ინდიელი ტომის მცირერიცხოვნობა. მაშ ასე, ჰენტლმენებო, ახლა თქვენ რაღას მიბრძანებთ? სწორედ განვმარტე მე ეს გამოცანა?

იქნებ თქვენ გაქვთ რაიმე არსებითი შენიშვნები?

მაგრამ პროფესორ სამერლის აღარ ჰქონდა კამათის თავი, მან მხოლოდ პროტესტის ნიშნად სასოწარკვეთილებით ჩაიქნია ხელი. ლორდ ჭონმა მოიფხანა თავისი გამელობებული თავი და ჩელენჯერის გამოწვევაზე უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ იგი სხვა კატეგორიისა და წონის მებრძოლი იყო. მე თავს არ ვუღალატე და საუბარს უფრო პროზაული მიმართულება მივეცი, განვაცხადე რა, რომ ერთ-ერთი ინდიელი სადღაც გამქრალიყო.

- ის წავიდა, - თქვა ლორდ როქსტონმა. - ჩვენ მას კონსერვის ქილა მივეცით და წყლის მოსატანად გავგზავნეთ.

- ძველ ბანაკში? - ვკითხე მე.

- არა, ნაკადულთან. ეს ახლოსაა, აი იმ ხეების მიღმა, რაღაც ასი იარდის მანძილზე. მაგრამ იმ ახალგაზრდას, ეტყობა, არ ეჩქარება დაბრუნება.

- წავალ, ვნახავ, რას აკეთებს იქ, - ვთქვი მე, და შაშხანიანად მივაშურე ტყეს. ჩემი მეგობრები კი მცირე საუზმის სამზადისს შეუდგნენ.

ალბათ, ჩემი მხრივ წინდაუხედავად მოგეჩენებათ, რომ მე, თუ გინდ ცოტა ხნით მაინც, გავბედე და დავტოვე ჩვენი საიმედო თავშესაფარი ბუჩქნარში. მაგრამ მაიმუნების ქალაქი ჩვენგან შორს იყო, მტრებმა კი ჩვენი კვალი დაკარგეს. გარდა ამისა, მე შაშხანა მქონდა თან, მაგრამ როგორც შემდეგში გამოირკვა, სათანადოდ ვერ შევაფასე კაცმაიმუნების მუხანათობა და ღონე.

სადღაც სულ ახლოს მოჩუხჩუხებდა ნაკადული, მაგრამ ხშირი ტყე და ბუჩქნარი ფარავდა მას ჩემგან.

მე უკვე კარგად დაშორებული ვიყავი ამხანაგებს, როდესაც რაღაც წითელი მომხვდა თვალში. ჩემდა სამწეხაროდ, ეს აღმოჩნდა გვამი იმ ინდიელისა, რომელიც წყალზე გავგზავნეთ. უბედური მოკრუნჩხული იწვა. თავი ისე მოღრეცოდა, თითქოს სადღაც იყერებაო. მე დავიყვირე, ამით ვამცნე მეგობრებს საშიშროება, მივვარდი ინდიელს და დავიხარე მის ცხედართან... ეტყობა, ჩემი მფარველი ანგელოზი სულ ახლოს იყო ამ წუთში, ანდა ინსტინქტმა გამაფრთხილა და ფოთლების შრიალზე ზევით ავიხედე. სწორედ ჩემს თავთან ხშირი მწვანე ფოთლებიდან ჩემკენ ნელ-ნელა მოიწევდა ორი მკვრივი, გრძელი წითელი მკლავი. კიდევ წუთი და ხარბი თითები ყელზე შემომეჯდობოდა. სწრაფად დავიხიე უკან, მაგრამ ეს ხელები უფრო სწრაფი აღმოჩნდა. მართალია ნახტომმა მე სასიკვდილო შებმას გადამარჩინა, მაგრამ ერთი თათი კეფაში მომხვდა, მეორე კი - სახეში, ხოლო შემდეგ, როდესაც მე ყელი ხელისგულებით დავითარე, ვიგრძენი, რომ მიწას ვშორდებოდი. ვიღაცამ საოცარი ძალით თავი უკან გადამიწია. კიდევ ერთი წამი და, ალბათ, ხერხემალი ვეღარ აიტანდა. გონება დამიბნელდა, მაგრამ არ ვუშვებდი ამ საშინელ ხელს და ბოლოს მოვიწყვიტე იგი ნიკაპიდან. ჩემს სხეულთან საზიზღარი დრუნჩი დახრილიყო, ციფი ლურჯი თვალებით, რომელთა დაუნდობელი გამოხედვაც მსუსხავდა. საბრძოლველად ღონე აღარ მქონდა. როგორც კი მიხვდა საოცრება, რომ მე ვსუსტდებოდი, მის საშინელ პირში გაიელვა ორმა თეთრმა ეშვმა და მან უფრო ღონივრად შეკუმშა თათი, უფრო და უფრო მიგრეხდა კისერს უკან. თვალთ დამიბნელდა და ყურებში ვერცხლის ეუვნებივით დაიწვრიალა

რაღაცამ. სადღაც შორს სროლა გაისმა, მე მიწაზე დავენარცხე, მაგრამ თითქმის ტკივილი არ მიგრძნია. გონება დავკარგე.

გონს რომ მოვედი, ვნახე, რომ ჩვენს საფარში ვიჭექი ბალახზე, ბუჩქებს შორის. ვიღაცას უკვე მოეტანა წყალი და ლორდ ჭონი თავს წყლით მისველებდა. ჩელენჯერს და სამერლის კი მზრუნველად ვეჭირე ორივე მხრიდან. დავინახე, რა მათი შენუხებული სახეები, მე პირველად მივხვდი, რომ ჩვენი პროფესორები მარტო მეცნიერები კი არ იყვნენ, არამედ ადამიანებიც, რომელთაც გააჩნდათ ადამიანური გრძნობები. არავითარი სერიოზული დაზიანება არ მქონდა. როგორც ჩანს, ჩემი გულის შენუხება დიდმა შეძრწუნებამ გამოიწვია, რადგან ნახევარი საათის შემდეგ უკვე სრულიად მოვსულიერდი, თუ არ ჩავთვლი კეფისა და კისრის ტკივილს.

- აბა, ჩემო ძვირფასო ჭაბუკო, ამჭერად თქვენი სიცოცხლე ბენვზე ეკიდა, - ნარმოთქვა ლორდ ჭონმა, - როდესაც მე გამოვიქეცი თქვენს ყვირილზე და ვნახე, თუ როგორ გიგრეხდათ კისერს ის საოცრება, თქვენი საქმე წასული იყო. მე უცბად გამიელვა აზრმა: „ ცუდადაა საქმე, მოკლეს! ” ისე დავიბენი, რომ კიდეც ავაცილე ტყვია, მაგრამ მაინც იმ საზიზდარმა უცბად დაგანება თავი და გაიქცა. ეჲ, ეშმაკსაც წაუდია! მყავდეს აქ ორმოცდაათი შეიარაღებული კაცი, უცბად დავამყარებდი წესრიგს, კვალსაც კი გავაქრობდი სიბინძურისას.

ახლა სრულიად ნათელი იყო, რომ კაცმაცუნებს როგორლაც მიეკვლიათ ჩვენი საფრისათვის და თვალსაც არ აშორებდნენ მას. დღეს ისინი საშიშნი არ იყვნენ, მაგრამ ღამე რა მოხდება, ვინ იცის? ისინი უთუოდ თავს დაგვესხმოდნენ, ამიტომ უნდა წავიდეთ აქედან და,

რაც უფრო მაღე წავალთ, მით უკეთესი. სამივე მხრიდან ტყის უღრანი შემოგვრტყმოდა, სადაც მოსალოდნელი იყო, ყოველ ნაბიჭე წავწყდომოდით ჩასაფრებულთ, ხოლო მეოთხე მხარეს დამრეცილი ფერდობი ინყებოდა, რომელიც ცენტრალური ტბისკენ ეშვებოდა და იქ დაბალი ბუჩქნარი იზრდებოდა იშვიათი ხეებით, აქა-იქ განაკაფებით გამიჯნული.

ამ ფერდობით მარტო მოვდიოდი მე სწორედ იმ ღამეს, ის კი პირდაპირ ინდიელების გამოქვაბულებთან ეშვებოდა. მაშასადამე, ჩვენ სწორედ ამ გზით უნდა გვევლო.

ერთადერთი, რაზედაც მწყდებოდა გული, ეს იყო ჩვენი ბანაკი. იქ დარჩენილი მარაგი იმდენად არ გვენანებოდა, როგორც ზანგი სამბო, უკანასკნელი დამაკავშირებელი რგოლი ჩვენსა და გარე სამყაროს შორის. თუმცადა შაშხანებიც თან გვქონდა, ვაზნების ნაკლებობასაც არ განვიცდიდი; ასე რომ, დროებით ამითაც თავს გავიტანდით როგორმე, შემდეგში კი უნდა გვეფიქრა, რომ მოგვეცემოდა შემთხვევა, ძველ ადგილს დავბრუნებოდით კვლავ და ჩვენს ზანგთან აღგვედგინა კავშირი. სამბო დანამდვილებით შეგვპირდა, რომ არ მიგვატოვებდა და ჩვენც ამაში ეჭვი არ გვეპარებოდა.

დილაადრიან ჩვენი ჭავჭავი გაემგზავრა. წინამძღოლად ახალგაზრდა ბელადი მიდიოდა - მან აღმფოთებულმა, უარი განაცხადა ყოველგვარი ტვირთის წაღებაზე. უკან მოჰყვებოდა ორი გადარჩენილი ინდიელი; ზურგზე მოედოთ ჩვენი მცირეოდენი ქონება. ჩვენ ოთხი კი თოფებმომარჯვებულნი მივდევდით. როგორც კი გამოვედით ბუჩქნარიდან, აქამდე მდუმარე უღრან ტყეში უცებ გაისმა

კაცმაიმუნების შემზარავი ყმუილი, რომელთაც ან ზეიმი ჰქონდათ, ან არა და, ჩვენი წასვლა გაუხარდათ. უკან მიხედვისას ჩვენ ვერაფერს ვხედავდით, ხოლო ეს გაბმული ყმუილი ნათლად გვეუბნებოდა, თუ რამდენი მტერი უნდა ყოფილიყო დამალული იმ მთლიანი მწვანე კედლის მიღმა, რომელიც ყოველ მხრივ შემოგვრტყმოდა. როგორც ჩანს, მაიმუნები გამოდევნებას არ აპირებდნენ და გავედით თუ არა უფრო ღია ადგილას, სრულიად დავკარგეთ მათი შიში.

მე მივდიოდი ყველაზე უკან და უნებურად მეღიმებოდა ჩემი ამხანაგების დანახვისას. ნუთუ ეს ის ბრწყინვალე ლორდ ჭონ როქსტონია, რომელმაც არც ისე დიდი ხანია ოლბენში თავის შესანიშნავ ვარდისფერ აპარტამენტში მიმიღო, სპარსული ნოხებით მოფენილსა და სურათებით მორთულ დარბაზში? ნუთუ ეს ის პროფესორია, რომელიც ისე მედიდურად იჭდა თავის საწერ მაგიდასთან ენმორ-პარკში? და ბოლოს, სად გაქრა ის მკაცრი და ქედმაღალი მეცნიერი, რომელიც ზოოლოგიური ინსტიტუტის სხდომაზე გამოვიდა? ნუთუ მანანწალებს, რომელნიც ინგლისის სასოფლო გზაზე გვხვდებიან, უფრო განამებული და საცოდავი სახე აქვთ? ჩვენ ზეგანზე ერთი კვირა გავიტარეთ, მაგრამ ჩვენი შემონახული ტანსაცმელი ქვევით დარჩა, ხოლო ეს ერთი კვირა არც ისე ადვილი გადასატანი იყო. მე მაინცდამაინც ჩივილი არ მმართებს, რადგან იმ ღამეს მაიმუნების თათებში არ მოვხვედრილვარ. უქუდოდ დარჩენილმა ჩემმა ამხანაგებმა თავზე ცხვირსახოცი წაიკრეს. ტანსაცმელი ძონძებად დაჰკვიდებოდათ, ჭუჭყი და გაუპარსავი წვერი სრულიად შეუცნობს ხდიდა მათ. სამერლი და ჩელენჯერი მაგრად

კოჭლობდნენ, მეც ძლივს მოვათრევდი ფეხებს, ჰერ კიდევ არ გაევლო დილანდელ შიშს. ძლივს ვატრიალებდი კისერს, რომელიც გამიშეშდა სამკვდრო-სასიცოცხლო შებმის შემდეგ. დიახ, ჩვენ საცოდავი სანახავები ვიყავით და სრულიადაც არ მიკვირდა, როდესაც ჩვენი თანამგზავრი ინდიელები ხშირად იხედებოდნენ უკან, შეცბუნებულნი და შემფოთებულნი შემოგვყურებდნენ.

შუადღე კარგა ხნის გადასული იყო, როცა ჩვენ თავი დავაღწიეთ ბუჩქნარს და ტბასთან მოვედით. დაინახეს თუ არა ინდიელებმა მისი გადაშლილი ზედაპირი, მხიარული შეძახილებით დაიწყეს ხელების ქნევა, - წყალზე მიგვითითებდნენ. სანახაობა მართლაც გასაოცარი იყო. სწორედ იმ ადგილისაკენ, სადაც ჩვენ ვიდექით, მოქროდა მთელი ფლოტილია მსუბუქი ნავებისა. ისინი ჩვენგან შორს იყვნენ, რამდენიმე მილის დაშორებით, მაგრამ იმდენად სწრაფად მოცურავდნენ, რომ მენიჩბებმა მალე შეიცნეს, თუ ვინ იყვნენ ნაპირზე. გამაყრუებელი ღაღადი მეხივით გავარდა ტბის ზედაპირზე. ადგილებიდან წამოცვენილმა ინდიელებმა დაიწყეს ნიჩბებისა და შუბების ქნევა. შემდეგ კვლავ მოუსვეს ნიჩბებს და თვალის დახამხამებაში გაიარეს დარჩენილი მანძილი. ნავები დამრეცილ ქვიშიან ნაპირზე გამოათრიეს და მისასალმებელი ყვირილით პირქვე დაემხნენ ახალგაზრდა ბელადის წინაშე. ამის შემდეგ ბრბოს ერთი ხანში შესული ინდიელი გამოეყო, შუბის მახვილი ბრჭყვიალა სამკაულებით ჰქონდა მორთული; მხრებზე მოგდებული ჰქონდა შესანიშნავი მოსასხამი, ტალებიანი ქარვისფერი ტყავისა. მან ჭაბუკთან მიირბინა, ნაზად მიუალერსა, შემდეგ ჩვენკენ გამოიხედა და რაღაც შეევითხა.

მოვიდა ჩვენთან და ყოველგვარი პირმოთნეობის გარეშე, დიდი პატივისცემით გადაგვეხვია ყველას სათითაოდ. ერთი მისი სიტყვა და დანარჩენი ინდიელებიც ჩვენ წინაშე დაემხნენ მიწაზე, ნიშნად პატივისცემისა. მე პირადად უხერხულად ვიგრძენი თავი ასეთი მონური მორჩილების გამო. ლორდ ჭონი და სამერლიც შეაკრთო, ვგონებ, ამ ამბავმა. სამაგიეროდ, ჩელენჯერი მზისაგან გამთბარი ყვავილივით გაიფურჩქნა.

- შესაძლებელია, ეს ინდიელები დიდად განვითარებული არ არიან, - თქვა მან და წვერებზე ხელები მოისვა, მის წინ გართხმულ სხეულს ათვალიერებდა, - მაგრამ ზოგიერთ განათლებულ ევროპელს უნდა ესწავლა ამათგან, როგორ უნდა მოიქცნენ ისინი უმაღლეს არსებათა წინაშე. თქვენ წარმოიდგინეთ, რამდენად სწორია პირველყოფილი ადამიანის ინსტინქტი!

როგორც ჩანს, ინდიელები საომრად გამოცხადებულიყვნენ. გარდა გრძელი ლერნმისტარიანი შეშებისა, თითოეული მათგანი შეიარაღებული იყო მშვილდ-ისრებით; ჭოხი ან ქვის ნაჭახი ქამარში ჰქონდათ გარჭობილი. მათი დამწუხრებული და ბოროტი გამოხედვა მიმართული იყო იმ ტყისაკენ, საიდანაც ჩვენ გამოვედით, და ხშირი განმეორება სიტყვისა „დოდა“ იმას მოწმობდა, რომ მათი ლაშქრობის მიზანი იყო ძველი ბელადის შვილი გადარჩენა (ჩვენ გამოვიცანით მათი ნათესაური კავშირი), ან არა და, სამაგიეროს გადახდა, თუკი ის მოკლული აღმოჩნდებოდა. ახლა ისინი ირგვლივ ჩაცუცქდნენ და სამხედრო ბჭობა გამართეს. ჩვენ კი შორიახლოს ბაზალტის ბელტებზე მოვეწყვეთ და თვალს ვადევნებდით მათ. პირველად ილაპარაკეს

მეომრებმა, შემდეგ კი აღგზნებული სიტყვით მიმართა თავის ტომს ჩვენმა ახალგაზრდა მეგობარმა. მის სიტყვას თან ახლდა იმდენად მჯევრმეტყველური მიმიკა და ჟესტიკულაცია, რომ ჩვენ იგი მთლიანად გავიგეთ, თითქოს ეს ჩვენთვის ნაცნობი ყოფილიყოს.

- განა ღირს ახლა ჩვენი სახლში დაბრუნება? - ამბობდა იგი. - ადრე თუ გვიან ჩვენ ეს უნდა გავაკეთოთ. ჩვენი მოძმენი დახოცეს. მერე რა, რომ მე ცოცხალი და უვნებელი დავბრუნდი, სხვები ხომ დაიღუპნენ! რომელ თქვენგანს შეუძლია დამშვიდებული იყოს საკუთარი სიკეთის გამო? ახლა ჩვენ შეკრებილნი ვართ ერთად, - მან ჩვენზე მიუთითა, - ეს ჩამოსულებიც ჩვენი მეგობრები არიან. დიდი მეგობრები არიან დამათაც ჩვენსავით სტულთ მაიმუნები. მაგათ ემორჩილებიან ელვა და ქუხილი, -აյ მან ზეცისაკენ აღმართა ხელები, - განა კიდევ გვექნება ოდესმე მეორე ასეთი შემთხვევა? გავწიოთ წინ! ან სიკვდილი, ანდა მოვიპოვოთ წყნარი, დამშვიდებული ცხოვრება და მაშინ აღარ შეგვრცხვება ჩვენს ქალებთან დაბრუნება.

პატარა წითელკანიანი მეომრები ხარბად უსმენდნენ თავიანთ ბელადს და, როდესაც მან დაამთავრა საუბარი, გაისმა აღფრთოვანებული ყვირილი და ყველამ ერთად ჰაერში აღმართა შუბები. მამამისმა რაღაც გვკითხა, ტყისაკენ მიგვითითებდა. ლორდ ჭონმა ანიშნა მას, მოეცადა და ჩვენ მოგვმართა:

- აბა, გადაწყვიტეთ თითოეულმა თქვენგანმა, - თქვა მან, - მე პირადად არ ვარ წინააღმდეგი. ანგარიშები გავუსწორო იმ მაიმუნებს და, თუ საქმე იმით დამთავრდება, რომ ისინი აღმოიფხვრებიან პირისაგან მიწისა, მაშინ ეს მიწა მხოლოდ გამშვენიერდება ასეთი

ოპერაციის შედეგად. მე წავყვები ჩვენს ახალ მეგობრებს და არც  
მივატოვებ მათ ჩვენს საბოლოო გამარჯვებამდე. თქვენ რაღას  
იტყვით, ყმანვილო?

- მე თქვენთან ვიქნები!  
- თქვენ, ჩელენჯერ?  
- მეც თქვენ მოგეშველებით, უეჭველად.  
- თქვენ კი რას ფიქრობთ, სამერლი?  
- ჩვენ სრულიად დავშორდით ჩვენი ექსპედიციის მიზანს, ლორდ  
ჭონ. მე თქვენ გარნმუნებთ, ლონდონის საპროფესორო კათედრა  
იმისათვის არ მიმიტოვებია, რომ ვუხელმძღვანელო წითელვანიანების  
თავდასხმას ადამიანის მსგავსი მაიმუნების წინააღმდეგ.

- დიახ, მართლაც როგორ დავეცით ჩვენ ყველანი! - ღიმილით  
წარმოთქვა ლორდ ჭონმა. - მაგრამ, რა გაეწყობა, მაშ ასე, ჩვენ  
ვეღით თქვენს პასუხს.

- ეს ძლიერ საეჭვო ამბავია, - არ ცხრებოდა სამერლი, - მაგრამ რა  
გაეწყობა, თუ თქვენ წახვალთ, მე სხვა რაღა დამრჩენია, უნდა  
გამოგყვეთ.

- მაშ გადაწყდა, - თქვა ლორდ ჭონმა და მიუბრუნდა ძველ ბელადს,  
ნიშნად თანხმობისა თავი დაუკრა და შაშხანას ხელი დაჰკრა.

მოხუცმა ხელი ჩამოგვართვა ყველას სათითაოდ, მისი აღტაცებული  
მოძმენი კი უფრო ძლიერ აყიჯინდნენ.

საომრად გალაშქრება უკვე დაგვიანებული იყო, ამიტომ  
ინდიელებმა კარვები გამართეს, კოცონები გააჩაღეს ყველგან.  
ინდიელების პატარა ჯგუფი ჯუნგლებში წავიდა და მალე დაბრუნდა:

წინ მიერევებოდნენ ახალგაზრდა იგუანოდონს, რომელსაც აგრეთვე ასფალტისფერი ნიშანი აჩნდა. ერთი ინდიელი მივიდა მასთან და განკარგულება გასცა მისი დაკვლის შესახებ. ჩვენ მხოლოდ მაშინ მივხვდით, რომ უზარმაზარი იგუანოდონები ინდიელების საკუთრებას წარმოადგენდნენ, ისევე როგორც ჩვენთან რქიანი საქონელი. გამოირკვა, რომ ეს საოცარი ასფალტის ტალები იყო დაღის მაგვარი რაღაც. ეს ბლაგვი ბალახის მჯამელი არსებანი, პანანინა ტვინის მქონენი, საოცარი უმწეობით გამოირჩევიან. მიუხედავად სიდიდისა, მათ ბავშვიც კი მოერეოდა. რამდენიმე წუთის შემდეგ, იგუანოდონი გაასუფთავეს და ხორცის ნაჭერს უკვე ბრანავდნენ კოცონჩე რომელიღაც მსხვილქერქიან თევზთან ერთად, რომელიც ინდიელებმა ბარჭის ნაცვლად შებით დაიჭირეს.

სამერლი ქვიშაზე წამოწვა და ჩაეძინა, ჩვენ სამნი კი წავედით ტბის ნაპირას სახეტიალოდ. სურვილი გვახრჩობდა, რაც შეიძლება მეტი რამ გაგვეგო ამ საოცარი ქვეყნის შესახებ. რამდენჯერ შეგვხვდა გზაზე ორმოები ისეთივე ლურჯი თიხისაგან, როგორც პტეროდაქტილების ჭაობში. ეს უმოქმედო ვულკანის ყელი ძლიერ აინტერესებდა ლორდ ჭონს. ჩელენჯერმაც იპოვა რაღაც ღირსშესანიშნავი - ძლიერ მფეთქავი ტალახის გეიზერი, რომლის ნაკადი პატარა ბურთულებივით დუღდა და რაღაც ჩვენთვის შეუცნობ გაზს გამოყოფდა.

ჩელენჯერმა ჩაყო ბამბუკის ჭოხი, შემდეგ ასანთი მიიტანა მასთან და მოწაფესავით გახარებულმა წამოიყვირა, როდესაც ცეცხლმოდებული აირი აფეთქდა და ლურჯი ალი გაჩაღდა. შემდეგ მან ჭოხს მოარგო პატარა ჭიქა, გაავსო აირი და პაერში გაუშვა. ამ

ექსპერიმენტმა პროფესორი დიდად აღაფრთოვანა.

- საწვავი გაზი! მერე როგორი - ჰაერზე უფრო მსუბუქი! ახლა მე დარწმუნებული ვარ, რომ იგი შეიცავს წყალბადის მნიშვნელოვან რაოდენობას. მომითმინეთ, ჩემო მეგობრებო! - ჭორჭ ედუარდ ჩელენჯერს ჭერ კიდევ არ ამოუწურავს მთელი თავისი შესაძლებლობები. ადამიანის გენია მუდამ იმსახურებს ბუნებას. თქვენ კიდევ დარწმუნდებით ამაში! - იგი ამაყად გაიჭიმა, მაგრამ მაინც არ გაგვიზიარა თავისი იდუმალი ზრახვები.

პირველად მე ტბის ნაპირი ნაკლებად საინტერესო მიმაჩნდა თვით ტბასთან შედარებით. ინდიელების გამოჩენამ და ჩვენმა ხმაურმა დააფრთხო ცოცხალი არსებანი ამ შემოგარენში და არარა არღვევდა ჩვენი ბანაკის ირგვლივ გამეფებულ სიჩუმეს, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე პტეროდაქტილს, რომლებიც მაღლა ცაში ნავარდობდნენ და მძორს ათვალიერებდნენ. მაგრამ ცენტრალური ტბის ვარდისფერი წყალი განაგრძობდა ცხოვრებას. რაღაცის ვეებერთელა ასპიტივით შავი დაკბილული ფარფლები ხშირად აშხაპუნებდა ვერცხლისებურ შხეფებს წყლის ზედაპირზე და კვლავ სიღრმეში იმაღებოდა. ქვიშიანი მეჩეჩი სავსე იყო რაღაც ვეებერთელა კუსმაგვარი თუ ხელკეტების მსგავსი მახინჭი არსებებით. მათ შორის ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ერთმა საოცრებამ იგი იყო ბრტყელი, თითქოს ტყავის ნაკუნი, პრიალი გაპქონდა და ნელ-ნელა დახოხავდა ქვიშაზე. ხანგამოშვებით წყლის ზედაპირზე თავს ამოყოფდნენ ხოლმე გველის მაგვარი არსებანი, რომელნიც კოხტად იკლავნებოდნენ, თითქოს ქაფის საყელო უკეთიათო, მიცურავდნენ და კუდთანაც ასეთივე

აქაფებულ შლეიფებს აჩენდნენ. მაგრამ, როგორც გამოირკვა, ეს გველი არ იყო. ერთმა ასეთმა არსებამ გამოცურა ქვიშიან თავთხელზე ჩვენ მახლობლად და დავინახეთ, რომ მისი გრძელი ყელი გადადიოდა ცილინდრისებურ ტანში, ვეებერთელა აპკისებური ფარფლებით. ჩელენჯერი და სამერლი უკვე შემოგვერთებოდნენ და თავი აღარ ახსოვდათ სიხარულისა და აღტაცებისაგან.

- პტეზიოზავრი! ნამდვილი წყლის პტეზიოზავრი! - ნამოიძახა სამერლიმ. - მე მას საკუთარი თვალით ვხედავ, ჩემო ძვირფასო ჩელენჯერ. განა რომელიმე ზოოლოგს შეუძლია ასეთი ბედნიერებით იამაყოს?

დადგა ღამე. უკვე გაჩაღდა ჩვენი წითელკანიანების კოცონები სიბნელეში, როდესაც ძლივს მოვახერხეთ პროფესორების ნამოყვანა პირველყოფილი ტბის მომაჯადოებელი ნაპირებიდან.

მაგრამ ნაპირზე მნოლიარენიც, წყლიდან კარგა მოშორებით, განვაგრძობდით ამ გოლიათურ საოცრებათა ჭყუმპალაობისა და ფრუტუნის მოსმენას.

მზის პირველ სხივებთან ერთად მთელი ბანაკი უკვე ფეხზე იდგა. ერთი საათის შემდეგ ჩვენ შევუდექით უმაგალითო ლაშქრობას. მე ხშირად ვოცნებობდი, მიმეღნია იმ დღემდე, როდესაც ფრონტზე ომის კორესპოდენტად გამგზავნიდნენ. მაგრამ რომელ მეოცნებეს შეეძლო წარმოედგინა ამის მსგავსი კომპანია, რომელიც მე ბედმა მარგუნა?! მაშ ასე, ვიწყებ ჩემს პირველ პატაკს საომარ მოქმედებათა ასპარეზიდან.

ღამის განმავლობაში ჩვენი რიგები შეივსო ადგილობრივ

მკვიდრთაგან შემდგარ ახალ-ახალი რაზმებით - ისე, რომ დილისათვის უკვე ხუთასიოდე მეომარი გვყავდა. წინ მზვერავები წარვგზავნეთ, მათ უკან კი მიჯრილი რიგებით დაიძრა მთავარი ძალები. ავედით ბუჩქნარით დაფარულ დამრეც ფერდობებზე და ჭუნგლებში გავედით. შუბოსნები და მოისარნი არათანაბრად გაიფანტნენ ტყის პირას. როქსტონმა და ჩელენჯერმა პირველ ფრთასთან დაიკავეს ადგილები, მე და სამერლიმ - მარცხნივ. მაშ ასე, ჩვენ, შეიარაღებულნი ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით, საომრად მოვერეკებოდით ქვის ხანის გარეულ ურდოებს.

მოწინააღმდეგემ დიდხანს არ გვალოდინა. ტყის უღრანში გაისმა ხმა გამაყრუებელი ყმუილისა და კეტებითა და ქვებით შეიარაღებული ხროვა კაცმაიმუნებისა, მოიერიშე ინდიელთა ლაშქრის გულს მოაწყდა. ეს იყო გაბედული, მაგრამ უაზრო ხერხი, რადგან მოუხეშავი, ფეხმოჩვართული პირუტყვი ვერ გაუმკლავდებოდნენ კატასავით სწრაფად, მოხერხებულ ინდიელებს.

საშინელი სანახაობა წარმოგვიდგა თვალწინ: გაოგნებული მაიმუნები პირზე ქაფმორეულნი, გაცოფებულნი ატრიალებდნენ თვალის თეთრონებს; ეძგერებოდნენ თავიანთ მამაც მოწინააღმდეგებს, რომელნიც მათ მშვილდ-ისრებით უმასპინძლდებოდნენ. ჩემ სიახლოვეს ბლავილით გაირბინა ვეებერთელა საოცრებამ, გული და გვერდები მთლიანად იარებით ჰქონდა დასერილი. მე შემეცოდა და ვესროლე. იგი უსულოდ დაეცა ალოეს ბუჩქებთან. მაგრამ მეტი აღარ დამჭირვებია სროლა, რადგან იერიში თვით ცენტრში იყო მიტანილი და ინდიელებმა ისინი უჩვენოდ

მოიგერიეს. იმ მაიმუნებიდან, რომლებიც ამ თავდასხმის მონაწილენი იყვნენ, ვეჭვობ, ერთს მაინც შეესწრო ტყეში.

მაგრამ როდესაც ტყეს მივადექით, საქმემ უფრო სერიოზული ხასიათი მიიღო. სასტიკი ბრძოლა ერთ საათზე მეტხანს გრძელდებოდა და ზოგჯერ მე მეჩვენებოდა, რომ ჩვენი საქმე წასული იყო. მაიმუნები გამოცვივდებოდნენ უღრანიდან და თავიანთი კეტებით სამ-ოთხ კაცს ერთად აწვენდნენ ხოლმე - ისე, რომ შების მოღერებასაც აღარ აცლიდნენ. დარტყმა მათი მძიმე კეტებისა შემმუსვრელი იყო. ერთი მათგანი სამერლის შაშხანას მოხვდა და ნაფოტებად აქცია იგი. კიდევ ერთი წუთი და იგივე დაემართებოდა მის თავსაც, მაგრამ დროზე განგმირა მაიმუნი ინდიელის შუბმა. ხეებზე შემძვრალი მაიმუნები გვიშენდნენ ქვებსა და ვეებერთელა ტოტებს, ზოგიერთნი გადმოხტებოდნენ ძირს და ჩხების შუაგულში გააფთრებულნი შეიჭრებოდნენ, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოდნენ. ინდიელები შეკრთნენ და შაშხანები რომ არ გვქონოდა, რამაც უდიდესი ზარალი მიაყენა მოწინააღმდეგეს, ინდიელებს ვერ შევაკავებდით გაქცევისაგან. მაგრამ ბელადმა ხელახლა მოუყარა თავი მეომრებს და ისეთი სისწრაფით წაიყვანა იერიში, რომ ახლა კაცმაიმუნებს მოუხდათ უკან დახევა. სამერლი განიარაღებული იყო, სამაგიეროდ - მე ტყვიას ტყვიაზე ვისროდი. მარჯვენა გვერდიდანაც განუწყვეტელი სროლა მოისმოდა.

და ბოლოს მაიმუნები შიშის ზარმა შეიპყრო, ისინი ყმუილითა და წრიპინით აქეთ-იქით გაიფანტნენ, ჩვენი მოვავშირენი კი ველური ყიჟინით გამოუდგნენ მათ.

როგორ მიქროდნენ ძლეულნი, მაგრამ ვერაფერი შველოდათ! ტყის უღრანში წარამარა გაისმოდა გამარჯვებულთა შეძახილები, მშვილდის მოზიდვის ხმა და ყრუ ხმაური ხეებიდან ჩამოცვენილი სხეულებისა. მე მათ მივდევდი ფეხდაფეხ, როდესაც უეცრად ლორდ ჭონსა და ჩელენჯერს შევეჩეხე. ისინი თურმე ჩვენ დაგვეძებდნენ.

- რა თქმა უნდა! - თქვა ლორდ ჭონმა. - ამ საქმის დაბოლოება ინდიელებს უნდა მოვანდოთ. არც ისე საამური სანახაობაა. რაც უფრო მოვარიდებთ თვალს, მით უფრო კარგად დაგვეძინება ამაღამ.

ჩელენჯერის თვალებში საოცარი ცეცხლი გიზგიზებდა.

- ჩემო მეგობარო! თქვენ ნიღად გხვდათ, იყოთ მონაწილე ერთი ისეთი ბრძოლის, რომელიც განსაზღვრავს ისტორიის შემდგომ სვლას, გადაწყვეტს ქვეყნის ბედს! - განაცხადა ჩვენ ნინაშე ამაყად მოსიარულე ჩელენჯერმა. - რას ნიშნავს ერთი ხალხის მეორეზე გამარჯვება? სრულიად არაფერს. ის როდი ცვლის საქმეს. მაგრამადრინდელი გააფთრებული ომები, როდესაც გამოქვაბულის მცხოვრებნი ვეფხვებს მოერეოდნენ, ანდა როდესაც სპილომ პირველად გაიგო, რომ მას მბრძანებელი ჰყავს, - აი ეს იყო ნამდვილი მოპოვება, ნამდვილი გამარჯვება და ამით დატოვეს კვალი ისტორიაში.

როგორი რწმენა უნდა ჰქონოდა მას ამ ხოცვა-ჟლეტის საბოლოო მიზანშენონილობისა, რომ ასეთი სიმკაცრე გაემართლებინა!

ტყეში ჩვენ ყოველ ნაბიჭე ვხვდებოდით ინდიელების შუბებითა და ისრებით განგმირული მაიმუნების ცხედრებს. დამახინჯებულ ადამიანთა სხეულები მიგვანიშნებდა განსაკუთრებით გააფთრებული ბრძოლის ადგილებზე, როდესაც მტერი ძვირად ყიდდა თავის

სიცოცხლეს. წინ განუწყვეტლივ მოისმოდა ყვირილი და ბლავილი და მათი მიხედვით ვადევნებდით თვალს დადევნებულთა მიმართულებას. კაცმაიმუნები ქალაქთან მიიმწყვდიეს. იქ მაიმუნებმა უკანასკნელი ძალები მოიკრიბეს, მაგრამ მაინც დამარცხდნენ და ჩვენ მივუსწარით იმ საშინელი ბრძოლის სცენას. სწორედ იმ მოედანზე უფსკრულის ქარაფთან, რომელიც ორი დღის წინ ჩვენი გამარჯვებების მოწმე იყო, ინდიელებმა გამორეკეს ასამდე გადარჩენილი მაიმუნი. ჩვენ მაშინ მივუსწარით, როდესაც გამარჯვებულებმა შებებით ერთ რგოლში მოუყარეს მათ თავი. ყოველივე რამდენიმე წამში დამთავრდა. ოცდაათიოდე მაიმუნი იქვე ადგილზე წააწინეს, დანარჩენები ყვიროდნენ, წრიპინებდნენ, მაგრამ ამან ვერაფერი უშველა. ისინი უფსკრულში გადაყარეს და გააზიარებინეს ადრინდელ მსხვერპლთა ბედი. ისინი იმ ლერწმებზე ჩამოეგნენ, რომელიც ქვევით იზრდებოდა, ექვსასი ფუტის სიღრმეზე.

ამიერიდან ადამიანი სამუდამოდ გაბატონდა მეპლ-უაიტის ქვეყანაში. ხვადნი მაიმუნთა მოდგმაში სრულიად განადგურებულნი იყვნენ, მაიმუნთა ქალაქი კი - დანგრეული. ძუნი და პატარები ტყვეობაში გარეკეს. ამ უკანასკნელმა სისხლიანმა შებრძოლებამ ბოლო მოუღო ადამიანთა და მაიმუნთა საუკუნოებრივ შუღლს.

ეს გამარჯვება ჩვენთვის ძალზე ხელსაყრელი იყო. დავბრუნდით ბანაკში მიტოვებულ მარაგთან და აღვადგინეთ კავშირი ჩვენს ზანგთან, რომელიც საოცრად დაშინებული იყო საშინელი სანახაობით, როდესაც მაიმუნები სეტყვასავით დაეშვნენ უფსკრულში.

- წადით მანდედან, წადით! - ყვიროდა იგი და შიშისაგან თვალები

გადმოჰქონდარებულოდა. იქ ეშმაკია დაბუდებული, ის თქვენც დაგდეპავთ!

ზანგის პირიდან ჭეშმარიტება ღაღადებს, - თქვა სამერლიმ, - საკმარისია ამდენი თავგადასავალი, მით უმეტეს, რომ თავისი შინაარსით ეგ სრულიად არ შეეფერება ჩვენს მდგომარეობას. ჩელენჯერ, თქვენ მოგაგონებთ თქვენსავე სიტყვებს: ამიერიდან უნდა ვითიქროთ მხოლოდ იმაზე, თუ როგორ დავაღწიოთ თავი ამ საშინელ მხარეს და დავბრუნდეთ ცივილიზებულ სამყაროში.

## თავი მეთხუთმეტე

„ ჩვენი თვალები მუდმივ განცვითრებაში იყო “

დღიურს ყოველდღე ვაწარმოებ და ველოდები იმ წამს, როცა მომეცემა საშუალება, მოგწეროთ, რომ ჩვენს თავზე ჩამონილი ღრუბლები გაითანხმა და იქიდან მზემ გამოანათა-მეთქი. კიდევ არ ვიცი, როგორ დავაღწევთ თავს აქაურობას და ჩვენს მწარე ბედს ვემუდრებით. მე მაინც სრული სიცხადით მაქვს წარმოდგენილი, რომ ოდესმე დიდი მადლობით მოვიგონებთ ამ იძულებით დაყოვნებას ზეგანზე, რომელმაც მოგვცა საშუალება, გვენარმოებინა დაკვირვებანი მეპლ-უაიტის ქვეყნის სულ ახალ-ახალ საკვირველებებსა და მის ბინადრებზე.

ინდიელების გამარჯვებამ კაცმაიმუნთა მოდგმაზე, მკვეთრად შეცვალა მდგომარეობა. მას შემდეგ ჩვენ სრული ბატონ-პატრონები

გავხდით ამ ზეგნისა, ვინაიდან ადგილობრივი მკვიდრნი შიშითა და მადლობით შემოგვცექეროდნენ, რაკი ახსოვდათ, რომ ჩვენმა სასწაულმოქმედმა ძალამ მოუპოვა მათ გამარჯვება, ძლევამოსილ დაუძლეველ მტრებზე. მათ, ალბათ, საწინააღმდეგო არა ექნებოდათ რა, რომ ასეთ ძლიერსა და უცნაურ სულდგმულებს სულაც მიეტოვებინათ ზეგანი, მაგრამ ზეგნიდან ჩასასვლელი, როგორც ეტყობოდა, არც მათ იცოდნენ, რამდენადაც ჩვენ შევძელით მათი ნიშნების გამოცნობა. ზეგანი უნინ უერთდებოდა ვაკეს გვირაბით, რომლის ქვედა გასასვლელი ჩვენც ვნახეთ, როცა გარს ვუვლიდით ქვიან უდელტეხილს. უხსოვარი დროიდან ამ გზით ასულან ზეგანზე კაცმაიმუნები და ინდიელები, უკანასკნელად ამითვე უსარგებლია მეპლ-უაიტსა და მის ამხანაგს. მაგრამ ერთი წლის წინ აქ მომხდარა მძლავრი მიწისძვრა, რომელსაც გვირაბის ზედა ნაწილი სრულიად ჩაუხერგავს და დაუხშია კლდის ნამსხვრევებით. როცა ქვევით ჩასვლის სურვილს გამოვთქვამდით, ინდიელები მხოლოდ მხრებს აიჩეჩდნენ და თავს უარყოფის ნიშნად აქნევდნენ. მართლა არ შეეძლოთ ჩვენი დახმარება თუ არ უნდოდათ, ძნელი სათქმელია.

ძლევამოსილი ლაშქრობის შემდეგ გადარჩენილი მაიმუნები ინდიელებმა ზეგნის მეორე ნაწილში გადარევეს (ოჰ, ღმერთო, როგორ ღმუოდნენ ისინი გზაში!) და დააბინავეს თავიანთი გამოქვაბულების მახლობლად. ამ დღიდან მაიმუნთა ჭიში გადავიდა ადამიანთა სრულ მონობაში.

ღამის სიჩუმეში ხშირად გაისმოდა გაბმული გმინვა რომელიმე პირველყოფილი იეზეკასი, რომელიც მოთქვამდა მაიმუნთა მოდგმის

წარსულ სახელს და დიდებას. დაპყრობილი მაიმუნები ამიერიდან უნდა დაკმაყოფილებულიყვნენ წყლის მზიდავთა და შეშის მჯრელთა მდაბიური როლით, თავისი მბრძანებლის - ადამიანის წინაშე.

ბრძოლის შემდეგ ორი დღე გავიდა. ჩვენ ისევ გადავჭერით ტაფობი და დავბანაკდით წითელ კლდეთა ძირში. ინდიელები გვთავაზობდნენ თავიან გამოქვაბულებში მოწყობას, მაგრამ ლორდ ჭონმა უარი განაცხადა იმ ანგარიშით, რომ, თუ ისინი ჩვენ წინააღმდეგ რამეს გაიფიქრებდნენ, მთლიანად მათ ხელში ჩაცვივდებოდით.

ამიტომაც ვამჯობინეთ დამოუკიდებლობის შენარჩუნება. მართალია, ჩვენს მოკავშირეებთან საუკეთესო დამოკიდებულებას განვაგრძობდით, მაგრამ იარაღი მაინც მომარჯვებული გვქონდა. ხშირად ვესტუმრებოდით ხოლმე მათ გამოქვაბულებში და მაინც გაურკვეველი დარჩა, ვისგან იყვნენ ისინი დავალებულნი ამ შესანიშნავი საცხოვრებლით: თავისივე თავისა თუ ბუნებისაგან. გამოქვაბულები გამოკვეთილი იყო ერთს დონეზე რაღაც ფხვიერ ქანში. ეს უკანასკნელი ჩაწოლილი იყო ველკანური წარმოშობის მოწითლო ბაზალტსა და მაგარ გრანიტს შორის, რომელიც ფუძედ ჰქონდა კედელს.

მათი შესასვლელისაკენ, რომელიც დაახლოებით მიწისპირიდან ოთხმოცი ფუტის სიმაღლეზე იყო, ქვის საფეხურები მიემართებოდა - იმდენად ვინრონი, რომ მათზე ასვლა არც ერთ მსხვილ ნადირს არ შეეძლო. შიგნით სიმშრალე იყო, თბილოდა. გამოქვაბულები კედლის სისქეში სხვადასხვა სიღრმით იყო შეჭრილი. სწორი, ნაცრისფერი კედლები დანახშირებული ჭოხებით იყო მოხატული - ჩინებული

გამოსახულებანი ზეგანზე მობინადრე ცხოველებისა. მეპლ-უაიტის ქვეყანაში რომ ერთი სულდგმულიც არ დარჩენილიყო. მომავალი მკვლევარი გამოქვაბულთა კედლებზე ნახავდა ამომწურავ ცნობებს მისი საოცარი ფაუნის შესახებ. აქ ყველა იყო წარმოდგენილი - დინოზავრიც, იგუანოდონიც და ნაირ-ნაირი ჭოჭოც. როცა გავიგეთ, რომ ვეებერთელა იგუანოდონები ინდიელებს მიაჩნდათ მოშინაურებულ პირუტყვად, ანუ უფრო სწორად რომ ვთქვათ, რაღაც მოსიარულე სახორცე საკუჭნაოდ, წარმოვიდგინეთ, ვითომც ადამიანმა ესოდენ უბრალო შეიარაღებითაც კი, როგორიცაა მშვილდი და შები, სავსებით განამტკიცა თავისი ბატონობა ზეგანზე. მაგრამ მალე დავრწმუნდით, რომ ეს ასე არ იყო.

დრამა გათამაშდა მესამე დღეს - მას შემდეგ, რაც ჩვენ გამოქვაბულებთან დავბანაკდით. ჩელენჯერი და სამერლი დილიდანვე ტბისკენ წავიდნენ, სადაც ადგილობრივი მკვიდრნი მათთვის ხვლიკებს იჯერდნენ. მე და ლორდ ჭონი ბანაკში დავრჩით. ჩვენ მახლობლად ბალახოვან ფერდობზე, გამოქვაბულთა წინ, შემოდიოდნენ თავიანთი საქმით გართული ინდიელები. უცრად შემოგვესმა ერთობლივი ყვირილი: „სტოა! სტოა!“ დიდმა და პატარამ ყოველი მხრივ მიაშურა გამოქვაბულს და ერთმანეთზე გადაბოტებით იწყეს ზევით, ქვის საფეხურებით ასვლა.

როცა თავიანთ თავშესაფარში შეცვივდნენ, ხელს გვიქნევდნენ, გვიხმობდნენ, სასწრაფოდ იქ მივსულიყავით. წამოვავლეთ ხელი შაშხანებს და გავიქეცით იმის გამოსარკვევად, თუ რა მოხდა. ამავე დროს ეწერიდან ჩვენკენ, რაც ძალა და ღონე ჰქონდა, გამორბოდა

ათი-თხეთმეტი ინდიელი, რომელთაც ფეხდაფეხს მოსდევდა ორი ურჩხელი - სწორედ ისეთი, როგორიც ჩვენ დაუპატიჟებლად გვეწვია ძველ ბანაკში და მე ღამით გამომიდგა. ისინი ხტრომით მოდიოდნენ და უსაზიზღრეს, წარმოუდგენელი სიდიდის გომბეშოებს ჰგავდნენ. აქამდე მხოლოდ ღამით გვინახავს ეს ბუმბერაზები, რადგან მათ ღამით იციან ნადირობა, დღისით კი თავიანთი ბუნაგებიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოდიან, თუ ვინმებ შეაწუხა, როგორც ამჭერად მოხდა. ჩვენ გავჩერდით გაოცებულნი იმ სანახაობით, რომელიც თვალწინ წარმოგვიდგა. ამ ურჩხელთა ლაქიანი, დაზღმურტლული ტყავი ცისარტყელას ყველა ფერად ელვარებდა მზეზე და თევზის ქერქივით ბზინავდა. მაგრამ ხანგრძლივი დაკვირვება აღარ დაგვცალდა, ვინაიდან ეს ვეებერთელა გომბეშოები რამდენიმე ნახტომით დაეწივნენ საბრალო ინდიელებს... და აქ მოხდა რაღაც საშინელება. ისინი ასეთ ხერხს მიმართავდნენ: მთელი სიმძიმით დააცხრებოდნენ ხოლმე თავიანთ მსხვერპლს, გასრესდნენ, დაამახინჯებოდნენ, იქვე დატოვებდნენ და ახლა შემდეგს დაეტაკებოდნენ. შეშინებული ინდიელები ყვირილით გამორბოდნენ გადმოქვაბულებისაკენ, მაგრამ გამოსწრებას ვერ ახერხებდნენ. ისინი ერთიმეორის მიყოლებით იღუპებოდნენ და იმ დროს, როცა მე და ლორდ ჭონმა საშველად მივასწარით, სულ ხუთი-ექვსი კაციღა თუ დარჩენილიყო მთელი ჭგუფიდან. მაგრამ ჩვენ არამცთუ ვერ მოვეხმარეთ მათ, კინაღამ ჩვენც დავიღუპეთ. ტყვია ტყვიაზე ხვდებოდა ამ მხეცებს, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს ჩვენი შაშხანები ქაღალდის ბურთულებით ყოფილიყო გატენილი. სროლა

წარმოებდა რაღაც ორასი იარდის მანძილზე. ვეება ქვემდრომების ორგანიზმს არ ეშინოდა ჭრილობის - ტვინის ცენტრალური აპარატის უქონლობის გამო. თვით საუკეთესო თანამედროვე იარაღიც კი სრულიად ფუჭი იქნებოდა მათთან ბრძოლაში. ერთადერთი, რაც ჩვენ მოვახერხეთ, ეს იყო სროლისგან გამოწვეული ხმაურითა და ცეცხლის ფეთქებით მათი ყურადღების მიპყრობა, რის წყალობითაც ჩვენცა და ინდიელებსაც მოგვეცა საშუალება მიგვერბინა ჩვენს მხსნელ საფეხურამდე.

მაგრამ იქ, სადაც მეოცე საუკუნის კონუსური სასკდომი ფინთიხიც კი უღონო აღმოჩნდა. ჩვენ ვიყენებდით ველურების ისრებს, რომელიც ამოვლებული იყვნენ სტროფანტის ნვენში და სუძორის შხამი ჰქონდათ ნვეტებზე წასმული. ასეთი ისრები გამოუსადეგარია ნადირობაში, ვინაიდან წინაისტორიულ ურჩხულებს სისხლის მიმოქცევა იმდენად დუნე აქვთ, რომ ისინი ჩვეულებრივ გლეჭენ თავიანთ მსხვერპლს, სანამ შხამის მოქმედებას იგრძნობენ. მაგრამ ახლა მდგომარეობა სხვანაირი იყო: როგორც კი ჩვენი მდევრები მიუახლოვდნენ ქვის საფეხურებს, გამოქვაბულებთან, მთაგრეხილის ყოველი ნაპრალიდან ზუზუნით წამოვიდა ისრები. ურჩხულები, როგორც ჩანს, პირველად ტკივილს ვერ გრძნობდნენ, ვინაიდან გააფთრებით განაგრძობდნენ საფეხურებით მაღლა აცოცებას, რათა მსხვერპლი არ გაეშვათ ხელიდან, მაგრამ რამდენიმე იარდს რომ გაივლიდნენ, მაშინვე ძირს ცვიოდნენ. აი, შხამმაც დაიწყო მოქმედება. ერთმა მხეცმა ყრუდ დაიღრიალა და უშველებელი გაბრტყელებული თავი მიწაში ჩარგო. მეორემ გამგმირავი ყმუილი მორთო, პირველის გვერდით

დავარდა და მალე იმანაც გაკმინდა ხმა. მაშინ ინდიელები ჭოგივით გამოცვივდნენ გარეთ და მხიარული ყიჟინით იწყეს ამ მძორთა გარშემო ტრიალი, რადგან დღესასწაულობდნენ ამ ორ უსაშინელეს მტერზე გამარჯვებას.

მათი ხორცის ჭამა არ შეიძლებოდა, ვინაიდან შხამი განაგრძობდა მოქმედებას. ინდიელებმა იმ ღამესვე დაჭრეს ნაწილ-ნაწილ ორივე მხეცი და ტყეში გაათრიეს, რომ იქ პაერი არ მონამლულიყო. გამოქვაბულთან დარჩა მხოლოდ ორი უშველებელი, ბალიშისოდენა გული. მათ დამოუკიდებლად განაგრძეს სიცოცხლე, ნელი და რიტმული შეკუმშვითა და გაფართოებით. ეს საზიზღარი პულსაცია გაგრძელდა იმ დღეს, მეორე დღესაც და მხოლოდ მესამე დღეს შეწყდა.

ოდესმე, როცა მექნება ნამდვილი მაგიდა და არა მისი მაგიერობის გამნევი კონსერვის ქილა, როცა უკეთესი საწერი მოწყობილობანი მექნება, ვიდრე ფანქრის ნამუსრევი და ერთადერთი გაცრეცილი ბლოკნოტი, დაწვრილებით ავწერ აკალას მოდგმის ინდიელებს, ავწერ ჩვენს ცხოვრებას მათ შორის და მეპლ-უაიტის ჭადოქრულ მხარეს, რომელმაც თანდათანობით გადაშალა ჩვენ წინაშე თავისი საოცრებანი. მეხსიერება არ მიღალატებს. ბავშვობის პირველი შთაბეჭდილებების გვერდით ჩემი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე აღდგება ყოველი წუთი, ყოველი საათი, რომელიც ზეგანზე გამიტარებია, და ვერაფერი აღმოფხრავს ამ მოგონებებს. დადგება დრო და მე ავწერ იმ უცხო მთვარიან ღამეს ცენტრალურ ტბაზე, როცა ინდიელებმა ბადით დაიჭირეს ახალგაზრდა იქთიოზავრი -

სულდგმული, რომელიც არ ჰგავდა არც სელაპს, არც სამთვალა თევზს. ამას მესამე თვალი ზედ კეფაზე ჰქონდა, ორი დანარჩენი კი დაცული იყო ძვლის ფირფიტებით. იმავე ღამეს წყლის მწვანე გველი ისარივით გვეცა ლელიანიდან, თავისი რგოლები შემოუჭირა ჩვენი ნავის მესაჭე ჩელენჯერს და საჩქაროდ წყალში მიიმალა.

არ დამავიწყდეს მოგითხოვთ იმ საოცარი თეთრი არსების შესახებაც - ჩვენ აქამდე არ ვიცით, ეს რა იყო: ქვენარმავალი თუ მხეცი, რომელიც ბინადრობდა დამყაყებულ ჭაობში, ცენტრალური ტბის აღმოსავლეთით. ღამით დაძვრებოდა ბუჩქებში და გამოასხივებდა ხოლმე ძაბუნ ფოსფორისებრ ელვარებას. ინდიელებს ისე ეშინოდათ მისი, რომ თვით ჭაობის სიახლოვესაც კი ვერ გაივლიდნენ ხოლმე, ჩვენ კი ორგანულ ვიყავით აქ, დავინახეთ ეს მხეცი შორიდან, მაგრამ ვერ მივედით მასთან ჭაობის გამო. შემიძლია მხოლოდ ვთქვა, რომ იგი სიდიდით ძროხაზე უფრო დიდია და თავის გარშემო ავრცელებს უსიამოვნო სუნს.

ჩემს მომავალ წერილებში თქვენ შეხვდებით აგრეთვე მოგონებას გიგანტურ ფეხმარდ ფრინველზე, რომლის შიშით ერთხელ ჩელენჯერმა მოკურცხელა და კლდეს შეეფარა. იგი სირაქლემაზე უფრო მაღალია და წაგრძელებულ ტიტველ კისერზე უფრო მახინჭი თავი აქვს. როცა ჩელენჯერი ზევით, ქვებზე მიფორთხავდა, მან თავისი საშინელი ნისკარტის ერთი დაკვრით, როგორც საჭრეთელი, ქუსლი მოჰველი მას, მაგრამ ამ შემთხვევაში თანამედროვე იარაღმა ისახელა თავი. უშველებელი ფორორაკოსი, სიმაღლით თორმეტ ფუტამდე (მოზეიმე პროფესორმა, რომელსაც ჭერ კიდევ ამოსუნთქვაც

ვერ მოესწრო, უკვე გვამცნო მისი სახელი) მიწაზე დაეცა, ლორდ ჭონის ტყვიით განგმირული. კრუნჩხვით აფართხალებდა ფეხებს და ბუმბულის კორიანტელს აყენებდა, თანაც მძვინვარებით მოელვარე ცეცხლისმფრქვეველ ყვითელ თვალებს არ გვაშორებდა. როგორ ვნატრობ იმ დღეს მოვესწრო, რომ ეს მძვინვარე, მიჭიჭყილი თავი დაიჭერდეს თავის შესაფერ ადგილს და დაამშვენებდეს ოლბენის კაბინეტს.

დასასრულ, აუცილებლად უნდა მოვიხსენიოთ ტოქსოდონიც, უზარმაზარი ზღვის ღორი - ორიოდე ფუტი სიმაღლისა, ნინ გამოშვერილი ბასრი კბილებით. იგი ჩვენ მოვკალით განთიადგე, წყლის სასმელად ჩამოსული.

თავის დროზე ყველაფერს უფრო დაწვრილებით მოგითხოვობთ და ჩვენს თავგადასავალთან ერთად სიამოვნებით აღვწერთ იმ იშვიათ ზაფხულის საღამოსაც, როცა ჩვენ, ოთხი მეგობარი, სადმე ტყის პირად წამოწოლილნი ჩვენთვის უცნობ საუცხოოფეროვან ყვავილებში, შევცემოდით ნაყოფით დამძიმებულ რტოებს.

გავვირვებით შევყურებდით ფირუზისფერ ცის სივრცეში მონავარდე უცხო ფრინველებს, მერე თვალს გავაყოლებდით მობიბინე მწვანეს და თვალყურს ვადევნებდით იმ ახირებულ სულდგმულებს, რომლებიც თავიანთი პანაწინა სოროებიდან გამოძვრებოდნენ ხოლმე და გვითვალთვალებდნენ. ავწერ გრძელ, მთვარიან ღამეებს, როცა ნავებით შევცურდებოდით ხოლმე შუაგულ ტბაში და შიშით დავყურებდით მის კაშვაშა ზედაპირს: აი, რომელიღაც ფანტასტიკური ურჩხული წყლიდან ამოვიდა და ფართო წრეები გაჩნდა ტბაზე... ტბის

ბნელი სიღრმე გაბრწყინდა მომწვანო სინათლით, რომელიც აღნიშნავდა ჩვენთვის უცნობი ცხოველის გზას. დაწვრილებით დავიხსომებ ამ სურათებს და ოდესმე ჩემი მეხსიერება და ჩემი კალამი ღირსეულ შეფასებას მისცემს.

თქვენ, ალბათ, იკითხავთ, როგორდა შეგვეძლო ასეთი დაკვირვების ჩატარება, როცა ჩვენ დღე და ღამე უნდა გვეძებნა საშუალება განათლებულ ქვეყანაში დასაბრუნებლად?! აი, რა მოგახსენოთ: ჩვენ ყველანი თავს ვიტებდით ამის გამო, მაგრამ ამაოდ მხოლოდ ერთი რამ გამოირკვა: ინდიელებისაგან დახმარების მოლოდინი ფუჭი იყო; ისინი ჩვენი მეგობრები იყვნენ და თითქმის მონური ერთგულებითაც გვექცეოდნენ, მაგრამ როგორც კი დახმარებაზე დავძრავდით კრინტს, ვეტყოდით გრძელი რამ ფიცარი გადაეთრიათ უფსკრულისაკენ, ან ტყავის თასმებისა და ლიანებისაგანბაგირი დაეწნათ, მაშინვე თავაზიანი, მაგრამ გადამჭრელი უარით შეგვაჩერებდნენ. ისინი გვიღიმოდნენ, თვალსაც ჩაგვიკრავდნენ, მაგრამ ამის მეტი არა გამოდიოდა რა. ძველი ბელადიც კი არ გემორჩილებოდა, მხოლოდ მისი შვილი, მარეტასი, დაღვრემილი შემოგვყურებდა და მუნჯური ნიშნებით გვიხატავდა თავის გულწრფელ თანაგრძნობას.

მაიმუნებთნ ბრძოლის შემდეგ ინდიელები შემოგვცეროდნენ როგორც ზეადამიანებს, რომელნიც გამარტვების საწინდარს ატარებენ თავიანთ საიდუმლო, სიკვდილის მფრქვეველ მილებში და ფიქრობდნენ, რომ სანამ ჩვენ მათთან ვიყავით, ბედი არ უდალატებდათ. წინადადებას გვაძლვდნენ, წითელკანიანი ცოლები

შეგვერთოდა საკუთარი გამოქვაბულები მოგვენყო, ოღონდ კი ჩვენი ხალხი დაგვევიწყებინა და სამუდამოდ მათთან დავრჩენილიყავით ზეგანზე. ჟერ ყველაფერი წესიერად მიდიოდა, მაგრამ ვიცოდით, რომ ჩვენი გეგმები საიდუმლოდ უნდა შეგვენახა, ვინაიდან თუ ინდიელები გაგვიგებდნენ, შეეძლოთ ჩვენი დაკავება ძალდატანებით.

მიუხედავად იმისა, რომ შეიძლებოდა, დინობავრებს შევხებოდით (სხვათა შორის, ეს ისეთ საშიშროებას აღარ წარმოადგენდა, ვინაიდან, როგორც აღნიშნული გვქონდა, ისინი უმთავრესად ღამით ნადირობენ), უკანასკნელი სამი კვირის განმავლობაში ორჯერ ვიყავი ჩვენს ძველ ბანაკში სამბოს სანახავად. იგი ადრინდებურად არ სცილდებოდა თავის საგუშაგოს მთის ქედის ძირში. თვალებს გაფაციცებით მივაშტერებდი ხოლმე განუსაზღვრელ ვაკეს იმ იმედით, ეგებ იქიდან გამოჩნდეს-მეთქი დიდი ხნის ნანატრი ხსნა. მაგრამ კავტუსებით დაფარული სივრცე უკაცრიელი იყო და მათ ერთფეროვნებას არაფერი არღვევდა ბამბუკის ტევრის კედლამდე, რომელიც ძლივძლივობით მოჩანდა.

- ისინი მალე მოვლენ, მისტერ მელოუნ. ერთი კვირაც კიდევ მოიცადეთ. ინდიელები ბაგირებით მოვლენ და თქვენ მანდედან ჩამოგიყვანენ! - ასე მამხნევებდა ჩვენი შესანიშნავი სამბო.

მეორედ ჩვენს ძველ ბანაკში გავათიერ ღამე. დილით, უკან რომ ვბრუნდებოდი, გზაში მოულოდნელი რამ შემემთხვა. კარგად ნაცნობი გზით ვბრუნდებოდი და პტეროდაქტილების ჭაობს ვუახლოვდებოდი, როცა ჩემ წინ ბუჩქებიდან აღიმართა რაღაც უცნაური საგანი.

როცა დავაკვირდი, აღმოჩნდა ადამიანი, რომელსაც თავზე

ჩამოფხატული ჰქონდა ლერწმის გალიის მაგვარი რამ, რომელიც ყოველმხრივ იცავდა მას. წარმოიდგინეთ, რა განვიცადე, როცა ამ ადამიანში ლორდ ჭონ როქსტონი ვიცანი! დამინახა თუ არა, მაშინვე გამოძვრა ამ უცნაური წნულიდან და გაიცინა, მხოლოდ სახეზე დარცხვენილობა ემჩნეოდა.

- ეს თქვენ ხართ, ჭაბუკო? - თქვა ლორდ ჭონმა. - არ ველოდი სწორედ ასეთ შეხვედრას.

- აქ რას აკეთებთ? - შევეკითხე მე.

- მოვინახულე ჩემი მეგობრები, - პტეროდაქტილები, - მიპასუხა მან წყნარად.

- რად გინდოდათ?

- საყურადღებო მხეცები არიან, ოღონდ არასტუმართმოყვარენი! თქვენ კარგად იცით, როგორ ხვდებიან ხოლმე დაუპატიჟებელ მნახველებს. აი, ამისათვის დავწენი ეს კალათი, რათა თავი დავიცვა მათი თავაზიანობისაგან.

- მერე რა გინდოდათ მაინც ამ ჭაობში?

ლორდ ჭონმა გამოცდილი თვალით შემომხედა და მივხვდი, რომ მას რაღაც ეჭვები აბრკოლებდა.

- თქვენი აზრით, ცნობისმოყვარეობა ახასიათებს მხოლოდ იმ ადამიანებს, რომელთაც პროფესორის წოდება აქვთ? - თქვა მან ბოლოს. - მე ამ საყვარელ არსებათა შესწავლა მინდა, მეტი არაფერი. ხომ საკმარისია ეს განმარტება?

- უკაცრავად, - მივუგე მე.

მაგრამ გულკეთილობამ ამ შემთხვევაში არ უდალატა ლორდ ჭონს

და გაიცინა.

- ნუ იწყენთ, ჭაბუკო, მე მინდა დავიჭირო პანაწინა წინილი ჩელენჯერისათვის. ესაა ჩემი უმთავრესი ამოცანა. არა, გმადლობთ, თქვენი დახმარება არ მესაჭიროება. ამ კალათაში აღარავისი მეშინია, თქვენ კი საფარი არ გაქვთ. აბა, ნახვამდის, საღამოს მელოდეთ.

ჩამოიფხატა თავისი ულაზათო კალათა, გაბრუნდა და გასწია ტყისკენ.

თუ ლორდ ჭონის საქციელი ამ დღეებში ახირებული იყო, რაღა უნდა ითქვას ჩელენჯერზე? უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი პროფესორი მოსწონდათ ინდიელ ქალებს და ამიტომაც მუდამ პალმის ტოტს ატარებდა, რომლითაც თავის თაყვანისმცემლებს იგერიებდა, როგორც ბუზებს, როცა ისინი თავისი გადაჭარბებული ყურადღებით გასაქანს აღარ აძლევდნენ მას. წარმოგიდგენიათ, რა სანახაობა იქნებოდა ეს ყოველივე? ალბათ, ყველაზე უფრო კომიკური, რაც კი მეპლ-უაიტის ქვეყანაში მინახავს. წარმოიდგინეთ ჩელენჯერი, რომელსაც სიარულის დროს ფეხის წვერები განზე დაჰქონდა. მას ხელთ ეპყრა ძალაუფლების სიმბოლოები, როგორც ოპერეტის შავწვერა სულთანს, უკან მისდევდა მთელი ამალა ინდიელი ქალებისა, რომელთაც ტანზე მცენარეული წმინდა ბოჭკოსაგან შემზადებული სამოსი ეცვათ.

რაც შეეხება სამერლის, იგი გატაცებული იყო მეპლ-უაიტის ქვეყნის მწერთა და ფრთოსანთა სამყაროს შესწავლით და მთელ დროს ანდომებდა შეძენილ ეგზემპლართა პრეპარატების კეთებას, თუ იმ საათებს არ მივიღებთ მხედველობაში, როცა იგი ჩელენჯერთან

კინკლაობდა.

ჩელენჯერი ყოველ დილით სადღაც ქრებოდა და მხოლოდ შუადღისას ბრუნდებოდა ისეთი საზეიმო სახით, თითქოს წელში ყოფილიყო გაწყვეტილი პასუხისმგებლობის უმძიმესი ტვირთით, რაღაც არაჩვეულებრივად სერიოზული საქმის გამო.

ერთ მშვენიერ დღეს პალმის ტოტით ხელში თან წაგვიყვანა და გაგვაცნო თავისი საიდუმლო გეგმები.

ჩვენ გვერდით, პატარა მინდორზე, პალმის ჭილის შეა ალაგას დავინახეთ ერთი იმ ტალახის გეიზერთაგანი, რომლისშესახებაც მე უკვე მქონდა ლაპარაკი. გარშემო ეყარა უამრავი ღვედი, იგუანოდონის დაჭრილი ტყავები, იქვე ეგდო დიდი ნაჭერი აპკისებური გარსისა - შემდეგ გამოირკვა, რომ ეს სხვა არაფერია, გარდა გამოფხევილი და გამომშრალი თევზისებრი ხვლივის კუჭისა. ამ ნაპირებზე გაკერილ გარსში დატოვებული იყო პატარა ნახვრეტი ბამბუკის რამდენიმე ნაჭრისაგან. მათი მოპირდაპირე ბოლოები უერთდებოდა თიხის ძაბრებს, რომლებიც იკრეფდნენ გეიზერის ცხელი ნაკადის მიერ გამონაყოფ ბუშტებს. დაჩუტულმა აპკმა ნელ-ნელა იწყო ბერვა და გამოიჩინა პაერში აფრენის მისნრაფება, რის გამოც ჩელენჯერი იძულებული იქნა ხეზე მიემაგრებინა ის ღვედები, რომლებიც მას თვითონ ჰქონდა ტანზე შემორტყმული, საპაერო ბურთის დასამაგრებლად. ნახევარი საათის შემდეგ იგი გადაიქცა ნამდვილ საპაერო ბურთად და იმის მიხედვით, თუ ეს ბურთი როგორ ჭიმავდა ღვედებს და ზევით იწევდა, მისი ამწევი ძალა დიდი უნდა ყოფილიყო. ჩელენჯერი მდუმარედ შესცქეროდა მისი გენიის

ქმნილებას და თავმოწონებით წვერზე ხელს ისვამდა. არც მეტი, არც ნაკლები, ნამდვილი ბედნიერი მამა იყო, რომელიც თავის პირმშოს შეხაროდა.

გაჭიანურებული სიჩუმე სამერლიმ დაარღვია.

- ნუთუ თქვენ მართლა აპირებთ ამ მანქანით ზევით აფრენას? - ცივად იკითხა მან.

- ჯერჯერობით მინდა დაგანახვოთ მისი ძალა, ძვირფასო სამერლი, რათა თქვენ არავითარი ეჭვი არ დაგებადოთ.

- მაშ, გირჩევთ დაუყოვნებლივ მოიშოროთ თავიდან ეს სისულელე,

- გადაჭრით განაცხადა სამერლიმ, - ვერასგზით ვერ მაიძულებთ ასეთ სიგიჟეზე დაგეთანხმოთ. ლორდ ჭონ, ვიმედოვნებ, თქვენ მხარს არ დაუჭერთ ასეთ ავანტიურას...

- გონებამახვილად გამოგონილი რამაა! - თქვა ჩვენმა წინამშროლმა.

- ახლავე ნახავთ, - თქვა ჩელენჯერმა, - ამ უკანასკნელ დღეებში მთელი ჩემი გონების დაძაბვით შევუდექი იმ ამოცანის გადაჭრას, თუ როგორ დავაღწიოთ თავი აქაურობას. ჩვენ უკვე დავრწმუნდით, რომ ციცაბო კლდეზე ჩასვლა შეუძლებელია, გვირაბი კი აღარ არსებობს, ხიდის გადება იქით კლდეზე არასგზით არ ხერხდება. მაშ რაღა უნდა ვქნათ? ამას წინათ ლაპარაკი მქონდა ჩვენს ჭაბუკ მეგობართან იმის შესახებ, რომ ამ გეიზერებიდან გამოიყოფა წყალბადი, თავისუფალ მდგომარეობაში. აქედან კი ლოგიკურად გამომდინარეობდა აზრი საპარერო ბურთის შესახებ. უნდა გამოვტყდე, მე რამდენადმე მაშტოთებდა საკითხი, სადღა ვიშოვოთ მისთვის გარსი, მაგრამ როცა

თვალწინ დამხვდა ვებერთელა შიგნეული ადგილობრივი ქვემდრომისა, მე ეჭვი უკვე აღარაფრის მქონდა... და აი ჩემი შრომის შედეგები.

მან ერთი ხელი თვის დახეულ ქურთუკში ჩაიდო, მეორე კი მედიდურად წინ გაიშვირა.

ამ ხნის განმავლობაში ბურთი სავსებით გაიბუშტა და ღვედები ძლვსდა იმაგრებდნენ მას.

- ბოდვაა! ნამდვილი ბოდვა! - დაიფრუტუნა სამერლიმ. მაგრამ ლორდი ჭონი აღტაცებული იყო ჩელენჯერის ამ აზრით.

- აი, რა გოგრა ჰქონია ჩვენს ბებრუცუნას! - წამჩურჩულა მან. მერე ხმამაღლა განაცხადა. - კალათის შესახებ რაღას ფიქრობთ? - ახლა კალათზეც ვფიქრობ. მე უკვე მაქვს მცირეოდენი მოსაზრებანი ამის შესახებ. ახლა კი გიჩვენებთ, რომ ჩემს აპარატს შეუძლია ასწიოს ყოველი თქვენგანი.

- თქვენ გინდათ თქვათ, - ყველანი ერთად?

- არა, ჩვენ მორიგეობით ჩავალთ ქვევით, ამოსასვლელი მოწყობილობა გაკეთებული არაა. თუ ჩვენი აპარატი გაუძლებს ერთი კაცის სიმძიმეს და ფრთხილად დაუშვებს მას მიწაზე, ეს იმას მოასწავებს, რომ ყოველივე თავის რიგზეა, ახლავე გამოვცდით.

მან მოათრია კაი მოზრდილი ნამტვრევი ბაზალტისა და გარშემო თოვი შემოუჭირა - სწორედ ის თოვი, რომლის შემწეობითაც პირამიდულ ციცაბოზე ასვლა შევძელით. იგი 100 ფუტამდე იქნებოდა სიგრძით და, თუმცა არც ისე მსხვილი იყო, მაგრამ მეტად მაგარი. მერე გვაჩვენა რაღაც ტყავის საყელურის მაგვარი გრძელი ბაგირები.

ჩელენჯერმა აღმართა ეს საყელური საპაერო ბურთზე, კარგად შეკრიბა ძირს დაკიდებული ბაგირები, ისე რომ ტვირთის სიმძიმე განაწილებული ყოფილიყო თანაბრად მთელ ზედაპირზე, მიაბა ზედ ბაზალტის ნამტვრევი და თოვის ბოლო ხელზე დაიხვია.

- ახლა განახვებთ ტვირთის ატანის უნარს ჩემი აპარატისას, - განაცხადა მან და წინდაწინვე ტკბებოდა თავისი გამარჯვებით. ამ სიტყვებით გადაჭრა მან მძლავრად დაჭიმული ღვედები.

არასოდეს ჩვენი ექსპედიცია არ ყოფილა ამაზე უფრო ახლოს დაღუპვასთან, და ისიც - მთელი შემადგენლობით! გაზით გავსებულმა ბურთმა მკვეთრი სისწრაფით გასწია ზევით და თან ჩელენჯერიც გაიყოლა. მე ძლივს მოვასწარი მისთვის წელზე შემომეხვია ხელები და მეც ავტონდი ჰაერში. ლორდ ჭონმა მარწეხივით ჩამჭიდა ფეხებში ხელი და თან გამოგვყვა. ერთი წეთით ჩემს თვალებს წარმოუდგა ახირებული სანახაობა, ოთხი გამბედავი მოგზაური წვრილი ძენკვის გირლანდსავით ჩაბმული, ზევიდან გადმოჰკიდებოდა იმ ქვეყანას, რომლის საიდუმლოებათა გამოცნობასაც ისინი ცდილობდნენ. მაგრამ ბედად, თოვის სიმტკიცესაც საზღვარი ჰქონდა, რაც არ შეიძლება ითქვას ამ ეშმაკური აპარატის ამწევ ძალაზე. გაისმა ტკაცანი და ჩვენ - ოთხივენი ტყვიასავით დავეშვით ძირს. ნაწყვეტ თოვში გახლართულებმა ძლივს შევძელით ფეხზე დადგომა და დავინახეთ, თუ როგორი სისწრაფით მიღიოდა ზევით ბაზალტის ნამსხვრევი, რომელიც მეტად შეუმჩნეველი შავი წერტილივით მოჩანდა მოკაშვაშე ლაჟვარდოვან ცაზე.

- ბრწყინვალეა! - წამოიძახა გულგაუტეხელმა ჩელენჯერმა და

თანაც ნატკენ ხელს ისრესდა. - ცდამ საუცხოოდ ჩაიარა. თვითონაც არ მეგონა, თუ ასეთ გამარტვებას მივაღწევდი. გპირდებით, ჰენტლმენებო, რომ ახალი ბურთი მზად იქნება ერთი კვირის შემდეგ და სრულიად დამშვიდებულნი ჩავატარებთ სამშობლოში დაბრუნების პირველ ეტაპს.

აქამდე ჩემი დღიურის ჩანაწერებს ვაწარმოებდი შემთხვევიდან შემთხვევამდე. ახლა კი, როცა აღარაფერი გვემუქრებოდა, როცა ყველა უბედურებამ უკვე სიზმარივით გადაგვიარა, ჩემს თხრობას ვამთავრებ იმ ბანაკში, ნითელ კლდეთა ძირში, სადაც ჩვენი სამბო გველოდებოდა.

ძირს დაშვებას არავითარი გართულება არ გამოუწევია. ვინ მოიფიქრებდა, რომ ყოველივე სწორედ ასე მოხდებოდა? თვენახევრის თუ ორი თვის შემდეგ უკვე ლონდონში ვიქენებით და შეიძლება, ჩემმა წერილმა ბევრით ვეღარც კი დამასწროს. მთელი ჩვენი გრძნობებითა და აზრებით უკვე შინ ვართ, მშობლიურ ქალაქში, სადაც ყოველ ჩვენგანს ამდენი ძვირფასი და საყვარელი მოგონება დარჩა.

გარდატეხა ჩვენს ბედში იმ დღიდან დაიწყო, როცა ჩელენჭერმა თავისი გაბედული ექსპერიმენტი მოახდინა საპაერო ბურთზე. უკვე გიამბეთ, რომ ერთადერთი ადამიანი, რომელიც ჩვენს ტაფობიდან თავის დაღწევას თანაუგრძნობდა, იყო ჩვენ მიერ გადარჩენილი ინდიელი ჭაბუკი, შვილი ძველი ბელადისა. ჩვენ მივხვდით მისი მეტყველი ჟესტიკულაციის მიხედვით, რომ მას არ სურდა ჩვენი დატოვება ამ უცხო ქვეყანაში.

იმ საღამოს, როცა შეღამდა, მარეტასი შეუმჩნევლად შემოიპარა ბანაკში, გამომიწოდა მცირე გრაგნილი ხის ქერქისა (იგი ყოველთვის ცდილობდა, ჩემთან დაეჭირა საქმე, ალბათ, იმიტომ, რომ წლოვანებითაც უფრო შევეფერებოდით ერთმანეთს, - დაახლოებით ერთი ხნის ვიყავით), მერე მედიდურად გაიშვირა ხელი გამოქვაბულისაკენ, დაიდო თითი ბაგეზე და ისევ შეუმჩნევლად წავიდა თავისიანებთან.

კოცონს ახლოს მივუსხედით და დაკვირვებით გავსინჯეთ გადმოცემული გრაგნილი. ამ ხის ქერქის კვადრატული ნაჭერი, რომელიც ერთი კვადრატული ფუტის თუ იქნებოდა, შიგნითა მხარეს ნახშირით დახაზული აღმოჩნდა. ისინი პრიმიტიული ნახატების ჩანაწერს მიაგავდა.

- თქვენ მიაქციეთ ყურადღება, რა მრავალმნიშვნელოვანი გამომეტყველება ჰქონდა? - შევეკითხე ამხანაგებს. - ეს რაღაც დიდმნიშვნელოვანი უნდა იყოს ჩვენთვის.

- შეიძლება ამ ველურმა ჩვენთან გახუმრება მოინდომა, - თქვა სამერლიმ.

- ასეთი ელემენტარული გასართობებით იწყება ალბათ ადამიანის განვითარება.

- ეს რაღაც შიფრია, - თქვა ჩელენჯერმა.

- ან რებუსი, - დასძინა ლორდ ჭონმა და უცბად გამომტაცა ხელიდან ეს ქერქი, - პატიოსან სიტყვას ვიძლევი, რომ მე ვგონებ უკვე გამოვიცანი იგი! ჭაბუკი მართალია. დახედეთ, რამდენი ჩხირია აქ! თვრამეტი. რამდენი გამოქვაბულია ფერდობის იქითა მხარეს? - იგივე

თვრამეტი.

- მართლაცდა, მან ხომ გამოქვაბულებზე მიგვითითა?! - დავძინე მე.
- მაშასადამე, სწორია! ეს გამოქვაბულთა გეგმაა. დახედეთ, სულ თვრამეტი ჩხირია.
- სულ თვრამეტი ჩხირია, არის მოკლეებიც. არის გრძელი, ზოგიც კიდევ ორ გზად გამოყოფილი. ერთი ჭვრითაა დანიშნული. რისთვის? ალბათ, იმისათვის, რომ გამოვყოთ ერთი გამოქვაბული, რომელიც სხვებზე უფრო ღრმაა?
- გამჭოლი? - წამოვიძახე მე.
- ჩვენი ჭაბუკი მეგობარი, როგორც ჩანს, მართალია, - დამიჭირა მხარი ჩელენჯერმა, - ასე რომ არ იყოს, რისთვის დასჭირდებოდა ინდიელს იმ გამოქვაბულის ჭვრით აღნიშვნა. ბოლოს და ბოლოს, ჩვენგან დიდად არის დავალებული და გასაკვირი არ არის, რომ კარგად გვექცეოდეს. მართლაც და, ის გამოქვაბული თუ ნამდვილად გამჭოლია და იქითა მხარეზე იმავე დონეზე გადის, დედამიწამდე ასი ფუტიღა დარჩება.
- ასი ფუტი სრულიად უმნიშვნელო რამაა! - წაიბუზღუნა სამერლიმ.
- ჩვენი თოვი ხომ უგრძესია! - წამოვიძახე მე. - ისე ჩავალთ, რომ ჭაფაც არ დაგვადგეს.
- ინდიელები დაგავიწყდათ? - არ ცხრებოდა სამერლი.
- ეს გამოქვაბულები ცარიელია, - ვთქვი მე, - ისინი საწყობებად და ბეღლებად აქვთ. აბა, ერთი ავიდეთ ბარემ ახლავე და დაზვერვა მოვახდინოთ.

ზეგანზე ერთი მაგარი, ზეთიანი ხე ხარობს, ჩვენი ბატონი კოსის

სიტყვით, პრაუკარიის სახეობაა, რომლის შტოებს ინდიელები მაშეალად იყენებდნენ. ჩვენ ყველამ მისი ტოტები წავიღეთ და ხავსმოდებული საფეხურებით იმ გამოქვაბულში ავედით, რომელიც ჭვრით იყო აღნიშნული. როგორც ვივარაუდე, იგი უკაცრიელი აღმოჩნდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ უამრავ ღამურას, რომლებმაც ჩვენ ზემოთ ფრენა მორთეს. ინდიელთა ყურადღება რომ არ მიგვეპყრო, ჩვენ კარგა ხანს ბნელში ვეხეტებოდით და ხელის ფათურით ვეძებდით მოსახვევებს, კუთხეებს და როცა კარგა მანძილზე გავშორდით შესასვლელს, ჩირაღდნებიც გავაჩაღეთ. ჩვენ თვალწინ აღმოჩნდა მშრალი, თეთრი ხრეშით მოფენილი გვირაბი თაღიანი ჭერით და სწორი, ნაცრისფერი კედლებით, რომელნიც ცხოველთა გამოსახულებით იყო დაფარული. წინ მივიჩქაროდით, მაგრამ უცბად გულგატეხილებმა შევყვირეთ: ჩვენ წინ მთელი ქვის კედელი აღიმართა - არსად იყო არც ნახვრები, არც ნაპრალი, თაგვიც კი ვერსად გაძვრებოდა.

ნაღვლიანად შევცქეროდით მოულოდნელ დაბრკოლებას, რომელიც წინ გადაგვეღობა. ეს კედელი არაფრით გამოირჩეოდა გვირაბის გვერდითი კედლებისაგან. მაშასადამე, აქ ჩამოზვავება არ ყოფილა, როგორც იმ ცნობილ მიწისქვეშა სავალში, ეს იყო ნამდვილი ჩიხი და სხვა არაფერი.

- ნუ შეწუხდებით, მეგობრებო, - თქვა შეუდრეველმა ჩელენჯერმა, - ხომ დაგპირდით მეორე საპაერო ბურთის გაკეთებას!

სამერლიმ დაიკვნესა.

- შესაძლოა, გამოქვაბული შეგვეშალა? - ვთქვი მე.

- კარგია, ერთი, ჭაბუკო! - ლორდ ჭონმა თითი გააყოლა გეგმას. მეჩვიდმეტე გამოქვაბული მარჯვნიდან, იგივე მეორეა მარცხნიდან. არა, შეცდომა არ მოგვსვლია.

დავხედე ჭვარს და უეცრად სიხარულით აგზნებულმა წამოვიძახე:

- ვიცი! ვიცი! მომყევით! - ამასთანავე ჩირაღდანი მაღლა ავწიე და უკანვე გავექანე. - აი, იქ, - მივუთითე ასანთის წამწვავებზე, რომლებიც ხრემზე ეყარა, - ჩვენ ჩირაღდონები აქ ავანთეთ.

- სრული ჭეშმარიტებაა.

- ნახატზე ხომ სრულიად გარკვევითაა, რომ გამოქვაბულში განშტოებაა. მაშ, ჩვენ ეს ალაგი სიბნელეში ვერ შეგვინიშნავს. მარჯვენა მხარეს გავყვეთ და დარწმუნებული ვარ, გასასვლელს მივაგნებთ.

როგორც ვამბობდი, ისეც მოხდა. ოცდაათი იარდის შემდეგ, კედელში შავად გამოჩნდა დიდი ღრუ. იქით შევუხვიეთ და გაცილებით უფრო ვრცელ გვირაბში ამოვყავით თავი. მოუთმენლობა წინ გვერევებოდა. ერთი ასეული იარდი, მეორე, მესამე... და უცბად გამოკრთა მოწითალო შექი. ნეტავ, ეს რა უნდა ყოფილიყო? თანაბარი, უციმციმო ალი გზაზე გვეღობებოდა. ფეხს ავეჩქარეთ. ამ ცეცხლით მოყენებულ სიცხეს ვერ ვგრძნობდით. ყოველივე დუმდა. არც ფაჩუნი, არც ხმა... ამავე დროს ცეცხლის ფარდა არ ქრებოდა და მისი შექი ვერცხლივით აელვარებდა მთელ გვირაბს და თეთრ სილას ბრჭყვიალა ალმასებად ხდიდა. კიდევ უფრო მივუახლოვდით და ფერადის კიდური უფრო გარკვეულად მომრგვალდა ჩვენ თვალწინ.

- ეს მთვარეა, გეფიცებით! - წამოიძახა ლორდ ჭონსმა. - ჩვენ

თავისუფლები ვართ, მეგობრებო! თავისუფლები!

მართლაც, იმ გამონგრეულში, რომელიც გამოდიოდა მთის ქედის იქითა მხარეზე, გაძადრული მთვარე კაშკაშებდა. გამონგრეული დიდი არ აღმოჩნდა, ფანჯრისხელა იქნებოდა, მაგრამ ჩვენთვის ესეც საკმარისი იყო. გავიხედეთ იქით და დავინახეთ, რომ ჩასვლა არც ისე ძნელი იქნებოდა და მიწაც შორს აღარ იყო. ამ საძრომელ ზეგანზე შემოვლის დროს ჩვენ, რასაკვირველია, ვერ შევნიშნეთ. აბა ვის მოუვიდოდა აზრად, რომ სწორედ აქ ეძებნა ზევით ასასვლელი ადგილი, ამ ქვევით გადმოწოლილ კლდეებში? დავრწმუნდით, რომ აქედან თოკით შეიძლებოდა ჩასვლა. გახარებულნი დავბრუნდით ბანაკში, რათა ხვალინდელ საღამოსათვის სამზადისს შევდგომოდით.

საჭირო იყო გვემოქმედა საიდუმლოდ და დაუყოვნებლივ, ვინაიდან ინდიელებს შეეძლოთ ჩვენი დაკავება სულ უკანასკნელ წუთშიც. გადავწყვიტეთ, დაგვეტოვებინა მთელი ჩვენი მოწყობილობა, გარდა იარაღისა და ვაზნებისა, თუმცა ჩელენჯერს ჰქონდა რამდენიმე ვეებერთელა ნივთი, რომლის წამოღებაც უნდოდა, ყოველ მიზეზგარეშე. ერთმა მათგანმა მაინც ბევრი საზრუნავი გაგვიჩინა, მაგრამ ამაზე ჯერჯერობით სიტყვას არ გავაგრძელებ.

დღე მეტად გაჭიანურდა, მაგრამ, აი ბინდიც ჩამოწვა. ყველაფერი მზად გვქონდა. დიდი სიფრთხილით ავიტანეთ ჩვენი ბარგი-ბარხანა ზევით, კიბეზე შევდექით გამოქვაბულის შესასვლელთან, უკანასკნელად გადავავლეთ თვალი ამ გაუგებარ, ჩვენთვის რომანტიკული ნისლის საბურველით მოცულ ქვეყანას, რომელსაც მოედებიან მონადირენი და ყოველგვარი მკვლევრები; იმ ქვეყანას,

სადაც ჩვენ ბევრს ვძედავდით, სადაც ბევრი რამ განვიცადეთ და ბევრიც შევისწავლეთ - ჩვენს ქვეყანას, როგორც ჩვენ მას ყოველთვის სიყვარულით ვუწოდებთ ხოლმე.

ჩვენ მარცხნივ მდებარე გამოქვაბულები კოცონთა მხიარულ, მონითალო შექს აბნევდნენ წყვდიადში. ქვემოდან მოისმოდა ხმები: სიცილი და სიმღერა ინდიელებისა. შორს კედელივით ამართულიყო ტყიანი ტევრი, მასა და კლდოვან მთაგრეხილს შორის ელვარებდა დიდი ტბა - უცნაურ ურჩხულთა სავანე. აი, სიბნელეში ზარივით გაისმა გამგმირავი ძახილი რაღაცა მხეცის. ეს იყო ხმა მეპლ-უაიტის ქვეყნისა, რომელიც უკანასკნელ სალამს გვითვლიდა. ჩვენ მოვბრუნდით და იმ გამოქვაბულში შევედით, რომელსაც შინ მიმავალ გზაზე უნდა დავეყენებინეთ.

ორი საათის შემდეგ უკვე მთელი ბარგი-ბარხანით უკვე მთაგრეხილის ძირში ვიყავით. ჩასვლით იოლად ჩავედით, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ჩელენჯერის ბარგით განამებას. მთელი ბარგი იქვე მივატოვეთ და მსუბუქად გავწიეთ სამბოს სადგომისაკენ. რა გაოცებულნი დავრჩით, როცა ჩვენ წინ განთიადზე გადაიშალა ვაკე, რომელზეც ერთი კოცონის ნაცვლად, სულ მცირე, ათი კოცონი მაინც გიზგიზებდა! მაშველი პარტია მოსულიყო. იგი შედგებოდა ოცი ამაზონელი ინჟინრისაგან, რომელთაც მოეტანათ თოკები, ბაგირები და ყოველივე, რაც საჭირო იყო უფსკრულზე ხიდის გასადებად.

აბა, ახლა კი აღარ დაგვადგება გასაჭირი ამაზონის ნაპირებამდე იმის გამო, ბარგის გადამტანი რომ არ გაგვაჩნია.

ბედის მადლიერი ამით ვამთავრებ ჩემს მოთხოვობას. ჩვენ გაგვაოცა

საოცრებათა და საკვირველებათა ნახვამ. ჩვენი მძიმე განცდებით გამობრძმედილი სულები განიწმინდა, ჩვენ ყველანი, რასაკვირველია, თავისებურად გავხდით უკეთესნი, უფრო დინამი.

შესაძლოა, პარაში შეჩერება მოგვიხდეს, რადგან საჭირო იქნება მომარაგება ყველაფრით, რაც მოგვინდება მოგზაურობის გასაგრძელებლად. ამ შემთხვევაში ეს წერილი ერთი რეისით დამასწრებს. ხოლო, თუ პირდაპირ დავადექით გზას, იმ შემთხვევაში იგი ჩემთან ერთად მიაღწევს ლონდონს. ასე თუ ისე, ძვირფასო მისტერ მაკ-არდლ, იმედი მაქვს, მალე ჩამოგართმევთ ხელს.

თავი მეთექვსმეტე  
„ქუჩაში! ქუჩაში!“

ჩემს მოვალეობად ვრაცხ, უღრმესი მაღლობა მოვახსენო ჩვენს ამაზონელ მეგობრებს, რომელთაც ისე გულთბილად მიგვიღეს და უდიდესი ყურადღებით მოგვეპყრნენ. განსაკუთრებული მაღლობა დაიმსახურეს სენიორ პენელოსმა და ბრაზილიის მთავრობის დანარჩენმა მოხელეებმა, რომელთა დახმარებამ უზრუნველყო ჩვენი შინ დაბრუნება, აგრეთვე სენიორ პერეირამ - აუცილებელი ტანსაცმლის წინდახედულად დამზადებით. ასე რომ, ახლა აღარ შემრცხვება განათლებულ ქვეყანაში გამოჩენის.

სამწეხაროდ, ვერ გადავუხადეთ ჩვენს კეთილისმყოფელებს მათი

სტუმართმოყვარეობისათვის, მაგრამ რა გაეწყობა! ვსარგებლობ შემთხვევით, დავარწმუნო ისინი, ვისაც აზრად მოუვა ჩვენი მიბაძვით მეპლ-უაიტის ქვეყნის მოვლა, რომ ეს მხოლოდ დროისა და ფულის დაკარგვა იქნება. ჩვენს მოთხოვობებში ყველა სახელი შევცვალეთ. როგორც უნდა შეისწავლოთ ექსპედიციის ანგარიშები, ახლოსაც ვერ მიუდგებით იმ ადგილებს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ სამხრეთ ამერიკაში ჩვენამდე გამოწვეულ დიდ ინტერესს მხოლოდ ადგილობრივი ხასიათი ჰქონდა, მაგრამ ვინ წარმოიდგენდა, თუ რა სენსაციას მოახდენდა ევროპაში პირველი ბუნდოვანი ხმები ჩვენი თავგადასავლის შესახებ. თურმე ჩვენით არა მარტო მეცნიერთა სამყარო, ფართო საზოგადოებაც ვი იყო დაინტერესებული, თუმცა ჩვენ ეს შედარებით გვიან გავიგეთ.

როცა „იბერია“ ორმოცდაათი მილის მანძილზე მიუახლოვდა საუთპემპტონს, უმავთულო ტელეგრაფი დეპეშას დეპეშაზე გვაწვდიდა სხვადასხვა გაზეთისა და სააგენტოსაგან, რომლებიც დიდალ გასამრჯელოს გვთავაზობდნენ ექსპედიციის შედეგთა შესახებ სულ მცირე ცნობისათვისაც ვი. მაგრამ მოვალეობა გვავალებდა, უპირველეს ყოვლისა, ანგარიში ჩაგვებარებინა ზოოლოგიური ინსტიტუტისათვის, რომელმაც დაგვაფალა გამოძიების მოხდენა, და ერთმანეთთან მცირე მოლაპარაკების შემდეგ უარი განვაცხადეთ, რაიმე ცნობა მიგვენოდებინა პრესისათვის. საუთპემპტონი გაჭედილი იყო რეპორტიორებით, მაგრამ ჩვენგან ვერაფერს ეღირსნენ და ამიტომ ადვილი წარმოსადგენია, რა ინტერესით მოელოდა საზოგადოება სხდომას, რომელიც 7 ნოემბრის საღამოს იყო

დანიშნული.

ზოოლოგიური ინსტიტუტის დარბაზი - სწორედ ის, სადაც არჩეული იქნა თვით ჩვენი შემონმებული კომისია, საკმარისი არ აღმოჩნდა და ამიტომ სხდომა დანიშნეს კუინს-ჰოლში, როჯენტსტრიტზე. ახლა უკვე აღარავის ჰერნდა ეჭვი, რომ სხდომის მომწყობლებს ალბერტ-ჰოლიც რომ აეღოთ, ყველა მსურველებს ისიც კი ვერ დაიტევდა.

ეს შესანიშნავი სხდომა დაინიშნა ჩვენი ლონდონს ჩამოსვლის მეორე საღამოსვე. ნავარუდევი იყო, რომ პირველ დღეს პირად საქმეებს მოვუნდებოდით. ჩემს საქმეებზე ჯერჯერობით ვდუმდით. გაივლის დრო და შეიძლება უფრო გამიადვილდეს ფიქრი და ლაპარაკიც ყველაფერზე. ჩემი მოთხრობის დასაწყისში მე მკითხველს გადავუშალე, თუ რა ძალებით ვიყავი აღძრული სამოქმედოდ. ახლა კი თითქმის შესაძლოა გამომჟღავნება იმისა, თუ ეს ყოველივე რით გათავდა. ხომ დადგება დრო, როცა მე ჩემს თავს ვეტყვი, რომ დასანანებელი არაფერია. რაღაც ძალამ წამაქება ამ გზისაკენ და ამ ძალისაგან ვარ დავალებული.

ახლა კი გადავალ უკანასკნელ ამბავზე, რომელმაც დაამთავრა ჩვენი ეპოპეა. როცა თავისტეხაში ვიყავი, თუ როგორ ამენერა იგი საუკეთესოდ, თვალი მოვატანე „ დეილი-გაზეთის “ 8 ნოემბრის ნომერს, რომელშიც მოთავსებული იყო სრული ანგარიში ზოოლოგიურ ინსტიტუტში დანიშნული სხდომისა, დაწერილი ჩემი მეგობრისა და კოლეგის - მაკდონას მიერ. მოვიყვან ამ ანგარიშს მთლიანად, სათაურის ჩათვლით - სულერთია, უკეთესს ხომ ვერას მოიფიქრებ. რასაკვირველია, ჩვენმა „ დეილმა “ , იმით

თავმოწონებულმა, რომ ექსპედიციაში მონაწილეობდა მისი საკუთარი კორესპოდენტი, განსაკუთრებით დიდი ადგილი დაუთმო ზოოლოგიურ ინსტიტუტში მომხდარ ამბებს, მაგრამ არც სხვა დიდმა გაზეთებმა დატოვეს იგი უყურადღებოდ.

მაშ სიტყვას ვაძლევ ჩემს მეგობარ მაკდონას:

„ ახალი სამყარო „

დიდი სხდომა კუინს-ჰოლში  
მღელვარე სცენები დარბაზში  
არაჩვეულებრივი შემთხვევა  
ეს რა მოხდა?  
ღამის დემონსტრაცია რიჭენ-სტრიტზე  
(ჩვენი საკუთარი კორესპოდენტისაგან)

გუშინ კუინს-ჰოლში შედგა დიდი ხნის ნანატრი სხდომა ზოოლოგიური ინსტიტუტისა, რომელზედაც მოსმენილ იქნა ერთი წლის წინათ სამხრეთ ამერიკაში გაგზავნილი კომისიის ანგარიში. ამ კომისიას უნდა შეემოწმებინა პროფესორ ჩელენჯერის მიერ წარმოდგენილი ცნობები სამხრეთ ამერიკაში წინაისტორიული ცხოვრების ნიშნების შესახებ. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს დღე შევა მეცნიერების ისტორიაში, ვინაიდან ამ ამბებს იმდენად არაჩვეულებრივი და სენსაციური ხასიათი ჰქონდა, რომ არ მგონია,

დამსწრეთა მეხსიერებიდან ისინი ოდესმე ამოიშალნონ (ოპ, ჩემო კალმის ამხანავო მაკდონა! რა საშინლად გაგრძელებული შესავალია!).

ოფიციალურად მოსაწვევი ბილეთები დარიგდა მხოლოდ ინსტიტუტის წევრთა და მათ მახლობელ პირთა შორის, მაგრამ როგორც ცნობილია, უკანასკნელი ცნება მეტად ტევადია, ამის გამო კუინს-ჰოლის დარბაზი გაცილებით ადრეიყო გაჭედილი, ვიდრე დაიწყებოდა სხდომა, რომელიც რვა საათზე იყო დანიშნული. ფართო საზოგადოებამ ჰოლიციასთან ხანგრძლივი შეტაკების შემდეგ იერიშით აიღო დარბაზის კარი, ამ დროს დაზიანდა რამდენიმე პირი, მათ შორის ინსპექტორი სკობლიც, რომელსაც ფეხი მოსტეხს. ამ აჯანყებულთა ჩათვლით, რომელთაც გაავსეს არა მარტო ყველა გასასვლელი, არამედ პრესის წარმომადგენელთათვის მიჩნეული ადგილებიც, მოგზაურთა მოსვლას ელოდებოდა არანაკლებ ხუთი ათასი კაცი.

გამოჩნდნენ თუ არა ბოლოს ისინი, მაშინვე სცენაზე აიყვანეს, სადაც იმ დროისათვის თავმოყრილნი იყვნენ არა მარტო ინგლისის, არამედ საფრანგეთისა და გერმანიის უდიდესი მეცნიერებიც. შვედეთიც იყო წარმოდგენილი მისი სახელოვანი ზოოლოგის, უფსალის უნივერსიტეტის პროფესორ ერგიუსის სახით. ოთხი გმირის დანახვაზე ოვაცია გაიმართა. მთელი დარბაზი, როგორც ერთი კაცი, ზეზე წამოდგა და მიესალმა ყვირილით და ტაშის ცემით. თუმცა დაკვირვებული მეთვალყურე მგრგვინავ აღტაცებაში დისონანსის ჰანგსაც მოჰკრავდა ყურს და იმ დასკვნასაც გამოიტანდა აქედან, რომ

სხდომა მაინცდამაინც მშვიდობიანად ვერ ჩაივლიდა, მაგრამ რაც სინამდვილეში მოხდა, იმას ვერც ერთი დამსწრეთაგანი ვერ წარმოიდგენდა.

ჩვენი მოგზაურების გარეგნობის აღწერა აյ სრულებით არაა საჭირო, რადგან მათი სურათები მოთავსებულია ყველა გაზეთში. მძიმე განცდებს, რომელნიც, როგორც ამბობენ, მათ გადაუტანიათ, მაინცდამაინც ცუდად არ უმოქმედია მათზე. თუმცა, როცა აქედან მიემგზავრებოდნენ, ასე მზემოკიდებულები არ იყვნენ.

პროფესორ ჩელენჯერის წვერი თითქოს უფრო დიდებულად ელავს, პროფესორ სამერლის სახე - ცოტა უფრო გამხდარია. ლორდ ჰონ როქსტონი ოდნავ გამხდარა; მაგრამ საერთოდ მათი ჰანმრთელობის მდგომარეობა სავსებით დამაკმაყოფილებელია. რაც შეეხება ჩვენი გაზეთის წარმომადგენელს, ცნობილ სპორტ სმენსა და რაგბის საერთაშორისო კლასის მოთამაშეს ე.დ. მელოუნს, მას არა დაჰკლებია რა. მისი პატიოსანი, მაგრამ სილამაზით არც ისე მბრწყინავის სახე პირდაპირ სათნოების ღიმილს აფრქვევს. (დამაცა, მაკ, ერთი შეგხვდე!)

როცა სიწყნარე ჩამოვარდა და ყველანი დასხდნენ თავ-თავიანთ ადგილებზე, თავმჯდომარემ, დარპემის ჰერცოგმა, სიტყვით მიმართა კრებას. ჰერცოგმა პირდაპირ განაცხადა: რამდენადაც აუდიტორიას უშუალო შეხვედრა აქვს თვით მოგზაურებთან, იგი არ ცნობს საჭიროდ, შეაჩეროს აუდიტორიის ყურადღება და დაასწროს მოხსენება პროფესორ სამერლის, გამომკვლევი კომისიის თავმჯდომარეს, რომლის ნაშრომებიც, თანახმად მიღებული ცნობებისა, ბრწყინვალე

გამარტვებით დაგვირგვინდა (ტაში). როგორც ჩანს, რომანტიკას თავისი დრო ჰერ კიდევ არ მოუჭამია და პოეტის მგზნებარე ფანტაზიას კიდევ შეუძლია დაეყრდნოს მეცნიერების მკვიდრ საფუძველს. ბოლოს ისღა დაგვრჩენია, რომ ჩვენი სიხარული გამოვთქვათ - ამაში უჟველია, მხარს დაგვიჭერს ყველა აქ დამსწრე, - რომ ჰენტლმენები ჰანსაღად და უვნებლად დაბრუნდნენ თავიანთი მძიმე და სახიფათო მოგზაურობიდან, ვინაიდან ამ ექსპედიციის დაღუპვა თითქმის აუნაზღაურებელი დანაკლისი იქნებოდა მეცნიერებისათვის (მგზნებარე ტაში, რომელსაც პროფესორი ჩელენჯერიც უერთდება).

პროფესორ სამერლის კათედრაზე გამოჩენამ ხელახალი აღტაცება გამოიწვია. სიტყვას წამდაუნუმ ანყვეტინებდნენ ტაშით. ჩვენ აქ არ მოვიყვანთ მას სიტყვასიტყვით, ვინაიდან ექსპედიციის მუშაობის სრული ანგარიში, რომელიც ეკუთვნის ჩვენი კორესპონდენტის კალამს, გამოშვებული იქნება „დეილი-გაზეთის“ მიერ სპეციალურ ბროშურად, ამიტომ დავკმაყოფილდეთ პროფესორ სამერლის მოხსენების მოკლე გადმოცემით.

პროფესორ სამერლიმ მოაგონა კრებას, თუ როგორ დაიბადა აზრი ექსპედიციის გაგზავნის შესახებ. მან ჰეროვანი შეფასება მიუზღო პროფესორ ჩელენჯერს და ბოდიში მოიხადა მის წინაშე, რომ წარსულში უნდობლობით მიეპყრო მის სიტყვებს, რომლებიც ახლა ბრწყინვალედ დადასტურდა. შემდეგ მან მოგზაურობის ზოგადი მარშრუტი მოხაზა, მხოლოდ ბეჭითად გაურბოდა ყოველგვარ ნიშანს, რომელნიც შეეძლოთ გამოეყენებინათ ცნობად ამ არაჩვეულებრივი ტაფობის გეოგრაფიულ მდებარეობის შესახებ. შემდეგ პროფესორმა

სამერლიმ მოკლედ აღწერა გზა ამაზონიდან იმ ამბის გადმოცემით, თუ რა განსაცდელი გამოიარა ექსპედიციამ ზეგანზე ასვლის მრავალჭერადი ცდის გამო, რამაც ბოლოს და ბოლოს მაინც შეინირა ორი ერთგული მეგზური მეტისის სიცოცხლე (ამ მოულოდნელი განმარტებით ჩვენ ვალი დაგვდო სამერლიმ, რომელსაც უნდოდა გვერდი აევლო ზოგიერთი საჩოთირო საკითხისათვის). როცა იგი ავიდა თავისი მსმენელებით უდელტეხილის მწვერვალზე და მათაც განაცდევინა, თუ რას ნიშნავდა ოთხი მოგზაურისათვის იმ ხიდის დანგრევა, - რომელიც ერთადერთი კავშირი იყო გარე სამყაროსთან, - პროფესორი შეუდგა ამ არაჩვეულებრივი ქვეყნის საშინელებათა და მშვენიერებათა აღწერას. საკუთარ განცდებზე იგი ცოტას ლაპარაკობდა, მაგრამ ცდილობდა ყოველნაირად გაესვა ხაზი იმისათვის, თუ რა უმდიდრესი განძი შესძინა მეცნიერებას ექსპედიციამ, რომელიც ანარმოებდა დაკვირვებებს ტაფობის ცხოველთა და მცენარეთა სამეფოზე. იქაური მწერთა სამყარო განსაკუთრებით მდიდარია ხეშემფრთოვნებითა და ქერეჭფრთოვნებით და რამდენიმე კვირის განმავლობაში ექსპედიციამ შეძლო გამოერკვია ორმოცდაექვსი პირველი ოჯახის სახეობისა და ოთხმოცდათოთხმეტი - მეორისა, მაგრამ რაც უფრო მოსალოდნელი იყო, საზოგადოებას აინტერესებდა მეტნილად მსხვილფეხა პირუტყვი, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც დიდი ხანია გადაშენებულად ითვლებოდნენ. პროფესორმა წარმოადგინა გრძელი სია ასეთი წინაისტორიული ურჩხულებისა და დაარწმუნა მსმენელები, რომ ეს სია შეიძლება საგრძნობლად შეივსოს ზეგანის გულმოდგინე შესწავლის

შემდეგ. მასა და მის თანამგზავრებს მოუხდათ საკუთარი თვალით ნახვა, თუმცა მეტწილად შორიახლოდან, სულ მცირე, ათიოდე ცხოველის მაინც, რომელთაც მეცნიერება აქამდე არ იცნობდა. მომავალში, რა თქმა უნდა, ისინი შესაფერისად იქნებიან შესწავლილნი და კლასიფიკაცირებულნი. მაგალითისათვის პროფესორმა დაასახელა მუქი წითელი გველი, სიგრძით ორმოცდათერთმეტი ფუტი; რაღაც თეთრი ცხოველი, სავარაუდოდ ძუძუმნოვარი, რომელიც სიბნელეში ფოსტორიან სინათლეს გამოაშუქებს ხოლმე და ვეებერთელა შავი პეპელა: ინდიელთა სიტყვით, ამ პეპლის ნაკბენი გესლიანია.

გარდა ცოცხალ ცხოველთა სრულიად ახალი სახეობებისა, ტაფობზე მრავლადაა მეცნიერებისათვის ცნობილი წინაისტორიული ცხოველი, რომელთა შორის ზოგიერთი უნდა მიეკუთვნოს იურის ადრეულ პერიოდს. აქ ნახსენები იყო ვეებერთელა სტეგოზავრი, რომელიც მისტერ მელოუნს შეხვდა ტბაზე. სწორედ ასეთივე მხეცი იყო ჩახატული ალბომში იმ ამერიკელი მხატვრისა, რომელმაც შეაღწია ამ უცნობ ქვეყანაში ექსპედიციაზე უფრო ადრე. პროფესორმა სამერლიმ აღწერა აგრეთვე იგუანოდონი და პტეროდაქტილი - პირველი ორი ურჩხული, რომელიც მათ შეხვდა ტაფობზე და ჟრუანტელი მოპგვარა მსმენელთ, როცა მოუთხრო უსაშინლეს მხეცებზე, რომლებიც ამ ქვეყანაში ბინადრობდნენ: დინოზავრებზე, რომლებიც არაერთხელ დაედევნენ ექსპედიციის ხან ერთსა და ხან მეორე წევრს. შემდეგ პროფესორმა დაწვრილებით ილაპარაკა უშველებელ მძვინვარე ფრინველ ფორმორაკოსზე და ვეებერთელა ცხენ-ირემზე, რომლებიც

ჰერ კიდევ გვხვდებიან ჩვენი ქვეყნის ზეგნებზე.

მაგრამ აუდიტორიის აღტაცებამ მიაღწია უმაღლეს საზღვარს, როცა პროფესორმა მოუთხრო მას ცენტრალური ტბის საიდუმლოებანი. როცა ამ ფხიზელი მეცნიერის დინჯ ლაპარაკს უგდებდი ყურს, გინდოდა შენი თავისათვის გეჩქმიტა, რათა დარწმუნებულიყავი, რომ ეს სიზმარი კი არაა, არამედ ცხადლივ გესმის სიტყვები სამთვალა თევზისებრ ხვლიკებსა და გიგანტურ წყლის გველებზე, რომლებიც ამ იდუმალ სიღრმეებში ბინადრობენ.

შემდეგ იგი გადავიდა ადგილობრივ მკვიდრთა - კაცის მსგავს მაიმუნთა ჭილაგის აღწერაზე, რომლებიც, როგორც ეტყობა, წარმოადგენენ იავანის პიტეკანთროპის ევოლუციის შედეგს და, მაშასადამე, უფრო მეტად, ვიდრე სხვა რომელიმე სახეობა ცხოველთა სამყაროსი, უახლოვდებოდა იმ პიპოთებურ არსებას, რომელიც ცნობილია „ ნაკლისი რგოლის “ სახელწოდებით ადამიანსა და მაიმუნს შორის.

დასასრულ, პროფესორმა გაამხიარულა აუდიტორია, როცა შეუდგა პროფესორ ჩელენჯერის მიერ გამოგონებულ ფრიად გონებამახვილურ, მაგრამ მეტად სახითათო, ჰაერში მფრინავი აპარატის აღწერას და თავისი არაჩვეულებრივად საინტერესო მოხსენება დაასრულა იმის აღწერით, თუ როგორ მოახერხა ექსპედიციამ ცივილიზებულ სამყაროში დაბრუნება.

ვარაუდობდნენ, რომ კრება ამით დამთავრდებოდა და პროფესორ სერგიუსის მიერ წარმოდგენილ რეზოლუციას გამომკვლევი კომისიის წევრთათვის მადლობის გამოსაცხადებლად ჩვეულებრივი წესით კენჭს

უყრიდნენ და მიიღებდნენ. მაგრამ ყოველივე ისე წესიერად არ დამთავრდა, როგორც მოელოდნენ. ჭერ კიდევ კრების დასაწყისიდან მტრულად განწყობილი ნაწილი საზოგადოებისა, დროგამოშვებით ცდილობდა, დამსწრეთა ყურადღება მიეპყრო; ხოლო, როგორც კი დაამთავრა პროფესორმა სამერლიმ თავისი მოხსენება, მაშინვე წამოდგა ედინბურგელი დოქტორი ჭეიმს ილინგვორტი და მიმართა თავმჯდომარეს კითხვით:

- ხომ არ ცნობთ საჭიროდ, სანამ კენჭს ვუყრიდეთ, განვიხილოთ შემოტანილი შესწორება?

თავმჯდომარე: „ დიახ, სერ, თუკი გაქვთ შესწორება ” .

დოქტორი ილინგვორტი „ მაქვს, თქვენო უგანათლებულესობავ, მე მაქვს შესწორება ” .

თავმჯდომარე: „ მაშ, განაცხადეთ! ” .

პროფესორი სამერლი (წამოვარდება ადგილიდან): „ თქვენო უგანათლებულესობავ, ნება მიბოძეთ, საყოველთაოდ გამოვაცხადო, რომ ეს კაცი ჩემი პირადი მტერია მას შემდეგ, რაც მასთან პოლემიკა მქონდა ჟურნალ „ სამეცნიერო მიმოხილვის “ ფურცლებზე.

თავმჯდომარე: „ პირადი ხასიათის საკითხები ჩვენ არ გვეხება. განაგრძეთ, დოქტორ ილინგვორტ! ” .

ჩვენი მოგზაურების მეგობრებმა ისეთი ხმაური ატეხეს, რომ დოქტორ ილინგვორტის ხმა ზოგჯერ არც კი ისმოდა. ზოგიერთმა კათედრიდან ჩამოთრევაც კი მოუნდომა, მაგრამ ძლიერი ღონისა და მძლავრი ხმის პატრონმა დოქტორ ილინგვორტმა სძლია ყოველგვარ დაბრკოლებას და თავისი სიტყვა ბოლომდე მიიყვანა. იმ წუთიდანვე,

რაც იგი ფეხზე წამოდგა, ყველასათვის ცხადი შეიქნა, რომ მას ბლომად ჰყავდა მომხრე დარბაზში, თუმცა ისინი მაინც მსმენელთა უმცირესობას წარმოადგენდნენ. მნიშვნელოვანი ნაწილი საზოგადოებისა კი მოლოდინში იყო და ჯერჯერობით ნეიტრალიტეტს იცავდა.

დასაწისისათვის პროფესორმა ილინგვორტმა დაარწმუნა პროფესორი ჩელენჯერი და პროფესორი სამერლი მათი სამეცნიერო მოღვაწეობისადმი უღრმეს პატივისცემაში; მაგრამ შემდეგ მწეხარებით აღნიშნა, რომ მის გამოსვლას რეზოლუციის შესწორების მიზნით რაღაც პირადი მოტივებით სხნიან, მაშინ, როდესაც სინამდვილეში იგი ხელმძღვანელობს მხოლოდ და მხოლოდ ჭეშმარიტებისადმი მისწრაფებით; და რომ არსებითად მას უჭირავს იგივე პოზიცია, რომელიც წინა კრებაზე პროფესორ სამერლის ეკავა.

- მაშინ პროფესორმა ჩელენჯერმა წამოაყენა მთელი რიგი თემისებისა, რომელთაც ეჭვის თვალით შეხედა მისმა კოლეგამ, - განაგრძო ილინგვორტმა, - ახლა იგივე კოლეგა გამოდის სწორედ ისეთივე რწმუნებით და იმედოვნებს, რომ არავინ შეედავება. განა ეს ლოგიკურია? (ძახილი „დიახ!“ , „არა“ ! იმ ლოჟიდან, რომელიც პრესის წარმომადგნელებს ჰქონდა დათმობილი, მოისმა ხმაპროფესორი ჩელენჯერისა, რომელიც სთხოვდა თავმჯდომარეს ნებართვას, დოქტორი ილინგვორტი გარეთ გაეგდოთ). - ერთი წლის წინ ერთი ადამიანი გვარწმუნებდა მეტად ახირებულ რამეებს. ახლა იმავეს და რამდენადმე მეტსაც სჩადის ოთხი კაცი. მაგრამ განა შეიძლება ეს გამოვიყენოთ გადამწყვეტ ფაქტორად იქ, სადაც

ლაპარაკია მეცნიერებაში მთელი გადატრიალების მოხდენის შესახებ?! ყველას ემახსოვრება ის შემთხვევა, როცა მოგზაურები ბრუნდებოდნენ მეტად შორეული, სრულიად უცნობი ქვეყნიდან და ავრცელებდნენ ყოველგვარ ზღაპარს. ნუთუ ლონდონის ზოოლოგიური ინსტიტუტიც ასეთ გულუბრყვილო მდგომარეობაში უნდა ჩავარდეს? შემმოწმებელი კომისიის წევრები მეტად ღირსეული ხალხია, ამას არავინ უარყოფს, მაგრამ ადამიანის ბუნება მეტად რთულია. დაწინაურების სურვილს შეუძლია, ჭეშმარიტების გზიდან გადაახვევინოს, როგორი პროფესორიც უნდა იყოს. ჩვენ ყველანი ფარვანასავით დიდების ცეცხლისაკენ ვისწრაფვით. დიდ ნადირზე მონადირენი ხშირად სცოდავენ ჭეშმარიტების წინააღმდეგ, ოღონდ კი გული მოუკლან თავიანთ მეტოქეებს; ჟურნალისტები ხომ ისეთი მოყვარულნი არიან სენსაციისა, რომ ფაქტებს ხშირად თავიანთი მდიდარი ფანტაზიითაც კი აზვიადებენ. კომისიის ყოველ წევრს, შესაძლოა, საკუთარი მოტივი ჰქონოდა, რომელთა ხელმძღვანელობით მათ გააბუქეს ექსპედიციის შედეგები ( „ სირცხვილო! გრცხვენოდეთ! ” ). მას არ სურს ვინმე შეურაცხყოს... ( „ მაინც ხომ შეურაცხყოფს! ” - დარბაზში ხმაურია)... მაგრამ ყველა ამ საოცრებათა დასადასტურებლად წარმოდგენილი საბუთები მეტად სუსტია. რას წარმოადგენს ისინი? მხოლოდ რამდენიმე ფოტოგრაფიულ სურათს. მაგრამ ჩვენს ხანაში ფალსითიკაციამ ისეთი ოსტატობის დონეს მიაღწია, რომ მარტო ფოტოგრაფიაზე დამყარება შეძლებელია. კიდევ რით უნდა ჩვენი დაჯერება? აჩქარებით გამოქცევისა და ბაგირით ძირს ჩამოსვლის მოთხოვნით, რამაც

ვითომდა ხელი შეუშალა ექსპედიციის წევრებს, თან წამოედოთ უფრო დიდი ნიმუშები ფაუნისა იმ ზღაპრული ქვეყნიდან? გონებამახვილურადაა ნათქვამი, მაგრამ არც იმდენად დამაჯერებლად. ნათქვამი იყო, ლორდ როქსტონს ფორორაკოსის თავის ქალა აქვსო. მაგრამ სადაა იგი? საყურადღებო იქნებოდა მისი ნახვა.

ლორდ ჭონ როქსტონი: „ ეს ადამიანი, ვგონებ, სიცრუეს მწამებს! “ (დარბაზში ხმაურია).

თავმჯდომარე: „ სიწყნარე! სიწყნარე! დოქტორ ილინგვორტ, კეთილი ინებეთ და ჩამოაყალიბეთ თქვენს შესწორება “ .

დოქტორი ილინგვორტი: „ გემორჩილებით, თუმცა მინდოდა კიდევ რამე მეთქვა. ამრიგად ჩემი წინადადება ასეთია: მადლობა გამოეცხადოს პროფესორ სამერლის საყურადღებო მოხსენებისათვის, მაგრამ მის მიერ წარმოდგენილი ფაქტები არ ჩაითვალოს დამტკიცებულად და მათი შემოწმება მიენდოს მეორე კომისიას, რომელიც უფრო დაიმსახურებს ჩვენს ნდობას “ .

ძნელი ასაწერია, თუ რა ჩოჩქოლი გამოიწვია დარბაზში ამ შესწორებამ. დამსწრეთა უმრავლესობა, რომელიც აღელვებული იყო ჩვენი მოგზაურებისადმი ამ ცილისწამებით, მოითხოვდა: „ ძირს შესწორება! “ „ მას კენჭი არ უყაროთ! “ „ გააგდეთ აქედან! “ ... ამავე დროს უკმაყოფილონი მხარს უჭერდნენ დოქტორ ილინგვორტს და გამაყრუებელი ხმით ყვიროდნენ: „ ეს უნამუსობაა “ , „ თავმჯდომარევ, მოუწოდეთ წესრიგისაკენ! “ . უკანა მხარეს, სადაც მედიცინის ფაკულტეტთა სტუდენტები ისხდნენ, მუშტი-კრივიც გაიმართა. საერთო

ჩხუბი აღარ გაიმართა მხოლოდ იმის წყალობით, რომ დამსწრეთა შორის მანდილოსნებიც იყვნენ. უეცრად ხმაური შეწყდა; დარბაზში სრული სიჩუმე ჩამოვარდა. ესტრადაზე პროფესორი ჩელენჯერი იდგა. თავისი გარეგნობითა და მიხრა-მოხრით ეს კაცი იმდენად დამაჯერებელ შთაბეჭდილებას ახდენდა, რომ მისი ხელის აწევისთანავე ყველანი თავ-თავიანთ ადგილებზე დასხდნენ და მოემზადნენ მოსასმენად.

- დამსწრეთა უმრავლესობას ალბათ ახსოვს, - დაიწყო პროფესორმა ჩელენჯერმა, - რომ ასეთივე უმართებულო სცენები გაიმართა ჩვენს პირველ სხდომაზეც. მაშინ მთავარი ჩემი შეურაცხმყოფელი პროფესორი სამერლი იყო. ახლა იგი გამოსწორდა და ცოდვებიც მოინანია, მაგრამ იმ ინციდენტის დავიწყება მაინც არ შეიძლება. დღეს მე კიდევ მეტი შეურაცხყოფის ატანა მხვდა წილად იმ პიროვნებისაგან, რომელმაც სწორედ ახლა დატოვა ესტრადა. უდიდესი ძალდატანებით ვაიძულებ ჩემს თავს, თავი გავუყადრო ამ დაბალი გონების აღამიანს, მაგრამ ეს უნდა ჩავიდინო, რათა თავიდან მოვიშორო ეჭვი, რომელიც, შესაძლოა, კიდევ შერჩა ვინმე აქ დამსწრეთაგანს (სიცილი, ხმაური, ყვირილი უკანა რიგებიდან). პროფესორი სამერლი გამოვიდა აქ, როგორც გამომკვლევი კომისიის ხელმძღვანელი, მაგრამ განა საჭიროა მოგაგონოთ, რომ ნამდვილი სულის ჩამდგმელი მთელი ამ საქმისა მე გახლავართ, ეს სამი ჯენტლმენი დანიშნულ ადგილას მე მივიყვანე, და როგორ უკვე თქვენ მოისმინეთ, კიდეც დავარწმუნე ისინი ჩემი მტკიცების სინამდვილეში. არ გვეგონა, თუ ჩვენი საერთო დასკვნები ისეთივე უმეცარ შედეგებს

გამოიწვევდა. მაგრამ მნარე გამოცდილებამ მე ახლა უკვე შემაიარაღა ზოგიერთი დამამტკიცებელი საბუთით, რომელიც დაარწმუნებს ყოველი საღი გონების მქონეს, პროფესორმა სამერლიმ უკვე ილაპარაკა, რომ ჩვენი ფოტოვამერა იმ კაცმაიმუნების ხელში მოხვდა, რომელთაც გაანადგურეს მთელი ჩვენი ბანაკი. ამრიგად, უმეტესი ნაწილი ჩვენი ნეგატივებისა განადგურდა. (ხმაური, სიცილი, უკანა რიგებიდან ვიღაცის ხმა: „ ეგ ზღაპრები ბებიათქვენს უამბეთ “ !) პო, მართლა, კაცმაიმუნთა შესახებ! არ შემიძლიაარ ავღნიშნო, რომ ის ხმები, რომელიც სწორედ ახლა მომესმა, ცოცხლად მომაგონებს ჩვენს შეხვედრებს ამ საყურადღებო არსებებთან. (სიცილი).

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ძვირფასი ნეგატივი განადურდა, მაინც დაგვრჩა ფოტოსურათების რაღაც ნაწილი და მათი დახმარებით შეგვიძლია ვიმსჯელოთ ზეგანზე ცხოვრების პირობების შესახებ. აქვს ვინმე აქ დამსწრეთაგანს რაიმე ეჭვი მათ სინამდვილეში? (ვიღაცის ხმა: „ დიახ! “ ; საერთო მღელვარება, რომელიც იმით დასრულდა, რომ რამდენიმე კაცი დარბაზიდან გაიყვანეს). ნეგატივები ექსპერტს გადაეცა, კიდევ რაღა დამამტკიცებელი საბუთების წარმოდგენა გნებავთ კომისიისაგან? იგი იძულებული შეიქნა გამოქცეულიყო ტაფობიდან და ამიტომ არ შეეძლო რაიმე ტვირთით დაემძიმებინა თავი, მაგრამ პროფესორმა სამერლიმ მაინც მოახერხა გადაერჩინა თავისი პეპლებისა და ბუზანკალების კოლექცია, იქ ხომ მრავალი ახალი ნაირსახეობაა! ნუთუ არც ეს კმარა? (რამდენიმე ხმა: „ არა! არა! “ ). ვინ თქვა „ არა? “

დოქტორი ილინგვორტი (ადგილიდან დგება): „ ჩვენ გვვონია, რომ

კოლექციის შეგროვება, სადაც გნებავთ, იქ შეიძლებოდა და არა უჯველად თქვენს წინაისტორიულ ზეგანზე (ტაში). “

პროფესორი ჩელენჯერი: „ ეჭვგარეშეა, სერ, ისეთი დიდი მეცნიერის სიტყვა, როგორიც თქვენ ბრძანდებით, ჩვენთვის კანონია! ბარემ მივანებოთ თავი ფოტოსურათებსა და ენტიმოლოგიურ კოლექციას და გადავიდეთ საკითხებზე, რომლებიც არავის არასოდეს გაუშუქებია. ჩვენ, მაგალითად, მოგვეპოვება სავსებით ზუსტი ცნობები პტეროდაქტილთა შესახებ, ამ ცხოველთა ცხოვრება. (ყვირილი: „ მიქარვაა! ” ; დარბაზში ხმაურია). მე ვამბობ, რომ ამ ცხოველთა ცხოვრება ახლა თქვენთვის სრულიად ნათელი გახდება. ჩემს პორტფელში გახლავთ სურათი, პირდაპირ ნატურიდან გადაღებული, რომლის საფუძველზე...

დოქტორი ილინგვორტი: „ სურათები ჩვენ ვერაფერში დაგვარწმუნებს! ”

პროფესორი ჩელენჯერი: „ თქვენ გნებავთ ნატურის ნახვა? ”

დოქტორი ილინგვორტი: „ უეჭველად! ”

პროფესორი ჩელენჯერი: „ მაშინ ხომ დამიჭერებდით? ”

დოქტორი ილინგვორტი: „ (სიცილით) მაშინ? დიახაც! ”

მაშინ ჩვენ მივედით ყველაზე უფრო ამაღელვებელსა და დრამატულ ეპიზოდამდე, რომლის ეფექტიც სამუდამოდ დარჩება როგორც სწორუპოვარი. პროფესორმა ჩელენჯერმა ასწია ხელი. ჩვენი კოლეგა მისტერ ე.დ. მელოუნი მაშინვე წამოდგა ადგილიდან და გაემართა სცენის სიღრმისაკენ. ერთი წუთის შემდეგ იგი ხელახლა გამოჩნდა გიგანტური აგებულების ზანგის თანხლებით. მათ

მოპერონდათ დიდი ოთხვეუთხედი ყუთი, ეტყობოდა, მეტად მძიმე იყო იგი. დადგეს ყუთი პროფესორის ფერხთით. ხალხი გაინაბა და დაძაბული ადევნებდა თვალყურს, რა მოხდებოდა, პროფესორმა ჩელენჯერმა ახადა ყუთს თავი, შიგ ჩაიხედა, რამდენჯერმე დაატკაცუნა თითები და საამო ხმით უთხრა (პრესის წარმომადგენელთა ლოჟაში მშვენივრად ისმოდა მისი სიტყვები): „ აბა გამოდი, ჩემო პატარავ, გამოდი! “ მოისმა ხმაური, ფხაჭუნი და თან გამოვიდა რაღაც წარმოუდგენლად საშიშარი, უსაზიზღრესი სულდგმული და ჩამოჭდა ყუთის კიდურზე. პერცოგი დარპემის ორკესტრში მოულოდნელმა გადავარდნამაც კი ვერ მიიპყრო საშინელებისგან თავზარდაცემული საზოგადოების ყურადღება. ამ ურჩხეულის ონავარმა თავმა, ნაკვერცხლებივით მგზნებარე პატარა თვალებმა, უნებლიერ მოგვაგონა საშინელი ქიმერები, რომლებიც მხოლოდ შეა საუკუნეების მხატვართა ოცნებაში თუ ჩაისახებოდნენ. მისი ნახევრად დაღებული გრძელი ნისკარტი გამოჭედილი იყო ორწყებად გააღმასებული კბილებით. აპრეხილი ბეჭები იმაღლებოდა რაღაც ჭუჭყიან-რუხი შალის ნაოჭებში. ერთი სიტყვით, ეს იყო სწორედ ის ემმავი, რომლითაც ჩვენ გვაშინებდნენ ბავშვობაში.

ხალხი შეძრნუნდა - ვიღაცამ იკივლა, პირველ რიგში მჯდომ ორ მანდილოსანს გული წაუვიდა, ესტრადაზე მსხდომ მეცნიერებს ცხადლივ ემჩნეოდათ მისწრაფება, თავმჯდომარეს მიჰყოლოდნენ ორკესტრში. კიდევ ერთი წამი და, საერთო შიშის ზარი მთელ დარბაზს მოედებოდა.

პროფესორმა ჩელენჯერმა ხელი ასწია, ხალხის დამშვიდებას

ცდილობდა, მაგრამ ამ მოძრაობამ დააფრთხო მის გვერდით მჯდომარე ურჩხული. მან გამართა რუხი შალი, რომელიც მისი აპკისებური ფრთები აღმოჩნდა; პროფესორმა ფეხებში ხელი სტაცა, მაგრამ ვერ დაიმაგრა, ურჩხული მაღლა აფრინდა და დარბაზში ნელი ფრენით დაიწყო ირგვლივ ტრიალი. მშრალი შრიალით ამოძრავებდა ათფუტიან ფრთებს და ავრცელებდა თავის გარშემო ენით აუნერელ სიმყრალეს, ქანდარაზე მყოფი ხალხის გოდებამ, რომელსაც შიშის ზაფრა მოჰვარა მგზნებარე თვალებისა და საშინელი ნისკარტის სიახლოვემ, მეტად დააფრთხო ფრინველი. მან უფრო ჩქარა დაიწყო ფრენა და ფრთებით ხან კედლებს ეტაკა, ხან ჭაღს და, ეტყობოდა, სულ გაგიჟდა შიშისაგან. „ ფანჯარა! ღვთის გულისათვის, მიხურეთ ფანჯარა! “ - ყვიროდა პროფესორი, რომელიც შიშისაგან ცქმუტავდა და ხელებს იმტვრევდა, მაგრამ გვიანდა იყო. ურჩხული კედლებს ეფართხუნებოდა, როგორც დიდი პეპელა ლამპის შუშას. გაუსწორდა თუ არა ფანჯარას, გაყო თავი, გაძვრა და... ამის შემდეგ აღარავის უნახავს.

პროფესორმა სახეზე მიიფარა ხელი და სავარძელში ჩაეშვა, დარბაზში კი, ყველამ როგორც ერთმა, თავისუფლად ამოისუნთქა, რადგან დარწმუნდნენ, რომ საშიშროება გაქრა.

და... მაგრამ შეიძლება აღწერა, თუ რა ხდებოდა დარბაზში, როცა ჩელენჯერის მომხრეთა აღტაცება და მისი მოპირდაპირეთა dრწოლა გაერთიანდა დასაზეიმო მძლავრმა ტალღამ გადაიარა უკანა რიგებიდან ორკესტრამდე, ჩაითრია თვით ესტრადაც და ჩვენი გმირები თავის ქედზე ასწია! (ყოჩაღ, მავ!) თუ აუდიტორია აქამდე

უსამართლობას იჩენდა ოთხი გამბედავი მოგზაურის მიმართ, ახლა იგი შეეცადა გამოესყიდა თავისი დანაშაული. ყველა ფეხზე წამოიჭრა. ყველა სცენისაკენ გაემართა ყიჟინით და ხელების ქნევით, გმირებს რკალივით შემოერტყნენ. „ხელში აიყვანეთ, ხელში!“ - გაისმა ასობით ძახილი და ოთხი მოგზაური ხალხის თავზე მოექცა. ყოველმა ცდამ, რომ თავი დაეღწიათ, ამაოდ ჩაიარა. საპატიო ადგილი მათი იყო, ბევრიც რომ მოენდომებინათ, ძირს მაინც ვერ დაეშვებოდნენ, ვინაიდან ხალხი ესტრადაზე ერთმანეთზე კედელივით იყო მიჭრილი.

„ქუჩაში! ქუჩაში!“ გაიძახოდნენ ირგვლივ.

ხალხი ამოძრავდა და მისი ნაკადი ხელში აყვანილი ოთხი გმირით ნელ-ნელა გაემართა კარისაკენ. ქუჩაზე რაღაც სრულიად წარმოუდგენელი რამ გაიმართა. თავი მოეყარა არანაკლებ ასი ათას კაცს. ხალხი იდგა ერთმანეთზე მიჭრილი ლენპემოტელიდან ოქსფორდის მოედნამდე. როგორც კი ფარნების კაშკაშა სინათლემ მიაშექა გამოსასვლელთან ოთხ გმირს, რომლებიც ხალხის თავზე მიცურავდნენ, ჰაერი შეზანზარდა მისალმებითა და ყიჟინით.

„პროცესით რიჯენტ სტრიტზე!“ - ერთხმად გაისმოდა ყველგან. ქუჩა გაიჭედა, კინაღამ გასწია წინ რიჯენტ-სტრიტით, პელმელსა, სეინტ-ჯემს-სტრიტსა და პიკადილზე. ლონდონის ცენტრში მოძრაობა შეწყდა. ერთი მხრივ, დემონსტრანტთა და მეორე მხრივ პოლიციელთა და შოთერთა შორის მოხდა მთელი რიგი შეტაკებებისა. დასასრულ, ნაშუაღამევს ხალხმა გაათავისუფლა ოთხი მოგზაური, მიიყვანა ოლბენში ლორდ ჯონ როქსტონის ბინამდე, უმლერა გამომშვიდობებისას - „ჩვენი კარგი ბიჭი“ და პროგრამა ჰიმნით

დასრულდა. ასე დასრულდა საღამო - ერთი უშესანიშნავესი საღამოთაგანი, რომელიც კი უნახავს ლონდონს უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში".

ასე წერდა ჩემი მეგობარი მაკდონა და მიუხედავად მისი ფერადოვანი სტილისა, ამბავთა მიმდინარეობა ამ ანგარიშში მოყვანილია თითქმის სიზუსტით. რაც შეეხება უმთავრეს სენსაციას, მან თავისი მოულოდნელობით მხოლოდ ხალხი გააოცა და არა ჩვენ - ექსპედიციის მონაწილენი. მკითხველს, ცხადია, არ დავიწყებია ჩემი შეხვედრა ლორდ ჭონ როქსტონთან, როცა იმას ჩამოეფხატა რაღაც დაწნილი კალათა და მიდიოდა პანაწა წინილის დასაჭერად პროფესორ ჩელენჯერისათვის. მოიგონეთ აგრეთვე გადაკრული სიტყვები იმ მძიმე ტვირთის შესახებ, რომლის ტარება ტაფობიდან ჩამოსვლისას მოგვიხდა.

რამდენიმე სიტყვა ლონდონელი პტეროდაქტილის ბედის შესახებ: რაიმე გარკვეულის დადგენა არ მოხერხდა. შიშით დაფეთხებული ორი ქალი ირწმუნებოდა, ვითომც იგი ენახათ კუინს-ჰოლის სახურავზე, სადაც რამდენიმე საათი ყოფილიყო წამომჯდარი, როგორც საოცარი ძეგლი. მეორე დღეს საღამოს გაზეთებში დაიბეჭდა მოკლე შენიშვნა შემდეგი შინაარსისა: გვარდიელმა მაილსმა, რომელიც საგუშაგოზე იდგა მოლბორო-ჰაუზთან, დატოვა საგუშაგო და ამისათვის სამხედრო სამართალში მისცეს. სასამართლოში მაილსმა განაცხადა, რომ ღამის გუშაგობისას მან შემთხვევით აიხედა მაღლა და დაინახა ეშმაკი, რომელიც მთვარის შუქს ეფარებოდა, რის შემდეგაც მიატოვა შაშხანა და მოკურცხელა პელ-მეილის გზით. ბრალდებულის ჩვენება

მხედველობაში არ მიიღეს, მაშინ, როდესაც შესაძლებელია, მას პირდაპირი კავშირი ჰქონოდა ჩვენთვის საყურადღებო საკითხთან.

დავძენ კიდევ ერთ ცნობას, რომელიც ამოვკრიბე ამერიკა-პოლანდიის ხაზის გემი „ფრისლანდის“ საგემო ჟურნალიდან. იქ ჩაწერილია, რომ დილის ცხრა საათზე მეორე დღეს, როცა სტარტ-პოინტი ათი მილის მანძილზე იმყოფებოდა შტირბორტიდან, გემს სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით საოცარი სისწრაფით გადაუქროლა ფრთოსანი თხისა თუ ვეება ღამურას მსგავსმა რაღაც სულდგმულმა. თუ ინსტინქტმა სწორი გზა უჩვენა ჩვენს პტეროდაქტილს, ეჭვგარეშეა, რომ თავის აღსასრულს პოვებდა სადმე ატლანტის ოკეანის უფსკრულში.

ჩემი გლედისი? გლედისი, რომლის სახელიც ვუწოდე იდუმალ ტბას, რომელსაც ამიერიდან ენოდება ცენტრალური ტბა, ვინაიდან აღარ მსურს მივანიჭო მას უკვდავება. განა წინათაც ვერ ვამჩნევდი უგულობას ამ ქალს? განა ვერ ვგრძნობდი, რომ სიამაყით ვემორჩილებოდი მის ბრძანებას? რომ დიდი არაფერია ის სიყვარული, რომელიც გვაიძულებს სიცოცხლე გავწიროთ? განა არ ვებრძოდი იმ აზრს, რომ ამ ქალში მშვენიერებაა მხოლოდ სახე და რომ მის სულს ჩრდილსა ჰავენს ლანდი თვითმოყვარეობისა და უპირობისა? ასე რად ხიბლავდა მას ყოველივე გმირული? იმიტომ ხომ არა, რომ კეთილშობილური საქციელის სიდიადე იმასაც მოეცხებოდა, სრულებით ძალდაუტანებლად, სრულიად უმსხვერპლოდ მისი მხრიდან? თუ ეს ყოველივე ფუჭი აზრებია? მე ჩემს ჭკუაზე აღარ ვიყავი ამ დღეებში, ამ დარტყმით სული მომენამლა.

მას შემდეგ ერთმა კვირამ განვლო და ამ ხნის განმავლობაში მელორდ ჭონ როქსტონთან მეტად მნიშვნელოვანი ბაასი მქონდა. თანდათან მეჩვენებოდა, რომ საქმეები არც ისე ცუდად იყო.

მოგიყვებით მოკლედ, როგორ მოხდა ყოველივე. საუთჰემპტონში ჩემს სახელზე არც ბარათი და არც დეპეშა არ მიმიღია და ამით შეშფოთებული იმავე დღის საღამოს ათ საათზე უკვე პატარა ვილის კარებთან ვიდექი, სტრიქემში. შეიძლება ცოცხალიც აღარაა? განადიდი ხანია, რაც სიზმრადმელანდებოდა მკერდში ჩახუტება, მოღიმარი სახე, მხურვალე და უანგარიშმ ქებისა და მოწონების შესხმა გმირისათვის, რომელმაც სიცოცხლე განირა ძვირფასი სატრფოს ჟინისათვის! სინამდვილემ ზეციურ სიმაღლიდან მიწაზე გადმომტყორცნა, მაგრამ ჩემთვის საკმარისი იქნება მხოლოდ ერთი სიტყვა, რომ მე ისევ ცას ვენიო ნეტარებით. და მე თავშეუკავებლად გავექანე ბაღის ბილიკით, მივუკავუნე კარს. მომესმა ჩემი გლედისის ხმა, ხელის კვრით გვერდზე მივაგდე მოსამსახურე გოგო და შევფრინდი სასტუმროში. იგი დივანზე იჭდა როიალთან. სამი ნაბიჭით გადავირბინე ოთახი და ვტაცე ხელებში ორივე ხელი.

- გლედის! - წამოვიძახე მე. - გლედის!

გავვირვებით შემომხედა. ჩვენი უკანასკნელი შეხვედრის შემდეგ მასში რაღაც შეუმჩნეველი ცვლილება მომხდარიყო. თვალების გამომეტყველება, ცივი გამოხედვა, მჯიდროდ მოკუმშული ბაგენი - ეს ყოველივე უცხოდ მეჩვენა. გლედისმა ხელები გაითავისუფლა.

- ეს რას ნიშნავს? - შემეკითხა იგი.

- გლედის! - წამოვიძახე მე. - რა გემართებათ? თქვენ ხომ ჩემი

გლედისი ხართ, ჩემი საყვარელი პანაწა გლედის ჰანგერტონი!

- არა, - თქვა მან, - მე გლედის პოსტი ვარ. ნება მიძოქეთ, წარმოგიდგინოთ ჩემი ქმარი.

რა უაზრო რამაა ცხოვრება! მე ვესალმები და ხელს ვართმევ პატარა წითურ პიროვნებას, რომელიც მოხერხებულად მოთავსებულა სწორედ იმ ჩაღრმავებულ სავარძელში, რომელიც ოდესიდაც მხოლოდ მე მეკუთვნოდა. ერთმანეთს თავს ვუკრავთ და სულელური ღიმილით შევცქერით!

- მამამ ნება დაგვრთო, რომ ჰერჯერობით აქ ვიცხოვროთ. ჩვენი სახლი ჰერ მზად არაა, - განმარტა გლედისმა.

- ოპო! - წარმოვთქვი მე.

- განა ჩემი ბარათი არ მიგიღიათ პარაში?

- არა, არავითარი ბარათი არ მიმიღია.

- რა სამწუხაროა! მაშინ თქვენთვის ყოველივე ცხადი იქნებოდა.

- ჩემთვის ისედაც ყოველივე ცხადია, - წავიღუდლუდე მე.

- მე თქვენზე მქონდა ლაპარაკი უილიამთან, - განაგრძო გლედისმა,

- ჩვენ ერთმანეთისგან საიდუმლო არა გვაქვს რა. ძალიან ვწუხვარ, რომ ასე მოხდა, მაგრამ თქვენ, ალბათ, იმდენად ღრმა გრძნობით არ იყავით გამსჭვალული, რაკი შეძელით ჩემი აქ მარტოდმარტო მიტოვება და სადღაც ცხრა მთას იქით გადაკარგვა. ხომ არ მებუტებით?

- არა, რას ბრძანებთ, რას ბრძანებთ! მაშ, ასე, ბარემ წავალ.

- არა, ჩაი დავლიოთ! - შემომთავაზა ამ წითურმა პიროვნებამ და შემდეგ კონფიდენციალურად დაუმატა: - ყოველთვის ასე ხდება...

სხვას რას უნდა მოველოდე? ორ მეტოქეს შორის ყოველთვის ერთი იმარჯვებს.

მან იდიოტურად მორთო ხარხარი და მე წასვლა ვამჯობინე.

როგორც კი გამოვედი, სასტუმრო ოთახის კარი უკვე მოხურეს და უეცრად, თითქოს ვიღაცამ წამიბიძგაო, ამ გულისთქმით დამორჩილებული შევბრუნდი ჩემს ბედნიერ მეტოქესთან, რომელმაც შეშინებული თვალი მაშინვე ელექტრონის ზარს მიაპყრო.

- გეთაყვა, ერთ შეკითხვაზე მიპასუხეთ, - ვუთხარი მე.

- რატომაც არა, თუკი წესიერი შეკითხვა იქნება.

- როგორ მიაღწიეთ ამას? იპოვეთ რაიმე საუნჯე? აღმოაჩინეთ პოლუსი? იყავით მეკობრედ? გადაფრინდით არხზე? რა ჩაიდინეთ? სადაა ის რომანტიკა? როგორ მოახერხეთ?

მან გაოცებული თვალები დამაშტერა. მისი უბრალო, სულელური სახე სრულ შემფოთებას გამოხატავდა.

- თქვენ არ ფიქრობთ, რომ ეს ყოველივე მეტად პირადულ ხასიათს ატარებს? - ჩაილაპარაკა მან ბოლოს.

- კარგი! კიდევ ერთი კითხვა, ისიც უკანასკნელი! - წამოვიდახე მე. - თქვენ ვინ ხართ? რა პროფესიის?

- საქმის მწარმოებლად ვმუშაობ ჭონსონისა და მერივილის სანოტარო კანტორაში. მისამართი: ჩენსერი-ლიან, სახლი ორმოცდაერთი.

- კარგად ბრძანდებოდეთ! - მივაძახე და, როგორც შეჰქერის უნუგეშო გმირს, ღამის წყვდიადში გავუჩინარდი ბრაზმორეული, ნაღვლიანი, თან კი მეცინებოდა.

კიდევ ერთი პატარა სცენა და ჩემი მოთხოვობაც დამთავრდება.

გუშინ საღამოს ყველამ თავი მოვიყარეთ ლორდ ჯონ როქსტონთან. ნავახშმევს სიგარებს ვაბოლებდით, მეგობრული ბაასი გავაძით და დიდხანს გაგვიგრძელდა არაშორეულ ამბავთა მოგონებანი. ახირებულად მეჩვენებოდნენ ეს კარგად ნაცნობი სახეები და ამ უჩვეულო პირობებში. აი, ზის ჩელენჯერი - შემწყნარებლური ღიმილი კვლავინდებურად დაკრთის მის ტუჩებზე, თვალის ქუთუთოებს მქირდავად ჭუტავს, წვერი გაბურდგნილი აქვს, მკერდი - წინ გამოზნექილი; იფხორება და სამერლის არიგებს. ის კი თავის მოკლე ჩიბუხს აქშუტუნებს, თხისებრ წვერს აცანცარებს და გააფთრებით ედავება ჩელენჯერს ყოველ სიტყვას. და ბოლოს აი ჩვენი მასპინძელი - ხმელი სახე, ყინულივით ცივი გამოხედვა ცისფერი არწივისებური თვალებისა, რომელთა სიღრმიდან მუდამ გამოვრთის მიფერფლილი, მხიარული, ცბიერი ცეცხლი. სამივენი ასევე დიდხანს დარჩებიან ჩემს მეხსიერებაში.

ნავახშმევს ჩვენ გადავედით ლორდ ჯონის წმინდათა წმინდაში - მის კაბინეტში, რომელიც ვარდისფრად იყო გაბრდღვიალებული და უამრავი ნადავლით დამშვენებული. ჩვენი ბაასიც შემდეგში იქ გავაგრძელეთ. მასპინძელმა პატარა კარადიდან სიგარის ძველი კოლოფი გამოიღო და მაგიდაზე დადო.

- ვგონებ, უფრო ადრე უნდა გამეცნო თქვენთვის ეს საქმე, - დაიწყომან, - მაგრამ ჯერ მინდოდა ყველაფერი ბოლომდე გამომერკვია. განა ღირს იმედების აღძვრა, რომ შემდეგში დარწმუნდნენ მათ შეუსრულებლობაში? მაგრამ ახლა ჩვენ წინაშე

ფაქტებია. თქვენ, უეჭველია, გემახსოვრებათ ის დღე, როცა ჩვენ  
მივაგენით პტეროდაქტილების ბუნაგს. პოდა ასე: მე ვუცქირე, ვუცქირე  
ამ ჭაობს და ბოლოს ჩავთიქრდი. გეტყვით, რაშია საქმე, თუ თვითონ  
ვერ შენიშნეთ: ეს იყო ვულკანური ძაბრი ცისფერი თიხით.

ორივე პროფესორმა თავი დაუქნია ნიშნად თანხმობისა.

- ასეთივე ვულკანური ძაბრი ცისფერი თიხით მე მინახავს მხოლოდ  
ერთხელ ჩემს სიცოცხლეში - კიმბერლიში, ალმასის დიდ ქვიშრობებში.  
გესმით? ალმასები თავიდან აღარ გამოდიოდა. მე შევამზადე რაღაც  
კალათისებური ამ მყრალ ქვენარმავალთაგან თავდასაცავად,  
შევიარაღდი ნიჩბით და მათ ბუნაგში ჩინებულად გავატარე დრო. აი,  
რა გამოვიტანე იქიდან.

გახსნა სიგარის კოლოფი, გადმოაპირქვავა და მაგიდაზე დაყარა  
არანაკლებ ოცდაათი ცალი გაურანდავი ალმასისა, - ცერცვის  
მარცვლისა თუ წაბლისხელა.

- შეიძლება თქვენ თქვათ, რომ არ უნდა გამეზიარებინა თქვენთვის  
ეს ჩემი აღმოჩენა. არ გედავებით, მაგრამ გამოუცდელმა კაცმა  
შეიძლება წაიტეხოს ფეხი ამ ქვიშნარზე. მათი ღირებულება ხომ  
სიდიდეზე არაა დამყარებული, არამედ სიმკვრივესა და წყლის  
სიწმინდეზე. ერთი სიტყვით, ქვები აქ წამოვიდე. ჩამოსვლისთანავე  
გავწიე სპინკთან და ვთხოვე გაერანდა და შეეფასებინა ერთი ქვა, -  
ლორდ ჭონმა ამოიღო ჭიბიდან პტარა კოლოფი და გვიჩვენა  
საუკეთესოდ ბრნყინავი ბრილიანტი, რომლის მსგავსი რამ მე ჩემს  
დღეში არ მინახავს. - აი, ჩემი შრომის შედეგები, - თქვა მან, -  
იუველირმა ეს მცირე გროვა შეაფასა, სულ მციორე, ორასი ათას

გირვანქად და, რასაკვირველია, ჩვენ თანასწორად უნდა გავიყოთ იგი. არა, სხვაგვარად არ შეიძლება! აბა, ჩელენჯერ, თქვენ რას იზამთ თქვენი ორმოცდაათი ათასი გირვანქით?

- თუ თქვენ მაინცდამაინც მოითხოვთ შეასრულოთ თქვენი დიდსულოვანი გადაწყვეტილება, - თქვა პროფესორმა, - მე მთელ ჩემს თანხას მოვანდომებ კერძო მუზეუმის მოწყობას, რაზეც დიდი ხანია ვოცნებობ.

- თქვენ, სამერლი?

- მე მივატოვებ მოსწავლეებს და მთელ ჩემს თავისუფალ დროს შევწირავ ჩემ მიერ შეკრებილ ცარცის პერიოდის ნამარხთა საბოლოო კლასიფიკაციას.

- მე კი, - თქვა ლორდ ჭონ როქსტონმა, - მთელ თანხას, რაც მერგება, დავხარჭავ ექსპედიციის მოსაწყობად და კიდევ მოვინახულებ ჩვენს გულით საყვარელ ზანგს. ხოლო თქვენ, ჭაბუკო, ფული თქვენც გამოგადგებათ. თქვენ ხომ ცოლს ირთავთ...

- არა, ჭერ არ ვაპირებ, - ვუპასუხე სევდიანი ღიმილით, - და თუ წინააღმდეგი არ იქნებით, თქვენ შემოგიერთდებით.

ლორდ როქსტონმა შემომხედა და უსიტყვოდ გამომიწოდა თავისი ღონიერი ხელი.